

# სამართლებულის უნივერსიტეტი

ISSN 1512-0473



2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University


პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ერათემატიკის საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2019



## **სარგებლობით საბჭო:**

- ვ. ბოედერი, ი. გიბერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიე,  
ჰ. ფერიხანი, მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

## **EDITORIAL COUNCIL:**

W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, J. Gippert,  
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

## **სარგებლობით კოლეგია:**

- თ. გამკრელიძე (მთავარი რედაქტორი),  
ი. ლეჟავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ივანიშვილი,  
დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია, ლ. ქეცბა-ხუნდაძე, პ. ცხადაია, მ. ჯიქია

## **EDITORIAL BOARD:**

**Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),  
**I. Lezhava** (Deputy Editor-in-Chief),  
R. Asatiani, T. Bolkvadze, N. Gaprindashvili, M. Jikia, M. Ivanishvili,  
L. Ketsba-Khundadze, D. Melikishvili, E. Soselia, P. Tskhadaia

უკრალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამკრელიძისა და  
ზურაბ სარჯველაძის მიერ

*The journal was founded in 1999 by Thomas V. Gamkrelidze  
and Zurab Sarjveladze*

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

- © ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამომცემლობა, 2020
- © Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020

## შინაარსი

რუსუდან ასათიანი. პოტენციალისი ქართველურ ენობრივ სივრცეში .....	5
<i>Rusudan Asatiani. Potential Mood in the Kartvelian Linguistic Space</i> ..... 14	
თინათიანი ბოლკვაძე. იაფეტური თეორიის აღზევება და დაცემა ნაწილი პირველი: იაფეტური თეორიის მდგომარეობა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში ..... 17	
<i>Tinatin Bolkvadze. The Rise and Fall of Japhetic Theory Part I: The Japhetic Theory in the Institutes of the Academy of Sciences of the USSR</i> ..... 32	
რუსუდან გერსამია. ლაზური ენის დიალექტებად დაყოფის პრობლემები და ხოფურ-ჩხალურის თავისებურებები ..... 34	
<i>Rusudan Gersamia. The Problems of Division of Laz into Dialects and the Peculiarities of Khopa-Chkhala</i> ..... 42	
რუსუდან გერსამია. მოძრაობა-გადაადგილების ზმნური ძირის კონცეპტუალური სტრუქტურა ლაზურში ..... 44	
<i>Rusudan Gersamia. The Conceptual Structure of Verb Roots Denoting Motion/Movement in Laz</i> ..... 53	
მარანე ივანიშვილი. აკადემიკოს სერგი ჯიქიას ეტიმოლოგიური ძიებები .....	55
<i>Marine Ivanishvili. Etymological Researches of Academician Sergi Jikia</i> ..... 61	
გაა კვაშილავა. „აია“, „აიაია“, „აიეტი“ და „კოლხეთი“ ეგეოსურ ხაზოვან წარწერებსა და ბერძნულ წყაროებში.....	63
<i>Gia Kvashilava. “Aia”, “Aiaia”, “Aeëtes” and “Colchis” in the Aegean Linear Inscriptions and Greek Sources</i> ..... 75	
ივანე ლეჟავა. მკვეთრი (ეიექტიური) თანხმოვნების ტიპოლოგიური თავისებურებები .....	76
<i>Ivane Lezhava. Typological Peculiarities of Ejective Consonants</i> ..... 85	
თამარ მახარაბლიძე. პირველი ქართული ტაქტილური ანბანი .....	87
<i>Tamar Makharoblidze. The First Georgian Tactile Alphabet</i> ..... 93	
ნიკოლოზ ოთიანაშვილი. წყალთან დაკავშირებული ლექსიკა ფრონეს ხეობაში .....	95
<i>Nikoloz Otinashvili. Water-Related Vocabulary in the Valley of Prone</i> ..... 100	
ეთერ სოსელია. გლოტოქრონოლოგია და ლექსიკოსტატისტიკა .....	102
<i>Ether Soselia. Glottochronology and Lexicostatistics</i> ..... 111	

მაგული ღამბაშიძე. დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი ანალიზური და სინთეზური ზმნური ფორმები	113
<i>Maguli Ghambashidze. The Analytical and Synthetic Verbal forms Expressing Dynamic Modality in the Georgian Literary Language</i> .....	123
იზა ჩანტლაძე. წახ-/ჭოხ-/ჭახ- >ჭეხ ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში .....	125
<i>Iza Chantladze. On the Relationship of wax-/yox-/yax- &gt; yex in Kartvelian Languages</i> .....	128
გიორგი ჯარყავა. I და II პირების დეიქსისთან დაკავშირებული საკითხები ქართველურ ენათა ანდაზებში .....	129
<i>Giorgi Jgharkava. Issues Related to I and II Person Deixis in Kartvelian Proverbs</i> .....	150
<b>თარგმანი</b>	
ალექსეი ლიაკდანსკი. დასავლურსემიტური ანბანის წარმოშობა და განვითარების ადრეული ეტაპები .....	151
<b>ახალი წიგნები</b>	
შუკება ფეიქრიშვილი, ივერგა ვაშკიძე, მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგის ისტორიისათვის, წიგნი მეორე, რედაქტორები: პროფ. იასუჭირო კოჯიმა, პროფ. ჰარუნ ჩიმქე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018 (რუსულან ზექალაშვილი) .....	165
<i>Lia Abuladze, Jonas Löffler (Hrsg.), Georgisches Lesebuch, Georgisch-Deutsch, usgewählte Geschichten, übersetzt und erläutert von Lia Abuladze und Jonas Löffler, amburg: Buske, 2018 (ედელტრაუდ ბიულოვი)</i> .....	169
თამაზ გამყრელიძე 90 .....	172

## აოტენციალისი ქართველურ ენობრივ სიპროცესი

### 1. შესავალი: საკითხის დასმა

პოტენციალისის კატეგორია,<sup>1</sup> რომელიც „შესაძლებლობას“ გამოხატავს, ფართო გაგებით არა მხოლოდ ფიზიკური თვალსაზრისით, და რომლისთვისაც „ნიშანდობლივია ზოგადობა, ზედროულობა და დასაშვებობა“ (გიგინეიშვილი 2016:13) განსხვავებულად ფორმალიზდება ქართველურ ენებში (ჩიქობავა 1937).

ქართულში მოქმედებითი (ასევე, საშუალ-მოქმედებითი) გვარის ზმნებთან, უარყოფით ფორმებში, არ და კერ ნაწილაკები ქმნიან დაპირისპირებას „შესაძლებელ-დასაშვებ“ მოქმედებასა და ამ სემანტიკის მიხედვით ნეიტრალურ ფორმებს შორის; მაგ.: არ წერს-კერ წერს, არ სვამს-კერ სვამს, არ მუშაობს-კერ მუშაობს, არ ფიქრობს-კერ ფიქრობს და სხვ. რაც შეეხება ფორმით დინამიკურ ვნებითებს, აქ გარკვეულ, პოტენციალისისათვის ღირებულ, კონტექსტში კერ ნაწილაკი არ იხმარება, რაც მოწმობს, რომ ის პოტენციალისის შინაარსის გამოსახატავად ჭარბია და ეს ფორმები თავისთავად უკვე გამოხატავენ „შეუძლებლობას“; მაგალითად: ოკუჩი წყალში არ დაფუძლება, ცხვირი პარიზან არ მოიჭრება, ეს დაინო არ დაიღუვაო, შები ხალთაში არ დაიმაღლება, და სხვ.

მსგავსი ვითარებაა სეანურშიც, სადაც მამ (არ) და დეშ (ვერ) ნაწილაკები გადმოსცემენ არ და კერ ნაწილაკების შესაბამის დაპირისპირებას; მაგალითად: მარჯროქოთხუმ დეშ ხემშადალ (კაცი თავს ვერ შეელისო), ალ ჭყინტგლდას დეშ მაღლვონველ! (ამ ჭყინტელას ვერაფერი მოვუხერხეთ!), დეშ ჯიბუ საბჯოშიშ ჩიჩხილდ! (ვერ გაგიგიათ აბჯრის რაჩხუნი!) და სხვ. ვნებითის ფორმებიც სათანადო კონტექსტში, პოტენციალისის გამოხატვისას, ვერ გუობენ დეშ ნაწილაკს და უარყოფას მხოლოდ მამ ნაწილაკის საშუალებით აწარმოებენ; მაგ., ალა რმი, ითურნი („ეს იჭმება, ისმება“) – მამ რმი, ითურნი („არ იჭმება, ისმება“).

ლაზურში ე.წ. ვნებითის ფორმები გამოიხატება ცირკუმფიქსებით <-ი- – უ/-უ-> (ერთპირიანებისთვის) და <-ა- – უ/-უ-> (ორპირიანებისთვის), რომელიც, რო-

<sup>1</sup> ბ. გიგინეიშვილი უპირატესობას ანიჭებს ა.შანიძის ტერმინს – ‘პოსიბილიტივი’/‘შესაძლებლობას ვნებითი’ (შანიძე 1953:299-300) და მყარი არგუმენტებით ასაბუთებს ამ უკანასკნელის მიზანშეწონილობას (გიგინეიშვილი 2016:13). თუმცა ეს ტერმინები (პოსიბილიტივი და პოტენციალისი) გარკვეულწილად სინონიმურია და რამდენადაც ‘პოტენციალისი’ უფრო დამკაიდრებული ჩანს ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში, წინამდებარე ტექსტშიც ის გამოიყენება.

გორც წესი, პოტენციალისის შინაარსს გამოხატავენ; მაგ.: იჭარებ (შეიძლება (და)იწეროს), ითასებ (შეიძლება (და)ითესოს), აჭარებ (მას შეუძლია წეროს), ათასებ (მას შეუძლია თესოს), და სხვ. უ დაბოლოება გვხვდება უმეტესად უთემისინში ზმნურ ფორმებში, -უ კი თემის ნიშნიანებში; დასტურდება პარალელური ფორმებიც; ამასთანავე, პოტენციალისის ფუნქციით გამოყენებული (ძირითადად, ორპირიანი) ვნებითი გვარის ფორმები ლაზურში ავლენენ ზმნურ ფორმათა ინვერსიის ტენდენციასაც (კარტოზია 2005).

პოტენციალისის შინაარსი ყველაზე მეტად ქართველური ენებიდან მეგრულშია გრამატიკალიზებული და ფორმალურად ერთმანეთისგან გამიჯნულია პოტენციალისი და პოტენციალისის შინაარსს მოკლებული ვნებითი: <-ი- - უ-> და <-ა- - უ-> გამოხატავს ვნებითს, ხოლო <-ი- - უ-> და <-ა- - უ-> პოტენციალისს; მაგ.: იჭარე(ნ)<sup>2</sup> (შეიძლება დაიწეროს), ითასე(ნ) (შეიძლება დაითესოს), აჭარე(ნ) (მას შეუძლია დაწეროს), ათასე(ნ) (მას შეუძლია დათესოს), მაგრამ: იჭარუუ(ნ) (იწერება), ითასუუ(ნ) (ითესება), აჭარუუ(ნ) (ეწერება, მისთვის იწერება), ათასუუ(ნ) (ეთესება, მისთვის ითესება).

მეგრულისა და ლაზურის ამ თავისებურებას ისიც გახაზავს, რომ ამ ენებში ერთი უარყოფთით ნაწილაკია კარ/კა (არ) და, ამგვარად, პოტენციალისის შინაარსი მხოლოდ ე.წ. ვნებითის ფორმებით გამოიხატება.

ტრადიციულად, ვნებითის ფორმების პოტენციალისის შინაარსით გამოყენების ფაქტს წსნიან გენეზისით: ან ვნებითიდან მივიღეთ პოტენციალისი, ან პირიქით, ან ორივეს წყაროდ რეფლექსივი მიიჩნევა.<sup>3</sup> გენეზისის საკითხები, ძირითადად, ვარაუდებს ეფუძნება და ყოველს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს.

თუმცა „ერთი რამ ცხადია: ვნებითსა და პოტენციალისს ქართველურ ენებში ერთმანეთს ვერ დავაცილებთ. არსებითად ეს ორი სხვადასხვა კატეგორია კი არ არის, არამედ ერთი და იმავე კატეგორიის ორი სხვადასხვა ნიუანსი“ (მაჭავარიანი 1953).

მეტიც: „თავსართი -ი- საზიაროა პოტენციალისისა და ვნებითის გვარისათვის. ეგვენე -ი- გააჩნია სასუბიექტო ქცევას და რეფლექსიურ ზმნებს. ამგვარად, ქართული ულგლილების ისტორიის თვალსაზრისით, ვნებითობის, პოტენციალისისა და (სასუბიექტო) ქცევის ურთიერთობა მრავალმხრივ საინტერესოა. ეს საკითხი სპეციალურ განხილვას საჭიროებს“ (ჩიქობავა 1937:37).

<sup>2</sup> ლაზურში ბოლოკიდური -ნ ყოველთვის გამოითქმის, მეგრულში კი „დაჩრდილულია და შხოლოდ ხმოვნების წინ აღდგება“ (ჩიქობავა 1937:33).

<sup>3</sup> მაგალითად, ინიანი ვნებითისა და სათავისო ქცევის გენეზისის შესახებ მსჯელობენ ა. შანიძე (შანიძე 1926), ივ. მმნაიშვილი (იმნაიშვილი 1996); ი-სათვის თავდაპირველ მნიშვნელობად რეფლექსივს მიიჩნევს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1950), უცუქცევით-კუთვნილებითობას კი – ნ. მარი (მარი 1925), ი. ქავთარაძე (ქავთარაძე 1954) და სხვ. (დაწვრილებით იხ. (ასათიანი 1987)).

ანგარიშგასაწევია, ასევე, ფაქტი, რომ, საზოგადოდ, გვარის, რეფლექსივის, რეციპროკალისა და პოტენციალისისათვის ერთი და იმავე ფორმალური ყალიბის გამოყენება ენებში ტიპოლოგიურად საკმაოდ გავრცელებულია (მაგალითად, ასეა რუსულში, ლათინურში, ბერძნულში, იაპონურში და სხვა).<sup>4</sup>

ბუნებრივად ისმის კითხვები:

- რა განაპირობებს ამ სხვადასხვა (თუმცა ახლომდგომი, დაკავშირებადი) სემანტიკის ერთი და იმავე ფორმალური ყალიბით წარმოდგენას, კერძოდ, ქართველურ ენებში?
- რა განაპირობებს მეგრულსა და ლაზურში, ქართულისა და სვანურისგან განსხვავებით, პოტენციალისის შინაარსის ფორმალური გამოხატვისკენ ძლიერ მისწრაფებას?
- რა კოგნიტიური საფუძველი აქვს ამ ფაქტებს?

## 2. ზმნური ხმოვანი პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია

ოთხივე ქართველურ ენაში გამოიყოფა ზმნური ხმოვანი პრეფიქსები, რომელთაც ზმნის ძირიდან უახლოესი, პირველი პოზიცია უკავიათ. ტრადიციულად ამ ხმოვნებს გვარის, ქცევის, კაუზაციის, კონტაქტისა და სიტუაციის მაჩვენებლებად მიიჩნევთ, მაგრამ ამგარი დაკავშირება ამ კატეგორიებისა განსახილველ ხმოვნებთან ცალსახად ვერ ხერხდება, რადგან არც ერთი მათგანი არ გულისხმობს მხოლოდ მათვის ნავარაუდებ მნიშვნელობას და პოლისემანტიკურ-პოლიფუნქციურია; მაგალითად, ოპრეფიქსი გვაქვს: 1. ე.წ. ინაან (აქტივის კონვერსიულ) ვწებითებში (ი-წერება); 2. ‘იგინება’ ტიპის აქტიურ, ანტიპასიურ ზმნებთან; 3. სათავისო ქცევის ფორმებში (იწერს); 4. რეფლექსიურ კონსტრუქციებში (იძანს); 5. II სერიის აქტიურ ზმნათა ფორმებში (ი-მუშავებს); ხოლო ა-პრეფიქსი: 1. ე.წ. საარვისო ქცევის ფორმებში (ა-შენებს); 2. კაუზატიურ (აღუღებს) და 3. კონტაქტის გამომხატველ კონსტრუქციებში (ა-წერინებს); 4. საზედაო სიტუაციის ფორმებში (ა-წერს).<sup>5</sup>


ამ სირთულეებისაგან თავის დაღწევას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ ქართველი გრამატიკოსები და, როგორც წესი, ამგვარ პოლიფუნქციურ ხმოვნებს შლილნენ სხვადასხვა კატეგორიის მაჩვენებლებს ომონიმურ მორფემებად: მაგალითად, ი-სათავისო, ი-სასხვისო, ი-ვნებითი; ან ა-საზედაო, ა-საარვისო, ა-კაუზაციის და ა.შ., ხოლო მათ შორის არსებულ ფორმალურ მსგავსებას საერთო წარმომავლობით ხსნიდნენ; მაგალითად, კაუზაციისა და სიტუაციის ა-ს საერთო წარმომავლობას ვარაუდობს გ. მაჭავარიანი (მაჭავარიანი 1953); ინანი ვწებითისა და სათავისო ქცევის გენეზისის შესახებ მსჯელობენ ა. შანიძე (შანიძე 1926), ივ. იმნაიშვილი

<sup>4</sup> დაწვრილებით იხ. (ასათიანი 2001).

<sup>5</sup> ამგვარი ფუნქციური აღრევების შესახებ დაწერილებით იხ. მ. დამენიას (დამენია 1982), მ. მაჭავარიანისა (მაჭავარიანი 1980) და ბ. ჯორბენაძის (ჯორბენაძე 1983) შრომები.

(იმნაიშვილი 1996); ი-სათვის თავდაპირველ მნიშვნელობად რეფლექტივს მიიჩნევს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1950), უკუქცევით-კუთვნილებითობას კი – ნ. მარი (მარი 1925), ი. ქავთარაძე (ქავთარაძე 1954), და სხვ.).


პრობლემურია ისიც, რომ ზმნური მორფების ჯაჭვში ამ ხმოვანპრეფიქ्सებს ერთი და იგივე, ზმნის ძირიდან უახლოესი პოზიცია უკავიათ და ურთიერთოგამომრიცხავი არიან. ამდენად, სავარაუდოდ, ისინი ერთსა და იმავე, უფრო ზოგად კატეგორიას უნდა გამოხატავედნენ. ასეთი კატეგორიის გამოსავლენად, ამომწურავი, ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის საფუძვლზე, აშკარა ხდება, რომ ეს ხმოვნები ყველა ქართველურ ენაში და, შესაბამისად, საერთოქართველურში გამოხატავენ ზმნური ვალენტობების ‘მატებას’ და/ან ‘კლებას’, რაც ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში სემანტიკური როლების (resp. Ag და/ან Ad) ‘დამატება’ და/ან ‘გაუჩინარების’ შედეგია. ეს პროცესი გენერატიული ხე-სტრუქტურის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:



ამ სქემიდან გამომდინარე, ხმოვანი პრეფიქსების სემანტიკური სტრუქტურის წარმოდგენისათვის ქართველურ ენებში ღირებულია 7 ბინარულ-დიფერენციალური ნიშანი:  $\pm$ [არგუმენტი],  $\pm$ [Ag-ის გაჩენა],  $\pm$ [Ag-ის დაკარგვა],  $\pm$ [მოქმედების უშუალო ჩამდენი],  $\pm$ [Adpos-ის გაჩენა],  $\pm$ [Adpos-ის დაკარგვა] და  $\pm$ [Adloc]. ამ ნიშნების სხვადასხვაგვარი კონტინუური მარკირების საფუძველზე გამოიყოფა: გვარის, ქცევის, კაუზაციის, კონტაქტისა და საზედაო სიტუაციის ფარდი მორფო-სინტაქსური კატეგორიები. ხმოვანპრეფიქსი ჩნდება ყველა ჩამოთვლილი კატეგო-

რიის შემთხვევაში და ე.ი. ის იმართვის (მას განსაზღვრავს) უმაღლესი კვანძის კატეგორიით: ესაა ‘არგუმენტის მატება-კლება’ ( $\pm$ [არგუმენტი]), რომელიც ფორმა-ლურად წარმოდგენილია  $\alpha$ -([არგუმენტი]) :  $\sigma$ - (-[არგუმენტი]) პრეფიქსების დაპირისპირებით.<sup>6</sup> ამგვარად, ზნური პრეფიქსული ხმოვნების ძირითად ფუნქციონალურ დატვირთულობად უნდა მივიჩნიოთ ‘არგუმენტის მატება-კლების’ მარკირება.<sup>7</sup>

წარმოდგენილი ანალიზი იძლევა ხმოვანი პრეფიქსების ცალსახა (თითქმის ავტომატურ) კვალიფიკაციას, რომელიც შეიძლება შემდეგი ალგორითმის სახითაც აღვწეროთ:



**შენიშვნა** —\*ინიანი და ენიანი ვნებითის ეს ფორმები გარკვეულ, შესაფერის კონტექსტში გამოხატავენ პოტენციალის; \*\*თუ  $Ag$  და  $P$ -ს ერთი და იგივე რეფერენტი აქვთ, ეს ფორმა გამოხატავს რეფლექსივს.

**დამატებითი წესი:** თუ არ გვაქვს  $AG$ -ის არც გაჩენა და არც დაკარგვა (ანუ, სემანტიკური როლები არგუმენტული სტრუქტურის ‘სემანტიკური ვალენტობით’ განისაზღვრება), მაშინ  $[+AD_{განვა}]$  ფორმალიზებულია  $\gamma$ - პრეფიქსით, რომელიც გამოხატავს რეციპროკალს;<sup>8</sup> ხოლო  $[+AD_{დაკარგვა}]$  —  $\alpha$ - პრეფიქსით, რომელიც გამოხატავს დეპონენტებს.

<sup>6</sup>  $\gamma$ - და  $\alpha/\gamma$ - პრეფიქსები უფრო კომპლექსურ ვითარებას ასახავენ: ისინი ჩნდებიან ან ორჯერადი ‘მატებისა’, ან ერთდროულად არგუმენტის ‘მატებისა’ და ‘კლების’ შემთხვევებში და მყარინად რომელიმე ერთი არგუმენტის ‘მატება’-‘კლების’ მაჩვენებლად, ალბათ, ვერ ჩაითვლებათ. საინტერესოა  $\gamma$ - ხმოვნის ფუნქციის გარკვევა წარმოდგენილი სქემის საფუძვლებელი: მის წარმოქმნაში მონაწილეობს სამი დიფერენციალური ნიშანი:  $[-\text{არგუმენტი}], [+Ag-\text{ის გაუჩინარება}], [+Ad]$  და არაა ღირებული ქცევის კატეგორიისათვის დამახასიათებელი  $[+Adpos]$ . ე.ი. ის არ უნდა იყოს ქცევის კატეგორიის მაჩვენებელი, რასაც ვარაუდობს (გ. ნებიურიძე 1976), მაგრამ  $[+Ad]$  ნიშნის გამო ითავსებს ქცევის კატეგორიისათვის დამახასიათებელ მნიშვნელობას (შდრ. დამენია 1982).

<sup>7</sup> დანარჩენი დიფერენციალური ნიშნების მიხედვით განსხვავებული ქვეკატეგორიების ასახვა გრამატიკულ დონეზე ამ ხმოვნების თანაფუნქციას და მათი მორფოლოგიური მარკირება ძირითადად სხვადასხვაგვარი სუფიქსის საშუალებით კონკრეტდება.

<sup>8</sup> ის. ასათიანი 2010.

ზმნური ხმოვანპრეფიქსების ამგვარი ინტერპრეტაცია ნათელს პფენს იმ ფაქტს, რომ ეს პრეფიქსები თანამედროვე ქართველურ ენებში პოლიფუნქციურია: ქართველურ ენათა განვითარების შედეგად ხმოვანპრეფიქსები თავიანთი ფუნქციების დაკონკრეტების შედეგად იქცნენ გვარის, ქცევის, კაუზაცია-კონტაქტისა და სიტუაციის კატეგორიების გამომხატველ (თანა)მარკერებად, თუმცა ამ მირითადი, განვითარებული ფუნქციების გარდა, შეინარჩუნეს რა ‘მატება-კლების’ „ზოგადი, ძველი“ ფუნქცია, დამატებით, კონვენციონალურად გამოხატავენ კოგნიტიურად ახლოს მყოფ, კონკრეტულურად „მსგავს“ სხვადასხვაგვარ სემანტიკურ ნიუანსებიც: რეფლექსიურ, რეციპროკალურ, ანტიპასიურ, პოტენციალისისა და დეპონენსურ შინაარსებსაც.

### 3. საინფორმაციო სტრუქტურების თეორია: ლაზურისა და მეგრულის ვითარება

ლაზურში ვნებითი გვარის ფორმათი სემანტიკური თავისებურება (resp. პოტენციალისის გამოხატვა) შეიძლება ლაზური ერგატიული კონსტრუქციის სპეციფიკით აიხსნას.

ქართველურ ენებში ერგატიულ კონსტრუქციას განსაზღვრავს ორი შეზღუდვა:

(1) ზმნა უნდა იყოს გარდამავალი ან გარდაუვალ-დინამიკურ-ატელიკური;

და

(2) ზმნა უნდა იყოს დრო-კილოთა II სერიის ფორმებში.

ქართულსა და სვანურში ფუნქციონირებს ორივე შეზღუდვა, მეგრულში – მხოლოდ მე-(2), ხოლო ლაზურში ამ შეზღუდვათაგან მხოლოდ (1)-ლი.

როგორც მასალის ანალიზი ცხადყოფს, ლაზურში არა გვაქვს დრო-კილოთა მიხედვით ‘გახლებილ-ერგატიული’ კონსტრუქცია და აქ მხოლოდ ზმნის სემანტიკური ნიშნები განსაზღვრავენ ერგატიულ კონსტრუქციას.

ამდენად, საქმე გვაქვს თანმიმდევრულად ერგატიულ (resp. ‘ტიპურ ერგატიულ’), თუმცა სემანტიკურად ‘გაფართოებულ’ კონსტრუქციასთან.<sup>9</sup> ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის ეს თავისებურება თავისთავად განაპირობებს პასიური კონსტრუქციების სიჭრებს: ‘ტიპურ ერგატიულ’ ენებში პასიური კონსტრუქციები, როგორც წესი, არ დასტურდება.

ეს კანონზომიერება იხსნება თანამედროვე ენათმეცნიერებაში მიღებული ერთერთი თეორიული მიდგომის საფუძველზე, რომლის თანახმადაც აქტიურ-პასიურ კონსტრუქციებს შორის არსებული ფუნქციონალური სხვაობა იხსნება წინადაღებაში ინფორმაციის სტრუქტურირების სხვადასხვაგვარობით (ასათიანი 2007).

წინადაღების საინფორმაციო სტრუქტურაში ინფორმაციულად დაწინაურებული სახელი კვალიფიცირებულია მთავარ ფუნქციონალურ კატეგორიად – **სუბიექტად**.

<sup>9</sup> ‘გაფართოებულს’ იმდენად, რამდენადაც აქ არა მხოლოდ გარდამავალი, არამედ გარდაუვალ-დინამიკურ-ატელიკური ზმნებიც ქმნიან ერგატიულ კონსტრუქციას (დაწვრილებით იხ. ასათიანი 2014).

სუბიექტი არის შეტყობინების ის ნაწილი, რომლის შესახებაც მოდის გარკვეული ინფორმაცია და რომელიც, ბუნებრივია, „დაწინაურებულია“ საინფორმაციო ნაკადში. ნომინატიურ ენებში აქტიური კონსტრუქციები გამოხატავენ აგენტის დაწინაურებას (resp. Ag=S). თუმცა საინფორმაციო ნაკადში შესაძლებელია პაციენტიც დაწინაურდეს და იქცეს გამონათქვამის სუბიექტად; ანუ ინფორმაცია გადალაგდეს ისე, რომ გამონათქვამი გარკვეულ ინფორმაციას გაგწვდიდეს სწორედ რომ მოქმედების ობიექტის, პაციენტის შესახებ (resp. P=S). ფორმალურად პაციენტის ამგვარი დაწინაურება გამოიხატება მისთვის ნომინატიური ფორმის მინიჭებით (resp. ვნებითი გვარის კონსტრუქციები).

მაგრამ ერგატიულ ენებში პაციენტი ყოველთვის ნომინატივშია, ე.ი. ინფორმაცია თავიდანვე ისეა სტრუქტურირებული, რომ ის უკვე არის ინფორმაციის ცენტრალური, არამარკირებული ერთგული და მისი შემდგომი ფუნქციონალური დაწინაურება ჭარბია. ამიტომაც ერგატიული ენები, როგორც წესი, არ განარჩევენ ფუნქციონალურად დაპირისპირებულ და ფორმალურად განსხვავებულ აქტიურ-პასიურ კონსტრუქციებს – ეს დაპირისპირება ამ ტიპის ენებისათვის ჭარბია.

სწორედ ამგვარი საფუძველი იქმნება ლაზურში და თუ ქართულში, სვანურსა და მეგრულში პასიური კონსტრუქციების არსებობა, ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით, სრულიად მისაღებია I სერიის ფორმებისთვის (პოტენციალისის შინაარსიც, „ზედროულობის“ გამო, მხოლოდ აწმოლი მოთაზრება), სადაც არსებოთად ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს, ლაზურში ის ყველა სერიისათვის ჭარბია.

ლაზური, როგორც ჩანს, ასეთი სიჰარბის დასაძლევად და ამ საერთოქართველური კონსტრუქციების თავის სისტემაში არაწინააღმდეგობრივად მოსაქცევად ახდენს პასიური კონსტრუქციების სემანტიკურ რეინტერპრეტაციას და მათ სემანტიკურად ახლო მყოფ ‘პოტენციალისის’ გამომხატველ მორფოსინტაქსურ მოდელად აქცევს: პოტენციალისი უფრო სემანტიკაზე ორიენტირებული კატეგორიაა, რომელიც ფუნქციონალურ ცვლილებებს (რაც ვნებითი გვარის შემთხვევაში აუცილებელია) არ გულისხმობს და, ამდენად, ერგატიულ კონსტრუქციებთან შეთავსებადია.

მეგრული იცავს როგორც ‘ქართულ-სვანურ’, ისე ‘ლაზურ’ ვითარებას და ფორმალურად ორივეს შესანარჩუნებლად ვნებითისა და პოტენციალისის ყალიბების გამიჯვნას ახდენს; სვანური კი, ქართულისგან განსხვავებით, მეორე სერიის ფორმებშიც ცდილობს ვნებითის (//სუსტად გამოხატული პოტენციალისისაც) ყალიბის მოქმედებითისაგან განსხვავებას ნამყობის -ნ (-ებ) სუფიქსით.

#### 4. გვარის კატეგორია საერთოქართველურში

ფუნქციური გაგებით გვარის კატეგორიის რეკონსტრუქცია საერთოქართველურ ფუმენტში ვერ სერხდება, თუმცა არგუმენტის კლების შესაბამისი მოდელის ფარგლებში ზმნური სემანტიკური კლასების სემანტიკითა და აორისტით განპირობებული ყალიბების რეკონსტრუქცია ბუნებრივი (და აუცილებელიც) ჩანს.<sup>10</sup>

<sup>10</sup> დაწვრილებით იხ. ასათიანი 2015.

არგუმენტის ‘მატება-კლების’ მოდელების სახით საერთოქართველურ ფუძეენაში უკვე არსებობს გვარის მორფოსინტაქსური კატეგორიის ჩამოყალიბებისათვის ხელ-საყრელი პირობები.

გვარის კატეგორიის საბოლოო ფორმირება და ფუნქციურ მორფოსინტაქსურ კატეგორიად ჩამოყალიბება, ‘გარდამავალი აქტივი’: ‘კონვერსიული პასივი’ დაპირის-პირების საფუძველზე, უკვე დამოუკიდებლად მიმდინარეობს ყოველ ქართველურ ენაში.

ამ პროცესს განაპირობებს ქართველურ ენათა ცვლილებების განმსაზღვრელი ერთი ძირითადი ტენდენცია – სემანტიკური შინაარსების მარკირებიდან ფუნქციუ-რი მიმართებების მარკირებაზე გადასცლა (ასათიანი 2015). ეს პროცესი იმგვარად მიმდინარეობს, რომ ყოველი ქართველური ენა თავისებურად ახდენს სემანტიკური თუ ფუნქციური ინტერპრეტაციების ფორმალიზებას მორფოსინტაქსური კატეგო-რიების სახით.

ეს უნდა იყოს საფუძველი ლაზურში გვარის შინაარსის პოტენციალისით „ჩა-ნაცვლებისა“, ხოლო მეგრულში პოტენციალისისათვის დამოუკიდებელი ყალიბის ჩამოყალიბებისა, რასაც ამ ენების ერგატიული კონსტრუქციის თავისებურება გა-ნაპირობებს.

კოგნიტიურად გვარისა და პოტენციალისის კატეგორიები მსგავსად კონცეპტუ-ალიზდება: ორივე შემთხვევაში გვაქვს აგენსის შესუსტება, რაც პოტენციალისის შემთხვევაში განზოგადებული აგენსის სრულ გაუჩინარებას იწვევს; ყოველივე ეს კი ფორმალური ყალიბების ამგვარი რეინტერპრეტაციის (პასივი → პოტენციალისი) მყარ საფუძველს ქმნის.

## 5. დასკვნები

დასკვნების სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ზემოთ ფორმულირებულ კითხ-ვებზე პასუხები:

- როგორც გვარის, ისე პოტენციალისის კატეგორიების ფორმირება მიმდინარე-ობს ხმოვანპრეფიქსების ზოგადი ფუნქციის დაკონკრეტებითა და სპეციფიკა-ციით: არგუმენტის კლების -იპრეფიქსი საერთოა ორივე კატეგორიისათვის და მათი სემანტიკური სპეციფიკაციის თუ გამიჯვნა (კერძოდ, მეგრულში) სუ-ფიქსური მაჩვენებლებით ხორციელდება.
- მეგრულსა და ლაზურში, ქართულისა და სვანურისგან განსხვავებით, ამ პრო-ცესის განაპირობებს ამ ენებში ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებები: ლაზური თანმიმდევრულად ერგატიულია და ვნებითის კონსტრუქცია ინფორ-მაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით მისთვის ჭარბია; ხოლო მეგრული ცდილობს, შეინარჩუნოს ლაზურის ვითარება და რადგან აქ კონვერსიული პა-სივი აწმყოს (და მასთან დაკავშირებულ დრო-კილოგბში) დასაშვებია, ვნები-თისა და პოტენციალისის ფორმალურ გამიჯვნას ანიჭებს უპირატესობას.

- როგორც გვარის, ისე პოტენციალისის დროს ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში არ ჩანს აგენტი და ეს მსგავსი ვითარება განაპირობებს გვარის პოტენციალისად კოგნიტიური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.
- რამდენადაც „ენობრივი ფსიქოლოგია (უფრო ზუსტად, ენობრივი სტრუქტურირების კოგნიტიური საფუძვლები – რ.ა.) ყველა ქართველურ ენას ერთი და იგივე აქვს“ (ჩიქობავა 1937:34), გვარისა და პოტენციალისის დაახლოება და ერთგვაროვანი ფორმალიზება ყველა ქართველურ ენაში დასტურდება.
- გვარისა და პოტენციალისის გაერთმნიშვნელიანების პროცესს განაპირობებს ქართველურ ენათა ცვლილებების განმსაზღვრელი ერთი ძირითადი ტენდენცია – სემანტიკური შინაარსების მარკირებიდან ფუნქციური მიმართებების მარკირებაზე „არაკონფლიქტური“ გადახვდა.

## **ლიტერატურა**

**ასათიანი 1987:** რ. ასათიანი, ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში, ძაცხე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბილისი.

**ასათიანი 2001:** R. Asatiani, Conceptual Structure of Reflexive and Middle, *Proceedings of the 4<sup>th</sup> International Symposium on LLC* (ed. Dick de Yongh), Amsterdam ILLC Scientific Publications, Amsterdam.

**ასათიანი 2007:** რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, სემანტიკა-II, ი. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტი. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.

**ასათიანი 2010:** რ. ასათიანი, ქართულში ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკურ-კოგნიტორი ინტერპრეტაცია: ენინი ვნებითის ერთი თავისებურება, ტანხლოვთური მიებანი, თბილისი.

**ასათიანი 2014:** რ. ასათიანი, საერთოქართველური ფუძე-ენის წყობა: აქტიური(?), ენათმეცნიერების საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ასათიანი 2015:** რ. ასათიანი, გვარის კატეგორია ქართველურ ენებში: რეინტერპრეტაცია და რეკონსტრუქციის მცდელობა, ენათმეცნიერების საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**გვიგინეშვილი 2016:** ბ. გიგინეშვილი, კაუზატივი და პოსიბილიტივი ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**დამენია 1982:** მ. დამენია, ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბილისი.

**იმნაიშვილი 1996:** ივ. იმნაიშვილი, ზმნა ძეგლ ქართულში, I, მანის ფრანგურტი.

**კარტოზია 2005:** გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი.

**მარი 1925:** Н. Mapp, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград.

**მაჭავარიანი 1953:** გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი.

**მაჭავარიანი 1980:** გ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, ივ, XXII, თბილისი.

**ნებიერიძე 1976:** გ. ნებიერიძე, ქცევის კატეგორია ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, თბილისი.

**ქავთარაძე 1954:** ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

**შანიძე 1926:** ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, თუმ, VI, ტფილისი.

**შანიძე 1953:** ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძლები, თბილისი.

**შეროზია 1980:** რ. შეროზია, პოტენციალისის კატეგორია და მასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი.

**ჩიქობავა 1937:** არნ. ჩიქობავა, ისტორიულ-შედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან, II, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიძეს მოამბე, I, ტფილისი, 32-37.

**ჩიქობავა 1950:** არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ, I, თბილისი.

**ჯორბენაძე 1983:** ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Rusudan Asatiani

## Potential Mood in the Kartvelian Linguistic Space

### Summary

In every Kartvelian language the semantics of Potential Mood is expressed by Passive forms, but differently: in Georgian and Svan Potentials get on with Passive forms; in Laz, Passive forms mostly represent Potentials; in Megrelian, Passives and Potentials are separated as two different categories and distinguished by the circumfixes: <-i-/a- \_ -e->(Potentials) and <-i-/a- \_ -e->(Passive Voice).

Closeness of Passives and Potentials may be explained by the coincidence of two factors: (a) by the general function of verb vowel-prefixes; and (b) by the peculiarities of Ergative Construction.

(a) There are four verbal pre-root vowel prefixes in the Kartvelian languages. Based on the Comparative-Historical methodology they can be reconstructed for the Proto-Kartvelian level: \*a-, \*i-, \*e-, \*u-.

Based on the semantic and functional analysis of vowel prefixes, the following generalization is proposed:

*The main function of vowel prefixes is to formalize conceptual changes resulting from an increase or decrease of the verb valency, implying either appearance or disappearance of semantic roles in a verb argument structure.*


An exhaustive analysis of concrete prefixes shows:

- \***a-** marks out an increase of the verb valency: when Agent-Actor and/or Agent-Initiator of an action appears in a verb argument structure (resp. Transitive and Causative), additionally specific suffixes arise in a verb form: \*-(ev) **in** (in case of Causative) or a specific thematic marker of Present Tense forms \*(-eb) (in case of Transitive); while when Locative appears, only \***a- is** presented in a verb form.
- \***u-∞i-** marks out an increase of the verb valency when a Recipient/Benefactive appears in a verb argument structure (resp. Objective Version).
- \***i-** marks out a decrease of the verb valency when either an Agent (resp. the **so-called Monopersonal Passive sometimes expressing Potential**), or a Recipient/Benefactive (resp. a Subjective Version expressing Reflexive as well) disappears.
- \***e-** marks out a more complicated case: simultaneously, the disappearance of the Agent and appearance of the Recipient/Benefactive/Addressee (resp. **Bipersonal Passive sometimes expressing Potential as well**).

A generative strategy for the creation of verb forms is based on the decisive Semantic Roles and is defined by 7 binary differential features:

+/-[ARGUMENT], +/-[AGENT<sub>APPEARANCE</sub>], +/-[AGENT<sub>DISAPP</sub>], +/-[REC/BEN<sub>APPEARANCE</sub>], +/-[REC/BEN<sub>DISAPP</sub>], +/-[AGENT-ACTOR], +/-[LOCATIVE].

The whole dynamic process may be represented as an algorithm with the four stages of implicational rules:



**Additional rule:** in the case {−[AG<sub>APP</sub>] and −[AG<sub>DISAPP</sub>]}, the +[REC/BEN<sub>APP</sub>] is formalized by the prefix **e-** representing the semantics of Reciprocals, while +[REC/BEN<sub>DISAPP</sub>] is formalized by the prefix **i-** representing the so-called Deponent verbs.

The development of the Proto-Kartvelian language system shows that the vowels, expressing the changes of verb valency, step by step developed their own self-semantics and functions and became the markers of categories: **Voice**, Version, Transitivity, Causative, and Locative. Additionally, preserving their “old” functions, they represent Reflexive, Reciprocal, **Potentials** and Deponent semantics.

(b) In Proto-Kartvelian, Ergative Constructions appear if two conditions are met – they appear if and only if:

- 1) *a verb is transitive or intransitive-dynamic-atelic;*
- 2) *a verb is in Aorist.*

Although, these restrictions are functioning variously:

- *Megrelian keeps to only (2):* any kind of verbs in Aorist trigger the ergative construction, while in the Present they show the nominative one;
- *Laz – only (1):* any kind of transitive or intransitive-dynamic-atelic verbs trigger the ergative patterns, while all others show the nominative ones; and this regularity is canonical for all Tense forms;
- *Georgian and Svan case patterns are defined by both, (1) and (2), restrictions:* only transitive or intransitive-dynamic-atelic verbs, and only in the Aorist show the ergative construction, while in all other cases the nominative one is represented.

Thus, Laz has no split according to Tense and looks like the so-called typical ergative language, where passive constructions do not exist at all. However, Laz keeps the common Kartvelian tendency of development of vowel prefixes functions and formation of the Voice and reinterprets Passive as representing the Potentials to make its own language system more compatible with all other Kartvelian languages. Megrelian tries to keep as the Georgian/Svan so the Laz situation and chooses the different strategy: inasmuch as its split ergativity allows Passive in Present tense forms (like in Georgian and Svan), it differentiates the categories of Passive and Potentials and marks them by different suffixes (preserving as the Georgian/Svan so the Laz semantic specificity).

**იაზეფური თეორიის აღზევება და დაცვა  
ნაწილი პირველი: იაზეფური თეორიის მდგომარეობა  
სსრკ მეცნიერებების ინსტიტუტებში<sup>1</sup>**

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1949 წლის 21 ივლისს მიიღო დადგენილება „საბჭოთა ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ენათმეცნიერული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (დადგენილება 1949:95-96). ამ დადგენილების ძირითადი დებულებები ასეთი იყო:

ლინგვისტურ ფრონტზე შეიმჩნევა არასახარბიელო მდგომარეობის საგანგაშო ნიშნები. ნ. მარის ენის ახალი მატერიალისტური მოძღვრების საფუძვლები განვითარდა მისი მოწაფეების შრომებში, უპირველესად აკად. მეშჩანინოვის კვლევებში. თუმცა ბოლო წლებში აშკარაა მატერიალისტური ენათმეცნიერების მტრული მიმართულების გააქტიურება და საზღვარგარეთული ბურჟუაზიული ენათმეცნიერების რეაქციულ-იდეალისტური მიმართულებების გავლენის გაძლიერება ზოგიერთ საბჭოთა ენათმეცნიერზე (აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ს. ჩიქობავა, აკად. ა. ა. ფრეიმანი, პროფ. მ. ნ. პეტერსონი, ა. ს. რეფორმატსკი და სხვები) და მათ მიმართ ახალი ენათმეცნიერული მოძღვრების ზოგიერთი წარმოამდგნლის შერიდან შემრიგებლური დამოკიდებულება.

ფუმენის რეაქციული თეორიის აღდგენის მცდელობა ხდება ზოგჯერ შენიდბულად (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. დ. ვ. ბუბრიხი), ზოგჯერ კი – შეუნიდბავად (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. ა. ა. ფრეიმანი); არის ფორმალურ-შედარებითი მეთოდის რეაბილიტაციის ცდები (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორები: დ. ვ. ბუბრიხი, ვ. მ. უირმუნსკი, ასევე ა. ვ. დესნიცკაია, მ. მ. გუხმანი); გვხვდება ანალიტიკურ ენათა (როგორიცაა, მაგალითად, ინგლისურის უპირატესობის მტკიცება ფლექსურ რუსულ და სხვა სლავურ ენებთან შედარებით (ვ. მ. უირმუნსკი, მისი მოწაფეები და მიმღევრები); თითქოს რუსული ენის ისტორიაში ვლინდება რუსული ენის „ევროპეუზაციის“ ფაქტები (აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი).

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ერონული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის (გრანტი № FR/503/1-30/14) ფარგლებში. ავტორს კვლევის შედეგები ასახული აქვს მონოგრაფიაში „საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018.

პრეზიდიუმი თვლის, რომ ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად განაპირობა ახალი ენობრივი მოძღვრების წარმომადგენელთა ბოლოდროონდელმა დაინტერესებამ სინტაქ-სით, ხოლო სინტაქსში ფორმალისტურმა და რეაქციულმა ტენდენციებმა იჩინა თავი.

ნ. ი. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტს ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთი კვლევაც კი არ შეუქმნა ეთნოგრეზისისა და გლობოგენეზი-სის პრობლემებზე; ფაქტობრივად შეჩერებულია მსოფლიოს ენების ისტორიაში სტადიური განვითარების კვლევა იმ პოზიციიდან, როგორც ეს ნ. მარმა დასახა.

ძალიან სადაცოა და დაზუსტება სჭირდება ახალშექმნილ მოძღვრებას „ცნებით კატეგორიებზე“, რადგან არსებობს საფრთხე, რომ იგი გადაიზარდოს განსაკუთრებულ „ენობრივ აზროვნებაში.“

მატერიალისტური ენათმეცნიერების გადაყვანა კერძო, ზოგჯერ ძალიან მეორე-ხარისხოვან გრამატიკულ საკითხებზე გამორჩეულად ჩანს კრებულის – „ენა და აზროვნება“ – XI ტომში, რომელიც 1948 წელს გამოიცა.

პრეზიდიუმმა განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, რომელიც არათუ არ ჩაუდგა ენათმეცნიერებაში რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში, არა-მედ ფართოდ გაუღო კარი პროპაგანდას, რომელიც შენიდბულად ან ღიად უპირის-პირდება ახალ ენათმეცნიერულ მოძღვრებას (კურილოვიჩი, ბულახოვსკი, ფრეიმანი, ბუბრიხი და სხვა ავტორების სტატიები). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს“ არ გამოუქვეყნებია არც ერთი მეწინავე სტატია ენათმეცნიერულ ფრონტზე. ამას გარდა, არ ჩაუთვლია საჭიროდ საჭლვარგარეთული ლინგვისტური რეაქციული თეორიების კრიტიკა და მხილება.

დადგენილებაში ყურადღება მიექცა იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებულია სსრკ ხალხთა ენებისა და დამწერლობების განვითარებისა და ასევე ენობრივი მშენებლობის სფეროში. თვით ახალი ლინგვისტური მოძღვრების წარმომადგენლებიც კი არ უკავშირებდნენ თავიანთ კვლევას ნაციონალურ რესპუბლიკებში პრაქტიკული ენობრივი საკითხების გადაწყვეტას. რადგან არ არსებობდა სამეცნიერო პრობლემების კოორდინაცია, ადგილებზე დაუშვეს სერიოზული შეცდომები ნაციონალურ დამწერლობებთან დაკავშირებით. ასევე შეცდომები ვერ იქნა არიდებული ნაციონალური ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიის, ლექსიკონებისა და ზოგიერთი ენის გრამატიკის შექმნის დროს.

პრეზიდიუმმა დაგეგმა ლინგვისტურ ფრონტზე არასახარბიერო მდგომარეობის აღმოფხვრის ღონისძიებები, კერძოდ, ენისა და ლიტერატურის განყოფილებას დაევალა, რომ მეცნიერთა აკადემიის სწავლულთა სამდივნომ შეისწავლოს ენათმეცნიერული პროფესიის ინსტიტუტთა გეგმები და ხელი შეუწყოს მათ საჯარო განხილვას. ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებებს დაევალათ შექმნან იმ პრობლემათა ნუსხა, რომელთა საკვლევად საჭიროა ენათმეცნიერთა, ლიტერატურათმცოდნეთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ფილოსოფოსთა ერთობლივი შრომა და ამისთვის მოამზადონ შესაბამისი საორგანიზაციო ბაზა.

პრეზიდიუმმა დღის წესრიგში დააყენა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნის“ რედაქციის გადახალისება და ახალ შემადგენლობას დაავალა მატერიალისტური ენათმეცნიერების განვითარებაზე განუწყვეტელი ზრუნვა.

საკავშირო რესპუბლიკების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს დაევალა მიმდინარე წლის (1949წ.) ოქტომბერ-ნოემბერში მოსკოვში სამეცნიერო სესიის მოწყობა, რომელზეც უნდა იქნეს განხილული სსრკ ნაციონალური ენებისა და დამწერლობების განვითარების საკითხები.

ნ. მარის დაბადებიდან 85 წლისთავისა და გრძლაცვალებიდან 15 წლისთავის აღსანიშნავად, პრეზიდიუმის დადგენილებით, სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა ჩაატაროს დეკემბერში სპეციალური სესია ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებათა მონაწილეობით. განახლდეს მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის მიერ ნ. მარის „რჩეულ შრომათა“ ბეჭდვა და 1952 წლისთვის დასრულდეს ათტომეულის გამოცემა. ნ. მარის ძველ შრომათა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცევის გამო, 1950 წელს გამოიცეს მისი „რჩეულ ნაშრომთა“ ერთტომეული; 1949 წლის თავიდან გამოიცეს ვ. ა. მიხანკოვას მიერ დაწერილი ნ. მარის ბიოგრაფია და 1949 წლის ბოლომდე დაიბეჭდოს გ. პ. შერდიუჩენკოს ნაკრვევი ნ. ი. მარის მოძღვრების შესახებ.

დაევალოს ჟურნალებს: „საბჭოთა ეთნოგრაფიის ბიულეტენს“, „ისტორიის საკითხებს“, „ფილოსოფიის საკითხებს“, „უძველესი ისტორიის ბიულეტენს“, „საბჭოთა ეთნოგრაფიის ბიულეტენს“, „საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენს“, მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს“ 1949 წლის განმავლობაში და 1950 წლის დასწყისში დაბეჭდინ სტატიები ნიკო მარის წვლილზე საბჭოთა მეცნიერებაში.

ჩამოთვლილი ღონისძიებების განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური კომისია შემდგე შემადგენლობით: აკად. ს. ი. ვაკილოვი (თავმჯდომარე), აკად. ვ. პ. ვოლგინა და ი. ი. მეშჩანინოვი (თავმჯდომარის მოადგილე), ბ. დ. გრეკოვა, ი. ა. ორბელი, სსრ აკადემიის წევრ-კორ. ა. დ. უდალცოვა, პროფესორები: ს. პ. ტოლსტოივა, გ. პ. სერდიუჩენკო (სწავლული მდივანი), ფ. პ. ფილინი, ნ. ფ. იაკოვლევი, ნ. პ. ტრეტიაკოვი და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი ა. ი. ნაზაროვი. მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას, ნ. ი. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტს, რუსული ენის ინსტიტუტს, აღმოსავალეთმცოდნეობის ინსტიტუტს და მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებსა და ფილიალებს დაევალათ პრეზიდიუმის 1949 წლის 21 ივლისის დაგენილების განხილვა და საენათმეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება (იხ. დადგენილება 1949). სწორედ ამ დაგენილების შემდეგ ინნიებდნენ ლანგვისტები იაფეტური თეორიის ამა თუ იმ დებულების ან მთელი თეორიის კრიტიკის გაბედვას.

1949 წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის. ამ დროს ყველაზე მეტი დისკუსია გაიმართა მარქსისტულ ენათმეცნიერებაზე. სსრკ მეცნიერებათა აკადემია ზაზგასტულად ნიკო მარის იაფეტური თეორიის ერთ-

გული რჩებოდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყველას მთელი საბჭოეთის მასშტაბით, თუ ვინმეს კრიტიკული აზრი გამოუტქამს მარის თეორიაზე მთლიანად ან მის რომელიმე დებულებაზე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 1949 წლის 21 ივლისის ცნობილი სხდომის შესახებ წყაროს მნიშვნელობა ენიჭება ნიკო მარის მოწაფისა და მიძღვნის, აღექსანდრე ლლონტის წიგნში მოთხრობილ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან ამბავს, რომელიც ასახავს 1949 წლის 21 ივლისის დადგენილების მზადების პერიოდს. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა „სპეცალური თათბირის ჩატარება საბჭოთა ენათმეცნიერებაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესამუშავებლად. თათბირის ხელმძღვანელობა მიენდო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს სუსლოვსა და მეცნიერების სამართველოს ხელმძღვანელს პროფ. ი. უდანოვს... თათბირის მონაწილეთა პერსონალური შემადგენლობა 21 პირის დასახელებით, დამტკიცებული იყო პოლიტბიუროს მიერ. საქართველოდან ამ პირთა სიაში შედიოდა ორი კაცი: პროფ. ს. ულენტი /თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი/ და დოც. ალ. დლონტი /გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე/. ამ შემადგენლობიდან მახსოვს კიდევ აკადემიკოსები: ი. მეშჩანინოვი /მთავარი მომხსენებელი/, ა. ტოფჩიევი /მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მუდმივი მდივანი – მომხსენებელი/, ა. ტრედიაკოვი, ს. ტოლსტოვი, პროფესორები: ფ. ფილინი, ვ. მიხაელივა, გ. სერდიუჩენკო /მომხსენებელი/, ნ. ბელოდევდი და კ. ცელუიკო /უკრაინიდან/, ა. ღარიბაძიანი და ე. აღაიანი /სომხეთიდან/, ნ. ჩემოდანოვი /მოსკოვის უნივერსიტეტიდან/ და ენათმეცნიერების სხვა თვალსაჩინო მოღვაწენი. მე ამირჩიეს თათბირის რეზოლუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრად. თათბირმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ ქვეყნის ენათმეცნიერთა მთავარ ამოცანად თეორიულ კვლევა-ძიებაში დაისახოს ნ. მარის ენის ახალი მოძღვრების შემძლებელთად განვითარება და სწავლების მაღალ ღონებების დაყენება. ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში შევიდა პირადად ჩემი სამი რეკომენდაცია: 1. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში რამდენიმე ინსტიტუტის ნაცვლად შეიქმნას ერთი მძლავრი ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომელიც იარსებებს მოსკოვში, ხოლო პეტერბურგში ექნება ფილიალი; 2. გამოიცეს თეორიული უურნალი – ენის საკითხები; 3. ცალკე გამოიყოს რუსული ენის ინსტიტუტი და დაუქვემდებარდეს უმუალოდ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებას. თათბირის მთელი მასალა რეზოლუციითა და სტენოგრამითურთ გასაცნობად გადაეცა ი. სტალინს, რომელთანაც მაშინ, ჩანს, სხვადასხვა არხებით განსხვავებული შინაარსის ინფორმაციები მიღიოდა. ი. სტალინმა არ მოიწონა თათბირის მასალები და, როგორც ცნობილია, ამას შედეგად მოჰყვა „პრავდის“ ფურცლებზე იმავე წლის მაისში ენათმეცნიერების საკითხებზე ეგრეთ წოდებული „თავისუფალი დისკუსიის“ დაწყება.“ (დლონტი 1998:20-21).

1949 წელს განსაკუთრებულად უხვად იბეჭდებოდა შრომები ნიკო მარსა და მის თეორიაზე, რაც მთლიანად შეესაბამებოდა 1949 წლის 21 ივლისის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებას. შემთხვევით არ უნდა იყოს,

რომ სწორედ 1949 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ შეუკვეთა ბესარიონ შარაშიძეს, მოეგროვებინა ყველა ის მასალა, რომელიც უკავშირდებოდა ნიკო მარს ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში. ბესარიონ შარაშიძე იმიტომ იქნა შერჩეული ამ საქმისთვის, რომ ნიკო მარის დედას, აღათი მაღულარიას ენათესავებოდა. ნიკო მარის დედის პირველი მეუღლე სწორედ შარაშიძე იყო გვარად. მოგროვილი მასალა ბესარიონ შარაშიძეს წარუდგენია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდიგნისთვის სერგი ჟღენტისთვის, ხოლო 1949 წლის 8 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკაკი შანიძე. ბესარიონ შარაშიძის მოგროვილი მასალა კორნელი კეკვლიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ამათგან გამოვყოფ ნიკო მარის რამდენიმე წერილს დედისადმი, ასაკოვანი აღათი მაღულარიას ფოტოებს, ნიკო მარის მიერ 1919 წელს გადახდილი რამდენიმე გადასახადის ქვითარს, რომლებიც გაცემულია ოზურგეთის სამაზრო ერობის მიერ.

1949 წელს ენის ინსტიტუტის<sup>2</sup> დირექტორად დაინიშნა ცნობილი ენათმეცნიერი გორგი ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, რომლის შრომებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა უნივერსიტეტის ბევრი თაობის კურსდამთავრებულთა აღზრდაში. ეს განსაკუთრებით ითქმის უნივერსიტეტის პირველი თაობის კურსდამთავრებულებზე. იყი იყო არნოლდ ჩიქობავას მასწავლებელი, შემდეგ მისი თანავტორი ენათმეცნიერების საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. გ. ახვლედიანმა 1923 წელს დააარსა საენათმეცნიერო საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებული იყო იმ დროის ყველა ცნობილი მეცნიერი თაობის და დამწყები ენათმეცნიერი. ამ საზოგადოების ფარგლებში ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ლევონ მელიქქეთბეგი, არნოლდ (მაშინ ბენედიქტეს სახელით ცნობილი) ჩიქობავა და სხვა ცნობილი ლინგვისტები. გიორგი ახვლედიანმა უნივერსიტეტსა და ენის ინსტიტუტში წარმოადგინა აკად. ნ. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისებისთვის სპეციალური გეგმა, რომელსაც იმ დროს „თეზისებს“ უწოდებდნენ. „თეზისები“, რომელიც მოგვინებით გიორგი ახვლედიანისთვის კინაღამ საბეჭის-წერო აღმოჩნდა, კომუნისტური პარტიის მიერ დიდი ხნის წინ საბჭოთა ენათმეცნიერების უმთავრეს იდეოლოგიურ ორიენტირად გამოცხადებული იაფეტური თეორიის შემოქმედის, ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლას ისახავდა მიზნად, რაც, მისი აზრით, მარქსისტულ-ლენინისტურ საფუძვლებსაც გაუმყარებდა საბჭოთა ენათმეცნიერებას და ზოგადი ენათმეცნიერების საღებავო კურსის შემუშავებასაც შეუწყობდა ხელს.

<sup>2</sup> ენის ინსტიტუტი დაარსდა 1941 წელს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე.

**აკად. ნ. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისების გეგმა  
საქართველოში 1950 წელს<sup>3</sup>**

**I ზოგადი საფუძვლები**

1. ენათმეცნიერების პრობლემების დამუშავება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ყოველი საბჭოთა ენათმეცნიერის ვალია; ერთიანი, ჭეშმარიტად საბჭოთა ენათმეცნიერება მხოლოდ ამ გზით შეიძლება აიგოს.
2. ლენინ-სტალინის მოძღვრება ნაციონალური ენებისა და ერთიანი მსოფლიო ენის შესახებ ანათებს საბჭოთა ენათმეცნიერის კვლევით გზას.
3. აკად. ნ. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად შესწავლის საფუძველზე და ნაციონალური ენებისა და ერთიანი მსოფლიო ენის შესახებ ლენინ-სტალინის მოძღვრების შუქზე.
4. ენის ახალი მოძღვრების საფუძველზე და აკად. ნ. მარის იმ ცნობილ გამონათქვამებზე, რომლებიც გაძნეულია მის მრავალრიცხოვან შრომაში, შეიძლება დამუშავდეს ენათმეცნიერების ბევრი მიმართულება. ამიტომ ეს უნდა იყოს ამოსავალი საბჭოთა ენათმეცნიერების აგებისათვის.
5. 6. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისება და ენის ახალი მოძღვრების შემდგომი დამუშავება ამ თვალსაზრისით, ყველა საბჭოთა ენათმეცნიერის ერთსულოვანი თანამშრომლობით მიგვიყვანს ერთიანი საბჭოთა ენათმეცნიერების შექმნამდე.
6. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ისეთი სასწავლებლებისათვის ენათმეცნიერების საფუძვლების ისეთი სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა, რომლებიც უპასუხებენ საბჭოთა ენათმეცნიერების მოთხოვნებს, საბჭოთა ენათმეცნიერთა გადაუდებელი ამოცანაა.

**II „აკად. ნ. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისების გეგმა“  
გულისხმობა:**

1. აკად. მარის შრომების გამოცემას ქართულ ენაზე განმარტებითი კომენტარებით – დაახლოებით 45 ნაბეჭდი თაბაზი.
2. აკად. ნ. მარის შრომების კრებულის შედგენას მისი კვლევითი თემატიკის მიხედვით.
3. ზოგადი ენათმეცნიერებისა და ცალკეულ ენათა სტრუქტურის საკითხებზე თემატური კრებულის შედგენას, რათა ეს საკითხები განხილული იქნეს ენის ახალი მოძღვრების შუქზე.

პირველი და მესამე საკითხების გადაწყვეტა მიზნად ისახავს ენის ახალი მოძღვრების შესწავლის საქმეში სტუდენტ-ფილოლოგების, განსაკუთრებით სადიაბლომო

<sup>3</sup> თვითონ დოკუმენტი დაწერილია რუსულ ენაზე და ინახება გიორგი ახვლედიანის პირად საარქივო მასალებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში.

ნაშრომებზე მომუშავე სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლების ჩართვას.

4. ნ. ი. მარის შრომებზე დაყრდნობით კავკასიური და ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონის გამოცემას.

5. ენის ახალი მოძღვრების ფონეტიკური ნაწილის დამუშავებას.

**მეოთხე-მეხუთე** საკითხების დამუშავება – ცალკეული პრობლემების თაობაზე მარის შრომებიდან მრავალფეროვანი ენათმეცნიერული მასალის ამოკრება მიზნად ისახავს სამეცნიერო-განმაზოგადებელ და სისტემატიზების სამუშაოებს. ეს შეიძლება გახდეს ამოსავალი მასალა ზოგადი ენათმეცნიერების კურსის შესაქმნელად სტუდენტ-ფილოლოგებისათვის.

## გ. ახვლედიანი

ასეთი გეგმები ჰქონდა გიორგი ახვლედიანს 1950 წლისათვის და ამის შესახებ სპეციალურად მოახსენა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებას 1949 წლის 22 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, რომლის სტენოგრამული ჩანაწერი ინახება გიორგი ახვლედიანის პირად არქივში, თუ მუზეუმში.<sup>4</sup> ჩანაწერი დიდია და მისი სრულად მოყვანა, როგორც ბეჭდურად, ისე ფოტომასალის სახით შეუძლებელია. ამიტომ დამოწმებული იქნება სხდომის ცალკეული ნაწილები.

ეს სხდომა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მისმა მომწყობებმა და მონაწილეებმა, გიორგი ახვლედიანის მსგავსად, არაფერი იციან საბჭოთა ენათმეცნიერებაში მოსალოდნელი სერიოზული ცვლილებების შესახებ. სხდომა საინტერესოა იდეოლოგიური თვალსაზრისით. მას თავმჯდომარეობდა აკად. ი. ი. მეშჩანინვი. მასთან ერთად კითხვებს ძირითადად სვამდნენ გ. პ. სერდიუჩენკო და ნ. ფ. იაკოვლევი. იმ პერიოდში ეს ენათმეცნიერები ცნობილი იყვნენ არა მხოლოდ როგორც მარის მიმდევრები, არამედ როგორც ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი მეცნიერები. სწორედ ამ სხდომაზე წარდგა გიორგი ახვლედიანი, როგორც ენის ინსტიტუტის ახლადარჩეული დირექტორი. მან დამსწრებს აცნობა: „ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ენის ინსტიტუტს მე უნდა ვუხელმძღვანელო, რადგან პირადად ვიცობდი მარს, ვიცი მისი შრომები და მარის ცოდნით უფრო ახლოს ვარ ამ საქმესთან“.<sup>5</sup> ენის ინსტიტუტის დირექტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, გიორგი ახვლედიანი მიზნად ისახავდა ნიკო მარის რჩეული შრომების ორტომეულისა და მისივე ნაშრომების ქრესტომათიის მომზადებას სტუდენტებისათვის. მასში უნდა შესულიყო ნათარგმნი

<sup>4</sup> Стенограмма заседания бюро отделения литературы и языка АН СССР 22/XI -49, т.უ. მუზეუმი, დოკუმენტი №9904 ხ-138.

<sup>5</sup> თ.უ.მ., №9904 ხ-1386:17.

ლიტერატურა. ასეთი იყო უნივერსიტეტის რექტორის, ნიკო კეცხოველის სურვილი. ქრესტომათიაში შესულ ნაშრომებს დართული ექნებოდა კომენტარები, რომლებიც სტუდენტებს გაუადვილებდა მარის ნაწერების გაგებას. ამას გარდა, მარის სამეცნიერო მექანიზმის აუცილებელია სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომების შექმნა და ამისთვის თემების ჩამონათვალის შედგენა. ამავე სხდომაზე გ. ახვლედანმა დამსწრებებს აცნობა, რომ არნ. ჩიქობავა მხოლოდ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე მუშაობდა და ინსტიტუტის სხვა საქმეებში იგი არ ჩაერთვებოდა 1958 წლამდე. ლექსიკონზე მუშაობის დასრულება ამ დროისთვის ივარაუდებოდა. „მარის შრომების გამოცემა და კომენტირება ნელ-ნელა მოგვამზადებს იმისთვის, რომ სწორად ვუპასუხოთ კითხვას: რაც მარქსისტულად მიგვაჩნია, მარისტულიც არის? მარი ჩვენი დროშაა. ჩვენ მარის დროშის ქვეშ დავდოვართ, მაგრამ მხოლოდ მისი ციტატების დამოწმებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. მისი გამოწვლილებით შესწავლა 1950 წლის ბოლოს დაგვარწმუნებს, რომ, მაგალითად, რასაც საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში ვერნერის კანონი ეწოდება, ის მარის კანონია.<sup>6</sup> მე ცოტა ხნის წინ გამოვეცი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, რომელშიც რამდენიმე იდეოლოგიურ საკითხსაც შევეხე, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ცდა. დიდ იმედს ვამყარებ, რომ 1950 წელს ბოლო მოედება ამ საქმისადმი (იგულისხმება მარის ნაშრომთა ინტერპრეტირება – თ.ა.) ჩვენს არასწორ დამოკიდებულებას“ (თსუმ, №9904 ხი-1386:7, 8, 9-10).

სხდომის თავმჯდომარე აკად. მეშჩანინოვი და ნ. ფ. იაკოვლევი დაუფარავად იწუნებდნენ არნ. ჩიქობავას ნიკო მარის თეორიის კრიტიკისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო 1940 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე არნოლდ ჩიქობავას წაკითხული მოხსენება, რომელშიც ენის არსის თაობაზე პაულის, სოსიურის, ფოსლერისა და სხვა მეცნიერთა მოსაზრებებთან ერთად იგი განიხილავდა ნიკო მარის ინტერპრეტაციებსაც, მაგრამ ეს მოხსენება, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაუბეჭდავთ „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების მოამბეჭდი“. იგი დაიბეჭდა საქართველოში (არნ. ჩიქობავა „ენიმკის მოამბე“, ტ. X, ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის პრობლემა).

**„აკად. ი. ი. მეშჩანინოვი:** თქვენ ისაუბრეთ არნოლდ ჩიქობავას „შესავლის“ ხელახალ გამოცემაზე. სტუდენტები ამ სახელმძღვანელოს ახლაც იყენებენ? მეორე გამოცემაში რა ცვლილებები იქნება?

**გ. ს. ახვლედიანი:** ეს არის ენათმეცნიერების შესავლის კურსი, მაგრამ ნიჭიერი ადამიანის კარგად დაწერილი წიგნი. ის ადგილები, რომლებიც განსხვავებულ

<sup>6</sup> გასაოცარია, როგორ უნდა დამტკიცებულიყო, რომ 1875 წელს დანიელი ენათმეცნიერის კარლ ვერნერის მიერ ახსნილი გერმანიკული ენების ფონეტიკურ-მორფოლოგიური კანონზომიერება ნიკო მარის კანონია. 1875 წელს ნიკო მარი მხოლოდ ათი წლის ყმაწვილი იყო (თ.ა.).

ემოციებს იწვევს, რა თქმა უნდა, ამოვიღეთ. ჩიქობავას წიგნი იმით გამოირჩევა, რომ აქ მოცემულია კავკასიური და ქართული მასალა. ამ წიგნს სამი ადამიანი ვარედაქტირებთ და ვმუშაობთ, რომ კურსი იყოს უსაფრთხო სტუდენტებისათვის. იგი არ იქნება საშიში. თუ რამეს შევამჩნევთ, ამოვიღებთ და რაც საჭიროა, იმას შევიტანთ.

**6. ფ. იაკოვლევი:** თუ პრინციპული ცვლილებები არ იქნება, ესე იგი, ფიქრობთ, რომ ეს წიგნი გადამუშავების გარეშეც კარგია.

**გ. ს. ახვლედიანი:** პრინციპული ცვლილებები არ იქნება. ეს მხოლოდ შესავალია და ვერაფერი ისეთი ამ ნაწილში ვერ მოხდება, რამაც შეიძლება საფრთხე წარმოქმნას. ჩვენ უკეთესი სახელმძღვანელო არ გავქვს. რამთ ხომ უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს? ამიტომ ამ სახელმძღვანელოს ვაუმჯობესებთ, სანამ უკეთესი შეიქმნება.“

**მ. მ. გუბანისაც აფიქრებს ჩიქობავას მსოფლხედველობა, რაზეც გიორგი ახვლედიანი პასუხობს, რომ ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს მკვლევრის სამეცნიერო კვლევა და მსოფლმხედველობა (თსუმ, №9904 ხი-1386:18-19).**

**„გ. პ. სერდიუჩენკო:** ორი კითხვა მაქვს. როგორ აღიქვამს ჩიქობავა კრიტიკას? სადმე გამოვიდა სიტყვით? რას ეთანხმება და რას არ ეთანხმება? და მეორე. ეს წიგნი, რომელსაც რედაქტორობთ, ამოღებულია სწავლებიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სტალინის პრემიაზე წარადგინა, აქედან გამომდინარეობს თუ არა, რომ ეს წიგნი გამოხატავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მსოფლადმასა და მოძღვრებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არსებობს თუ არა მყარი პოზიცია ამ წიგნის მანკიერების თაობაზე. თუ ასეთი დამოკიდებულება არ არის, მაშინ რატომ ამოიღეს სწავლებიდან?...“

რას ფიქრობს თვითონ ჩიქობავა და რამდენად იღებს შენიშვნებს?“

**გ. ს. ახვლედიანი:** ჩიქობავა თვლის, რომ მარქსისტული ენათმეცნიერება ვერ დაეფუძნება მარს. აქ ჩვენი თვალსაზრისები იყოფა.

**გ. პ. სერდიუჩენკო:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია. ძლიერისგან მეტს ითხოვენ. ჩვენ არ მოგვიწყვია ჩიქობავას წიგნის სპეციალური განხილვა, რადგან ვფიქრობთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია იმდენად ძლიერია თავისი კადრებით, რომ ეს სამუშაო მან უნდა ჩაატაროს... ჩიქობავას წიგნი საზიანოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მარის წინააღმდეგაა მიმართული, არამედ იმიტომაც, რომ არნოლდ სტეფანეს ძის მოსაზრებები აშკარად ანტიმარქსისტულია. დავუშვათ, შესაძლებლად მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების აგება მატერიალისტური ტრადიციის გარეშე. რას გვთავაზობს ამის სანაცვლოდ? რამდენადაც ამ წიგნს ვიცნობ, იგი, მაგალითად, ფიზიკალიზმს დაურიდებლად აწყვილებს სოსიურის თეორიასთან“.

გ. ს. ახვლედიანი ყოველნაირად იცავს ჩიქობავას და ცდილობს დაარწმუნოს სხდომის მონაწილენი, რომ ჩიქობავა არ ეწინააღმდეგება მარქსისტულ ენათმეცნიერებას.

„გ. პ. სერდიუჩენკო: დეკემბერში გაიმართება მარისადმი მიძღვნილი სესია. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შეეჯამებინა საქართველოში დარჩენილი მარის სამეცნიერო მემკვიდრეობა. მაგრამ ჯერაც არ მიგვიღია პასუხი.

6. თ. იაკოვლევი: არ შეგვიძლია, არ მივესალმოთ იმ ფაქტს, რომ თქვენ ხართ ენის ინსტიტუტის სათავეში. ამ ინსტიტუტში ყოველთვის ორგანიზაციულზე მეტად მეთოდოლოგიის პრობლემები იყო. ცნობილ ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი მარის მოწაფეა, როგორც თქვენ და აპირებთ მისი მოძღვრების განვითარებას, მარის პოპულარიზებას, მის გამოცემას. თქვენ ამბობთ, რომ თქვენთან დაჯგუფები არ არის. ჩიქობავამ მრავალწლიანი მოღვაწეობისას მოასწრო მოწაფეების აღზრდა, რომლებიც ავითარებენ მის მოსაზრებებს და მთლიანად აღზრდილნი არიან მის მეთოდოლოგიაზე. ასე ადვილად მათი უარყოფა სწორი არ იქნება. ვერ ვიტყოდი, თითქოს ჩიქობავას მომხრეები და მიმღევრები არ ჰყავს. მე მგონია, რომ ჰყავს. თუ თქვენ აპირებთ თქვენი ხაზის გატარებას, ამას აუცილებლად შეეჩეხებით.

კიდევ ერთი რამ მაწუხებს. გულწრფელად რომ გითხრათ, ვერაფრით ვერ გამიგია, თქვენ ამბობთ, რომ პროფესორი ჩიქობავა არ ცნობს მარს. თქვენ თქვით პირდაპირ, ნათლად და პატიოსნად, რომ ჩიქობავა არ ცნობს მარს. ამის შემდეგ ამტკიცებთ, რომ ჩიქობავას ნაშრომებს, რომლებშიც ის მარის წინააღმდეგ გამოდის, არაფერი აქვს საერთო მეცნიერებათა აკადემიასთან... ამის მიუხედავად, თქვენ მიერ წარმოდგენილ ბოლო გეგმაში, თუ არ ვცდები, არის თემები, ლექსიკონის გარდა, რომლებზეც მუშაობს ჩიქობავა.

გ. ს. ახვლედიანი: გეგმაში მას არაფერი არა აქვს.

6. ფ. იაკოვლევი: ჩიქობავას სახელი არ არის? ამაში ძალიან მეპარება ეჭვი. მევიცი, რომ ა. ს. (იგულისხმება არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავა, – თ.პ.) ამჟამად მუშაობს ავარულ და კიდევ რამდენიმე სხვა ენაზე. იგი ამზადებს ასპირანტებს, ხელმძღვანელობს სექტორს ინსტიტუტში... მე მგონია, რომ თუ წავიკითხავთ თქვენს გეგმას, აუცილებლად ვიპოვით პროფესორ ჩიქობავას სახელს.

გ. ს. ახვლედიანი: არ არის. მე პასუხს ვაგებ იმაზე, რასაც ვამბობ.

6. ფ. იაკოვლევი: კიდევ ერთი კითხვა. როგორც თქვენ ამბობთ, ჩიქობავა ქართული ენის საუკეთესო მცოდნეა. მე ვიცი, რომ ქართულის საუკეთესო მცოდნე ა. შანიძეა და მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ მას მიანდობდნენ ლექსიკონის შექმნას. რატომ არ ჩანს ამ საქმეში არსად შანიძე? ეს უცნაურია! რატომ არ ხელმძღვანელობს იგი რომელიმე მნიშვნელოვან ლინგვისტურ ორგანიზაციას? ისიც მარის მოწაფეა.

- გ. ს. ახვლედიანი:** მე მარის მცოდნე ვარ და არა მოწაფე.
- ნ. თ. იაკოვლევი:** შანიძე კი მოწაფეა.
- გ. ს. ახვლედიანი:** იგი არ იჩენს ინტერესს ასეთი საქმეებისადმი.
- ნ. ფ. იაკოვლევი:** იქნებ იმიტომ, რომ თქვენი ინსტიტუტი არ იჩენს ინტერესს მისი შრომებისადმი. ეს პირველი წელი არ არის, როცა ქართული ენის უძთავრესი სპეციალისტი დისკუსიის დროს არ მოიხსენიება. ჩიქობავას გვარს კი ახსენებენ და არა მხოლოდ ლექ्सიკონთან დაკავშირებით.
- გ. ს. ახვლედიანი:** ა. შანიძე არ მუშაობს ამ ინსტიტუტში.
- ნ. ფ. იაკოვლევი:** სწორედ ეს მაკვირვებს. რატომ არ მუშაობს შანიძე ინსტიტუტში, ჩიქობავას კი, რომელიც სამსახურიდან გაათავისუფლეს, მიანდეს ქართული ენის ლექ्सიკონის ხელმძღვანელობა. ქართული ენის საუკეთესო მცოდნე კი მაინც შანიძეა და არა ჩიქობავა. თუ თქვენ გსურთ, რომ თქვენი ინსტიტუტი ნამდვილად ავტორიტეტული დაწესებულება იყოს, უპირველეს ყოვლისა, შანიძე უნდა მოიწვიოთ. იგი დაეხმარება ინსტიტუტს ახალ გზაზე დადგომაში. უამისოდ, მგონია, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩება. ჩიქობავას სახელი არ იქნება, მაგრამ ფაქტობრივად იგი ყველაფერს გააკეთებს მარის თეორიის საწინააღმდეგოდ.
- გ. ს. ახვლედიანი:** შანიძეს არ სურს ინსტიტუტში მუშაობა!
- ნ. ფ. იაკოვლევი:** პროფ. არნ. ჩიქობავა, დისკუსიებსა და პრესაში მისი საფუძვლიანი კრიტიკის მიუხედავად, მაინც ფიგურირებს როგორც ცენტრალური პირი. მაგალითად, ლექ्सიკონის საქმის ხელმძღვანელობა მთლიანად მასზეა მინდობილი. მაკვირვებს ის ფაქტი, რომ დირექტორი ვარღამ თოფურია და მისი მოადგილე სერგი ქლენტი გადადგნენ თანამდებობიდან მაშინ, როცა ისინი არავის გაუკრიტიკებია. ჩიქობავა კი, რომელიც ყველაზე ხშირად არის გაკრიტიკებული, კვლავ რჩება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.
- გ. ს. ახვლდიანი:** როგორ აფასებთ თქვენ არნ. ჩიქობავას თეორიას?
- ნ. ფ. იაკოვლევი:** მე მიმაჩნია, რომ ჩიქობავას თეორია სწორად არის შეფასებული როგორც რეაქციული თეორია, რომელიც იმეორებს სოსიურის, ბრუგმანისა და სხვების ბურჟუაზიულ თეორიებს. ეს არის კავკასიურ ენათა პრაქნის თეორია.“
- გიორგი ახვლედიანი ცდილობს ჩიქობავას დაცვას მთელი სხდომის მანძილზე. ამ კონკრეტულ ბრალდებაზე კი იაკოვლევს არწმუნებს, რომ „ჩიქობავა მთლიანად ლექ्सიკონზე მუშაობით არის დაკავებული და ლექ्सიკონს არავითარი კავშირი არა აქვს არც მის და არც რომელიმე უცხო თეორიასთან. აბსოლუტურად!“ ეს არის ქართული ენის, ახლა მოქმედი ქართული ენის, მთელი სიმდიდრის გამოვლენა როგორც სახელის, ისე ზმნის ნაწილში. ზმნა ძალიან რთულია და, როგორც იცით, ძალიან ორიგინალური. არნ. ჩიქობავას საქმიანობა შეთანხმებული და მოწონებულია საქართველოს უმაღლეს ხელისუფლების მიერ“ (თსუმ, №9904 ხი-1386:20,21,25,29,30,31,32,34).

გიორგი ახვლედიანი ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას. არნ. ჩიქობავასთვის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნის მინდობა ნამდვილად საქართველოს უძალ-ლესი ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო. საქართველოს კაც ცენტრალური კო-მიტეტის პირველი მდივანი, კანდიდ ჩარგვიანი დიდტანან წიგნში „განცდილი და ნააზრევი“ იგონებს, რატომ დაისვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წინაშე განმარტებითი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა და როგორ გადაწყვდა მისი შექმნა: „საბჭოთა პერიოდში ქართული ენა უაღრესად გამდიდრდა, მეცნიერების ყველა დარგის იარაღი გახდა. დაზუსტდა და დაკანონდა მისი ძირითადი გრამატიკული ფორმები. წერისა და მეტყველების კულტურის დროის მოთხოვნათა სიმაღლეზე აყვანისთვის საჭირო იყო თანამედროვე ქართული ენის მთელი სიმდიდრის ერთ კორპუსად შეკვრა და ლექსიკონის სახით ხელმისაწვდომად წარმოდგენა... შეიძლება ენათმეცნიერები კიდეც ფიქრობდნენ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობაზე, მაგრამ ყველა თავისი მეცნიერული ინტერესებით იყო გართული და ამ დიდი საქმის წამოწყებას ვერავინ ბედავდა. ასე იყო თუ ისე, წინადადება არსაიდან ჩანდა. კულტურის ყველა სფეროს წინსვლა პარტიის საზრუნვავია. პირადად ჩემთვის ამ რიგის ღონისძიებათაგან მთავარი თანამედროვე ქართული განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა იყო“ (ჩარკვიანი 2004:519). მან შეისწავლა ეს საკითხი და 1945 წელს სპეციალურად შეხვდა სიმონ ჯანაშიასა და არნოლდ ჩიქობავას. გადაწყვიტა ამ საქმის სათავეში ჩიქობავა ჩაეყენებინა: „რატომ ა. ჩიქობავა? ენათმეცნიერები, შეიძლება უფრო დამსახურებულებიც, სხვებიც გვყავლენ, მაგრამ ჩიქობავას მათგან გამოარჩევდა პრინციპულობა, თანამედროვე ენობრივი აზროვნება. ის ლექსიკონში არქაულ გრამატიკულ ფორმებს არ გააჭაჭანებდა. ამ უკანასკნელთა გალვანიზაციის ცდები ჩვენი დიდი ენათმეცნიერების ნაშრომებში კი ხშირი იყო“. ეს აზრი არეკლილია გ. აზვლედიანის პასუხებში სერდიუჩენკოსა და იაკოვლევის კითვებზე – რატომ არ შეირჩა ა. შანიძე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თავკაცად (უფრო დაწვრილებით იხ. თავად საარქივო დოკუმენტი: თსუმ, №9904-ხი-1386). განმარტებითი ლექსიკონის სალექსიკონო ერთეულის არჩევანის საკითხი ძალიან დიდი და საინტერესო თემაა, მაგრამ ახლა ამ საკითხზე ვერ ვიმსჯელებთ. როგორც კანდიდ ჩარკვიანმა შენიშნა, ჩიქობავას არ გახარებია ეს შეთავაზება: „ასე მეჩვენა, რომ ეს წინადადება ა. ჩიქობავამ ხალისით არ მიიღო. როგორც ჩანს, ენათმეცნიერებაში ლექსიკოგრაფიის მოღვაწეობა უმაღლერ შრომად ითვლება. თანამედროვე ენაში ბევრ ახალ კანონზომიერებებს ვერ აღმოჩენ, ჩიქობავა კი მაშინ იბერიულ-კავკასიური ენების კვლევით იყო გატაცებული და ამოდენა ორგანიზაციული და სარედაქციო მუშაობის ტვირთად აღების პერსპექტივა არ ეჭამნიკა. მიუხედავად ამისა, ცენტრალური კომიტეტის დავალებაზე უარი მაინც ვერ თქმა“ (ჩარკვიანი 2004:520). კ. ჩარკვიანს საინტერესო ინფორმაცია აქვს მოცემული საარქივო

მასალების ჩვენებით, როგორ მიღიოდა განმარტებითი ლექსიკონის საქმე, რომელიც ვერ დასრულდა წინასწარ დაგეგმილ დროს, რაც არ არის გასაკვირი, რადგან ძალიან დიდი სამუშაო იყო შესასრულებელი: წამოწყება მეტად დიდი აღმოჩნდა. საქართველოში ამ ზომის გამოცემა წინათ არასდოროს განხორციელებულა. ლექსიკონის მოსალოდნელი მოცულობა კვლავ გაიზარდა. ახლა მთავარი რედაქცია უკვე რვა ტომზე ლაპარაკიბდა. როცა მორიგ სიძნელეთა გადალახვა გაუჭირდებოდა, ა. ჩიქობავა მე მომმართავდა. მახსოვს, ჩემთან ერთი შეხვედრისას მან ამგვარი შედარებაც იხმარა: მთელი ენის მომცველი გამოცემა ზაჰესის აგებაზე ადვილი არ არისო“ (ჩარკვიანი 2004:521).

გ. ახვლედიანის გადაწყვეტილება, გამოეცა ნიკო მარის შრომები, განპირობებული იყო საბჭოთა უნათმეცნიერებაში ოფიციალურ თეორიად იაფეტიდოლოგიის აღიარებით, რაც აისახა კიდევ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 21 ივლისის დადგენილებაში. შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ახვლედიანის გადაწყვეტილება მთლიანად ეთანხმება მაშინდელი აკადემიის აზრს ნიკო მარის თეორიის შესახებ. ეს საკითხი სპეციალურად ყოფილა განხილული 1949 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის სხდომაზე, როგორც ამას ადასტურებს საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივში დაცული დოკუმენტები. სპეციალური მსჯელობის სავანი იყო ნ. მარის სამეცნიერო პრობლემატიკისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ლინგვისტურ-ფილოლოგიური პროფილის კათედრის საკვლევი თემატიკის წარმოჩენა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს დეკანის, ილია აბულაძის დასკვნით სიტყვაში თორმეტი კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე (იხ. ქვემოთ).

## ოქმი №12<sup>7</sup>

### ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის სხდომის 11.VI.49წ

**დაესწრნენ:** გ. ახვლედიანი, ს. ქლენტი, თ. შარაძენიძე, მ. ბახტაძე და თ. აბზიანიძე

#### დღის წესრიგი:

1. სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებული საკითხები.
2. 1949 წლის სამეცნიერო საკვლევი თემატიკის შესრულება და პირველი ორი კვარტლის ანგარიში.
3. სახელმძღვანელოების სამწლიანი საგამოცემლო გეგმა.
4. ნ. მარის შრომების გამოცემის ორგანიზაციის საკითხი.
5. მიმდინარე საკითხები.

<sup>7</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, ანაწერი №21, საქმე №214, ფურც. 19-20.

**მოისმინეს:** გ. ახვლედიანის ინფორმაცია სახელმძღვანელოების სამწლიანი საგამომცემლო გეგმის შესახებ:

**1949 წელს** გამოვა გ. ახვლედიანის I ტ. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები I და II ნაწილი.

**1950 წელს** 1. არნ. ჩიქობავას ზოგადი ენათმეცნიერება, I ტ. პროპედევტიკული ნაწილი და ნ. მარის შრომების ერთი ტომი,

**1951 წელს** გ. ახვლედიანი II ტ. ზოგადი ფონეტიკის პრობლემები და არნ. ჩიქობავა ზოგადი ენათმეცნიერება II ტ. ძირითადი ნაწილი.

**მოისმინეს:** გ. ახვლედიანის ინფორმაცია მარის შრომების გამოცემის ორგანიზაციის საკითხის შესახებ. მარის შრომების გამოცემა მაღიან როგორ და საპასუნისმგებლო საქმეა, ამ საქმეს ერთი კათედრა ვერ გაუძღვება, ამიტომ საჭიროა უნივერსიტეტის ყველა საენათმეცნიერო კათედრების გაერთიანებული სხდომის მოწვევა, სადაც განიხილება საკითხი, თუ როგორ უნდა მოევლოს ამ საქმეს.

გარდა ამისა საჭიროა კათედრებმა მიადევნონ თვალყური, რომ სადისერტაციო თემატიკა: შერჩეული და გამუქებული იქნეს მარის შრომების გათვალისწინებით.

დაისვას საკითხი, რომ უნივერსიტეტის გამოცემლობამ გამოსცეს დამუშავებული ეტიმოლოგიური ლექსიკონი მარისა, რაც გაკეთებულია უკვე რამოდენიმე წელია.

მომავალი წლიდან შემოღებული იქნეს სემინარი სტუდენტებთან მარის მოძღვრების შესასწავლად.

საჭიროა, რომ კათედრებზე წაკითხული იქნეს სქემატური მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ დალაგდება მარის შრომების მიხედვით ზოგადი პრობლემატიკა.

**დაადგინეს:** 1. უახლოეს ხანში დაინიშნოს საენათმეცნიერო კათედრების გაერთიანებული სხდომა.

2. დაევალოს ს. ულენტს უახლოეს კათედრის სხდომაზე წარმოადგინოს სქემატური მოხსენება ზოგადი პრობლემატიკისა.

კათედრის გამგე გ. ახვლედიანი (ხელმოწერილია)

მდივანი თ. აბზიანიძე (ხელმოწერილია)

### ოქმი №13<sup>8</sup>

**თორმეტი საენათმეცნიერო კათედრის გაერთიანებული სხდომის 18.VI-49 წ**

**დაესწრენ:** გ. ახვლედიანი, ალ. ბარამიძე, ვ. თოფურია, გ. წერეთელი, ს. ულენტი, ივ. გიგინეიშვილი, ლ. მელიქშეთბეგი, ს. ვაჩანაძე, შ. ძიძიგური, ს. ჯიქია, თ. მრევლიშვილი, არ. ცხადაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ფურცელაძე, ვ. უიდკო, ნ. სიდაშელი, ელ. კრემერი, გ. მდივანი, ის. გვარჯალაძე, ლ. კვაჭაძე, ნ. ქადაგიძე, თ. შარაძენიძე,

<sup>8</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, ანაწერი №21, საქმე №214, ფურც. 21-22.

კ. წერეთელი, ალ. ლეგიაშვილი, ლ. კიკნაძე, ევგ. ჯეირანაშვილი, მზია ანდრონი-კაშვილი, თ. ბურდული, ლ. ახვლედიანი, მ. შანიძე.

### დღის წესრიგი:

#### 1. 6. მარის შრომების ქართულ ენაზე გამოცემის ორგანიზაცია

**მოისმინების:** პროფ. გ. ახვლედიანის ინფორმაცია 1949 წლის 19 ივნისის პრაბ-ნების შესახებ. გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავ-ლა ფილოლოგის ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდგომარეობა, რის შედეგად გამოირკვა, რომ მიუხედავად მიღწევებისა, ფილოლოგის ფაკულტეტის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ეს უმთავრესად ეხება ლიტერატურათა და საენათმეცნიერო კათედრებს.

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ ვერ შეძლო წამყვანი როლი შეესრულე-ბინა 6. მარის მოძღვრების საქმეში. ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ იქონია მსჯელობა და დასახა ღონისძიებანი. 6. მარი მართლაც მრავალმხრივი მკვლევარი იყო და არც ერთ საენათმეცნიერო კათედრას არ შეიძლება არ მოენახოს რამე კონტაქტი მართან. მაგ. მარი და რუსული ენა, მარი და სომხური, მარი და კავკა-სიური ენები, მარი და სემიტური ენები და სხვა და სხვა.

რა თქმა უნდა, ერთი კათედრა ასეთი მუშაობის ჩატარებას ვერ შეძლებს, ამი-ტომ საჭიროა ყველა საენათმეცნიერო კათედრების ჩაბმა ამ მუშაობაში. ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას ევალება ზოგადი ხასიათის თეორიული შრომები, რაც შეეხება ცალკე დარგებს, ამას სხვა კათედრები გააკეთებენ.

### პაქტიკულ საქმიანობაში საჭიროა:

1. სადისერტაციო თუ საგეგმო თემების დამუშავება მარის მოძღვრებიდან, მისი ცალკეული შრომებიდან.

2. სტუდენტებს მიეცეთ სადიპლომო თემები 6. მარის თემატიკიდან.

3. გამოიცეს 6. მარის რჩეულ ნაწერთა I ტომი, რომელიც უნდა დამზადდეს ამ წელს. I ტომში, რომელსაც დამზადებს ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა აკად. განყოფილებასთან ერთად, შევა მარის გამოკვლევები ზოგადი საკითხის შესახებ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო: ვ. თოფურიამ, გ. წერეთე-ლმა, ლ. მელიქესობეგმა, ს. ჯიქიამ, ივ. გიგინეაშვილმა და სხვა.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ფაკულტეტის დეკანი ილ. აბულაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ უპირველესად ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ უნდა მიიღოს ღონისძიება, რათა პროგრამები იქნეს განხილული და დამუშავებული, სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნენ სახელმძღვანელოთი, საჭიროა კათედრამ შეარჩიოს ორი-სამი სტუდენტი მოსკოვსა და ლენინგრადში გასაგზავნად ასპირანტურაში.

**დაადგინეს:** დაევალოს კათედრებს წარმოადგინონ თავიანთი გეგმის ვარაუდი მარის შრომებზე მუშაობისა ა. წ. 25.VI-მდე.

კათედრის გამგე გ. ახვლედიანი (ხელმოწერილია)

მდივანი თ. აბზიანიძე (ხელმოწერილია)

გიორგი ახვლედიანის გადაწყვეტილება ნიკო მარის ახალი ლინგვისტური მოძღვრების ათვისების თაობაზე ერთხმად მოიწონეს თორმეტი საენათმეცნიერო კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1949 წლის ივნისში (იხ. ზემო). ერთადერთი ადამიანი, ვისაც ეს გადაწყვეტილება არ მოეწონა, იყო არნოლდ ჩიქობავა. უფრო მეტიც, მან დოგუმენტის პირველი ნაწილი, რომელშიც თეზისურად არის მოცემული ზოგადი მოსაზრებები მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების შესახებ, პირადად მის საწინააღმდეგო ნაბიჯად ჩათვალა, რაც წერილობით გაუგზავნა 1950 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტს. 1950 წელს გიორგი ახვლედიანის გეგმის განხილვისას ენათმეცნიერების ინსტიტუტში ის, რაც მოწონებული იყო 1949 წელს, დიდ დამსახურებად ეთვლებოდა გიორგი ახვლედიანს – ნიკო მარის შრომათა ქართული თარგანების გამოცემა, 1950 წელს ეს გადაწყვეტილება იქცა მის ბედისწერად, შეცვლილი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, რომლის შესახებ 1950 წლის 9 მაისამდე მან არაფერი იცოდა.

### ლიტერატურა

**ახვლედიანი 1950:** გიორგი ახვლედიანი, План освоения языковедческого наследия акад. Н. Я. Марра в ГССР на 1950 год, тსუ მუზეუმი, დოკუმენტი № 9904 ხი- 1385.

**დადგენილება 1949:** Из постановления Президиума Академии Наук Союза ССР от 21 июля 1949 г.: О современном положении в советском языкоизнании и мерах улучшения языковедческой работы в Академии Наук СССР, «Известия Академии Наук СССР. Отделение литературы и языка», №6, Издательство АН СССР, Москва: 497-501

**სტებოვრამა 1949:** Стенограмма заседания бюро отделения литературы и языка АН СССР 22/XI -49, тსუ მუზეუმი, დოკუმენტი № 9904 ხი-1386.

**დლობოტი 1998:** ალექსანდრე დლობოტი, მოძღვრები, მეცნიერები, შევირდები, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, რედაქტორები: ვ. სართანია, ლ. კვაჭაძე, თბილისი.

**ჩარკვიანი 2004:** კანდიდ ჩარკვიანი, ვანკლილი და ნააზრუვი, გამომცემლობა „მერანი“, რედ. დ. ჯიბლაძე, ლ. ასლანიშვილი, თბილისი.

Tinatin Bolkvadze

## The Rise and Fall of Japhetic Theory Part I: The Japhetic Theory in the Institutes of the Academy of Sciences of the USSR

### Summary

The year of 1949 was a very important period for the fate of Niko Marr's Japhetic Theory. On 21 July 1949 the Presidium of the Academy of Sciences of the USSR adopted a famous resolution on the Modern Status of Soviet linguistics and Measures to Improve Linguistic Work in the Academy of Sciences of the USSR. The main provisions of this

Resolution aimed at deepening the Japhetic Theory in the direction of its popularization, research and teaching. In the same year, Stalin secretly launched a linguistic discussion about which only few people knew. The department of language and literature at the Academy of Sciences of the USSR had no information about the changed opinion of Stalin regarding Niko Marr's theory.

In order to scientifically investigate the problem, the archival materials were requested from the Archives of former Soviet bodies of the Archive Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia and the Central Archive of Georgia, as well as from the Archives of the Academy of Sciences of Georgia and the Museum of Tbilisi Ivane Javakhishvili State University, where the personal archive of Academician Giorgi Akhvlediani, one of the University's founders, is kept. Some interesting documents are also preserved in the National Centre of Manuscripts of Georgia, which show Niko Marr's connection with the village Dablatsikhe in Chokhatauri District, where the future linguist was brought up. The Memorial House of Niko Marr in Dablatsikhe keeps a lot of documents and rare books. The paper deals with the new archival documents on the Status of the Japhetic Theory in the institutes of the the Academy of Sciences of the USSR.

## ლაზური ენის დიალექტებად დაყოფის პროგლემები და ხოზურ-ჩხალურის თავისებურებები

ლაზური (ჭანური) ენა მეგრულთან ერთად ქმნის ზანური ენის ჯგუფს და ქართულ და სვანურ ენებთან ერთად ერთიანდება ქართველურ ენათა ოჯახში (გ. ღერესი, ნ. მარი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, გ. კარტოზია...).

ლაზური ენა ქართველურ ენათაგან ერთადერთია, რომლის დიდი ნაწილი ფუნქციონირებს თურქეთის ტერიტორიაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ, შავი ზღვის სანაპიროზე, სარფიდან (საქართველო) რიზემდე. ლაზები თურქეთში ცხოვრობენ ხოფის, ბორჩხისა და არპავის (= ართვინის ვილაიეთი), ფინდიქლის, არდეშენის, ჩამლიპეშინისა და ფაზარის (= რიზეს ვილაიეთი) ილჩებში<sup>1</sup> (კარტოზია 2005:3-4); აღმოსავლეთით სანაპირო ზოლი დაბშულია მთებით; ამ მთებს ლაზური ენა სცილდება ერთგან, მურლულისკენ, სადაც მდებარეობს ჩხალის ხეობა რვა სოფლით: კოსტანეთი, დაკვარა, მაქრეთი, ბაშქიო, პანჭურეთი, მჭათი (დანელია 2006:18); ჩვენთვის სანტერესო ხოფური მეტყველება კი ვრცელდება ხოფას (Hopa) ნოდაში, რომელიც 6 რაიონისგან შედგება: სუნდურა (სუნდურა), ორთაპოვა (ორთახოფა), კულედიბი მაპალესი (კულედიბი), ოუქარი კულედიბი (ამჭიშე), ბუჯაქი (ბუჯაღი), ჯუმკურიეთი; ხოფას რაიონი ითვლის 29 სოფელს (ოფუტეს): ბაშქო (მხიგი/ფხიგი), ესენქი (აზლაღა), გოუგერჯინლი (ბუჩა/ ბუჩე), აქდერე (ზენდიდი), ჩამურლუ (ჭანჭახუნა), ჩავუშლუ (ჩაუშლი), ჩიმენლი (ჩიმენლი), დერეიჩი (მაისქიოფუტე/მანელოლლი), გოუნეშლი (ჩაღრინა), ჰენდექი (ხენდეკი), ქაიაქო (შანა), ქორუჯულარი (ზალონა), ქიოფრუჯუ (ქიოფრიჯი), ოსმანიე (ოსმანიე), სარფი (მოლენი სარფი), სუგიორენი (კისე), უჩქარდეში (სუმჯუმა), იოლერე (უურპიჯი), ჩამლი (პერონითი), ბალგქო (ბალიქქი), იეშილქო (პანჭოლი), ქაზიმიე (ხემშილლუღი), სუბაში (წკარისთი), გიუმუშდერე (ხელუეთი), უგნარლგ (ანჭოროხი/ანჩიხორი), ქარაოსმანიე (ღეცელონი), ეშმექაია (არდალა), ბაშობა (ხიგობა), ლიმანი (ლიმანი); საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ლაზურიც ხოფურია, კონკრეტულად უთითებენ სარფულ მეტყველებაზე (მემიშიში 2015),<sup>2</sup> რომელიც კომპაქტურად დასახლებული სოფელ სარფის ლაზთა მეტყველებაა.

<sup>1</sup> თურქეთში ამ ტერიტორიას 1925 წლამდე ლაზისტანს ეძახდნენ.

<sup>2</sup> განსხვავებული იყო ისტორიული ვითარება საქართველოში: მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ლაზები ცხოვრობდნენ აფხაზეთში (გუდაუთაში, სოხუმსა და ოჩამჩირეში,

ლაზურს ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია ახასიათებს, რაც ლინგვისტურ ლიტერატურაში ამ ენის კვლევის პირველსავე ეტაპზევე იყო ხაზგასმული: „სხვადასხვა კილოკავზე მოლაპარაკე ჭანებს ზოგჯერ ერთმანეთისა არ ესმით“ (მარი 1910:XVI); „ჭანური სოფლები საკმაოდ განსხვავებულად უქცევენ“ (ჩიქობავა 1936:10); ამგვარი რეალობა ართულებს ლაზური ენის დიალექტებად დიფერენცირების, მკეთრი სადემარკაციო ხაზების გავლების შემდგომ კი მათი კვალიფიკაციის საკითხს, რაც, თავის მხრივ, აპირობებს აზრთა სხვადასხვაობას, მრავალგვარობას ლაზურის დიალექტებისა და მათი გავრცელების არეალების შესახებ.

6. მარი ლაზურ ენას ორ დიალექტად ყოფდა: დასავლურად და აღმოსავლურად. დასავლურ დიალექტში გამოყოფდა დასავლურ (ათინურ) და აღმოსავლურ (ვიწურ-არქაბულ) კილოკავებს, ხოლო აღმოსავლურ დიალექტად კი ხოფურს გულისხმობდა (მარი 1910, XVI-XVIII); 6. მარის მიერ კილოკავებად მიჩნეული სისტემები ა. ჩიქობავამ დამოუკიდებელ ერთულებად ჩათვალა რამდენიმე მნიშვნელოვანი ლინგვისტური (ფონეტიკა-ფონოლოგიური და მორფოლოგიური) არგუმენტის გათვალისწინებით, რომელთა შორის სადემარკაციო ხაზის გამვლებად მიიჩნია მკეთრი /y/ ფონემის განსხვავებული რეფლექსები, რომლის შედეგადაც ლაზური ენის (resp. დიალექტის) შედგენილობაში გამოყო სამი კილოკავი: ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინური; ამ კილოკავების შედგენილობაში გამოყო თქმები: ათინურში – ბულეფურ-ართაშენული, ხოფურში – ჩხალური, ვიწურ-არქაბული კი ორი დამოუკიდებელი კილოკავის ნაერთად წარმოადგინა (ჩიქობავა 1936:9).

გ. კარტოზიამ, მეოდოდოლოგიური ხასიათის შენიშვნის გათვალისწინებით, მართებულად მიიჩნია, რომ ვიწურ-არქაბულის მსგავსად, დანარჩენ ლაზურ დიალექტებსაც შემადგენელ კილოკავთა სახელწოდების მიხედვით დარქმეოდა სახელი – ათინურ-ართაშენული და ხოფურ-ჩხალური (კარტოზია 2005:4), რაც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით თანმიმდევრული ჩანს.

მონოგრაფიაში – „ლაზურ-მეგრულის მორფოლოგია“ (ქირია და სხვ. 2015) – მორფოლოგიური ხასიათის, კონკრეტულად კი მწკრივთა წარმოების, თავისებურებებიდან გამომდინარე, ლაზურის კილოკავებად ხოფურსა და ათინურთან ერთად დამოუკიდებლად განიხილება ვიწური და არქაბული; ხოფურში კი გამოყოფილია ჩხალური მეტყველება, ისევე როგორც ათინურში ბულეფურ-ართაშენული (ქირია და სხვ. 2015:7-8).

---

ასევე გუმისთის რაიონში, ეშერის თემში, 1929 წ. მონაცემებით – 94 კომლი; მათი დიალექტი იყო არქაბული (ჩიქობავა 1929); ასევე სამეგრელოს ერთადერთ სოფელ ანაკლიაში, სადაც ჩემ მიერ 2015 წელს ჩატარებული ლინგვისტური ექსპედიციის ფარგლებში აღიწერა 16 ლაზური ოჯახი (ანაკლიას ექსპედიციის მასალები, გრანტი №31/20, 2015); ანაკლიალი ლაზები ვერ ფლობენ სამეტყველო ლაზურს, თუმცა მათ ისტორიულ და კულტურულ მეხსიერებას შემორჩა წინა თაობებისგან გადმოცემული ინფორმაცია მათი ლაზური წარმომავლობისა და მიგრაციის მიზეზების შესახებ; ანაკლიალი ლაზებს დღესაც აქვთ კონტაქტები თურქეთში მცხოვრებ ლაზ ნათესავებთან.

უცხოელი ლინგვისტები დიალექტთა მეტ-ნაკლებად განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობენ. საყურადღებოა, რომ ო. კლაპროთმა ლაზურში ჯერ ორი დიალექტი – ქვერული და ხოფური გამოყო,<sup>3</sup> ხოლო მოგვიანებით სხვა ნაშრომში ტრაპიზონული დიალექტის არსებობის შესახებაც მოუთითა.<sup>4</sup>

საგულისხმია, რომ ბოლო პერიოდამდელ (2000 წლამდე) უცხოელ ავტორთა შრომებში გაზიარებულია ა. ჩიქობავას კლასიფიკაცია (იხ. Anderson 1963, Holisky 1991), შემდგომ ნაშრომებში კი ლაზური ენა დიალექტებად მეტად არის დიფერენცირებული და კილოკავური შემადგენლები უკვე ცალკეულ დიალექტებად არის დასახელებული:

1. ათინური (Pazar/Atina),  
ართაშენული (Ardeşen/Art'aşeni),  
ვიწურ-არქაბული (Findıklı-Arhavi/Vitse-Arķabi),  
ხოფური (Hopa/Xopa) (Kutscher 2001; 2008; 2011).
2. ხოფური (Hopa),  
ათინური (Pazar),  
ართაშენული (ardeshen),  
ვიწური (Findikli),  
არქაბული (Arhave) (Lacroix 2009).

ჩამონათვალში არსად გვხვდება ჩხალური, ზოგადად, ის, სარფულთან ერთად, ხოფურის თქმად განიხილება (დანელია 2006:29).<sup>5</sup> აქვე ლოგიკურია კითხვა: ხოფური მოიცავს მხოლოდ სარფულ და ჩხალურ თქმებს, თუ დასაშვებია მათ გვერდით სხვა თქმ(ებ)ის გამოყოფაც?

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზური ენის სამ დიალექტად დაყოფის საფუძველია ბირთვული და პერიფერიული ნიშნები, რომლებიც ენის სტრუქტური-რების ყველა დონეს შექება მეტ-ნაკლებად. ქვევით ჩამოვთვლით მხოლოდ იმ თავისებურებებს, რომლებიც ხოფურ-ჩხალურს განარჩევს დანარჩენი ორი კილოსგან და რომელთა შესახებაც ინფორმაცია გაბნეულია ქართველ და უცხოელ მკლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ ნაშრომებში (მარი 2010, ა. ჩიქობავა 1936, ქუთელია 2005, კარტოზია 2005, დანელია 2006, ქირია და სხვ. 2015).

#### **ფონეტიკური ნიშნები:**

- I. მკვეთრი /ყ/ ფონემის რეფლექსივები (ჩიქობავა 1936): ხოფურ-ჩხალურში /ყ/ დაცულია ხმოვნების, /ვ/ ლაბიალისა და /ლ/ ლატერალის წინ, მკვეთრთა კომ-

<sup>3</sup> იხ. J. H. Klaproth, Détails sur le dialecte géorgien usité en Mingrélie, *Nouveau Journal Asiatique* 3, Paris 1829.

<sup>4</sup> იხ. J. H. Klaproth, Asia Polyglotta, Zweite Auflage, Paris 1831.

<sup>5</sup> ჩხალურ თქმას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ო. ყიფშიძემ (1911), სარფული თქმის მოკლე ანალიზი ეკუთვნის ო. მემიშიშვილი (იხ. მემიშიშვი 2015).

პლექსებში კი /გ/-ში გადადის. ვიწურ-არქაბულში კი /ყ/ ფონემა დაკარგულია ხმოვანთა წინ, ხოლო /გ/, /ლ/ და მკვეთრ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში კი /გ/-ში გადადის; ათინურ-ართაშენულის /ყ/ ფონემა იოტიზებულია [ყ >ə] ან დაკარგულია [ყ>გ>Ø] და სხვ;

- II. უ/ი სუბსტიტუციის სიხშირე, რომელიც მხოლოდ ხოფურ-ჩხალურს ახასიათებს;
- III. /რ/ ბგერის დასუსტება-დაკარგვა მხოლოდ ხოფურში.

#### **მორფონოლოგიური ნიშნები:**

- I. პრევერბებში ხმოვანთა ასიმილაციის მიმართულება განსხვავებულია: ხოფურ-ჩხალურში რეგრესული ასიმილაცია დასტურდება, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში – პროგრესული (კარტოზია 1997);
- II. თემის ნიშნის ალომორფებად განსხვავებულთანხმოვნიანი ვარიანტებია წარმოდგენილი: ხოფურ-ჩხალურში /ფ/ გვაქვს – [-უფ/-იფ], ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში – /ბ/ – [-უმ/-ომ];
- III. სახელთა მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსის ნაირგვარობა: ხოფურ-ჩხალურში არსებითი სახელებისა და კითხვითი ნაცვალსახელების ერთმარცვლიან ფუძეებს მრავლობითობის სუფიქსად -ეფე, ერთმარცვლიან ზედსართავებში -ეფე//ელეფე მოუდის, ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული კი ყველა შემთხვევისათვის ერთადერთ -ფე დაბოლოებას იყენებს (კარტოზია 2003);
- IV. ხოფურში ონტეროგალურ პოზიციაში S<sub>1</sub>-ის ნიშანი იკარგება განსხვავებით სხვა დიალექტებისგან, სადაც ის ყოველთვის მარკირებულია /გ/-, /ბ/- ალომორფებით. ანალოგიურია ვითარება მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყნოულ დოალექტში;
- V. ლაზურში Q<sub>1</sub>-ის მარკერი /მ/- მყარია და ამ მხრივ ლაზურის დიალექტების მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა ხოფურში ჩქამიერი თანხმოვნების წინ მ- პრეფიქსის პარალელურად შესაძლებელია ბ-/ფ-/პ- ალომორფების გაჩენა პომოგენურობის პრინციპით (ჩიქობავა 1936);
- VI. ქო- ნაწილაკის ხმოვანშეცვლილი ფონეტიკური ვარიანტები წარმოდგენილია მხოლოდ ხოფურ-ჩხალურში, ძალზე იშვიათია ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში (ჩიქობავა 1936, კარტოზია 2005, ქუთელია 2005).

მორფონოლოგიური პროცესების ინტენსივობით ხოფურ-ჩხალური უახლოვდება მეგრულს (ქირია და სხვ., 2015).

#### **მორფოლოგიური ნიშნები:**

- I. ლაზურში ონვერსიული თურმეობითები ზმნურ ფორმაზე „არის“ მეშველი ზმნის დართვით იწარმოება: ხოფურ-ჩხალურში ეს მეშველი ზმნა -ურ (ნანამყოუს-რულარ თურმეობითსა და ნააორისტალ თურმეობით პირველში) და ერე-ტ (ნააორისტალ თურმეობით მეორეში) ფორმებით არის წარმოდგენილი, ხოლო დასავლურ დიალექტებში დო- პრევერბიანი დორუ(ნ) (ვიწურ-არქაბული) და დორუტუ(ნ) (ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული) ფორმებით;

- II. მყოფადები და მყოფადის ნამყოების წარმოება: ხოფურ-ჩხალურში იწარმოება კავშირებითებზე - „უნონ „უნდა“ და -უნტუ „უნდოდა“ მეშველი ზმნების დართვით (ხოფურსა და ჩხალურს შორისაც გარკვეული პარადიგმატული სხვაობით), დასავლურ დიალექტებში აღნიშნულ მწკრივებს რე /რენ „არის“ და რტუ /ტუ „იყო“ მეშველი ზმნები აწარმოებს;
- III. მასდარის წარმოება: ლაზურის ყველა კილოში მასდარი იწარმოება /ო- უ/ კონფიქსით (resp. ცირკუმფიქსით), ჩხალურ თქმაში -უ-ა სუფიქსიანი წარმოება ერთადერთია და იგი ანლოგიურია მეგრულში მასდარის წარმოებისა (ქირია და სხვ. 2015);
- ხშირად ლაზურის აღმოსავლური და დასავლური დიალექტები ერთმანეთს უპირისპირდებიან ლექსიკურადაც, რაზეც უთითებენ სამეცნიერო ლიტერატურასა და ლექსიკონებში. „ზოგჯერ შეიძლება დიალექტის შიდა მონაცემებიც განსხვავებული იყოს, სამივე კილო უპირისპირდებოდეს, მაგრამ ხოფურ-ჩხალური რომ როგორც ფონეტიკურად, ისე მორფოლოგიურად და ლექსიკურად მკვეთრად უპირისპირდება ვიწურ-არქაბულს და ათინურ-ართაშენულს, ეს ეჭვს არ იწვევს“ (კარტოზია 2005);
- ფონეტიკური თავისებურებები, რომლებიც შეიცავენ საყურადღებო ინფორმაციას ისტორიული ზანური ენის დიალექტური შედგენილობის გარკვევისათვის, ხოფურ-ჩხალურს ასევე აპირისპირებენ ლაზურის დანარჩენ დიალექტებთან და მეგრულთან სიახლოვეზე მიუთითებენ:
- I. საერთოქართველური ენის მოკლე ო-საგან მომდინარე ქართული /ო/-ს შესატყვისები: ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში – /უ/ ხმოვანი; ხოფურ-ჩხალურსა და მეგრულის დიალექტებშიც – უმთავრესად – /ი/ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:331-338);
  - II. მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციისა და ანაპტიქსური ხმოვნის ფონემატიზაციის შედეგად დიალექტებში სხვადასხვა ხმოვანი ვითარდება: ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში – ო/უ, ხოფურ-ჩხალურსა და მეგრულის დიალექტებში – /ა/;
  - III. ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების ანლაუტი: ათინურ-ართაშენული და ვიწურ-არქაბული /ჰ/ ლარინგალს წარმოაჩენს, ხოფურ-ჩხალურსა და მეგრულის დიალექტებშიც იგივე ფორმები /ჰ/-ს გარეშეა;
  - IV. ველარული თანხმოვნების მომდევნო ლაბიალური /ვ/ თანხმოვანი /ი/ ხმოვნის წინ ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში იკარგება, ხოფურ-ჩხალურსა და მეგრულის დიალექტებში კი დაცულია /ვი/ კომპლექსი;
  - V. რ-ს დისიმილაციის ცნობილი წესი, თუ სიტყვაში ორი /რ/ იყრის თავს, ერთოთი, კერძოდ – მომდევნო, /ლ/-ში გადადის: დასავლური დიალექტებისათვის

სიტყვაში ორი რ-ს შენარჩუნება ჩვეულებრივი მოვლენაა (ჩიქობავა 1936:11; შეღწი 1953:130-132); ეს წესი კი მოქმედებს ხოფურ-ჩხალურსა და მეგრულის ყველა დიალექტში.

გ. კარტოზია აღნიშნავს (კარტოზია 2005), რომ იმ ფონეტიკური თავისებურებებით, რომლებითაც ლაზური ენის ხოფურ-ჩხალური დიალექტი უპირისპირდება ათინურ-ართშანულსა და ვიწურ-არქბაზულ კილოებს, გვერდში უდგას მეგრულ ენას:

1. მეგრულშიც უმთავრესად /ი/ ხმოვანი გვევლინება საერთოქართველური \*ო-რეფლექსად და ანაპტიქესური ხმოვნის ფონემატიზაციის შედეგად მეგრულშიც, როგორც წესი, /ი/ ვითარდება;
2. არც მეგრულს ახასიათებს ლარინგალური /ჰ/ ნაცვალსახელებსა და ზმიზედებს;
3. ველარული თანხმოვნის შემდეგ მეგრულშიც მკვიდრად არის დაცული ვი- კომპლექსი;
4. მეგრულ ენაშიც მტკიცედ არის დაცული რ-ს დისიმილაციის წესი.

დამატებითი ნიშნები გამოვლენილია და მორფოლოგიური პრობლემების ანალიზის პარალელურად განხილულია ლაზურ-მეგრულის შესახებ ბოლო დროს გამოცემულ მონოგრაფიაში (ქირია და სხვ. 2015):

1. უკუკევითი ნაცვალსახელების ოთხი ფორმიდან – მუთუჯე, მუთუ(რ)ე, მუნუჯე, მუნთუჯე – ბოლო ორი მხოლოდ ხოფურს ახასიათებს. მეგრულთან სიახლოვე აქაც იჩენს თავს;
2. ხოფურში ინტერვოკალურ პოზიციაში S<sub>1</sub>-ის ნიშანი იკარგება განსხვავებით სხვა დიალექტებისგან, სადაც ის ყოველთვის მარკირებულია /ვ-/ , /ბ-/ ალო-მორფებით. ანალოგიურია ვითარება მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაფანოულ დიალექტში;
3. ლაზურში O<sub>1</sub>-ის მარკერი /ბ-/ მყარია და ამ მხრივ ლაზურის დიალექტების მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა ხოფურში ჩქამიერი თანხმოვნების წინ მ- პრეფიქსის პარალელურად შესაძლებელია ბ-/ფ-/პ- ალომორფების გაჩენა პომოგენურობის პრინციპით (ჩიქობავა 1936:92);
4. ქო- ნაწილაკის ხმოვანშეცვლილი ფონეტიკური ვარიანტები წარმოდგენილია მხოლოდ ხოფურ-ჩხალურში, ძალზე იშვიათა ვიწურ-არქაზულსა და ათინურ-ართაშენულში. მორფონოლოგიური პროცესების ინტენსივობით ხოფურ-ჩხალური უახლოვდება მეგრულს.

რ. ასათიანის თვალსაზრისით, ლაზურის ენის დიალექტური სურათის აღწერისათვის ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა ენობრივი სისტემის დიფერენციაციის სივრცულ-დერივაციული მოდელი, რომელიც ენობრივი ცვლილებებისა და ინოვაციების ამსახველ „ტალღების თეორიას“ (პ. შუხარდტი და ჯ. შმიდტი) ეფუძნება,

რაც გულისხმობს მეტყველების თავისებურებათა ტალღისებურად, თანდათან გავრცელებას ერთი ადგილიდან მეორისაკენ იმგვარად, რომ მათ შორის პკაცრი ლინგვისტური საზღვრების გავლება რთულდება. გეოგრაფიულად მოსაზღვრე რაიონებში უკეთ ესმით ერთმანეთის, დაშორებულ უკიდურეს პერიფერიებში მცხოვრებნი უკვე ვეღარ უგებენ ერთმანეთს. მეტ-ნაკლებად ასეა ლაზურის შემთხვევაშიც. მთლიანი ენობრივი სივრცე იყოფა შემდეგ ძირითად ერთეულებად:<sup>6</sup>



ამ ენობრივ სივრცეში დასაშვებად მიიჩნევა მეგრულის ჩართვა ყველა იმ ბირთვული და პერიფერიული ნიშნის გათვალისწინებთ, რომელიც ხოფურ-ჩხალურს აახლოებს მეგრულთან და განასხვავებს მას ლაზურის დანარჩენი კილოებსგან. ამიტომაც ზემოთ წარმოდგენილ სქემაში მეგრულის დიალექტების ადგილი თავშვეა, რითაც წარმოჩნდება ისტორიული ზანური ენის ერთიანი ჯაჭვი (ასათიანი 2011:8).

მეცნიერებაში უკვე დიდი ხანია, არსებობს და არასაეჭვოდაც მიიჩნევა პიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ხოფურ-ჩხალური როგორც ფონეტიკურად, ისე მორფოლოგიურად და ლექსიკურად მკვეთრად უპირისპირდება ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს და ამავე თავისებურებებით დგას მეგრულის გვერდით (ჩიქობავა 1936, კარტოზია 2005).

გ. კარტოზიას აზრით, ზანურ დიალექტებში მკვეთრად გამოვლენილი ფონეტიკური დაპირისპირება უნდა ასახვდეს ზანურის ადრინდელ დაყოფას ორ დიალექტურ არეალად, პირობითად, ჩრდილოურ და სამხრულ კილოებად. ჩრდილოური დიალექტი მოიცავდა დღევანდელი მეგრული ენისა და ლაზური ენის ხოფურ-ჩხალური კილოს მეტყველებას, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ საერთო წინაპარს წარმოადგენდა; სამხრული დიალექტი ლაზურის დასავლურ დიალექტს – ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულს. აღმოსავლურქართული ტომების მიერ ზანური ენის ტერიტორიული გახლების შედეგად (ჯავახიშვილი 1913; გამყრელიძე, ივანოვი 1984) ხოფურ-ჩხალური, რომელიც მეგრულთან ერთად ერთ კილოს ქმნიდა, დაშორდა მას, მიეკედლა უშუალო მეზობლებს ანუ დასავლურ კილოებს და მათთან ერთად არაერთი მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური სიახლე განივითარა:

1. მყოფადის მეშვეობებისათვის წარმოება;
2. გარდამავალ ზმნათა უღლების პარადიგმის გასწორება S-სა და O-ის, ბრუნვათა ერთიანობის თვალსაზრისით;
3. ინვერსიული ზმნების გათანაბრება პირდაპირი წყობის ზმნებთან სინტაქსური ძალის მიხედვით. ხოფურ-ჩხალურის „გალაზურება“ უფრო ვიწურ-არქაბულთან დაახლოებით გამოიხატა, ათინურ-ართაშენული, როგორც უკიდურესი დასავლური დიალექტი,

<sup>6</sup> სქემა ადაპტირებულია რ. ასათიანის ნაშრომის მიხედვით; იხ. ასათიანი 2011.

ქკეთრად განსხვავდება ხოფურ-ჩხალურისაგან. გათიშვის მომენტში „ზანური უკვე იყოფოდა ჭანურ და მეგრულ კილოდ და ახლანდელი გურიის მიწა-წყალზე მეგრული იყო გავრცელებული და არა ჭანური“ (ჩიქობავა 1936).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო დროს გამოითქვა ახალი თვალსაზრისი ზანური ენის დალექტური დიფერენცირების შესახებ, იგი დაიყო სამად: 1. ათინურ-ვიწურ-არქბული, 2. გარდამავალი ხოფური ტიპის დალექტი და 3. მეგრული. აქედან პირველის ფუნქციონირების არეალად მიჩნეულ იქნა თანამედროვე თურქეთის ტერიტორია რიზედან ხოფამდე, მეორე (ხოფური ტიპის დალექტი), რომელიც უფრო შერეულ სახეობად განიხილება), მოიცავდა ტერიტორიას თანამედროვე გურია-სამეგრელოს ადმინისტრაციულ ზოლამდე. თანამედროვე გურია-აჭარის ტერიტორიაზე კი ხოფური ტიპის დალექტი იყო გავრცელებული და არა მეგრული (ქირია და სხვ. 2015).

როგორც ვხედავთ, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ხოფური დალექტი უფრო მეგრული იყო და შეძლომ მოხდა მისი „გალაზურება“, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ის წარმოადგნდა მეგრულისა და ლაზურის წინაპარი დალექტებისაგან განსხვავებულ მესამე, გარდამავალ, სისტემას. აქედან ლოგიკურია დასკვნა: ხოფურ-ჩხალური ისტორიულად არ იყო მოქცეული არც იმ ენობრივ ჩარჩოში და არც იმ ტერიტორიაზე, რომელშიც ის დღეს ფუნქციონირებს. საკითხი საკვლევად დღემდე დიად რჩება და საჭიროებს ამ კონკრეტული დალექტის დეტალურ აღწერასა და სიღრმისეულ ანალიზს მისი კილოკავების, სარფულისა და ჩხალურის, მონაცემთა გათვალისწინებით.

## ლიტერატურა

**ანდერსონი 1963:** R. D. Anderson., *A Grammar of Laz*, dissertation, University of Texas, Austin.

**ასათიანი 2011:** რ. ასათიანი, ლაზურის გრამატიკის კონსპექტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**გამგრელიძე, ივანოვი 1984:** Т. Гамкелидзе, В. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры*, Тбилиси.

**გამგრელიძე, მაჭარიანი 1965:** თ. გამგრელიძე, გ. მაჭარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**დანგლია 2006:** კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, უნივერსალი, თბილისი.

**კარტოზია 1997:** გ. კარტოზია, ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია და ზოგი ზმნის წინის შედეგნილობა დასავლურ ლაზურში (თეზისები): ქუთაისური საუბრები, IV.

**კარტოზია 2003:** გ. კარტოზია, სახელთა მრავლობითის წარმოება ლაზურში: ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი.

- კარტოზია 2005:** გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქრთველურ ენათა სისტემაში, გამომცემლობა „ნებრი“, თბილისი.
- კუჩერი 2008:** S. Kutscher, *The language of the Laz in Turkey: Contact-induced change or gradual language loss? Turkic Languages* 12, 82-102.
- კუჩერი 2011:** S. Kutscher, *On the expression of spatial relations in Ardeşen-Laz*. Linguistic Discovery 9(2), 2011.
- ლაკრო 2009:** R. Lacroix, *Description du dialecte laze d'Arhavi (caucasiq du sud, Turquie) – Grammaire et textes*, Thèse, Sciences du langage, Lyon 2, Lyon, xxi + 901 p.
- მარი 1910:** Н. Я. Марр, *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем*, СПб.
- მემაშვილი 2015:** ო. მემაშვილი, ლაზურის ხოფურ-ჩხალური კილოკავი და სარფის მეტყველება, თავი მეექვსე მონოგრაფიაში სარფი. რედაქტორები: მ. ჩოხარაძე, მ. ფადავა, ბათუმი.
- უღებელი 1953:** ს. უღებელი, ჭანურ-ძვერული ფონეტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ქუთელია 2005:** ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ქირია და სხვ. 2015:** ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშვილი, მ. ჩუხუა, ლაზურ-ძვერული გრამატიკა, I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
- ყიფშიძე 1911:** И. А. Кипшидзе, *Дополнительные сведения о чанском языке* (из лингвистической экскурсии в Русский Лазистан), СПб.
- ჩიქობავა 1929:** ა. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, ხოფური კილოკავი, ტფილისი.
- ჩიქობავა 1936:** ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.
- ჯავახიშვილი 1913:** ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, მეორე გამოცემა, ტფილისი.
- ჰოლისკი 1991:** Dee A., Holisky, Laz, In: *The Indigenous Languages of the Caucasus, Vol.1, The Kartvelian Languages*, Caravan Books, Delmar, New York.

Rusudan Gersamia

## The Problems of Division of Laz into Dialects and the Peculiarities of Khopa-Chkhala

### Summary

Laz is distinguished by strong dialectal differentiation, which was stressed in the linguistic literature from the initial stage of its study: “The Chans speaking different vernaculars sometimes do not understand one another” (N. Marr); “The vernaculars of the Chan villages are quite different” (A. Chikobava). This reality complicates the issue of differentiation of Laz into dialects, strict demarcation between them, and afterwards their qualification, which, in its turn, causes difference and diversity of opinions concerning the Laz dialects and the area of their distribution.

The viewpoints of Georgian and foreign researchers concerning the division of Laz into dialects are different: if Georgian linguists identify three dialects (Khopa-Chkhala, Vitze-Arkabe, Atina-Artasheni), foreign scholars represent each constituent as a separate dialect.

The main objective of the present study is, on the one hand, on the basis of the core and peripheral linguistic features of Khopa-Chkhala (phonological, morphophonological, morphological, lexical) to juxtapose it with other dialects and to demonstrate differences between them; and, on the other hand, to describe the common linguistic characteristics of Khopa-Chkhala and Megrelian, and to present a single historical linguistic chain in which Khopa-Chkhala and Megrelian dialects are considered on a single plane.

რუსული გვრცელები

მოძრაობა-გადააღგილების ზენური პირის  
კონცეფტუალური სტრუქტურა ლაზურში<sup>1</sup>

ლაზურში ზმური ფუძე ისეთივე მრავალკომპონენტიანია მორფოსემანტიკური თვალსაზრისით, როგორც მეგრულში; ფუძის ბირთვს წარმოადგენს ძირეული მორფემა, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებულია სხვადასხვა მორფოსინტაქსური ფუნქციის მქონე რეპრეზენტანტები – პრეფიქსული და სუფიქსური მორფები.

ზმის ძირი დაუშლელი, არასტრუქტურირებადი ელემენტია განსხვავებით ფუძისაგან, რომელიც შლადი, სტრუქტურირებადი მონაცემია ენისა (შანიძე 1980); ლაზურში, ქართულისა და მეგრულის მსგავსად, მნიშვნელობის გამოხატვა დაკავშირებულია როგორც ფუძესთან, ისე ძირთან, თუმცა ეს მნიშვნელობები განსხვავებულია ერთმანეთისგან: ძირს აქვს კონცეპტუალური სტრუქტურა<sup>2</sup> და ძირით გამოხატული მნიშვნელობები კონცეპტებია, რომლებიც, ჩვენი ანალიზის ფარგლებში, აღნიშვნავნ მოძრაობისათვის ისეთ მნიშვნელოვან ზოგად მახასიათებლებს, როგორებიცა:

- დინამიკურობა/სტატიკურობა,
- მოძრაობის სუბიექტი,
- მოძრაობის სახე,
- ნებელობა,
- მოძრაობის ტემპი,
- ასპექტი და დრო (ქობალავა 2015).

ხოლო ფუძის ლექსიკურ მნიშვნელობას ადგენენ ის რეპრეზენტანტები, ფუნქციური სატელიტები, რომლებიც განლაგებული არიან ძირის გარშემო და კონკრეტული ზმური კონსტრუქციის ფარგლებში უზრუნველყოფებ კონკრეტული ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემას.

მოძრაობის აღმნიშვნელი ზმების ძირეული მორფები ნეიტრალური არიან მოძრაობის კონკრეტული ლოკატიური ნიშნებით (მოძრაობის მიმართულებისა და ორიენტაციის, ლოკალიზაციის ადგილის) დახასიათების თვალსაზრისით; აღნიშ-

<sup>1</sup> პუბლიკაცია იმეჭდება შოთა რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (სამეცნიერო პროექტი „მოძრაობის სემანტიკური კომპონენტები მეგრულსა და ლაზურში“, გრანტი №217344). წინამდებარე პუბლიკაციის ძირითადი თეორიული დებულებები ეყრდნობა ი. ქობალავას პუბლიკაციებს (ქობალავა 2015; ქობალავა 2019).

<sup>2</sup> ტერმინისათვის იხ. ჯაგნდოფი 1983; 1990.

ნულ ფუნქციას ასრულებენ ძირის გარშემო განლაგებული სატელიტები, ძირითადად, პრეფიქსული მორფები – ზმნისწინები.

ქართული მასდარი სვლა ლაზურში პარალელური ფუძეებითაა წარმოდგენილი, მათი განაწილება დიალექტურია:

(1a) ხთ-იმ-ა<sup>3</sup> / ო-ხთ-იმ-უ „სვლა, წასვლა“ (ხოჯ.)

R-THM-MSD / MSD1- R-THM-MSD1

(1b) ულ-უ(<\*კოლ-)<sup>4</sup> „სვლა, მოგზაურობა“/ ო-ლ-უ<sup>5</sup> „წასვლა“  
R-MSD1 / MSD1-R-MSD1

(1c) ო-ლვ-ა<sup>6</sup> || ო-ლვ-აფ-ა<sup>7</sup> „წასვლა“ (ვიწ-არქ; ათ-არდ).

MSD1-R-MSD1 || MSD1-R-THM-MSD1

ზმნური ფორმა კი ყველა დიალექტისთვის ერთგვაროვანია:

(2) ნ-ულ-უნ < მე-ულ-უნ „მიდის“

PRV-R-PRS.S3.SG

ლაზურში მცირერიცხოვანი გამონაკლისები, რომლებიც ძირშივე შეიცავს ორიგნტირებული მიმართულების აღმნიშვნელ სემანტიკას, საერთო სურათს ვერ ცვლიან:

(3a) ჭიშ-:

მე[ნ]-ჭიშინ-უ/ქო-მე-ჭიშინ-უ. MSD „დაწევა, მისწრება“.

მე[ნ]-ჭიშ-უ/გვე-ჭიშ-უ/ქო-მე-ჭიშ-უ.V:PRS.S3.SG „დაეწია/მიეწია, მიასწრო“.

(3b) ოხოზ-:

ო-ოხოზინ-უ.MSD „დადევნება“.

ნო-ოხოზუნ.V:PRS.S3.SG „მიასწრო“.

**1.1. დინამიკურობა და სტატიკურობა** მოძრაობა-გადაადგილებისა და უძრაობა-მდებარეობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომელიც გამოხატავს სივრცეში სხეულთა ფიზიკური მყოფობის უნივერსალურ ფორმებს – მოძრაობასა და უძრაობას. აღნიშნული კონცეპტუალური ოპოზიცია ლექსიკალიზებულია მოძრაობა-უძრაობის სახეთა (სვლა, ცურვა, ფრენა) აღმნიშვნელი ზმნური ძირებით.

<sup>3</sup> თანდილავა 2013:882; საყურადღებოა, რომ მასდარული ფორმა ნაწარმოებია მიდის (სვლა) ზმნის აორისტზე დაყრდნობით.

<sup>4</sup> კანონზომიერი ფონოლოგიური შესატყვისთა ქართული ვალ/ვლ- და მეგრული ოლ-/ულ-(\*კოლ-)/ლ- (<\*კლ- უ ზმოვნის წინ) ძირებისა; ძირი სხვა გახმოვნებითაც გახვდება, მხოლოდ მიმღეობურ ფორმაში: მეგრ./ლაზ. ნო-ველ-ი „ნაგალი“ (ფენრიხი, სარველაძე 2000:193), ვოლ- > ველ- უმლაუტის შედეგია (გამჭრელიძე, მაჭავარიანი 1965:167)

<sup>5</sup> ოლუ „წასვლა, ხტომა“; ოლუ-მილუ „წასვლა-მოსვლა“ (თანდილავა 2013:625);

<sup>6</sup> სუფიქსების ამგვარ სეგმენტაციაზე გვათიქრებინებს პარალელური ფორმა, რომელშიც -აფ თემატური ნიშანი -ვ-ა მმდევრობის შუაშია მოქცეული.

<sup>7</sup> თანდილავა 2013:624; პარალელური ფორმა -აფ-იანი მასდარით არის წარმოდგენილი; არ იხმარება ხოფურში, სხვა დიალექტების კუთვნილებაა.

მოძრაობა-გადაადგილება, როგორც დინამიკური პროცესი, გამოხატავს:

1. მოძრაობის მიმართულებასა და ორიენტაციას;
2. ადგილის ტოპოლოგიას (ახასიათებს/აღწერს მოძრაობის ადგილს).

ლაზურში, მეგრულის მსგავსად, ორივე ნიშანი გადმოცემულია ძირის გარეთ, ზმურ ფუძეში შემაგლი სატელიტებით – ზმნისწინებითა და ფუძის გარეთ გან-თავსებული სატელიტებით – ზმნისართებით.

**1.2. მოძრაობის სუბიექტი** [ტალმი 1985: მოძრავი ფიგურა (Figure)] შეიძლება იყოს ცოცხალი ან არაცოცხალი ორგანიზმი, ფიზიკური მოვლენა, ასევე უსულო საგანი; მეგრულის მსგავსად, ლაზურშიც ცოცხალთა კლასში ერთიანდებიან ადა-მიანები, ცხოველები და მცენარეები. ამათგან ადამიანებისა და ცხოველებისათვის, როგორც სულიერ არსებათათვის ანუ საკუთარი ძალით გადაადგილების უნარის მქონეთათვის, ძირითადად, გამოყენებულია მოძრაობა/უძრაობის აღმნიშვნელი ერთი და იგივე ზმნები (2a):

- (4a) კოჩი/ჯოლოი ნულუნ. V:PRS.S3.SG „კაცი/მაღლი მიდის“.  
(4b) კოჩი/ჯოლოი ნუნკაპუნ. V:PRS.S3.SG „კაცი/მაღლი მირბის“.

აღნიშნული ნიშნით ადამიანები და ცხოველები უპირისპირდებიან მცენარეებს, რომელთათვისაც ჰორიზონტალური გადაადგილების აღსანიშნავად გამოიყენება ტრან-სფერული შინაარსის ოდალუ/ოდმალუ/ომალუ. MSD „წაღება“; ამ შემთხვევაში მცენარე მოკლებულია სიცოცხლის უნარს და ცოცხალთა კლასიდან უსულოთა კლა-სში გადადის:

- (5a) ნჯა ნიმენან / ნიძელან. V:PRS.S3.PL „ხე მიაქვთ“.  
(5b) ნჯა მენდილეს / მინდილებ. V:AOR.S3.PL „ხე წაიღეს“.

შედრ.

- (5c) კოჩი/ჯოლოი ნიყონუფე. V:PRS.S3.PL „კაცი/მაღლი მიჰყავს“.  
(5d) კოჩი/ჯოლოი მენდიყონუ. V:AOR.S3.PL „კაცი/მაღლი წაიყვანა“.

ვერტიკალური მიმართულების ძირი კი უკავშირდება ქართული ვალ-/ სვლ-ძირის შესაბამის ფორმებს, რომელიც საერთოა როგორც სულიერი და უსულო, ასევე ცოცხალი და არაცოცხალი არსებებისთვის: ეხთიმუ „ამოსვლა“, ეშახთიმუ „ასვლა“:

- (6) ლაზუტი/ფუჯიშგიარი/შუკა ქეხთუ (V:AOR.S3.SG) დიხაშე.  
„სიმინდი/ბალახი/კიტრი ამოვიდა მიწიდან“.

მცენარეებს არა აქვთ დამოუკიდებელი გადაადგილების უნარი, თუმცა აკლენენ სიცოცხლისათვის დამახასიათებელ სხვა აქტივობას, რაც ვლინდება, ერთი მხრივ, ბიოლოგიურად მკვეთრად გამოხატული სასიცოცხლო პროცესებით (აღმოცენება, კვება, ზრდა, დაპირისპირებული სქესის უკრედებით განაყოფიერება) და, მეორე მხრივ, ლექსიკურად, რაც ლინგვისტური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანია (წულაძა 2018). კერძოდ, მცენარეთა აღმოცენებისა და შემდგომი ზრდა-განვითარების აღსანიშნავად გამოყენებულია როგორც საერთოდ ცოცხალი ორგა-

ნიზმებისათვის მიღებული, ისე საკუთრივ მცენარეთა სასიცოცხლო ციკლის აღნიშვნელი სპეციფიკური ლექსიკა:

ორდუ. *MSD „ზრდა“*

ჯა „ხე“

ბერე „ბავშვი“ ირდუნ

ჯოლო „ძალლი“

ჯაგელი „მოზვერი“

ეშა-ხთიმ-უ/ე-ხთიმ-უ. *MSD „ამოსვლა“*

პირ-უ. *MSD „აყვავილება“*

ჯაში „ხის“

„იზრდება“

ჩან-აფ-ა. *MSD „შეხმოიარება“*

ო-მჟი[რ]-უ. *MSD „ჭკნობა“*

ო-ხომინ-უ. *MSD „გახმობა“ = „სიკვდილი“*

ლაზურში სუბიექტის სემანტიკური კატეგორია გრამატიკულად გამოხატულია სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნებით, რომლებიც ზმურ ფუძეში ერთსა და იმავე პოზიციაში რეალიზდება.

**1.3. მოძრაობის სახე** [ტალმი 1985]: მოძრაობის მანერა (Manner). მოძრაობის სახეთა შერის განსხვავებებს არსებითად აპირობებს, ერთი მხრივ, სუბიექტის საარსებო გარემო – ხმელეთი, წყალი, ჰაერი; მეორე მხრივ კი, ამ გარემოდან გამომდინარე ორგანიზმის ბიოლოგიური თავისებურებები. პირველ რიგში, ეს ეხება საკუთარი ძალით გადაადგილების აღმნიშვნელ მოძრაობებს. სახელდობრ, ოღუ/ოღვა[ფა]/ოხთიმუ „სვლა“ მოძრაობაა, რომლითაც განისაზღვრება როგორც ადამიანებისა და ხმელეთზე მოსიარულე ცხოველების გადაადგილების ძირითადი სახე. ამ ნიშნით ღუ/ხთირით გამოხატული მოძრაობა განსხვავდება წყალსა და ჰაერში შესრულებული მოძრაობის აღმნიშვნელი ზმური ძირებისგან:

	ხმელეთი – სვლა	წყალი – ცურვა	ჰაერი – ფრენა
ლაზ.	ო-ხთ-იმ-უ MSD1-R-THM-MSD1	ო-ნჩი[რ]-უ MSD1-R-MSD1	ო-ფუთხ-ინ-უ MSD1-R-THM-MSD1

**1.4. ნებელობა.** მეგრულის მსგავსად, ლაზურში ძირი იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ მიმდინარეობს მოძრაობა – სუბიექტის საკუთარი ნებით თუ სხვისი დახმარებით<sup>8</sup>. შესაბამისად, განსხვავებულია როგორც მოძრაობის აღმნიშვნელი ძირები, ისე მოძრაობის სუბიექტებიც. პირველ შემთხვევაში (7) მოძრაობა-გადაადგილება, რომელიც სრულდება უშუალოდ მოძრაობის სუბიექტის მიერ, გამოხატულია გარდაუვალი ზმნის ფორმებით:

<sup>8</sup> აქ იგულისხმება არა კუზატიური ფორმები, არამედ ლექსიკურად გამოხატული მნიშვნელობა.

(7) კოჩი გზას ნ-ულ-უ<sup>9</sup>-ნ [კაცი გზაზე მიდის]

კაცი. NOM გზა. DATPRV-R-THM-PRS.S3.SG(V:INTR)

მეორე შემთხვევაში (8) საქმე გვაქვს გადაყვანა-გადატანის აღმნიშვნელ მოძრაობასთან, რომელიც სრულდება სხვისი ნებითა და/ან ძალით. შესაბამისად, გამოყენებულია გარდამავლი ზმნები, რომელთა დისტრიბუცია წინადაღებაში, შეკავშირება სუბიექტთან/ქვემდებარებასთან ან ობიექტთან/პირდაპირ დამატებასთან შეზღუდულია სემანტიკით – განსხვავებულია ცოცხალი (8a)/არაცოცხალი (8b) სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით:

(8a) კოჩიქ ბერენ-ი-ყონ-უფ-ს [კაცს ბავშვი მიჰყავს]

კაცი. ERG ბავშვი. NOMPRV-SV-R-THM-PRS.S3.SG(V:TR)

(8b) კოჩიქ ჯა მენდ-ი-ღ-უ [კაცმა ხე წაიღო]

კაცი. ERG ხე. NOMPRV-SV-R-AOR.S3.SG(V:TR)

**1.5. მოძრაობის ტემპი.** ლაზურში მოძრაობის ტემპი ზმნურ ძირში ან ფუძის ფარგლებში გამოხატული არ არის, ანალოგიური ვითარებაა მეგრულშიც, თუმცა ამ უკანასკნელში მნიშვნელობით არანეიტრალურ ანუ ფონოსემანტიკურ ფუძეთა სიმრავლე ამგვარი ფუძეების გამოყოფის საშუალებას იძლევა.<sup>10</sup> ლაზურში მოძრაობის ტემპი გამოიხატება ფუძის გარეთ განთავსებული სატელიტების – ზმნისართების დახმარებით: მანი-მანი,<sup>11</sup> აჯელუ,<sup>12</sup> უსულა,<sup>13</sup> თამო/თამო-თამო.<sup>14</sup>

(9a) მანი-მანი ნუნკაპუნ/ნულუნ/ინჩირს/ფუთხუნ/იგზალუ

„ჩქარა მირბის/მიდის/მიცურავს/მიფრინავს/წავიდა“

მაგ.: 1. მანი-მანი ნუნკაპულუ „ჩქარა-ჩქარა გარბოდა“ (თანდ. 2013:410)

2. [...] მუსტაფა მანი-მანი ნიტუ მურადიშა (ჭტ. 3520) „მუსტაფა ჩქარ-ჩქარა მიდიოდა მურადისკენ“.

<sup>9</sup> [-უ] სუფიქსი დაჩნდება პირველი სერიის ყველა მწერივში და მესამე სერიის წარსულ-დროიან ინვერსიულ თურმეობითებში წთ- ძირთან: უ-ხთ-იძ-უ-ნ (ამ სერიის სხვა მწკრივები სხვა ძირის შემცველია); ამიტომ ჩავთვალეთ, რომ [-უ] ოდინდელი თემის ნიშანია, იგივე ნიშანი, რომელიც დაჩნდება კონფიქსური (resp. ცირკუმფიქსური) პასივის ფორმებთან (შდრ. ქირია და სხვ. 2015:598); ამასთან, ის ჩნდება იმავე პოზიცია-ზე, რა პოზიციაზეც ჩნდება სხვა ზმნურ ფორმებში თემის ნიშანი.

<sup>10</sup> შდრ. მეგრული – მიაჩნდალუ, მისაქალუ, მიღანდალუ... სწრაფი სიარული – მეჭუმინუნს, მეუუმინუნს, მეტურინუნს, მიჭვინეუ, მიჭვირთუ, მირაცვალ.... (გერსამია და სხვ. 2016:354-356).

<sup>11</sup> „ხშირად, ჩქარა“ (თანდ. 2013:410).

<sup>12</sup> თურქ. acele „საჩქარო, სასწრავო“ (თანდ. 2013:44).

<sup>13</sup> არად.-თურქ. usula „ნელა, წყნარად“ (თანდ. 2013:768).

<sup>14</sup> ნელა, ჩუმად; ნელ-ნელა (თანდ. 2013:290); ჩვენი რესპონდენტის ცნობით, ამ ზმნის-ართს, ძირითადად, იყენებენ არქაბულში.

- (9b) აჯელე ნუნკაპუნ/ნულუნ/ინჩვირს/ფუთხუნ/იგზალუ „სწრაფად მირბის/მიდის/მიცურავს/მიფრინავს/წავიდა“
- მაგ. აჯელე უღურ „ეჩქარება“; ზედმიწევნით: „სიჩქარე აქვს“;
- აჯელე ივ ზალუ „მოუთმენლად წავიდა“, „ჩქარა წავიდა“.
- (9c) უსულა ნუნკაპუნ/ნულუნ/ინჩვირს/ფუთხუნ/იგზალუ „ნელა მირბის/მიდის/მიცურავს/მიფრინავს/წავიდა“
- მაგ. 1. ამო უსულა მოთ მოთ უღურ „ასე ნელა რატომ მიდიხარ?“ (ჭტ. 43<sub>13</sub>)
2. [...] უსულა ივ ზალუ დაღიშა (ჭტ. 43<sub>9</sub>), „ნელა წავიდა ტყისკენ“.
- (9d) თამო ნუნკაპუნ/ნულუნ/ინჩვირს/ფუთხუნ/იგზალუ „ნელა მირბის/მიდის/მიცურავს/მიფრინავს/წავიდა“

მაგ., უკულე თამო-თამო მოხთუ დო ოხოიში ოცხონეს ქომეშახთუ (უღ. 1938, 41) „მერე ნელა-ნელა მოვიდა და სახლის სახურავში შევიდა და შეიძალა.“

**1.6. მოძრაობის ასპექტი და დრო.** ზოგადად, ქართველურ ენებში, მათ შორის ლაზურშიც, მოძრაობის პროცესის დროითი განსხვავება (აწმყო, ნამყო, მყოფადი) დაკავშირებულია ასპექტურ განსხვავებასთან. ეს მოვლენა იმდროინდელი ფორმაციის გადმონაშთი ჩანს, „როდესაც ზმის უღვლილება დროის მიხედვით ცვლას არ გულისხმობდა, უღვლილება ასპექტების ანუ პროცესის სახეობათა აღნიშვნაში მდგომარეობდა“ (ჩიქობავა 1948:77). მაგრამ რამდენადაც დრო განსხვავებულად რეალიზდება აორისტის მქონე და მის არმქონე ენებში (ლაიონზი 1978:332-333), ამდენად ქართველურ ენებშიც აწმყოსა და აორისტის ჯგუფის ფორმებს შორის ასპექტური განსხვავება – სრული/უსრული მოძრაობის წყვეტა-უწყვეტობით გამოიხატა (ქობალავა 2019).

ლაზურში ხმელეთზე მოძრაობის ძირითადი ფორმა სელა რამდენიმე ზმნური ძირით გადმოიცემა, რომელთა შორის არის ლექსიკური და გრამატიკული სხვაობა.

პირველი სერიის აწმყო-მყოფადის ჯგუფის ფორმებში დროის გამოსახატავად გამოყენებულია უსრულასპექტიანი უღ- ძირი, რომელიც დრო-კილოთა სისტემის დანარჩენ სერიასა და მწრივში არ მეორდება:

- (10) ია ნ-ულ-უ-ნ  
PRV-R-PRS.S3.SG

თუმცა აწმყოშივე პარალელურად წარმოდგენილია დ- ძირის შემცვლელი ნაკლული პარადიგმა: ნამყო უსრული – ნიტუ, კავშირებითი I – ნიტას, ნანამყო უსრულარი I – ნიტერენ, პირობითი I – ნიტუკონ.

ქართულისებური წარმოების მყოფადის ფორმები ერთმანეთის პარალელურად სამ სხვადასხვა ძირს უჩვენებს: -უღ (11a), -დ(უ-დ-უ) (11b) და -ხო (ხო < რთ < \*ქთ < ქც) (11c) და:

(11a) ია მინდ-ულ-უ-ნ „წავა“  
PRV-R-THM-FUT.S3.SG

(11b) ემუქ მინდ-ი-ტ-უ < \*მენდა-იდ-ა-ტ-უ „წავიდოდა“  
PRV- MA:CV-R/IMP-S3.SG.

(11c) ემუქ მენდა-ხთ-ა-ტას „წავიდოდეს“  
PRV-R-CONJ-S3.SG.FUT:CONJ

აორისტისაში კი – სრულასპექტინი წყვეტილის ფორმა წარმოდგენილია ულ-ძირთან მონაცვლე ხთ- ძირით, ასევე პარალელურად და გზალ- ძირების-გან ნაწარმოები ფუძეებით:

(12a) მენდა-ხთ-უ [წავიდა]  
PRV:AFF-R-AOR.S3.SG

(12b) ი-დ-უ [წავიდა]  
MA:CV<sup>15</sup>-R-AOR.S3.SG

(12c) ი-გზალ-უ<sup>16</sup> [წავიდა]  
MA:CV-R-AOR.S3.SG

მესამე სერიის ფორმებიც ერთმანეთის პარალელურად სამი სხვადასხვა ძირი-სგან ნაწარმოები ზმნების უღლებას უჩვენებს: ხთ- || დ-|| გზ-ა-ლ-<sup>17</sup>, თუმცა რამდე-ნიმე მწყრივი ამ პრინციპს ვერ მიჰყება, კერძოდ, მყოფადისგან ნაწარმოებ მწყრი-ვებში და გზ-ა-ლ- ძირებია წარმოდგენილი, ხოლო ინვერსიული თურმეობითე-ბის პარადიგმა მხოლოდ ხთ- ძირს ეყრდნობა.

ლაზური გზ-ა-ლ- ნასახელარი ფუძეა (<გზ-ა>); ქართულში გზ- ძირის შემცვე-ლი მგზავრ- (გამგზავრება, ძიებმგზავრება) ფუძეის მნიშვნელობა უკავშირდება მოძ-რაობის მანძილს – „შორ გზაზე წასვლას“ (ქეგლ), განსხვავებით ლაზურისგან, რომელშიც ზმნური ფუძეები მანძილს – შორს და ახლოს – ვერ ასხვავებენ. შდრ.

(13a) [...] სოხუმიშა ივ ზალუ (ჟღ. 1938, 39) „სოხუმში წავიდა“.

(13b) [...] კაპინეი ოხოიშა იგზალუ (ჭტ. 1819) „სირბილით სახლში წავიდა“.

ამასთან გზალ-ფუძის უღლების პარადიგმა ნაკლულია და მისგან ვერ იწარ-მოება პირველი სერიისა და ინვერსიული თურმეობითების ფორმები.

<sup>15</sup> [ი-] პრეფიქსი საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებთან დაჩნდება მეორე სერიაში, შდრ. ქართ. ი-არ-ა, მეგრ. ი-დ-უ (ქართ. ი-ცხოვრა, ი-ძეფა ტიპი); ვინაიდან პრეფიქსის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა და საჭიროებს დაზუსტებას, ამ ეტაპზე დიად ვტოვებთ მისი ფუნქციის აღწერას და ვანიჭებთ ძელიაუქტივებისთვის მასასათვებელი ხმოვნის სტატუსს.

<sup>16</sup> შდრ. ივ ზალონი „სატარებელი“ (ჩიქობავა 1936:98).

<sup>17</sup> ეტიმოლოგიურად გზა-ხთან დაკავშირებული ფუძე ყველა ქართველურ ენაშია დადასტუ-რებული და საერთოქართველური ფუძე ენის დონეზე აღდგენილია \*გზ- ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:144); გზ-ა-ლ- ფუძეში /ლ/ ფონეტიკური ჩანართია და გვხვდება როგორც სახელურ, ისე ზმნურ დერივატებში (იგივე, გვ. 145).

მოძრაობის სხვა ძირითადი სახეების აღმნიშვნელი ფუქტების – ოჯუთხუ „ფრენა“, ონჩვირუ „ცურვა“ დროითი და ასპექტური ოპოზიცია არ ემყარება ძირის მონაცელებას, არამედ სხვა პრინციპზეა აგებული და დამოკიდებულია გრამატიკული რეპრეზენტაციების, ფუქტის შემადგენელი მორფების, კომბინაციებზე; ამავე პრინციპის მიჰყება ტრანსფორმირებული შინაარსის ტრანსფორმირებული დინამიკური ზმნა ნოუფე „მიჰყავს“ (MSD: ო-ყონ-უ. „წაყვანა“) და ნიმუშს „მიაქვს“ (MSD: ო-ღ-უ (თანდილავა 2013:672).) ო-ღმალ-უ > ო-მალ-უ „წაღება“;

წაღების აღმნიშვნელი ზმნური ძირი დრო-კილოთა პარადიგმის რამდენიმე მწერივში ამოსავალი ფორმის გვერდით ფონოლოგიურად ტრანსფორმირებული სახითაც არის წარმოდგენილი; დაკარგულია ძირეული მორფებული ინვენტარი /ღ-/,<sup>18</sup> უფრო სწორად, იგი ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი.

ფონოლოგიურად ტრანსფორმირებული ფორმა:

(14a) მა მე-ვ-ი-მ+ერ<sup>19</sup>

S1:NOM PRV-S1-SV-[R=Ø]-THM(PRS)

(14b) ემუქ ნ-ი-მ+ერ-ს

S1:ERG PRV-SV-[R=Ø]-THM-PRS.S3.SG

არატრანსფორმირებული პარალელური ფორმა:

სოფურ-ჩხალური	შდრ. ვიწურ-არქაბული:
(14c) მა მე-მ-ი-ღ-უ-ნ <sup>20</sup> S1:DATPRV-O1-OV-[R=Ø]-THM-RS.S3.SG	მა მე-ვ-ი-ღ-ამ S1:DAT PRV-SV-[R=Ø]-THM(PRS)
(14d) ემუქ ნ-უ-ღ-უ-ნ S1:ERGPRV-S1-OV-R-THM-PRS.S3.SG	ემუქ მე-ი-ღ-ამ-ს S1:ERG PRV-SV-R-THM-PRS.S3.SG

<sup>18</sup> ო-ღმალ-უ, ო-მალ-უ: პირველ ფორმაში სონორი /მ/ განვითარებულია, მეორე ფორმაში კი ძირისეული თანხმოვანი იკარგება (შდრ. მეგრ. ღალა, დერივაციული სახელი: ო-ღალ-ი „ტვირთი“);

<sup>19</sup> ეს ფორმები ხოფურ-ჩხალურის ფორმებია, გარდამავალი ზმნების ერთ ნაწილში აწმყოს ფუქტები დაჩნდება -უ-ერ/-უ-მ-ელ სუფიქსი, ათინურში მის ადგილს -ღ-ემ მიმდევრობა იკვებს (ჩიქობავა 1936:73); -უ- თემატურად არის მიჩნეული, -ერ კი ორენ „არის“ მეშვეობი ზმნის გამარტივების შედეგად (ქირია და სხვ. 2015: 416); სარფის მეტყველებაში -ურ სუფიქსს -ეფ თემატური ენაცვლება: უწ-უძ-უფ-ს „უუნება“, ნ-ი-ძ-ეფ-ს „მიაქვს“, ო-ტკ-ოძ-ეფ-ს „აგდებს, სტყორცნის, ისვრის“ (მემიშიში 2001:75), რაც -ერ სუფიქსის კვალიფიკირის საკითხს პრობლემურს ხდის. რაც შეეხება ამ კონსტრუქციის ძირის ფონემური შედეგნილობის საკითხს, ნ-ი-ძერ-ს <\*ნ-იღ-ძერ-ს პროცესის მართებულობას პირველი-მეორე პირისა და სხვა დაილექტების ფორმებიც ადასტურებს (13c), (13d).

<sup>20</sup> შდრ. მეგრ. მემიღუ „მიაქვს“.

დრო-კილოთა პარადიგმაში მემიღუნ/მემიღამ „მიმაქვს“ ზმნისათვის პარალელური ფორმები გვაქვს ხოფურ-ჩხალური დიალექტის აწმყოსა და ქართულისებური მყოფადის მწკრივში, ფონოლოგიურად ტრანსფორმირებული ძირიც მხოლოდ პირველ სერიას მიჰყვება, ხოლო ტრანსფერული წაღების შინაარსის ზმნები დანარჩენი სერიების ყველა მწკრივში ამოსავალი, ძირეული /ლ/ ინვენტარით არის წარმოდგენილი.

თავისებურია ფუძის ყალიბებიც, წაღება ზმნის დრო-კილოთა პარადიგმა წარმოდგენილია ორი განსხვავებული წყობით: ვინის რიგისა და მანის რიგის ნიშნებით (შდრ. მა მე-ვ-იმერ, მა მე-მ-იღუნ „მე მიმაქვს“), რაც ამ მნიშვნელობის ფუძეში განსხვავებული გრამატიკული რეპრეზენტანტების კომბინირების საფუძველს ქმნის.

### აბრევიატურები:

AFF – აფირმატივი, AOR – წყვეტილი, CONJ – კავშირებითი, CV – მახასიათებელი ხმოვანი, DAT – მიცემითი, ERG – ერგატივი, FUT – მყოფადი, IMP – უწყვეტელი, INTR – გარდაუვალი, MA – მედიოაქტივი, MSD – მასდარი, MSD1 – კონფიქსური მასდარის ერთი ელემენტი, NOM – სახელობითი, O1 – პირველი ობიექტური პირი, PL – მრავლობითი, PRS – აწმყო, PRV – ზმნისწინი, S1 – პირველი სუბიექტური პირი, S3 – მესამე სუბიექტური პირი, SG – მხოლობითი, THM – თემატური სუფიქსი, TR – გარდამავალი, V – ზმნა, [:] – ფუნქციის ჩაშლა, [.] – მრავალფუნქციურობა, [/] – მონაცემება, [=] – ეკვივალენტურობა.

## ლიტერატურა

**თანდილავა 2013:** ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, გამომცემლობა „საარი“, თბილისი.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**გერსამია და სხვ. 2016:** რ. გერსამია, ზ. კიკიძე, მ. ლომია, ნ. მამისეიშვილი, მ. საღლიანი, ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბილისი.

**კარტოზია 2005:** გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.

**ლაიონზ 1978:** ჯ. ლაიონზ, *Введение в теоретическую лингвистику*, Перевод с английского языка под редакцией и с предисловием В. А. Звегинцева, «Прогресс» Москва.

**მემაშვილ 2001:** ო. მემაშვილი, აწმყოს ფუძის წარმოების ერთი თავისებურება სარფულში, XXI სამეცნიერო დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი.

**ტალმი 1985:** L. Talmy, Lexicalization patterns: Semantic structure in lexical forms, In: *Language typology and syntactic description*, T. Shopen (Ed.), Cambridge, Cambridge University Press.

**ფერნიში, სარჯველაძე 2000:** ჰ. ფერნიში, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური დეკსილონი, თსპუ გამოცემა, თბილისი.

**ქირია და სხვ. 2015:** ჭ. ქირია, ღ. ეწუგბაძა, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული ვრამატიკა, I, გამომცემლობა „მერიდანი“, თბილისი.

**ქობალაძე 1915:** ულა „სვლა“ ზმის სემანტიკა მეგრულში, ტაბოლოვისური ძიგანი, VII, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი.

**ქობალაძე 2019:** ო. ქობალაძა, ძირის სემანტიკური კომპონენტები მეგრულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძრამბე, სტატიის ხელნაწერი (გადაცემულია დასაბეჭდად)

**შანიძე 1980:** ა. შანიძე, ქართული ენის ვრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ჩიქობაძა 1948:** ა. ჩიქობაძა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1, თბილისი.

**ჩიქობაძა 1936:** ა. ჩიქობაძა, ჭანურის ვრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

**წულაძა 2018:** ნ. წულაძა, ცოცხალი-არაცოცხლი სემანტიკური კატეგორიის ლექსიკურ დონეზე გამოხატვა მეგრულში, ენა და კულტურა, XX, ქუთაისი.

**ჯაკენდოფი 1983:** R. Jackendoff, *Semantics and cognition*, MIT Press, Cambridge, Massachusetts.

**ჯაკენდოფი 1990:** R. Jackendoff, *Semantic Structures*, MIT Press, Cambridge.

### ტექსტები:

ქლ. – **შდენტი 1938:** ს. შდენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, ქნიგის გამოცემა, ტფილისი.

ჭტ. – **ჩიქობაძა 1929:** ჭანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი, ხოფური კილოკავი, ტფილისი.

Rusudan Gersamia

## The Conceptual Structure of Verb Roots Denoting Motion/Movement in Laz

### Summary

The nucleus of the verb stem in Laz is the root morpheme, with representatives having different morphosyntactic functions – prefixal and suffixal morphemes, arranged to its right and to its left. Unlike the stem, the verb root is an indivisible, unstructured element, but the meaning is denoted by the stem as well as the root.

In Laz meanings denoted by roots are concepts, which express general characteristics essential for movement, such as: *dynamics/statics, subject of movement, type of movement,*

*volition, speed, aspect and time of movement* (Kobalava 2015); whereas the meaning rendered by the stem is lexical; this meaning is defined by the representatives, functional satellites, which are found around the root and which, within a specific verb construction, ensure rendering a specific *lexical and grammatical meaning*.

The root morphemes of verbs denoting movement in Laz are neutral from the viewpoint of characterization of movement according to specific location features (*direction and orientation of movement, place of localization*); this function is fulfilled by the satellites, arranged around the root, mostly, by prefixal morphemes – preverbs.

The present paper offers a detailed analysis of verb roots denoting movement – roots expressing *motion/movement per se* and those denoting *transpositional* contents, their semantic components; it also discusses the peculiarities of root alternation in the Laz tense-and-mood system according to dialects, and demonstrates morphological and semantic differences between alternating roots.

## აკადემიკოს სერგი ჯიქიას ეტიმოლოგიური ძიება

აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიის კვლევით სერგი ჯიქია ახალგაზრდობის წლებიდანვე ყოფილა დაინტერესებული, ამის დასტურია მისი არაერთი ნაშრომი: „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №2, თბილისი 1944); კოლექტური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, იბერიულკავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი 1946); აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან (საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. ენათმეცნიერების ინსტ. შრ. (აღმ. ენათა სერია), ტ. III, თბილისი 1960); აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან (წაკითხულ იქნა მოხსენებად აკად. გ. აზვლედიანის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნების ინსტიტუტი, 18.10.1977; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი 1984) და სხვ.

ყურადსალებია სერგი ჯიქიას მოსაზრება ეტიმოლოგიური კვლევების მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მშობლიური ენის მეცნიერულად და სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა, სხვათა შორის, ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა ინტენსიური მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სათანადო სიზუსტით გაირკვეს და გამოვლინდეს მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა შედეგად ქართულ ენაში დაფუძნებულ არაბულ-სპარსულ-თურქულ-სომხურ ლექსიკურ ნასესხობათა გარკვეული ფენა (წერეთელი 1947:34). ასეთი ხასიათის სამუშაო ფრიად შეუწყობს ხელს აგრეთვე დიდი მცნიერული მნიშვნელობის მქონე, მაგრამ საქმაოდ დაგვიანებული ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის საქმეს“ (ჯიქია 1984). ეს საკითხი დღესაც აქტუალურია.

1984 წელს „მაცნეში“ გამოქვეყნებული ნაშრომის – „აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან“ – შესავალში ს. ჯიქია წერს: „1960 წელს ამავე სათაურით ჩვენ გამოვაქვეყნეთ სტატია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომებში, ქვემოთ წარმოდგენილა ცნობები ქართულ ენაში დამკიდრებული რამდენიმე აღმოსავლური წარმოშობის საკუთარ და ზოგად სახელთა შესახებ. კარტოთეკაში დაგროვილი მასალიდან ამჯერად ჩვენ შევარჩიეთ ერთი ჯგუფი,

რომელთათვისაც აქ ნაჩვენებია წარმომავლობის წყარო და განხილულია ფონეტიკურ-სემანტიკური ვითარება. ვფიქრობთ, რომ ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა ამგვარი ლექსიკური მასალის განხილვისა“ (ჯიქია 1960). „ამ წნის განმავლობაში ჩვენ ამ თემაზე კიდევ მოგვიგროვდა მასალა, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (თვალების დაავადება), მისი დამუშავება და გამოქვეყნება აქმდე ვერ მოხერხდა“ (ჯიქია 1984).

ს. ჯიქიას ამ სერიის ნაშრომებიდან ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ მის გამოკვლევაზე – „მასალები „გუთან“ სიტყვის ისტორიისათვის“ (ხელეური, ისტ., არქ. და ეთნოგრაფ. ინსტ., ტ. 22, თბილისი 1985) რამდენიმე მიზეზის გამო: იგი „გუთან“ სიტყვის ეტიმოლოგიას რამდენჯერმე მიუბრუნდა (1946, 1977, 1985), რაც მეტყველებს მკვლევრის მაღალ პროფესიონალიზმზე, თანმიმდევრულ და ფრთხილ დამოკიდებულებაზე ამგვარი სამუშაოს შესრულებისას.

პირველად „გუთან“ სიტყვის ეტიმოლოგიას სერგი ჯიქია თურქულ ენებში დამკვიდრებული კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინის „მოდგამის“ კვლევისას შეეხო (ს. ჯიქია 1946).<sup>1</sup> იგი ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში“ ქართული სასოფლო-სამეურნეო იარაღების, უმთავრესად კი სახვნელი იარაღების წარმოშობისა და მათი თანდათანობით გაუმჯობესების საკითხთა კვლევისას მიღებულ დასკვნებს, რომ „ძველ საქართველოს მიწის მოქმედების მაღალხარისხოვანი კულტურა პქნდა და მეზობელი ერები – სომხები, აზერბაიჯანელები, ანატოლიელი თურქები, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და სხვ. – ქართველებისაგან ითვისებდნენ როგორც გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ისე თვით მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ტექნიკას“ (ჯავახიშვილი 1930:248-260).

ამ მოსახრების სასარგებლოდ მეტყველებს ივ. ჯავახიშვილის მიერვე დადგენილი ფაქტი: მაშინ, როდესაც შუა აზიისა და სხვა თურქულ ტომებში, ისევე როგორც დასავლეთ ანატოლიაში, „გუთან“ სიტყვის ეკვივალენტად „საფან-საბან“ (صبان – صبان) გვევლინება, აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებში, ანუ, როგორც თვით მკვლევარი უწოდებს, „ოსმალეთის აღმოსავლეთის თემებში“, ან „თურქეთის ვილაიეთების“ მოსახლეობაში „გუთან“ (گوتان) სიტყვა არის გავრცელებული (ჯიქია 1946: 293-294). აქვე, ს. ჯიქია მიწის დამუშავებაში ქართველების უპირატესო-

<sup>1</sup> ამ სახელს ეურადღება მივაქციე მ. შანიძის პუბლიკაციაში „აკაკი შანიძე ვაჟა-ფშაველას შესახებ“ (ენათმეცნიერების საკითხები, 2, 2000), სადაც გაღმოცემულია ვაჟა ფშაველას თხზულებათა მე-2 ტომის გამოცემის ისტორია: ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ გეორგანშვილის თაოსნობით დაწყებული საქმე რევოლუციის დროს შეწყვეტილა და მოგვიანებით მის ვაჟს, პაპისავე სახელმოღვაწს, ასევე ექიმს, გადაუწყვეტია გამოცემის დაბოლოება, მიუკითხავს ფილიპე მახარაძისთვის, რომელსაც იგი გაწბილებული გამოუსტუმრებია უკან, ქეჩაში მისთვის გულს უმტკუნა, შინ ეტლით მიუვანათ და სულ მაღე დაულევია სული (ამ ძირის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს, ი. ტფოლელს, ი. აბულაძეს, ნ. ბერძნიშვილს, გ. ლეონიძეს).

ბის დასამტკიცებლად მსჯელობს „სიმინდის“ აღმნიშვნელი ლაზური სახელისაგან მომდინარე თურქულში დამკიდრებულ „ლაზურ“ სიტყვის ეტიმოლოგიაზე.

და აი, 38 წლის შემდეგ, 1985 წელს, ს. ჯიქა კვლავ უბრუნდება „გუთან“ სიტყვის ეტიმოლოგიას და აქვეყნებს სტატიას „მასალები ,გუთან“ სიტყვის ისტორიისათვის“ (ხელეური, ისტ., არქ. და ეთნოგრაფ. ინსტ., ტ. 22, თბილის 1985). მიბრუნების მიზეზი გამზღვარა 1971 წელს სტამბოლის უნივერსიტეტის სამეცნიერო ორგანოში – „თურქული ენისა და ლიტერატურის კრებული“ (Istanbul Üni-versitesi Edebiyat Fakültesi – Türktilive Edebiyatı Dergisi, ტ. XIX) გამოქვეყნებული პროფ. ა. ჯაფეროღლუს სტატია, რომელშიც, როგორც ს. ჯიქა აღნიშნავს, ყოველგვარი მეცნიერული მონაცემების გარეშე მთლიანად უგულებელყოფილია საქართველოში მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის ფაქტი და ჩვენშივე მეტად სრულყოფილი სახველი იარაღის აღმნიშვნელი გუთან სიტყვა შეა აზის მკიდრ თურქ ხალხისგან მომდინარე საქართველოში დაფუძნებულ სუბსტრატად არის მიჩნეული, აერძოდ, გუთან სიტყვა გამოცხადებულია თურქული ვითომდა kotan// köten სიტყვის ქართულ სახეცვლილ ფორმად. ს. ჯიქა განიხილავს თურქული ენის, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვანი ლექსიკონის მონაცემებს, გამოკვლევებს და აღნიშნავს, რომ ძველ და ახალ თურქულ ენებში სახველი იარაღის ძირითადი ეროვნული სახელია sapan/saban, ყველგან მოცემულია ამ ფუძის ვრცელი და დეტალური აღწერა, მაშინ, როდესაც kotan სიტყვა, როგორც, ალბათ, არათურქული და შემდგომში შემოსული, მეტად მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვითაა განმარტებული, ან სულ სხვა მნიშვნელობებია წარმოლგენილი: საკუთარი სახელი, ფარეზი, მშიშარა, ფრინველთა სახეობანი და სხვ. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ სიტყვა კოტან-ის გამოყენების არედ მოხსენებულია ისტორიული ქართული პროვინციები (ისპირი, ფოცხვი). მასალის ვრცელი მიმოხილვის საფუძველზე, ს. ჯიქა ასკვნის: „ამრიგად, უტყუარი წყაროებიდან ამოწერილი ფაქტობრივი მონაცემების შუქზე დამაჯერებელი ხდება, რომ შეა აზისა და შეა აზიური წარმომავლობის, მაგრამ ისტორიულ ვითარებათა შედეგად სხვადასხვა ქვეყანაში დამკვიდრებულ თურქულ ტომთა ენებისათვის თავდაპირველი, ოდინდელი ეროვნული სახელი სახველი იარაღისა ყოფილა „საბან“ (sapan/saban) ... რაც შეეხება kotan სიტყვას, არც ძველ თურქულში, არც თანამედროვე თურქულ ენებში ის ან სულ არ იხმარება, ანდა არა აქვს სახველი იარაღის მნიშვნელობა“. ს. ჯიქას აზრით, ავტორს (ა. ჯაფეროღლუს – მ.ი.) არავინ დაეთანხმება იმაში, რომ თურქულმა kotan-მა პივა „საუკეთესო ფორმით გავრცელებისა და განვითარების შესაძლებლობა“ საქართველოში. პირიქით, მოხდა სავსებით ბუნებრივი რამ: უძველესი და მაღალი მიწათმოქმედების კულტურის მქონე საქართველოდან თვით სიტყვაც და სახველი იარაღიც (გუთანი) გადავიდა იმ თურქული მოდგმის ტომებში (აზერბაიჯანელები და ანატოლიელი თურქები), რომლებსაც ისტორიულმა ბედმა არგუნა, საქართველოს მომიჯნავე და უშუალო მეზობლები გამხდარიყვნენ (ჯიქა 1985:

258). აღნიშნულ სტატიაში ა. ჯაფეროლლუ ეხება „ჯილდა-გოგორას“ „პატარა გუთნის“ მნიშვნელობით ხმარებულ სახვნელი იარაღის სახელსაც, რომელიც, კოტან-ის მსგავსად, ასევე აღმოსავლეთ თურქეთისა და საქართველოს საზიარო სახვნელ იარაღად მიაჩნია. ს. ჯიქია ამჯერადაც დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ჯილდა-გოგორა გავრცელებულა მხოლოდ არტაანს, არტანუჯს, ჩილდირსა და შავშეთში, ანუ ისტორიულ ქართულ რეგიონში. ამდენად, იარაღიცა და მისი სახელწოდებაც მთლიანად ქართულს უნდა წარმოადგენდეს და როგორც ქოთანი ქართული სამყაროდან არის გადასული სხვა ხალხების ენაში (ჯიქია 1985:260).

დაბოლოს, ს. ჯიქიას მოჰყავს ივ. ჯავახიშვილის დასკრა: „ოსმალეთში“ „ქოთენ“ მარტო აღმოსავლეთის მოსაზღვრე და კავკასიის მეზობლად მდებარე ნაწილშია, სხვაგან „საბან“-ი იხმარება, რომელიც სახვნელის ნამდვილ თურქულ ტერმინად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ეს ტერმინი მიღებულია ერთმანეთისგან ისეთ დაშორებულ ერთა შორის, როგორებიც ყაზანელი „თათრები“, ნოღულნი და ოსმალონი არიან; აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მხოლოდ აზერბაიჯანელ თურქ-თათრებს შორის გვხვდება. მაშასადამე, ტერმინი „გუთანი“ და ყველა მისი ფონეტიკური სახელაცვალი საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და მისი გავრცელების რადიუსები შორს არ მიდის. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ზემოსენებულ ერთაგან არც ერთს ამ ტერმინის არსებობის ესოდენ ძველი საბუთების წარდგენა არ შეუძლია, როგორც ქართულს, მაშინ თავისთავად წარმოიშობა აზრი, რომ „გუთანი“ პირველად საქართველოში, სახელდობრ, ლიხთ-იმერეთში, უნდა იყოს გაჩერილი და აქითგან გავრცელებულია მეზობელ ერთა შორისაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას მხოლოდ ის გარემოება აპროლებს, რომ გუთანის ეტიმოლოგია გაურკვეველია (ჯავახიშვილი 1930:247-248).

ს. ჯიქია უყურადღებოდ არ ტოვებს არც არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს გუთან სიტყვის ეტიმოლოგიის ძიებისას, კერძოდ, აკად. გ. ჩიტაის შრომებს, მიძღვნილს სახვნელი იარაღებისა საერთოდ და, კერძოდ, ქართული გუთანს შესწავლისადმი: „სახვნელ იარაღთა სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით საქართველო თვლება მათ ცოცხალ მუზეუმად“ (ჩიტაი 1963:650). ამ ფაქტმა იმიტომ მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომ დღეს კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგიის კვლევა, უძველესი ფუძეების რეკონსტრუქცია არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინების გარეშე ვერ შექმნის, ვერ აღადგენს სრულ სურათს წინარე ხალხების ცხოვრების წესის, სოციუმის, მსოფლხედვის შესახებ.

გუთან- ფუძის წმინდა ენობრივ ანალიზს ს. ჯიქია თავად არ ეხება, მხოლოდ მოჰყავს ვ. აბაევის მოსაზრება ამ სიტყვის შესაძლო საერთოკავკასიური ფუძის წარმოშობის შესახებ (აბაევი 1958) და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, იმოწმებს თ. გონიაშვილის სტატიას, სადაც გამოთქმულია ვარაუდი, რომ გუთ-ან-ი ქართველურ ენათა ორგანული ენობრივი შენაძენი უნდა იყოს: მართალია, ამჟამად გუთ- ძირის მნიშვნელობა გაურკვეველია, თუმცა ცნობილია, რომ ისტორიულად

ძველ ქართველურ ენებში -ან- აფიქსი აწარმოებდა სიტყვას საგნის დანიშნულების შინაარსით, შდრ. ერქვ-ან-ი, ქოთ-ან-ი, აკვ-ან-ი, საკ-ან-ი, მეგრ.: ლავვ-ან-ი და სხვ. (გონიაშვილი 1940:580-581).

ს. ჯიქია ზემოთ წარმოდგენილ გამოკვლევაში (და სხვა დასახელებული ავტორებიც) არ განიხილავს გუთან- ფუძის ქართველურ შესატყვისებს. ჩვენ შევეცადეთ შეგვევსო ეს ეწ. ლავუნა და გადაგვედგა კიდევ ერთი ნაბიჯი ამ ფუძის ეტიმოლოგიის სრული სურათის შექმნისაკენ, რაც, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ამყარებს ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯიქიას მოსაზრებას გუთან- ფუძის ქართული წარმომავლობის სასარგებლოდ.

გუთან- მიწის სახნავი იარაღი ძველ ქართულში გამოვლენილი არ არის. ივ. ჯავახიშვილის აზრით, გუთნამდე გვქონდა ერქვანი, მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ სახელის შეცვლა: გუთანი წარმოადგენს ფამფალაკ-გოგორებით გაუმჯობესებულ ერქვანს (ჯავახიშვილი 1930:191).

სულხან-საბა ობელიანის განმარტებას – „გუთანი სომხურია, ქართულად ერქვანი ჰქვიან“-ო, ივ. ჯავახიშვილი მცდარად მიიჩნევს, რადგან, მისი აზრით, არც გუთანი არის სომხური სიტყვა და არც ამ სიტყვით აღნიშნული იარაღია იგივე ერქვანი (იქვე).

ბ. გიგინეიშვილი თავის ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (გიგინეიშვილი 2016) გუთან სიტყვის ეტიმოლოგის განხილვისას აღნიშნავს: საინტერესოა, რომ პრ. აჭარიანსაც არ მიაჩნია ეს სიტყვა სომხურიდან ქართულში ნასესხებად. იგი ფიქრობს, რომ სომხური ეკუთა (რეკონსტრუირებული ფორმა gutan-ისა) „აღმოსავლურ კავკასიურ ენათაგან ნასესხები სიტყვაა“ (პრ. აჭარიანი 1971:587). აბაევის აზრით, ოსური ეკუთა //goton („გუთანი“) უცნობი წარმომავლობის საერთო კავკასიური ფუძეა (იხ. გიგინეიშვილი 2016).

ბ. გიგინეიშვილი ასევე ასახელებს ჩრდილოკავკასიურ ენებში გუთნის აღმნიშვნელ ტერმინებსაც: ხუნდ. kutan, ჩეჩნ. გöta, ინგ. gotanger, ბაცბ.gota, აფხ. kotan, უდ. Kötän, ასევე, ოსურ ეკუთა/goton-ს, სომხურ gutan-ს, აზერბაიჯანულ kotan-ს, და ასეთის, რომ, როგორც ჩანს, ეს ტერმინი არეალურია. იგი მოიცავს მთელ კავკასიისა და მიმდებარე ტერიტორიას (შდრ. ოურქ. kutan, ქურთ. kotan), და ივარაუდება, რომ შემოსულია მცირე აზიდიდან.

თვით კავკასიის ენებს გუთნამდე ჰქონდათ საკუთარი სახვნელი იარაღები. ასეთი იყო დაღესტნის ენებში: ხუნდ. ფურუც „სახნისი“, ახვ. შებუც, დიდ. ბირუც, დარგ. \*ბურაძ/დურაძ, ლეზგ. თურეზ, თაბ., აღულ. დურუც, უდ. ფენუც.

ბ. გიგინეიშვილის აზრით, ქართველურ ენებში ეს ტერმინები ქნ-ვ-ა ზმნიდან უნდა იყოს ნაწარმოები (ქართ. სა-წნ-ი-ს-ი, სა-წნ-ვ-ელ-ი, მეგრ. \*ო-ხონ-უ/\*ო-ხონ-ალ-ი), თუმცა რა კავშირშია გუთან- ძირთან, ნაჩვენები არ არის (გიგინეიშვილი 2016).

რაც შეეხება სხვა ქართველურ ენათა მონაცემებს: მეგრულში გუთან-ი (რ.) მიუკრისტულებულია ი. ყიფშიძის მეგრული ენის გრამატიკაში (ყიფშიძე 1914), ა. ქობალიას მეგრულ ლექსიკონში: გუთანიშ გემუკენჯი - გუთნის მიმყოლი, მეგრუნე (ქობალია 2010), და მ. ჩუხუას იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებით გრამატიკაში, სადაც ქართ. გუთ-ან, გუთ-ან-ი, ზან. გურთ-ან-, გურთ-ან-ი „გუთანი“, სვან. გუთ-ან „გუთანი“ შესატყვისობის საფუძველზე ნავარაუდევია საერთოქართველური \*ქოთ-ან- არქეტიპი მნიშვნელობით „გუთანი“ (ჩუხუა 2008).

ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის სვანური ენის ლექსიკონის მიხედვით გვაქვს: გუთან- (-თნიშ, -თნარ ბქ., -იშ, -თან რ ლნტ.), გუთან (-არ) ლშხ. – გუთანი. გუთნარე ლიჭდალდ... ლაჭნიდ ლენწმარ ნულტანდა (ბქ. 229) – გუთნების შემოსვლამდე სახნავად კავები გვქონდა. შდრ. ღამწწუიშ – კავი (სახვნელი იარაღი); გუთანი (თოფურია, ქალდანი 2000). სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობაა წარმოდგენილი სვანურის სხვა ლექსიკონებშიც (ნიუარამე 1910, დონდუა 2001).

ჩვენი აზრით, ქართველურ ენათა: ქართ. გუთ-ან-ი : ზან. გურთ-ან-ი : სვან. გუთ-ან „გუთანი“ შესატყვისობა იძლევა საშუალებას საერთოქართველური \*გუთ-ან- ფუძის აღდგენისა, რაც თანხმობაშია ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის წესებთან (ახვლედიანი 1999: 379). თუმცა გუთ სავარაუდოდ ზმნური ძირის ეტიმოლოგია კვლავაც გაურკვეველია.

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა კიდევ უფრო ამყარებს ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯიქიას მოსაზრებას გუთან- ფუძის ქართული/ქართველური წარმომავლობის შესახებ და უეჭველია, შესაბამისი ფუძის სხვა ენებში ნასესხობა ქართულიდან უნდა განისაზღვროს და არა პირიქით.

## ლიტერატურა

**ახვლედიანი 1999:** გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონუტიკის საფუძლლები, თსპუ, თბილისი.

**აჭარიანი 1971:** პრ. აჭარიანი, სომხურ ძირული სიტყვათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი,

ტ. 1, ერევანი (სომხ.).

**გიგინეოშვილი 2016:** ბ. გიგინეოშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-გ), საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემია, თბილისი.

**გონიაშვილი 1940:** თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბილისი.

**დონდუა 2001:** კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თსპუ, თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, გამომცემლობა „ქარანი“, ლექსიკონი „ქართული ენა“, თბილისი.

**ორბელიანი 1991:** ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

- ქობალია 2010:** ა. ქობალია, მუზრული ლექსიკონი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
- ჩუხუა 2008:** მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- წერეთელი 1947:** გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამცნოერო სეიუბი, № 1, ძოხსენებათა კრებული (2-4, III. 46), თბილისი.
- ჯიქია 1944:** ს. ჯიქია, „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის, საქ. სსრ მუცნიურებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №2, თბილისი.
- ჯიქია 1946:** კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში, საქ. სსრ მუცნიურებათა აკადემია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი.
- ჯიქია 1960:** აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, საქ. სსრ მუცნიურებათა აკად. ენათმეცნიერების ინსტ. მრ. (აღმ. ენათა სერია), ტ. III, თბილისი.
- ჯიქია 1984:** აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.
- ჯიქია 1985:** მასალები „გუთან“ სიტყვის ისტორიისათვის, ხელფური, ისტ., არქ. და ეთნოგრაფ. ინსტ., ტ. 22, თბილისი.
- შანიძე 2000:** მ. შანიძე, აკაკი შანიძე ვაჟა ფშაველას შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1930:** ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. I, ტფილისი.
- ჯაფეროლუ 1971:** A. Caferoğlu, Türk Kültürü Etnoğrafyasına göre “Kotan”, *Istanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi – Türk Diline Edebiyatı Dergisi*, XIX, სტამბოლი, გვ. 43-50.
- აბაევ 1958:** В. И. Абаев, *Историко-этимологический словарь осетинского языка*, Москва-Ленинград.
- კიშიძე 1914:** И. Кипшидзе, *Грамматика Мингрельского (Иверского) Языка*, С.-Петербургъ.
- ნიჯარაძე 1910:** И. Нижарадзе, *Русско-Сванский словарь*, Тифлис.
- ჩიტაია 1963:** Г. Читая, Пахотные орудия и системы земледелия в Грузии, *Труды двадцати пятого международного конгресса востоковедов*, т. III, Москва.

Marine Ivanishvili

### Etymological Researches of Academician Sergi Jikia

#### Summary

Sergi Jikia had been interested in studying the history of words of oriental origin since his youth; it is proved the number of his works on these issues. In his opinion, such research is important for revealing the lexical borrowings in Georgian, as well as for composing the historical-etymological dictionary of the Georgian language.

From this series of works we have focused on his research “Materials for the History of Word ***gutan***” (Kheleuri, Volume 22, Tbilisi 1985) for the following reason – he returned to the etymology of the word “*gutan*” several times (1946, 1977, 1985), which speaks of the high professionalism of the researcher, of his persistent and cautious attitude to such work.

S. Jikia relies on the materials of Turkic languages, Ivane Javakhishvili’s works, as well as archeological and ethnographic data. He rightly criticizes the article of Prof. A. Japheroglu published in 1971 at the University of Istanbul (İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi – Türk Diline Edebiyatı Dergisi, Vol. XIX, pp. 43-50) and concludes that “*gutan*” should have firstly appeared in Georgia and from here was spread among Turkish tribes (Azerbaijanis and Anatolian Turks), whom a historical fate made immediate neighbours of Georgia.

S. Jikia, while studying the stem *gutan-* does not refer to pure linguistic analysis. In the article there is an attempt to fill this so-called lacuna: the assumptions of various researchers are discussed, materials of Kartvelian languages concerning the root *gutan-* are presented and, on the basis of the following correspondence – Geo. *gut-an-i* : Zan. *gurt-an-i* : Svan. *gut-än -*; \**gut-an-* Proto-Kartvelian stem is reconstructed, which is in accordance with phonotactic rules of Kartvelian languages. In spite of the fact that the etymology of supposedly the verbal root *gut-* is still unclear, its Georgian/Kartvelian origin is undoubted, and the corresponding stem should have been borrowed from Georgian and not vice versa.

„აია“, „აიაია“, „აიეტი“ და „კოლხეთი“

ეგეოსურ ხაზოვან ფარაონებსა

და ბერძნულ ფყაროებში


1. „აია“, „აიაია“, „აიეტი“ და „კოლხეთი“ ეგეოსურ ხაზოვან წარწერებში

ამ პუნქტში წარმოდგენილია საერთოქართველური (საერთოკოლხური) A კლასის ხაზოვანი (=LA) დამწერლობით შესრულებული სამი წარწერა. აქ აგრეთვე მოტანილია მიკენური ხანის ბერძნული B კლასის (=LB) ხაზოვანი შვილი ტექსტი.

1.1. GORILA-ს (Godart, Olivier 1985, V:64, 65) მიხედვით, SY Za 2 (HM 3429) არქეოლოგიურ მასალაზე ამოკვეთილა A კლასის ხაზოვანი წარწერა, რომლის d სტრიქონში ფიქსირდება 𠁧目 LA008+LA057 ნიშანთა მიმდევრობა. ეს არქეოლოგიური მასალა 1973 წელს კუნძულ კრეტაზე, სოფ. სიმიში აღმოაჩინა ბერძენმა არქეოლოგმა ა. ლებესი (Angeliki Lebesi) და დაათარილა MM IIIB–LM IA პერიოდით, (Godart, Olivier 1985, V:10, 9, 112), ანუ ძვ.წ. 1700–1500 (?) წლ-ით.



SY Za 2 (HM 3429) წარწერა (Godart, Olivier 1985, V:64)



*le dernier signe cunéiforme rattaché à 4.*

SY Za 2 (HM 3429) წარწერა (Godart, Olivier 1985, V:65)

ამ წარწერაში **¶目** LA008+LA057 ნიშანთა მიმდევრობას ამოვიკითხავ როგორც a და ja მარცვლებს (კვაშილავა 2011:192), რაც, შესაბამისად, ემთხვევა B კლასის ხაზოვანი დამწერლობის **¶** LB008 და **目** LB057 ნიშნების ფონოლოგიურ მნიშვნელობებს (შდრ. Chadwick 2014:ix; Ventris, Chadwick 1973:23, სურ. 4; 385). ეს ნიშნები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

LA									a
LB									a
LA									ja
LB									ja

© 2014 პატიოლავა

ცხრილი შედგნილია: Evans 1952, II:9, 10, 17; Bennett 1966:298,

ცხრ. I; 299, ცხრ. II; Godart, Olivier 1985, V:XXIX, XXXVII;

კვაშილავა 2011:192-ის მიხედვით

ამდენად, A კლასის ხაზოვან **¶目** LA008+LA057 ნიშანთა მიმდევრობა ამოიკითხება როგორც aja – აია<sup>1</sup> (ძირის დჯდაღვთაუბა?) (კვაშილავა 2010:213, 215-218; Kvashilava 2017:68-69, 2.2.3).

1.2. GORILA-ს (Godart, Olivier 1982, IV:12, 13) მიხედვით, KN Za 18 (HM 2597) არქეოლოგიურ მასალაზე A კლასის ხაზოვანი დამწერლობით ამოკაწრულია შემდეგი წარწერა


<sup>1</sup> შდრ. αῖα – 1. “earth”; 2. “mother, grandmother” (?) (Beekes 2010, I:30-31).

ეს არქოლოგიური მასალა აღმოჩნდა 1937 წელს  
კუნძულ კრეტაზე, კნოსოსში (Godart, Olivier 1982, IV:XXXI; 1985, V:109).



éch. 1 : 1

KN Za 18 (HM 2597) წარწერა (Godart, Olivier 1982, IV:12)



HM 2597. "Table à libations".

KN Za 18 (HM 2597) წარწერა (Godart, Olivier 1982, IV:13)

ამ წარწერაში **LA054** ნიშანს ამოვიკითხავ როგორც \*wa მარცვალი (კვაშილავა 2011:192), რაც ემთხვევა მიკენური ხანის B კლასის ხაზოვანი დაწერლობის **LB054** სილაბოგრამის [wa] შინშეღლობას (შდრ.: Chadwick 2014:იხ; Ventris, Chadwick 1973:23, სურ. 4; 385). ეს ნიშნები მოცემულია შემდეგ კერილში:

LA							wa
LB							wa

კნილი შედგანილია; Evans 1952, II:10, 22, 33; Bennett 1966:298.

Հեր. I: 299, Հեր. II: Godart, Olivier 1985, V:XXXVII:

ამდენად, A კლასის ხაზოვანი ცტიტო ერთ-ერთ წარწერა ამოი-  
კოზება როგორიც ...\*-a-ja | ... -ja | ja-wa-... ეს შესაძლობელობა იყოს რელიგიური

მისამდერი, რომელიც უკავშირდება (მიწის დედალვთაება?) ათას კულტს (კვაშილავა 2010:213-214; Kvashilava 2017:69).

1.3-4. საბერძნეთში, პელოპონესის ნახევარკუნძულზე, პილოსში აღმოჩენილი PY En 74.22 და PY Eo 160.2 ფირფიტების ტექსტებში,<sup>2</sup> რომლებიც შესრულებულია B კლასის ხაზოვანი დამწერლობით, დასტურდება სიტყვა **Ἄιδη** [a<sub>3</sub>-wa-ja] – \*AīFāia (Jorro, Adrados 1999, I:141). ამ არქეტიპს მ. ვენტრისმა, ჯ. ჩედვიკმა (Ventris, Chadwick 1973:537, 101, 104), ს. ჰილერმა (Hiller 1991: 214), ვ. ციმბურსკიმ (Цымбурский 2005:308), ლ. გორდეზიანმა (2012:79) და სხვებმა დაუკავშირეს ღვთისმსახური ქალის სახელი Aīaia – ათას<sup>3</sup> (კვაშილავა 2010:216-217; Kvashilava 2017:69).

1.5. კუნძულ კრეტაზე, კნოსოსში აღმოჩენილ KN C 973 ტექსტში,<sup>4</sup> რომელიც შესრულებულია B კლასის ხაზოვანი დამწერლობით, დასტურდება სიტყვა **Ἄιδη** [a<sub>3</sub>-wa] – \*AīFānç (Jorro, Adrados 1999, I:141). მ. ვენტრისისა და ჯ. ჩედვიკის (Ventris, Chadwick 1973:537, 104) მიხედვით, ეს არქეტიპი შესაძლებელია ნიშნავდეს ხარის მეტსახელს (Цымбурский 2005:309), რომელსაც მათ დაუკავშირეს ასევე ანთროპონიმი \*AīFāç, ანუ Aīaç (ჰომეროსი, „ილიადა“ I.145).

1.6. B კლასის ხაზოვან KN Vc 7612 წარწერაში დასტურდება სიტყვა **Ἄιδη** [a<sub>3</sub>-wa-ta], რომელსაც მ. ვენტრისმა, ჯ. ჩედვიკმა (Ventris, Chadwick 1973:537), ს. ჰილერმა (Hiller 1991:214), ვ. ციმბურსკიმ (Цымбурский 2005:308) და სხვებმა დაუკავშირეს ანთროპონიმი \*AīFátāç, Aíhtēç/Aíáthēç [aietes/aiates] – ათეტი (შდრ.: Jorro, Adrados 1999, I:141; გორდეზიანი 2012:79).

1.7. GORILA-ს (Godart, Olivier 1976, I:196, 197) მიხედვით, A კლასის ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული HT 117 (1364) თიხის ფირფიტის a7 სტრიქონში დასტურდება **Ἄιδη** LA081+LA081+LA001+LA060 ნიშანთა მიმდევრობა. ეს თიხის ფირფიტა აღმოჩენილი იქნა კუნძულ კრეტაზე, ჰაგია ტრიადაში და დათარიღდა LM IB პერიოდით (Godart, Olivier 1976, I:XXI; 1985, V:86), ანუ ძ.წ. 1500-1450 (?) წლ-ით.

<sup>2</sup> B კლასის ხაზოვანი PY En 74.22 ტექსტი: a<sub>3</sub>-wa-ja te-o-jo do-e-ra o-na-to e-ke to-so-de pe-mo *GRA T 1*, რომელსაც მ. ვენტრისი და ჯ. ჩედვიკი (Ventris, Chadwick 1973:243 შბდ.) თარგმნიან შემდეგი სახით: „Aiwaia, servant (f.) of the god, holds a lease, so much seed: *T 1. WHEAT*“ – „ღვთის ძონა“ ათას აქს აძღენი სათეხლე მარცვალი 0,1“ (გორდეზიანი 2012:79 20).

B კლასის ხაზოვანი PY Eo 160.2 ტექსტი: a<sub>3</sub>-wa-ja te-o-jo do-e-ra e-ke-qe o-na-to pa-ro pi-ke-re-we *GRA T 1*, რომელსაც მ. ვენტრისი და ჯ. ჩედვიკი (Ventris, Chadwick 1973:248) თარგმნიან შემდეგი სახით: „Aiwaia, servant (f.) of the god, and she holds a lease from Pikkreus: *T 1. WHEAT*“ – „ღვთის ძონა“ ათას აქს იჯარით (ან სამგებლობაში) *P*-საგან აძღენი სათეხლე მარცვალი 0,1“ (გორდეზიანი 2012:79 20).

<sup>3</sup> შდრ. Aīaia, ნათ. ბრ. Aīaīn – ათას, კირქეს და მეღებას ეპითეტი (იხ. ქვევით პუნქტი 2), რომელიც შესაძლებელია, უკავშირდება Aīa-ს, მიწის ღვთაღვთაების სახელს (კვაშილავა 2010:217).

<sup>4</sup> B კლასის ხაზოვანი KN C 973 ტექსტი: te-re-wa-ko | a<sub>3</sub>-wa | tu-ma-ko *BOS* [



HM 1364 - 6.70 x 10.90 x 0.80 cm.; trou au lat. sup.  
à 3.30 cm. du lat. inf.

HT 117a (1364) 𐎼𐎽𐎻𐎻 (Godart, Olivier 1976, I:196)

### HT 117a

- .1 𐎼 𐎽 𐎻 . 𐎽 𐎻 . 𐎼 𐎻
  - .2 𐎼 𐎽 𐎻 . 𐎽 𐎻 . 𐎼 𐎽 𐎻
  - .3 𐎼 𐎽 𐎻 . 𐎽 𐎻 . 𐎼 𐎽 𐎻
  - .4 𐎼 𐎽 𐎻 . 𐎽 𐎻 . 𐎼 𐎽 𐎻
  - .5 𐎼 𐎽 𐎻 . 𐎽 𐎻 . 𐎼 𐎽 𐎻
  - .6 𐎼 𐎽 𐎻 -
  - .7 𐎼 𐎽 𐎻 . 33121 𐎽 𐎻
  - .8 𐎼 𐎽 𐎻 . 33121 𐎽 𐎻
  - .9 𐎼 𐎽 𐎻 . 33121 𐎽 𐎻
- .3 à 2.2 et point. dans 1.1 sur 2.1.

HT 117a (1364) 𐎼𐎽𐎻𐎻 (Godart, Olivier 1976, I:197)

ამ წარწერაში **ჭჭთუ** LA081+LA081+LA001+LA060 ნიშანთა მიმდევრობას ამოვიკითხავ როგორც ku, da და ra მარცვლებს (კვაშილავა 2011:192; 2012:157), რაც, შესაბამისად, ემთხვევა B ქლასის ხაზოვანი დამწერლობის **ჭ** LB081, **თ** LB001 და **ლ** LB060 ნიშნების ფონოლოგიურ მნიშვნელობებს (Chadwick 2014:ix; Ventris, Cahdwick 1973:23, სურ. 4; 385). A ქლასის ხაზოვანი დამწერლობის **თ** LA001 ნიშანი და კვიპროსული მარცვლოვანი (=CS/LC) დამწერლობის **თ** [ta] სილაბოგრამა იდენტურია. ეს ნიშნები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

LA		ku
LB	<b>ჭ</b> <b>ჭ</b> <b>თ</b>	<b>ჭ</b> ku
LA		<b>თ</b> <b>თ</b> da
LB		<b>თ</b> da
CS (LC)		<b>თ</b> ta
LA		ra
LB		<b>ღ</b> ra

© 2014 ვაკე კვაშილავა

ცხრილი შედგენილია: Evans 1952, II:6, 15, 18, 24;

Bennett 1966:298, ცხრ. I; 299, ცხრ. II; 304,

ცხრ. III; 305, ცხრ. IV; Chadwick 2014:24;

Godart, Olivier 1985, V:XXVIII, XXXVIII, XXXIV-ის მიხედვით

წინა შრომებში (იხ.: კვაშილავა 2011:209-210; აგრეთვე 2010:229 შპღ.; Kvashilava 2017:69-70, 2.2.4) წარმოვადგინე A ქლასის ხაზოვანი **ჭჭთუ** [ku-ku-da-ra] მიმდევრობის ამოვითხვა როგორც კოლხიდელი.

1.8-10. დ. პაკარდმა (Packard 1974:146) A ქლასის ხაზოვანი **ჭჭთუ** [ku-ku-da-ra] მიმდევრობას დაუკავშირა B ქლასის ხაზოვანი წარწერების სიტყვები: **ტტტ** [ko-ki-da] და **ტტტჯ** [ko-ki-de-jo]. **ტტტ** [ko-ki-da] დასტურდება KN Sd 4403.a

და KN So 4430.a თიხის ფირფიტებზე,<sup>5</sup> ხოლო **ΤΚΧΙ** [ko-ki-de-jo] – KN Fh 5465 თიხის ფირფიტაზე.<sup>6</sup> ეს ფირფიტები აღმოჩენილი იქნა კნოსოსში.

მ. ვენტრისმა, ჯ. ჩედვიკმა (Ventris, Chadwick 1973:365 შმდ., 372, 555), ს.ჰილერმა (Hiller 1991:214) და სხვებმა ვ კლასის ხაზოვანი სიტყვა **ΤΚΗ** [ko-ki-da] ამოიკითხეს ორგორც **\*Κολχίδας** [\*Kolkhidias] – კოლხიდი, ხოლო ვ კლასის ხაზოვანი სიტყვა **ΤΚΧΙ** [ko-ki-de-jo] – **\*Κολχίδειος** [\*Kolkhideios] – კოლხები (შდრ.: Jorro, Adrados 1999, I:372, 373; გორდეზიანი 2012:76-77; გამყრელიძე 2014:215).

## 2. „აიააა“, „აია“, „აიეტი“ და „კოლხეთი“ ბერძნულ წყაროებში

ქვემოთ წარმოვადგენ რამდენიმე ბერძნულ წყაროსა და განმარტებას.

ჰომეროსი „ოდისეა“-ს X.135-139 სტრიქონებში (Murray 1927, I:354) ამბობს:

Αἰαίην δ' ἐξ υῆσον ἀφικόμεθ: ἔνθα δ' ἔναιε  
Κίρκη ἐυπλόκαμος, δεινὴ θεὸς αὐδήεσσα,  
αὐτοκαστιγήτη ὄλοօφρονος Αἴήταο:  
ἄμφω δ' ἐκγεγάτην φαεσιμβρότου Ἡελίοιο  
μητρός τ' ἐκ Πέρσης, τὴν Ὥκεανὸς τέκε παῖδα.

აქ მოვიტან ამ ციტატის პ. ბერაძის (1979:214) მიერ წარმოდგენილ ქართულ თარგმანსაც:

„ადადეს მივაღწიეთ, სად კირკე მკვიდრობს,  
მძლავრი ქალღმერთი, კაცური ხმით მოღაპარაკე.  
იგი და იყო ავის მზრახველ აღეტ მეფის.  
ორივე შობა ჰელიოსმა, სინათლის მფრქვევმა,  
და დედამისმა, ოკეანის ასულმა პერსემ“.

<sup>5</sup> В კლასის ხაზოვანი KN Sd 4403 ტექსტი: e-re-pa-te-jo o-po-qo ke-ra-ja-pi o-pi-i-ja-pi 'ko-ki-da ღ-ღა' CUR 3 || i-qi-ja [ ] | a-ja-me-na e-re-pa-te a-ra-ro-mo-te-me-ღა a-ra-ru-ja [ ], რომელსაც მ. ვენტრისი და ჯ. ჩედვიკი (Ventris, Chadwick 1973:365 შმდ.) თარგმნიან შემდეგი სახით: „Three horse-(chariots without wheels) inlaid with ivory, (fully) assembled, equipped with bridles with cheek-straps (decorated with) ivory (and) horn bits. The feudal contribution (of) Kolkhidas“ – „**3 ეტლი, სპილოს ძვლით ინკრუსტირებული, სრულად გაწყობილი/ვამსრთული, სპილოს ძვლითა და რქით მორთული საღავებით, K-ის ნაწარმი**“ (გორდეზიანი 2012:76).

В კლასის ხაზოვანი KN So 4430 ტექსტი: ko-ki-da o-pa ne-wa || e-ri-ka | o-da-\*twe-ta a-ro<sub>2</sub>-a ROTA ZE 22 MO ROTA 1, რომელსაც მ. ვენტრისი და ჯ. ჩედვიკი (Ventris, Chadwick 1973:372) თარგმნიან შემდეგი სახით: „Twenty-two and a half pairs of new wheels of willow-wood, with studs, of better quality. The feudal contribution (of) Kolkhidas“ – „**K-ის ნაწარმი: ახალი, დაკბილული, ტარიფის სუკეთული ბორბლები ZE 22 MO I**“ (გორდეზიანი 2012:76).

<sup>6</sup> В კლასის ხაზოვანი KN Fh 5465 წარწერა: ko-ki-de-jo | qa[

„ოდისეა“-ს X.135, 137, 139 სტრიქონების განმარტებისას კომენტატორი (Dindorfius 1855, II:457, 5-6, 20-21, 26-28) წერს:

Αἰαίην δ' ἐς οὐδον] ὄνομα οὐδον. ταύτην ἐνιοί φασι τὸ οὖν Κίρκαιον πρὸς τῇ Ἰταλία. ...Αἱήταο] Αἱήτης Κόλχων βασιλεὺς, πατὴρ Μηδείας, Κίρκης ἀδελφός. ἐκ Πέρσης] Πέρση Θικεανοῦ μὲν ἦν θυγάτηρ, Ἡλίου δὲ γυνή. Ἡλίου δὲ καὶ Πέρσης Αἱήτης καὶ Κίρκη...

ამ სქოლიობს ა. ურუშაძე (1964, 178) თარგმნის შემდეგი სახით:

„აააა... კუნძულის სახელია. ზოგიერთები ამბობენ, რომ იგი αწინდელი კირკენია იტალიასთან. აიეტი [იყო] კოლხთა მეფე, მედეას მამა, კირკეს მმა. პერსე იყო ოკეანეს ასული და პელიოსის მეუღლე. პელიოსისა და პერსესაგან [იშვნენ] აიეტი და კირკე...“

პომეროსი „ოდისეა“-ს IX.31-33 სტრიქონებში (Murray 1927, I:304) ამბობს:

ώς δ' αὔτως Κίρκη κατερήτινεν ἐν μεγάροισιν  
Αἰαίη δολόεσσα, λιλαιομένη πόσιν εἶναι:  
ἀλλ' ἔμὸν οὕ ποτε θυμὸν ἐνὶ στήθεσσιν ἔπειθον.

ამ ციტატას პ. ბერაძე (1979:195) თარგმნის შემდეგი სახით:

„ფრიად ცდილობდა კირკე, მცოდნე გრძნულობისა,  
აააას დარჩენილი, მასთან ვყოლოდი,  
მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოიგო მან ჩემი გული.“

„ოდისეა“-ს IX.32 სტრიქონის წმ. ევსტათიოს ოქსალონიკელი (Eustathius 1825, I:321, №1614, 14-20) ახე განმარტავს:

...Τὸ δὲ Αἰαίη, ἀντὶ τοῦ Κολχικὴ κατὰ ἐπωνυμίαν τοπικήν. Αἴα γὰρ πόλις Κολχίδος παρά τε ἄλλοις καὶ παρὰ Λυκόφρονι. ἡς ὁ πολίτης Αἰαῖος. καὶ ἡ πολίτις Αἰαία. καὶ ἡ νῆσος δὲ τῆς Κίρκης Αἰαία, διὰ τὴν τοιαύτην Κίρκην. ἄλλως γὰρ εἴπερ πρωτοτυπίαν ἔχει ἡ Αἰαῖα νῆσος διὰ τῶν δύο αι, ὥφειλεν ἡ ἀπ' αὐτῆς Κίρκη ἔχειν καὶ τρίτον αι, ἵνα ἡν Αἰαιαίη, ὅπερ οὐκ ἔστι διά τε τὸ κακόφωνον καὶ διὰ τὴν ὥρθεῖσαν ὄμωνυμίαν. Ό δὲ γεωγράφος Αἴαν εἰπὼν πόλιν περὶ τὸν Φάσιν λέγει καὶ ὅτι περὶ τὴν τοιαύτην Κολχικὴν Αἴαν καὶ Αἰαίη νῆσος ἡ τῆς Κίρκης. ὅτι δὲ καὶ Αἱήτης ὁ ἥρως ἀπὸ τῆς τοιαύτης Αἴας ἐκλήθη, δηλούσιν οἱ παλαιοί.

ამ განმარტების თარგმანია:

„.... ἀდგილοბροιζο სახელის მიხედვით, [„ოდისეა“-ში] „აააა“ [ისმარება] „კოლხიკე“-ს ნაცვლად. აა კოლხეთის ქალაქია ლიკოფრონთან და სხვებთანაც. [ააას] მოქალაქე [მამაკაც] პერსე „აააა“-ი, ხოლო მოქალაქე [ქალს] – „აააა“. კირკეს კუნძულსაც აააა [პერსე], კირკეს გამო. სხვათა შორის,

თუ კუნძულის [სახელი] ადამა ძირეული სიტყვაა, [რომელსაც] ორი ადამიანის, [მაშინ] კირკეს [ადამიასაც] უნდა პქნონდა მესამე ად, რათა ყოფილიყო „ადამადე“, რაც არ გამოიყენებოდა მისი ცუდი ჟღერადობისა და უკვე ხსენებული ომონიმის გამო. გეოგრაფი [სტრაბონი] ასახელებს ქალაქ ადას ფაზისთან და ამით იმს ამბობს, რომ კოლხეთის ადასთან ახლოს არის კირკეს კუნძული ადამეც. გმირმა აღეტმა რომ სახელი ამავე ადამიანი მიიღო, ამას ძველი [მწერლები] ამტკიცებენ“ (შდრ.: ყაუხეჩიშვილი 1970, VIII:2; ურუშაძე 1964:183).

„ოდისეა“-ს IX.32 სტრიქონის განმარტებისას კომენტატორი (Dindorfius 1855, II:408, 14-15) წერს:

Αἰαίη] ἐξ Αἰαίης νήσου τῆς Τυρρηνίας, ἡ Κολχικῆς. Αἰαία γὰρ πόλις τῆς Κολχίδος... {Αἰαίη} Αἴα}. Αἰαίη] τοῦ Αἴήτου θυγάτηρ. ἡ ἀπὸ Αἰαίας χώρας τιμωμένη...

ამ სქოლიოს ა. ურუშაძე (1964:177) თარგმნის შემდეგი სახით:

„კირკე [არის] ტირენიის კუნძულ ადამიანი, ან კოლხეთის [ადამიან]. ადამა ხომ კოლხეთის ქალაქია. Ὅτι ადა იგივეა ადა<sup>1</sup>. ადადელი [არის] ასული ადეტისა; ან ადამას ქვეყნის სახელით პატივდებული...“

და კიდევ „ოდისეა“-ს XII.268, 273 სტრიქონებსა (Murray 1927, I:450) და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ III.1136 სტრიქონში (Merkel 1854:190), შესაბამისად, იხსენიება: Κίρκης τ' Αἰαίης – „ადადელი კირკე“ და Αἰαίη Μήδειა – „ადამელი მედე“.

პომეროსი „ოდისეა“-ს XII.1-4 სტრიქონებში (Murray 1927, I:432) ამბობს:

Αύτάρ ἐπεὶ ποταμοῖο λίπεν ὁρόν Ωκεανοῖο  
νηῦς, ἀπὸ δ' ἵκετο κῦμα θαλάσσης εὐρυπόροιο  
νῆσόν τ' Αἰαίην, ὅθι τ' Ἡοῦς ἡριγενείης  
οἰκία καὶ χοροί εἰσι καὶ ἀντολαὶ Ἡελίοιο...

ამ ციტატას პ. ბერაძე (1979:244) თარგმნის შემდეგი სახით:

„როს ოკეანის მდინარებას გასცდა ხომალდი,  
ადამიათან მიგვაბრუნეს ტალღებმა ზღვისა,  
სად ცისკრის მაცნე ეოსს ბინა აქვს და სად არის  
აღმოსავალი, საცეკვაო ჰელიოსისა“.

„[პომეროსის] ეს აღწერილობა უთუოდ გულისხმობს აღმოსავლეთით მდებარე მხარეს, საიდანაც მზე ამოდის. ...ბერძენ კომენტატორთა ცნობით, „ადამა“ იგივეა, რაც „ადა“, ოღონდ ერთი მარცვლით განვრცობილი. ...[, ოდისეა“-დან ეს] ოთხი ტავა იმაზე მოუთითებს, რომ კირკეს [სამფლობელო] ადამა დასავლეთში (ტირენიის ზღვაში) კი არ არის საგულვებელი, არამედ სწორედ აღმოსავლეთში, [კოლ-

ხეთში]. ....ააას გადატანა ეტრურიაში მითის გვიანდელი ვერსიების პროდუქტია“, – განმარტავს ა. ურუშაძე (1970:350<sub>II</sub>, 355<sub>29</sub>; 1964:493<sub>6</sub>).

პეროდოტე „ისტორიის“ I.2 და VII.193 მუხლებში (Godley 1920, I:4; 1938, II:510) წერს:

...კათაplასაνთაς ყაფრ მაკრე უნი ეს აიან თე თუ კოლხიდა კაὶ ოპი  
ფასი პოთამი, ენთენ, ბიაპრეხამენის კაὶ თალა თან ენეკენ  
აპიკათი, აპასა თუ ბასილეოს თუ თუ მუგატერა მედეით. ...ენტ ეპი თი  
კააც ეპლეონ ეს აიან თუ კოლხიდა...

ამ ციტატას თ. ყაუხჩიშვილი (1975, I:37; 1976a, II:472) თარგმნის შემდეგი სახით:

„...[არგონავტებმა] გრძელი ხომალდით მოსცურეს აა-კოლხიდაში, მდინარე  
ფასისთან, ...მოიტაცეს მეფის ასული მედედა. ...ესენი მოცურაგდნენ ააში,  
კოლხიდაში, საწმისისათვის...“

აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიების“ II.1260-1261, 417-418, 1266-1270  
და III.1135-1236 სტრიქონებში (Merkel 1854:134, 91, 190) წერს:

έννυχιοι δ' Ἀργοιο δαημοσύνησιν ἵκοντο  
Φᾶσίν τ' εύρὺν ῥέοντα, καὶ ἔσχατα πείρατα πόντου.  
...αἴα δὲ Κολχὶς  
Πόντου καὶ γαίης ἐπικέκλιται ἔσχατιῆσιν.  
...ἔχον δ' ἐπ' ἀριστερὰ χειρῶν  
Καύκασον αἰπήεντα Κυταιίδα τε πτόλιν Αἴης,  
ἐνθεν δ' αὖ πεδίον τὸ Αρήιον ιερά τ' ἄλση  
τοῖο θεοῦ, τόθι κωας ὅφις εῖρυτο δοκεύων  
πεπτάμενον λασίοισιν ἐπὶ δρυὸς ἀκρεμόνεσσιν.  
...ῶς γὰρ τόδε μῆδετο Ἡρη,  
ὅφρα κακὸν Πελίη ιερὴν ἐς Ἰωλκὸν ἵκοιτο  
Αἰαίη Μήδεια, λιποῦσ' ἄπο πατρίδα γαῖαν.

ამ ციტატას ა. ურუშაძე (1970:173, 129, 235) თარგმნის შემდეგი სახით:

„ღამით [არგონავტებმა], არგოსის გამოცდილებით, მიაღწიეს ფართოდ მომ-  
დინარე ფაზისს და პონტოს უკიდურეს საზღვარს. ...აა-კოლხეთი ხომ  
ზღვისა და მიწის დასალიიერში მდებარეობს... [გმირებს] ხელმარცხნივ უკა-  
ვათ მაღალი კავკასიონი და აას ქალაქი კვტათისი; აქვე იყო არესის ველი  
და ამ ღმერთის წმიდა ჭალაკი, სადაც გველეშაბი ფხიზღად იცავდა მუხის  
ფოთლებით შებურვილ ტოტებზე ჩამოკიდებულ საწმისს. ...პერას პქონდა  
გადაწყვეტილი, რომ ააადელ მედეას მშობლიური მიწა დაუტოვებინა და  
... ოლკოსში მისულიყო“.

ამ წყაროებში დაცული ცნობების ანალიზის საფუძველზე ს. ყაუხეჩიშვილი (1964:13-14; 1970, VIII:2-4), თ. ყაუხეჩიშვილი (1976b:18-19), ა. ურუშაძე (1970:28; 1964:6), ო. ლორთქიფანიძე (1986:32) და სხვები წერენ, რომ ადა არის კოლხეთის სინონიმი; ადა არის ამ ქვეყნის უძველესი სახელწოდება, ხოლო კოლხეთი – შედარებით ახალი (კვაშილავა 2010:220).

## დასკვნა

1. ნაშრომში წარმოდგენილია კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი A კლასის ხაზოვანი წარწერები, რომლებიც ამოკითხულია B კლასის ხაზოვანი დამწერლობის შესაბამისი ნიშანთა ფონოლოგიური მნიშვნელობების მიხედვით;
2. A კლასის ხაზოვან წარწერებში ამოკითხულია (მიწის დედალვთაების სახელი?) a-ja და მასთან დაკავშირებული რელიგიური მისამღერი ...\*-a-ja ! ... -ja ! ja-wa-..., რაც შესაძლებელია რიტუალის არსებობაზე მიგვანიშნებდეს;
3. A კლასის ხაზოვან წარწერებში დასტურდება სიტყვები a-ja და ku-ku-da-ra, ხოლო B კლასის ხაზოვან წარწერებში – a<sub>3</sub>-wa, a<sub>3</sub>-wa-ja, a<sub>3</sub>-wa-ta, ko-ki-da და ko-ki-de-jo, რომლებიც კოლხურ სამყაროს უკავშირდება;
4. ნაშრომში აგრეთვე წარმოდგენილია ბერძნული ლიტერატურული თუ ისტორიული თხზულებებიდან ციტატები და მათი კომენტარები, რომლებშიც დაცულია ცნობები Aία-ს, Aίαια-ს, Aίήτης-ისა და Κολχίνας-ის შესახებ;
5. A და B კლასის ხაზოვანი წარწერები უძველეს გადმოცემებს მითოლოგიურ საბურველს აცლის და მოვლენებს რეალურ სახეს ანიჭებს;
6. საერთოქართველური (საერთოკოლხური) A კლასის ხაზოვანი წერილობითი ძეგლები სულ მცირე შვიდი საუკუნით წინ უსწრებს პომეროსის პოემებს.

## ლიტერატურა

**ძერაძე 1979:** პ. ბერაძე, პომეროსი, „ოდისეა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**გამყრელიძე 2014:** თ. გამყრელიძე, რჩეული წერილები და გამოსვლება, თბილისი.

**გორდეზიანი 2012:** ლ. გორდეზიანი, ძეგლი ისტორიის ნარკვენები, პროგრამა ლოგოსი, თბილისი.

**კვაშილავა 2010:** გ. კვაშილავა, ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (2): ვარდული. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძეგანი, XII ტ., ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტი, თბილისი, 144-236.

**კვაშილავა 2011:** გ. კვაშილავა, A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტ-ქართველურ-კოლხურ ენაზე. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძეგანი, XIII, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტი, თბილისი, 161-226.

**კვაშილავა 2012:** გ. კვაშილავა, ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (3): ფრინველი. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV ტ., ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 142-164.

**ლორთქიფანიძე 1986:** ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**ურუშაძე 1964:** ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ურუშაძე 1970:** ა. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარი და საძიებელი დაურთო ა. ურუშაძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი 1975, 1976a:** თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტე, ისტორია, I, II ტ., ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი 1976b:** თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წაყრიცხვი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი 1964:** ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ? გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი 1970:** ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა: ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. VIII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**Цымбурский 2005:** В. Л. Цымбурский, Эя и Троя (Прагрееки в Северо-Западной Анатолии и происхождение топонима Ай), *Hṛdā manasā*, Сборник статей к 70-летию со дня рождения проф. Л. Г. Герценberга, Рос. акад. наук, Ин-т лингвист. исслед., Санкт-Петербург, 308-322.

**Beekes 2010:** R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, Vol. I, with the assistance of L. van Beek, Brill, Leiden and Boston.

**Bennett 1966:** E. L. Bennett, Some Local Differences in the Linear B Script, *Hesperia, the Journal of the American School of Classical Studies at Athens*, Vol. 35, Issue 4, 295-309.

**Chadwick 2014:** J. Chadwick, *The Decipherment of Linear B*, Cambridge University Press.

**Dindorfius 1855:** G. Dindorfius, *Scholia Graeca in Homeri Odysseam ex codicibus aucta et emendata*, edidit G. Dindorfius, Tomus I, II. Oxonii, E. Typographeo Academic.

**Eustathius 1825:** Eustathii archiepiscopi Thessalonicensis commentarii ad Homeri Odysseam ad fidem exempli Romani editi, Tomus I, Lipsiae.

**Evans 1952:** A. J. Evans, *Scripta Minoa. The Written Documents of Minoan Crete with Special Reference to the Archives of Knossos*, Vol. II. Oxford, at the Clarendon Press.

**Godley 1920, 1938:** A. D. Godley, *Herodotus*, With an English Translation by A. D. Godley, Vol. I, III, Cambridge, Massachusetts, Harvard University Press, London.

**Godart, Olivier 1976, 1982, 1985:** L. Godart, J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A*. Vol. I, IV, V. École Française d'Athènes, Études Crétaises XXI, XXI.1-5. Librairie Orientaliste P. Geuthner, Paris.

**Hiller 1991:** S. Hiller, The Mycenaeans and the Black Sea. *Thalassa*, L'Égée préhistorique et la mer: Actes de la troisième Rencontre égéenne internationale de l'Université de Liège, Station de recherches sous-marines et océanographiques, Clavi, Crose, 23-25 avril 1990. Edited by R. Laffineur and L. Basch. *Aegaeum* 7. Liège, 207-221.

**Jorro, Adrados 1999:** F. A. Jorro, F. R. Adrados, *Diccionario Griego-Español. Diccionario Micénico*. Vol. I. Redactadopor F. A. Jorro. Bejo la dirección de F. R. Adrados. Salamanca.

**Kvashilava 2017:** G. Kvashilava, On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language. *The 2<sup>nd</sup> Academic International Conference on Social Sciences and Humanities: AICSSH 2017 (Cambridge) Conference Proceedings*. University of Cambridge, May 22–24, 2017. Cambridge, United Kingdom: FLE Learning, 65-73.

**Merkel 1854:** R. Merkel, *Apollonii Argonautica*, emendavit apparatus criticum et prolegomena adiecit R. Merkel, Scholia vetera e codice Laurentiano edidit H. Keil. *Scholia in Apollonii Argonautica ex recensione H. Keilii, Lipsiae*.

**Murray 1927:** A.T. Murray, *Homer, The Odyssey*, With an English Translation by A.T. Murray, Vol. I., Cambridge, Massachusetts, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd.

**Packard 1974:** D. W. Packard, *Minoan Linear A*, University of California Press, Berkeley, Los Angeles, London.

**Ventris, Chadwick 1973:** M. Ventris, J. Chadwick, *Documents in Mycenaean Greek*, Cambridge University Press.

*Gia Kvashilava*

## **“Aia”, “Aiaia”, “Aeëtes” and “Colchis” in the Aegean Linear Inscriptions and Greek Sources**

### Summary

1. The present study discusses Linear A inscriptions, discovered on the Island of Crete, which are deciphered according to the phonological meanings of the corresponding signs of Linear B script.
2. In Linear A inscriptions *a-ja* (name of the earth goddess?) and the religious refrain ... \**a-ja* ! ... *-ja* ! *ja-wa-*... are deciphered, which probably may point to the existence of a ritual;
3. In the inscriptions of Linear A script, words *a-ja* and *ku-ku-da-ra* are recorded, and in Linear B inscriptions – *a<sub>3</sub>-wa*, *a<sub>3</sub>-wa-ja*, *a<sub>3</sub>-wa-ta*, *ko-ki-da* and *ko-ki-de-jo*, which are related to the Colchian world;
4. The study also offers quotations from Greek literary and historical works and their commentaries, in which evidence is preserved concerning *Aīā*, *Aīaīā*, *Aīήtης* and *Koλχίδας*;
5. Linear A and B inscriptions removes the mythological shroud from the ancient legends and imparts reality to events;
6. The Common Kartvelian (Common Colchian) Linear A written monuments precede Homer's poems by, at least, seven centuries.

## ივანე ლეშავა

### გავეთრი (ეიპტიური) თანხმოვების ტიპოლოგიური თავისებურებები

სპეციფიკურ უსუნთქველ თანხმოვნებთან დაკავშირებული სამეცნიერო-ფონეტიკური ტერმინოლოგია მრავალფეროვანია.

ჯონ კეტფორდი და ჯოზეფ გრინბერგი გლოტალური (glottalic) თანხმოვნების ორ სახეობას გამოყოფენ: ეიქტივებს (resp. აბრუპტივებს<sup>1</sup>) და ინიქტივებს (resp. იმპლოზივებს). ეიქტივები ეგრესიულია, ანუ არაფილტვისმიერი ჰაერი ამონდინება ქვემოდან, დახშული სახმო სიმებიდან ზევით; ხოლო იმპლოზიურები ინგრესიულია: მათი წარმოებისას ხდება ჰაერის შეწოვა და ბგერათა წარმოქმნა ამ შეწოვილი ჰაერის მეშვეობით (კეტფორდი 1939, გრინბერგი 1970).

ჯოზეფ გრინბერგის მიხედვით, იმპლოზივები, ჩვეულებრივ, მუღლერებია, თუმცა სიტყვის ბოლოს, როგორც წესი, ყრუვდებიან; ამასთანავე, იმპლოზიურებისთვის უფრო დამახასიათებელია წინა არტიკულაცია, ხოლო ეიქტივებისთვის – უკანა. ეიქტივებისა და იმპლოზივების ფონეტიკური ბუნება განსაზღვრავს მათ მიმართებას ლოგალურ რიგებთან. ეიქტივები უპირატესობას აძლევენ უკანა რიგის არტიკულაციას, ხოლო იმპლოზივები – წინა რიგის არტიკულაციას (გრინბერგი 1970:126-127).

ლაილ კემპბელის აზრით, გრინბერგის მიერ დადგენილი კანონზომიერებები ზოგადად მართებული ჩანს, მაგრამ მაიან ენებში არსებობს გამონაკლისები, კერძოდ, რამდენიმე ენაში (კიჩე, პოკომამი, უსაპანტეკი, ცუტუპილი და სხვ.) უვულარულ (პოსტველარულ) რიგში მარტივ ყრუსთან ერთად გლოტალურ სერიაში გვაქვს ყრუ იმპლოზიური თანხმოვანი, ამასთანავე ზოგ ენაში გვაქვს ლაბიალური და უვულარული იმპლოზიური თანხმოვნები, ხოლო ყველა სხვა რიგში შხოლოდ ეიქტივები (კემპბელი 1973).

არსებობდა მოსაზრება, რომ ეიქტივები და იმპლოზივები არ შეიძლება ერთ-უამიერად იყოს წარმოდგენილი ერთ ენაში (იაკობსონი 1969:50), მაგრამ ასეთი ენები აღმოჩნდა. ასეთია ნილო-საპარული ენები: გუმუზი, მე'ნი, ტვამპა. ასევე, აღმოსაგლურ ფუშიტურ ენებში არის ეიქტიურ თანხმოვანთა სერიები და მუღლერი რეტროფლექსიური იმპლოზივი.

<sup>1</sup> გიორგი ახვლედიანის ტერმინი, ადრეულ შრომებში გამოყენებული აქვს ტერმინი – მკვეთრი.

მაიკლ კენსტოვიჩი და ჩარლზ კისერბერტი გლოტალიზებულებს უწოდებენ ეიექტივებსა და იმპლოზივებს, როგორც გლოტალური ჰაერნაკადის მექანიზმის მქონე ბგერებს. მათი აზრით, ეიექტივები წარმოიქმნება დახშული სახმო სიმებით და ხორხის აწევით; ჰაერის შეკუმშვის შედეგად ეს ზრდის წნევას პირის ღრუში დახშულ სახმო სიმებსა და ორალურ დაბრკოლებას შორის. ორალური განხშვის შემდეგ წნევა ეცემა, ისე, რომ ჰაერი გამოდის პირიდან (კენსტოვიჩი, კისერბერტი 1979:17-18).

ლინგვისტურ სტრუქტურათა მსოფლიოს ატლასში გლოტალიზებული (ფართო მნიშვნელობით) თანხმოვნები დაჯგუფებულია სამ კლასად, რადგან იან მედისონი ეიექტივებისა და იმპლოზივებთან ერთად გლოტალიზებულების რიგში განხილავს აგრეთვე ე.წ. გლოტალიზებულ რეზონანტებსაც, რომელთა წარმოთქმისას სახმო სიმები უფრო მჭიდროდ უახლოვდებიან ერთმანეთს და ცვლიან ქლერის ხასიათს (WALS).

ტერმინი გლოტალიზებული ხშირად იხმარება ეიექტივის (აბრუპტივის) სინონიმადაც. აღსანიშნავია, რომ ჯონ კეტფორდისთვის ტერმინი ‘გლოტალიზებული’ ორივე გაგებით მოუღებელია; მისი აზრით, *-ized* ნიშნავს მეორეულ არტიკულაციას (შეადარე, პალატალური – პალატალიზებული, ველარული – ველარიზებული **ი.ღ.**), ამიტომ, მისი აზრით, ასეთი შეუსაბამო ტერმინის გამოყენება არ არის რეკომენდებული (კეტფორდი 1982:70, 248).<sup>2</sup>

პეტერ ლადეფოგედი და იან მედისონი ასე ახასიათებენ ეიექტივების (აბრუპტივების) არტიკულაციას: ისინი იწარმოება ხორხში ხშვით და იმავდროული ხშვით პირის ღრუში. ლარინგის სწრაფად იწევს მაღლა, ისე, რომ გლოტალური ხშვის ზემოთ ხდება ჰაერის კომპრენსია. პირის ღრუში წნევა ხშირად ორმაგად იზრდება ნორმალურ წნევასთან შედარებით. შემდეგ ხდება პირისმიერი ხშვის გახსნა და მაღალი სუპრაგლოტალური წნევის გამო გვაქვს სკდომის დიდი ინტენსივობა (ლადეფოგედი, მედისონი 2005). ამრიგად, როდესაც ლარინგის იწევს ზემოთ და სახმო სიმები დახშულია, ჰაერი ზემოთ აიტყორცნება. თუ ამ დროს არსებობს ორალური ხშვა, ჰაერი დაიწნებება. როდესაც მოხდება განხშვა, წარმოიქმნება ეიექტიური მკვეთრი ბგერა (ლადეფოგედი 2006:153).

ჩვეულებრივ, მიიჩნევენ, რომ გლოტალური განხშვა მოსდევს ორალურ განხშვას. ეს ასახულია ეიექტიური თანხმოვნის აღნიშვნაშიც: მაგალითად, [k'], სადაც აპოსტროფი – დიაკრიტიკული ნიშანი მოსდევს მირითად სიმბოლოს.

<sup>2</sup> “American writers most commonly use the term ‘glottalized’. This is an unfortunate term since in phonetic terminology adjectives ending in *-ized* normally refer to secondary articulation . It is misleading to use such a term to describe instead an initiation type, which is one of the basic components of speech production. Such inconsistency in scientific terminology is not recommended .” (Catford 1982:70)

გიორგი აზვლედიანი ამგვარი თანხმოვნების არტიკულაციას ასე აზასიათებს: „როგორც წესი, სამეტყველო ბგერების ყველაზე გავრცელებული წარმოების საშუალებაა ამოსუნთქული პაერნაკადი. ამას ეწოდება სუნთქვიერი ბგერათწარმოება. მაგრამ არის ზოგიერთ ენაში ისეთი თანხმოვნები, რომლებიც იწარმოება „ყელბშვით“, ე.ი. სახმო სიმების დაკეტილობისას. მაშასადამე, ამოსუნთქული პაერის გარეშე, იმ პაერის მარაგით, რომელიც იმყოფება ზესადგამ მიღმი. ესაა უსუნთქველი ბგერათწარმოება“ (აზვლედიანი 1999:80).

ბერტილ მალმბერგის მიხედვით, ეიექტივების წარმოების მექანიზმი ასეთია: „კომპრესია პირის ღრუსა და ფარინგსში შეიძლება ისეთი ძლიერი იყოს, რომ ლარინგსი, დაზურული გლოტისით, მკვეთრად აიწევს ზევით და პაერი სწრაფად გამოვა გარეთ ორალური განხშვის დროს.“ (მალმბერგი 1963:29).

ამ ტიპის ფონემათა აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება: გლოტალიზებულები, რეგურსიულები, გლოტოკლუზივები, თანხმოვნები სუპრაგლოტალური ექსპირაციით, checked („დაყოვნებული“), ევლუსივები, გლოტალური ეგრესიული თანხმოვნები, Glottalic pressure stops („გლოტალური წნევის ხშულები“). ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იხმარება ტერმინები: ყელბშულები, აბრუპტულები, მკვეთრები, გლოტალიზებულები, ხოლო ტერმინი ეიექტივი იშვიათად გამოიყენება, თუმცა ევროპულ ენებში მას ეძლევა უპირატესობა. ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები ამ ბგერათა სხვადასხვა ფონეტიკურ ასპექტს ასახავს. ასე მაგალითად, ტერმინი ეუქტივი შექმნილია ლათინური სიტყვის – ejicio „ამოვაგდებ“ – საფუძვლზე, გლოტალიზებული ასახავს ხორჩისმეტ არტიკულაციას, ძკვეთრი – აკუსტიკურ შთაბეჭდილებას, აბრუპტივი – მეცნეულ არტიკულაციას და ასე შემდეგ.

მიზანშეწონილია, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდეს ერთ-ერთი ამ ჩამონათვალი ტერმინებიდან და, ასეთად, სიმარტივისა და მისგან სხვა ტერმინების წარმოების სიადვილიდან გამომდინარე, მიჩნეულ იქნეს ტერმინი ძკვეთრი. გარდამავალ ტერმინად, ტრადიციის გათვალისწინებით, გამართლებული იქნება გლოტალიზებული ძკვეთრის ხმარება. გარდა ამისა, ორივე ტერმინი – glottal და glottalic – ქართულად უნდა ითარგმნოს როგორც გლოტალური (მაგალითად, glottal stop – „გლოტალური ხშული“ და არა „გლოტალი ხშული“, ასევე, glottalic theory – გლოტალური თეორია; გლოტალუბი – იგივე ლარინგალური ბგერება);).

ლინგვისტურ სტრუქტურათა მსოფლიოს ატლასში (World Atlas of Linguistic Structures. WALS) წარმოდგენილი 567 ენიდან ძკვეთრი თანხმოვნები დასტურდება 95 ენაში, რომლებიც ენათა 34 ოჯახს განეკუთვნება. ისინი გვხვდება სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში – კავკასიაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ავსტრალიაში. ენათა ოჯახები, სადაც გვხვდება ძკვეთრი თანხმოვნები, შემდგენია: კავკასიაში – აფხაზურ-ადიღური, ნახურ-დაღესტნური, ქართველური, კავკასიის ინდოევროპული ენები – სომხურის აღმოსავლური დიალექტი და ოსური;

ამერინდური ენები – ათაბასკური, სიუ, სალიშური, იტონამა, ნა-დენე, პენუტიური, კვეჩუა; სამხრეთ ამერიკაში – მაია, აიმარა, კვეჩუას სამხრეთის სახესხვაობები (კუსკუ-კულავი), აფროაზიურ ოჯახში – ყუშიტური და ომოტური ენები, აფრიკაში ნიგერ-კონგოს ენები და ნილო-საპარული, ხოისანური (მაგალითად: სანდავე, ჰაბა) ენები, ხოზური ენები და სამხრეთ სემიტური ენები, როგორებიცაა ამპარული და ტიგრინია; ჩუგჩურ-კამჩატკური ენები და ასტრონეზიური ენები, ალათაური ენები (კორეული). ლადეფოგედი ეიექტივების მცირე გავრცელებულობას მათი წარმოების სირთულით ხსნის. მიუხედავად კარგი აკუსტიკური თვისებებისა (ინტენსივობა), მკვეთრი თანხმოვნები საკმაოდ იშვიათია. ზოგიერთ ენაში და სხვადსხვა პოზიციაში მკვეთრი შეიძლება ისეთი სუსტი იყოს, რომ არასპირირებულ ან მუღლე თანხმოვნებიც კი აერიოთ, ამერიკულ ლინგვისტურ ლიტერატურაში მათ ინტერმედიატებს (შუალედურებს) უწოდებდნენ.

მკვეთრი თანხმოვნების გავრცელების ზოგადი ტენდენცია, ლოკალური რიგების მიხედვით, ასეთია:<sup>3</sup> თუ ენაში არსებობს მკვეთრი თანხმოვნები, მაშინ მასში აუცილებლად იქნება ველარული მკვეთრი; თუ ხარგებია მკვეთრების სისტემაში, ეს, პირველ ყოვლისა, იქნება ბილაბიალური ხშული; ველარული მკვეთრების სიხშირე ყოველთვის მეტია ლაბიალური ეიექტივების სიხშირეზე (Greenberg 1970, მელი-ქიშვილი 1976, Maddieson 1984).

ველარული მკვეთრები საკმაოდ გავრცელებულია და წარმოდგენილია კავკასიის ენებში, ჩრდილოამერიკულ ენებში. პალატალური მკვეთრები შედარებით იშვიათია. ლაბიალური არტიკულაცია ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელია მკვეთრები თანხმოვნებისათვის. ლადეფოგედის აზრით, ველარული მკვეთრების მეტი გავრცელებულობა ალვეოლარულებთან და ლაბიალურებთან შედარებით იმით აიხსნება, რომ დახშული ჰაერის მოცულობა [k']-ს ხშვის უკან შედარებით მცირეა და დახშული სახმო სიმების პირობებში ლარინგისის მცირე აწევაც მნიშვნელოვნად ზრდის მასში წნევას. [p']-ს წარმოთქმისას კი სუპრაგლოტალური არე გაცილებით დიდია და მოიცავს ლოფებს, რომლებიც ადვილად შორდება ერთმანეთს. ამიტომ დახშული ლარინგისის ზემოთ აწევა დიდად ვერ ზრდის წნევას. მკვეთრი [p']-ს განხშვა დიდად არ განსხვავდება [p] არამკვეთრის განხშვისგან. აკუსტიკურად [k'] ყველაზე გამოკვეთილია ეიექტივებს შორის. (ლადეფოგედი 1996:132).

მუღლერებისთვის მოქმედებს საპირისპირო კანონზომიერება: „თუ ხშულთა სისტემაში საერთოდ არსებობს ლაბიალური რიგი და მუღლერ ფონემათა კლასი ხარგებია, ცარიელი უჯრედი ველარულ რიგში გვექნება.“ (მელიქიშვილი 1976:89).

<sup>3</sup> ჯოზეფ გრინბერგს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ტიპოლოგიური გამოკვლევა გლოტალური ფონემების შესახებ: "Some generalizations concerning glottalic consonants, especially implosives" (Greenberg 1970). მას ეკუთვნის განზოგადება გლოტალიზებულ ფონემათა მიმართების შესახებ ლოკალურ რიგებთან: იმპლოზივები უპირატესობას აძლევენ წინა არტიკულაციას, ეიექტივები კი უკანა არტიკულაციას.

ეს მოვლენა მარტივად აიხსნება სახმო სიმების რჩევის მექანიზმის გათვალისწინებით: რადგან სუპრა- და სუბგლოტალური წნევების გათანაბრება სახმო სიმების რჩევის შეწყვეტას იწვევს და როდესაც მცირე მოცულობის არე არსებობს სახმო სიმებისა და ორალურ დაბრკოლებას შორის (მაგ., ველარებისთვის – ლაბიალუბთან და დენტალუბთან შედარებით) მით უფრო არახელსაყრელი პირობებია სახმო სიმების მოქმედებისთვის, ანუ უფრო ადრე ხდება წნევების გათანაბრება და შესაბამისად სახმო სიმების უღერის შეწყვეტა.

მკვეთრი თანხმოვნები არა მარტო როტული არტიკულაციით ხასიათდება, არა- მედ მათ არტიკულაციაში საპირისპირო ფონეტიკური კომპონენტებია შეხამებული. როგორც წესი, დაჭიმული ბერები უფრო გრძელია, ვიდრე არადაჭიმული. გლო- ტალიზებულები კი ხასიათდებიან დაჭიმულობით და მცირე გრძლივობით. ესეც, ცხადია, ართულებს მათ წარმოებას და განაპირობებს მათ მარკირებულ ხასიათს – შედარებით მცირე გავრცელებულობას ენებში; ხოლო იმ ენებში, სადაც წარმოდგე- ნილი არიან, ისინი ხასიათდებიან შედარებით დაბალი სიხშირით და დისტრიბუ- ციული შეზღუდულობით.

მკვეთრი თანხმოვნები უფრო ხშირია ხშულ-შსკდომებსა და აფრიკატებში და იშვიათია ნაპრალოგნებში (გრინბერგი 1970:124), ისინი წარმოდგენილია ტლინგიტში, ჰაუსაში, ამპარულში, აფხაზურ და ადიღეურ დიალექტებში.

გლოტალიზაციის დიქოტომიური კლასიფიკაციის მიხედვით (კინგსტონი 2005, ლინდაუ 1984, რაიტი 2002) აბრუპტივების ორი ტიპი არსებობს: სუსტი (slack) და ხისტი (stiff): და ხისტი (stiff):

აკუსტიკური პარამეტრები	ხისტი (stiff)	სუსტი (slack)
Voice onset time (VOT) <sup>4</sup>	გრძელი	მოკლე
ხშირი გრძლივობა + VOT	გრძელი	მოკლე
ხშირი გრძლივობა / VOT	მცირე	დიდი
სკდომა	ინტენსიური	საშუალო
ხმოვნის F0-ის ცვლილება	დაკლიმატი (მაღალი)	უარყოფითი (დაბალი)
ხმოვნის ინტენსივობის მატება	სწრაფი	ნებრი
ხმოვნის საწყისი ფონაციის ტიპი	ჩვეულებრივი ან აკერიალა	„ჰრიალა“ (creaky)

არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა ენის მკვეთრ თანხმოვნებს შორის (ლინდაუ 1984). ლინდაუმ შეადარა ველარული ეიქტივები ჰაუსასა და ნავახოში და დაფიქსირა მნიშვნელოვანი სხვაობები. ამ ორ ენაში განსხვავებულია

<sup>4</sup> დროის მონაკვეთის გრძლივობა ორალური სკდომიდან სახმო სიმების რჩევის (resp. უღერის) დაწყებამდე.

მკვეთრი თანხმოვნების სხვადასხვა ფაზის გრძლივობა. ნავახოში გლოტალური ხშვა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ჰაუსაში. ჰაუსაში გლოტალური ხშვა ძალიან სწრაფად იხსნება პირისმიერი ხშვის შემდეგ, და მას მოსდევს უბგერო ინტერვალი. ნავახოს გლოტალური ხშვა იხსნება ჭრიალა (creaky) ბგერით, რომელიც გრძელდება გარკვეულ ხანს ხმოვნის დაწყებამდე.

მკვლევრები ხშირად მიუთითებენ, რომ ამ ფონემათა ფონეტიკური მახასიათებლები განსხვავებულია ენათა შორის და ვერ ხერხდება და პრობლემურია მკვეთრი თანხმოვნების ორი ტიპის გამოყოფაც კი (უორნერი 1996). მხოლოდ რამდენიმე ენისათვის (ჰაუსა, ნავახო, ტიგრინია, კვიჩე, სალიშური, ინგუშური) არსებობს მკვეთრი ფონემების დეტალური აკუსტიკური აღწერა.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ღირებულება აქვს გიორგი ახვლედიანის მოსაზრებებს ამ საკითხების შესახებ. იგი მიუთითებს, რომ ტერმინი ყელხშელი არ შეეფერება სრულ სინამდვილეს, რადგან ამ უსუნთქველ თანხმოვნთა წარმოება შესაძლებელია ყელდაუხშეველადაც; „მართალია, როგორც წესი, უსუნთქველ თანხმოვანთა წარმოთქმისას სახმო სიმები დახურულია და ამის გამო ჰაერის ნაკადი არ ამომდინარეობს სასუნთქიდან, მაგრამ ჰაერნაკადის ამოდინების შეწყვეტა, – რაც მთავარია უსუნთქველ თანხმოვანთათვის, – შესაძლებელია სახმო სიმების დაუკეტავადაც: თუ ამოვცლით ფილტვებიდან ჰაერს ერთბაში ძლიერი ამოსუნთქვით ან თანდათანობით (მაგ., რომელიმე სუნთქვიერი ბგერის ზედიზედ ხანგრძლივი განმეორებით), ისე, რომ შესუნთქვა არ ხდებოდეს, ჩვენ შევძლებთ წარმოვთქვათ მხოლოდ უსუნთქველი თანხმოვნები. რადგანაც ჰაერნაკადის მოწოდება შეწყვეტილია, ამიტომ საწარმოთქმოდ გამოიყენება ღია ზესადგამ მილში (კერძოდ, პირის ღრუში) მყოფი ჰაერი, რომელიც, თავისი სიმცირისა და სასუნთქიდან ამოწოდებული ჰაერნაკადის წყაროსთან კავშირის შეწყვეტის გამო, საკმარისი არაა ჩვეულებრივი ხანგრძლივობის ხშულის წარმოსათქმელად: აუცილებელი ხდება მეტი სისწრაფით წარმოთქმა.“ (ახვლედიანი 1999:81).

ქართული ენის მკვეთრი თანხმოვნებია: ჸ ტ კ წ ჭ ყ. 1922 წელს გიორგი ახვლედიანმა გამოაქვეყნა ქართული ენის მკვეთრი თანხმოვნების პირველი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევა – „მკვეთრი ხშული ქართულში“, სადაც დადგენილია დენტალურ ხშულთა სამეულის – მკვეთრი, ფშვინვიერი და მუღერი ბგერების წარმოთქმის კანონზომიერებები მაგარ სასასთან ენის შეხების თავისებურებათა გათვალისწინებით. კერძოდ, მკვეთრის წარმოთქმის ხშვის არე უფრო ფართოა, ვიდრე პომორგანული მუღერისა და ფშვინვიერის შემთხვევაში, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მკვეთრის დახშვა უფრო ძლიერია (ახვლედიანი 1922:124). იგი გამოთქვას გარაუდს, რომ ჸ-ს ნაკლები მკვეთრობა საერთო მოვლენა შეიძლება იყოს ენებისათვის (ახვლედიანი 1999:370).

მკვეთრი ბგერებისათვის გ. ახვლედიანმა 1938 წელს გამოიყენა ტერმინი აბრუპტივი (ლათ. *abruptio* „მოწყვეტა, მოვლევა“); ამას იგი ასე ასაბუთებს: „ახლა უმჯობეს ტერმინად ჩვენ მიგვაჩნია აბრუპტივი, რადგანაც, საარტიკულაციო ორგანო-

ები სწრაფად მოსწყდებიან ერთმანეთს... ამ ტერმინს შეუძლია ერთსა და იმავე დღოს მოგვცეს სწორი წარმოდგენა ამ ხშულთა ორგორც არტიკულაციური ისე აკუსტიკური ბუნების შესახებ.“ (ახვლედიანი 1938:164).

რომან იაკობსონი ფიქრობდა, რომ ეიექტივები, იმპლოზივები და კლიქსები ერთი დისტინქციური ნიშნის: checked – unchecked – სახესხვაობებს წარმოადგენენ, ისინი ერთი ფონეტური კატეგორიის ვარიანტებს წარმოადგენენ (იაკობსონი 1969:54). ქართული ენის ხშულთა სამეულებრივ სისტემას ის ორი დიფერენციალური ნიშნის: დაჭიმული – არადაჭიმული (tense – lax) და გლოტალიზებული – არაგლოტალიზებული<sup>5</sup> (checked – unchecked) ბინარული ოპოზიციების საფუძვლზე აანალიზებს (იქვე, 49).

მკვეთრი თანხმოვნების დამახასიათებელია კავკასიის ენების დიდი უმრავლესობისთვის, მაგრამ სხვადასხვა ენაში მათ სხვადასხვა სპეციფიკა აქვთ. ჰუსარდუი ქართული კ ტ პ-სათვის ხმარობდა ტერმინს ძვარი (hart) რძლიას (weich) ქ თ ფ-ს საპირისპიროდ. ქართულში თავისებური ხშულების არსებობა შენიშნული პქონდა ელუარდ ზივერსს, მისი 1901 წელს გამოთქმული თეორიული მოსაზრება, რომ ქართული მკვეთრების წარმოთქმისას პირის ღრუში ხშგასთან ერთად სახმო სიმებიც დახშულია და ორალური სკლომა ხორციელდება ხორხის აწევით, რასაც მოსდევს სახმო სიმების განხშგა, ექსპერიმენტულად დაადასტურეს ელუარდ ზელმერმა, უან-პიერ რუსლომ და ორზალია შორმა (ზელმერი 1935, რუსლო 1901-1908, ზივერსი 1901, შორი 1930). უ.-პ. რუსლომ მეგრული მკვეთრებიც შეისწავლა ქართულ მკვეთრებთან ერთად (რუსლო 1901-1908), ხოლო რ. შორმა ქართული და ლაზური მკვეთრები გამოიკვლია ექსპერიმენტულად (შორი 1930).

ქართველურ ენათა მკვეთრი თანხმოვნები, გარდა ზემოთ დასახელებული შრომებისა, გაანალიზებულია სერგი ჟლენტის, შოთა გაფრინდაშვილის, არჩილ ჩარგეიშვილის, ნათელა ქუთელიას, ნანა კიზირიას, ნათელა იმნაძის და ზურაბ ჯაფარიძის შრომებში

სერგი ჟლენტი ასე ახასიათებს გლოტალიზებულ თანხმოვნებს: „მკვეთრ თანხმოვნებს, ყრუ ხშული ფშვინვიერი თანხმოვნებისაგან განსხვავებით, ახასიათებს ხშივის ადგილას საწარმოთქმო ორგანოთა განსაკუთრებული დაჭიმულობა. ამიტომ ამ ტიპის თანხმოვნები არტიკულაციურად უფრო მეტი ენერგიულობითა და სიძლიერით წარმოითქმიან, ვიდრე ყრუ ფშვინვიერები და მუღერი ხშულები (ჟლენტი 1956:106). ს. ჟლენტი ფიქრობს, რომ სიმკვეთრეს ცალ-ცალკე ვერ წარმოქმნის ვერც მხოლოდ სახმო სიმების დახშვა და ვერც მხოლოდ საწარმოთქმო ორგანოთა დაჭიმულობა. მკვეთრების არტიკულაციისათვის აუცილებელია ამ ორივე ფაქტორის თანაარსებობა (ჟლენტი 1956:109). არჩილ ჩარგეიშვილის ლარინგოსკოპიური

<sup>5</sup> ეს ტერმინები რუსული თარგმანის შესაბამისია, იხ. Новое в лингвистике, II, 1962. (R. Jakobson, G. Fant, M. Halle, Preliminaries to Speech Analysis: The distinctive features and their correlates, MIT Press, Massachusetts, Cambridge).

დაგვირვებით, ქართული მკვეთრების წარმოთქმის დროს ხდება დამატებითი ხშა-სკდომა ხორბში (ახვლედიანი 1999:374).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართულ საუნათმეცნიერო ლიტერატურაში მკვეთრი კ თანხმოვნის რაგვარობის საკითხს. არჩილ ჩარგეიშვილმა ექსპერიმენტულად გამოავლინა ამ ბევრის სპირალტორიდული კომპონენტი. იგი მოუთითებდა იმაზეც, რომ არსებობს „კ-ს მეტ-ნაკლებად გაგრძელებული წარმოთქმის შესაძლებლობა“ (ჩარგეიშვილი 1946:537-542). თამაზ გამყრელიძე კ-ს სპირალტორიდული ბუნების გათვალისწინებით, აგრეთვე ზოგადფორნეტიკურ კანონზომიერებაზე დაყრდნობით, რომ ფარინგალურ ზონაში შეუძლებელია სრული ხშა და ქართული ენის ფონოტაქტიკური სისტემის საფუძველზე – კ ფონემა დ ნ ნაპრალოვნებთან ერთად ქმნის დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემას, თვლის, რომ კ უნდა კვალიფიცირდებოდეს როგორც სპირალტი (გამყრელიძე 2000:249-256).

ლადეფონები და მედისონი ქართულ კ ს უვულარულ ხშულად მიიჩნევენ. ისინი მიუთითებენ, რომ უვულარული ეიექტივი საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოს ენებში; გვაქვს კავკასიაში, ბევრ ჩრდილო-ამერიკულ ენაში: მაგალითად, პარა, ვინტუ, სამხრ.-აღმ. პომო, სალიშურ ენათა უმრავლესობა (ლადეფონები, მედისონი 2006:78). ამიტომ ადეკვატური ჩანს კ-ს ხშა მკვეთრებთან ერთად მსკდომებისა (პ ტ კ) და აფრიკატების (წ ჭ) კლასის ფარგლებში განხილვა და, ამგარად, მისი სპირალტორიდული ბუნების გათვალისწინებით, კ შესაძლებელია აფრიკატად მივიჩნიოთ. კ-ს აფრიკატად განხილვა კიდევ უფრო უტყუარია სისტემაში შესაბამისი ფშვინვიერი ჭ-ს არსებობის გამო (ლეჟავა 1984).

ქართველური ენების დიალექტების მკვეთრი თანხმოვნები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: ბალსხემოური, ბალსქვემოური და ხევსურული – ყველაზე უფრო დაჭიმულები, ლენტეხური და ზუგდიდურ-სამურზაყნოული შედარებით ზომიერები, და უფრო სუსტები – თანამედროვე ქართული, გურული და ხოფური (ლეჟავა 2016).

## ლიტერატურა

**ახვლედიანი 1922/1923:** გ. ახვლედიანი, მკვეთრი ხშელნი ქართულში, ტფილისის უნივერსიტეტის მთაბე, ტ. II, ტსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ახვლედიანი 1938:** გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხები, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ახვლედიანი 1999:** გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძლები (მეორე გამოცემა), სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**გამყრელიძე 2000:** თ. გამყრელიძე, ქართულ თანხმოვანთა განდასება (ველარი კ და პოსტველარი კ სპირალტები ქართულში, რჩეული ქართველობრივები მრომები, თსუ გამომცემლობა, თბილისი).

- გრინბერგი 1970:** J. H. Greenberg, Some Generalizations Concerning Glottalic Consonants, especially Implosives, *International Journal of American Linguistics*, v. 36, 2.
- ზელმერი 1935:** E. W. Selmer, *Georgische Experimentalstudien*, Jacob Dybwad, Oslo.
- ზივერსი 1901:** E. Sievers, *Grundzüge der phonetik : zur Einführung in das Studium der Lautlehre der indogermanischen Sprachen*, fünfte verbesserte Auflage, Breitkopf & Härtel, Leipzig.
- თაკობსონი... 1955:** R. Jakobson, G. Fant, M. Halle, *Preliminaries to Speech Analysis: The distinctive features and their correlates*, MIT Press, Massachusetts, Cambridge, რუსული თარგმანი: 1962, *Новое в лингвистике*, II.
- თაკობსონი 1969:** R. Jakobson, Ejectives, Implosives, Clicks, თბილისის უნივერსიტეტი გორგი ახვლევიანის, თსუ გამოცემლობა, თბილისი, გვ. 48-57.
- იმნაძე 1981:** ნ. იმნაძე, ზანური ენის მუცული დაღლუქტის ბერითი შედეგნილობა, გამოცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- კემპბელი 1973:** L. Campbell, On Glottalic Consonants, *International Journal of American Linguistics*, 39, 44-46.
- კენსტოვიჩი, კისერბერტი 1979:** M. Kenstowicz, Ch. Kissnerberth, *Generative Phonology, Description and Theory*, Academic Press, New York.
- კატფორდი 1939:** J. C. Catford, On the classification of stop consonants, *Le Maître Phonétique* (3<sup>rd</sup> series), 65, 2-5. Reprinted in *Phonetics in linguistics, a book of readings* (W. E. Jones & J. Laver, editors), Longmans, London 1973.
- კატფორდი 1982:** J. C. Catford, *Fundamental Problems in Phonetics*, Indiana University Press, Bloomington.
- კიზირია 1989:** ნ. კიზირია, ჭანურის ბერითი შედეგნილობა, გამოცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ლადეფოგედი, მედისონი 1996:** P. Ladefoged, I. Maddieson, *The Sounds of the Worlds Languages*, Blackwell Publishing, Oxford.
- ლადეფოგედი 2005:** P. Ladefoged, *Vowels and consonants: An introduction to the sounds of languages*, Blackwell Publishing, Oxford.
- ლეჟავა ივანე, 2007:** დისტანციური დისიმილაციური გამუღერება სვანურ ენაში, ენათ-მეცნიერების საკითხები, თსუ გამოცემლობა, თბილისი.
- ლეჟავა, ლორთქიანიძე 2010:** ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიანიძე, გლოტალიზაციის ნიშნის აკუსტიკური ანალიზი ქართულ ენასა და მის დიალექტებში, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, თსუ გამოცემლობა, თბილისი.
- ლინდაუ 1984:** M. Lindau, Phonetic Differences in Glottalic Consonants, *Journal of Phonetics*, 12, 147-155.
- მალბერგი 1963:** B. Malmberg, *Phonetics*, Dover Publications, New York,
- მელიქიშვილი 1976:** ი. მელიქიშვილი, მარკორების მიმართება ფონოლოგიაში, გამოცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- მელიქიშვილი... 2011:** ი. მელიქიშვილი, ნ. გამყრელიძე, ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიანიძე, ქ. მარგარიძე, ი. ქობალავა, გლოტალიზაციის ნიშნი ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით, გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

- უღები 1949:** ს. ჟღენტი, ხვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- უღები 1956:** ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- რაიტი... 2002:** R. Wright, Sh. Hargus, K. Davis, On the Categorization of Ejectives, data from Witsuwit'en, *Journal of the International Phonetic Association*, 32, 43-77.
- რუსელი 1901-1908:** P. -J. Rousselot, *Principes de phonétique expérimentale*, tome II, Welter, Paris-Leipzig,
- სტივენსი 1998:** K. N. Stevens, *Acoustic Phonetics*, MIT Press, Massachusetts, Cambridge.
- ტრუბეცკი 1960:** Н. Трубецкой, *Основы фонологии*, Издательство иностранной литературы, Москва.
- უორნერი 1996:** N. Warner, Acoustic Characteristics of Ejectives in Ingush, *Proceedings of the International Conference on Spoken Language Processing, October 3-6, 1996, Philadelphia, Pennsylvania*.
- ფალონი 2002:** P. Fallon, *The Synchronic and Diachronic Phonology of Ejectives*, Routledge, New York.
- ჩარგეიშვილი 1946:** ა. ჩარგეიშვილი, ქართული ყ თანხმოვანთა ბიომექანიკის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძრამბე, ტ. VII, თბილისი.
- შორი 1930:** Р. Шор, К вопросу о консонантизме яфетических языков Ю. Кавказа, Ученые записки института этнических культур народов Востока, т. 1, Москва, стр. 174-198.
- ჰოკეტი 1955:** Ch. F. Hockett, *A Manual of Phonology*, Waverly Press, Baltimore.
- <https://wals.info/chapter/7> – World Atlas of Linguistic Structures.

Ivane Lezhava

## Typological Peculiarities of Ejective Consonants

### Summary

The glottalized consonants can be grouped into three classes: “The first of these classes most typically involves a complete closure of the vocal folds followed by an upward movement of the larynx. When the mouth closure is released, a characteristically sharp explosive noise is created. Stops of this kind are known as ejective stops. The second group of glottalized consonants are stops in which the critical movement of the larynx is downward rather than upward. If the downward movement is sufficiently vigorous, air will briefly flow into rather than out of the mouth when the mouth closure is released. Because of this possibility of inward air flow, this class of sounds is known as implosives. The third group of glottalized consonants are glottalized resonants. Resonant consonants are those produced with an unimpeded flow of air through the mouth or the nose, such as those at the beginning of the English words *lot*, *not*, *rot*, *yacht*. Consonants of this general type are usually voiced in the normal manner, but they can be produced with a closer constriction of the vocal folds which interrupts or modifies the normal voicing.” (Maddieson, WALS).

Ejectives (resp. abruptives – according to G. Akhvlediani) have a complex articulation – they are characterized by the glottal closure or constriction, rapid upward raise of the larynx, articulator tension, high intraoral pressure and abrupt release. Kingston (1985, 2005) proposed a stiff/slack dichotomy for ejectives, the classic type of ejective, termed “stiff ejective” by Kingston, is characterized by a silent period between consonant release and vowel onset, resulting in long voice onset time (VOT), sharp rise in the amplitude of the vowel (fast rise time), relatively long total duration (closure duration+VOT) and relatively small closure duration/VOT ratio. Other characteristics of stiff ejectives are: relatively intense burst, high f0 at vowel onset and modal or tense voice quality at vowel onset. Another type of ejective – the so-called “slack ejective” – has a relatively short VOT, creaky voice quality at vowel onset, slow rise times, relatively shorter total duration, and relatively larger closure duration/VOT, includes normal burst and F0 lowering at vowel onset (R. Wright, S. Hargus, K. Davis).

The ejective plosives of the Kartvelian languages are quite “slack”, but they are not categorized by rigorous dichotomy. The acoustic analysis shows that the binary classification of the ejectives (slack – stiff) does not reflect the reality, and the Kartvelian ejective plosives present a compound (mixed) picture.

## პირველი ქართული ტაქტილური ანბანი<sup>1</sup>

ტაქტილური ანბანი, ისევე როგორც დაქტილური ანბანი, არის არა სამწერლობო, არმედ ზეპირი კომუნიკაციის ანბანი, თუნცა მას, ცხადია, აქვს ჩაწერის გარკვეული ფორმაც. ტაქტილური ანბანი გამოიყენება უსინათლო ყრუთა კომუნიკაციისთვის. ფაქტობრივად, ეს ითვლება ყველაზე საუკეთესო და ერთადერთ წარმატებულ საკომუნიკაციო ფორმად ამ ტიპის ადამიანებისთვის.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უსინათლო ყრუები ერთმანეთისგან განსხვავდებან იმის მიხედვით, თუ როგორ მივიღნენ ამ მდგომარეობამდე. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი იყო ყრუ და შემდეგ დაკარგა მხედველობა, მას ცნობიერებაში ექნება სამყაროს ვიზუალური ხატი და ენის ვიზუალური წარმოდგენა. საგარაუდოდ, ასეთ ადამიანს ეცოდინება ჟესტური ენა და დაქტილური ანბანი, რომელსაც იგი იყენებდა დაბრმავებამდე. ასეთ დროს კარგად მუშაობს ტაქტილური ჟესტი, რაც არის ოთხი ხელის ჟესტი. რეალურად, ნაცნობ ჟესტურ ლექსიკას ეყრდნობა ტაქტილური მეტყველება. ხოლო თუ ადამიანი იყო უსინათლო და შემდეგ დაყრუვდა, მას ექნება სამყაროს აუდიო ხატი და ენის აუდიო ინფორმაცია. ამრიგად, მისთვის ჟესტური ენა და ტაქტილური ჟესტი უსარგებლო იქნება, რამდენადაც მას არ ექნება ამაზე წარმოდგენა. აღნიშნული სხვაობა არსებითია და განაპირობებს საკომუნიკაციო ფორმების არჩევის. განსაკუთრებით რთულია მესამე ტიპის შემთხვევა, როდესაც ადამიანი დაიბადა უსინათლო ყრუ. აქ სრულიად დახურულია აუდიო და ვიზუალური არხები და სამყაროს შემეცნება და საკომუნიკაციო ფორმები მხოლოდ ტაქტილურია ანუ შეხებითი.

ტაქტილური კომუნიკაციისას გასათვალიწინებელია არაერთი გარემოება, კერძოდ, ჩაცმულობა უნდა იყოს სადა, ზედმეტი ღილებისა და აპლიკაციების გარეშე. სამკაულები არ უნდა იყოს წარმოდგენილი კომუნიკაციის პროცესში, რადგანაც ეს საკმაოდ ხელის შემშლელია. ტანსაცმლის ფერები უნდა იქნეს გათვალისწინებული კონტრასტული პრინციპით: ღია (თეთრი) კანის ადამიანზე მუქი ფერების და მუქი კანის ადამინზე – ღია. ტაქტილური კომუნიკაცია გულისხმობს გარკვეულ სიახლოვეს და ამის გამო არის ასევე სუნის საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნები. კომუნიკატორს მოეთხოვება, რომ არ ესხას მძაფრი სუნის სუნამო, არ ჰქონდეს რამე სპეციფიკური სუნი, მაგალითად, საჭმლის (თევ-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფინანსური მხარდაჭერით, 216702 „ქართული ჟესტური ენის ზნის მორფოლოგია“.

ზის, ხახვის, ნივრის და სხვ.). ასევე დაუშვებელია აღკოპოლისა და სიგარეტის სუნი. მიღებული საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, უსინათლო ყრუსთან კომუნიკაცია ხდება მჯდომარე ფორმით და თანაც კომუნიკატორი უნდა იჯდეს უსინათლო ყრუსგან მარჯვენა მხარეს.

2018 წელს საერთაშორისო ლორმის ანბანზე დაყრდნობით, პოლონელ კოლეგებთან (Humandoc Foundation) ერთად, შევიძუშვავე ქართული ტაქტილური ანბანი, ე.წ. ლორმის ქართული ვერსია, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.



თითის წვერით ერთჯერადად შეეხეთ (მისი) ცერის ზედა წვერს.



დაუსვით თითის წვერი (მისი) საჩვენებელი თითის სიგრძის გასწვრივ წვერიდან ქვევით. არ შეეხოთ ხელისგულს.



დაუსვით თითის წვერი (მისი) არათითის სიგრძის გასწვრივ წვერიდან ქვევით. არ შეეხოთ ხელისგულს.



დაუსვით თითის წვერი (მისი) შუა თითის სიგრძის გასწვრივ წვერიდან ქვევით. არ შეეხოთ ხელისგულს.



ერთჯერადად შეეხეთ (მისი) საჩვენებელი თითის ზედა წვერს.



ერთი თითის წვერით შეეხეთ (მის) ხელისგულს მარცხენა მხარეს, ცერისა და საჩვენებელი თითის შუა.



გაუსვით თითის წვერით ვერტიკალურად (მის) ხელისგულზე ცერის ძირიდან ნეკის ძირამდე.



დაუსვით თითი (მისი) ცერის სიგრძის გასწვრივ წვერიდან ქვევით – გარეთა მხრიდან.



ერთჯერადად შეეხეთ (მისი) შუა თითის ზედა წვერს.



შეეხეთ ოქვენი ცერი, საჩვენებელი და შუა თითების წვერებით (მისი) ხელისგულის შუა ნაწილს.



დაუსვით თითი სიგრძივ (მისი) შუა თითის წვერიდან მაჯამდე.



შეეხეთ თითის წვერით (მის) ხელისგულს საჩვენებელი თითის ქვევით.



შეეხეთ თითის წვერით (მის) ხელისგულს ნეკის ქევით.



ერთჯერადად შეეხეთ (მისი) არათითის ზედა წვერს.



აუსვით თითი გარეთა გვერდითა მხრიდან (მისი) მაჯიდან საჩვენებელი ცერის წვერამდე ქვემოდან ზევით.



გაუსვით თითო ვერტიკალურად (მის) ხელისგულზე ნეკი თითოს ძირიდან მაჯისკენ.



ნაზად დაუკარით თითების წვერებით (მისი) ხელისგულის შუაში.



ერთჯერადად შეეხეთ (მის) მაჯას.



ნაზად მოუჭირეთ ერთად (მისი) შუა და საჩვენებელი თითების წვერებს.



ერთჯერადად შეეხეთ (მისი) ნეკის ზედა წვერს.



აუსვით თითო გარეთა გვერდითა მხრიდან (მისი) საჩვენებელი თითის სიგრძის გასწვრივ ქვემოდან ზევით.



აუსვით ხელს თითი გარეთა გვერდითა მხრიდან (მისი) მაჯიდან ნეკის ბოლომდე.



დაუსვით შუა და საჩვენებელი თითების წვერები (მისი) ხელისგულის შუიდან მაჯისკენ.



გაუსვით თითის წვერით მარცხნიდან მარჯვნივ – ჰორიზონტალურად (მისი) გაშლილი თითების შუაში.



ნაზად მოუჭირეთ (მისი) შუა თითის წვერს.



ნაზად მოუჭირეთ ერთად (მის) ყველა თითს ცერის გარდა.



ნაზად მოუჭირეთ (მისი) ცერის წვერს.



ერთჯერადად შეეხეთ საჩვენებელი თითის წვერით (მისი) ხელისგულის შუა ნაწილს.



შემოხაზეთ წრე (მის) ხელისგულზე.



(მისი) მაჯის გარეთა მხარეს გამოსახეთ მძიმე.



გაუსვით თითის წვერით მარცხნიდან მარჯვნივ – პორიზონტალურად (მის) მაჯაზე.




გამოსახეთ ჯვარი (მის) ხელისგულზე: ჯერ ვერტიკალური საზი ზევიდან ქვევით, შემდეგ – პორიზონტალური მარცხნიდან მარჯვნივ. რომელიც შუაზე გადაკვეთს პორიზონტალურ საზს.



დაუსვით თითის წვერი (მისი) ნეკა თითის სიგრძის გასწვრივ წვერიდან ქვევით. არ შეეხოთ ხელისგულს.

საბოლოოდ, ქართული ლორმის ანბანის სრული ფორმა ასე გამოიყენება:



დერმობრაზიასთან ერთად (რომელიც გულისხმობს ხელისგულზე ასოების წერას) უსინათლო ყრუებთან საკომუნიკაციოდ წარმატებით შეიძლება ზემოთ წარმოდგენილი ე.წ. ლორმის ქართული ვერსიის გამოყენება. ქართველი უსინათლო ყრუებისათვის შექმნილი პირველი ქართული ტაქტილური ანბანი ეყრდნობა საერთაშორისო ლორმის ანბანს. ამასთანავე, პირველი ქართული ტაქტილური ანბანი ითვალიწინებს ქართულის მასალას და შეძლებისძაგვარად უკავშირდება საყოველთაოდ ცნობილ თემებს (ც – ცერი, ნ – ნეკი, შ – შუა თითი, ჯ – ჯვარი, წ – წრე). ასევე დაცულია გარკვეული სიმეტრიებიც (ზ და ჟ).

გნიტიური ლინგვისტიკის მეთოდებით, რათა გამოვლინდეს, თუ რამდენად წარმატებულია ესა თუ ის საკომუნიკაციო სისტემა ორი უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო არხის არქონის შემთხვევაში. უახლოეს მომავალში ვაპირებთ დეტალური ნეირკოგნიტური კვლევების ჩატარებას ამ კუთხით.

## ლიტერატურა

- კუბერი 1997:** S. B. Cooper, A glossary of some communication methods used by deaf-blind people, *Views*, 14 (11), 6-7.
- მახარობლიძე 2013:** T. Makharoblidze, The Georgian Dactyl Alphabet, *Disability Studies Quarterly, DSQ*, Vol. 33, No.3 2013 <http://dsq-sds.org/article/view/3318>
- მახარობლიძე 2014:** თ. მახარობლიძე, დაქტილური ანბანი, ივერ, ტ.42. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.
- საუერბურგერი 1993:** D. Sauerburger, *Independence without sight or sound: Suggestions for practitioners working with deaf-blind adults*, New York: AFB Press.
- სმითი 1992:** T. B. Smith, *Guidelines for working/playing with deaf-blind people*, distributed by DB-LINK (800-438-9376).
- სმითი 1994:** T. B. Smith, *Guidelines: Practical tips for working and socializing with deaf-blind people*, Burtonsville, MD: Sign Media, Inc.
- ჯაკობსი 1997:** R. Jacobs, Deaf-Blind Interpreting, 101, *Views* 14 (11), 8-9.

Tamar Makharoblidze

## The First Georgian Tactile Alphabet


### Summary

A tactile alphabet just like a dactyl alphabet is not a written one, but it is used for the direct face-to-face communications. However, it also has some forms of recording. A tactile alphabet is used for communicating with the Deaf-Blind people. In fact, it is considered to be the best and the most successful communication form for this type of people.

Tactical communication is a set of circumstances. In particular, the dress should be appropriate and without any applications. Jewelry should not be represented in the communication process, because it is quite a hindrance. The color of the clothing should also be taken into account by the contrasting principle. Tactile communications usually are held at a close distance between the communicators, and therefore there are also specific requirements related to this issue. According to the accepted international standard, communication with the Deaf-Blind is established to the right side of the Deaf-Blind person.

In 2018, together with the Polish colleagues from Humandoc Foundation, I developed a Georgian tactile alphabet, based on the international Lorm alphabet. GeoLorm looks as follows:

## ქართული ლორმის ანბანი



# GeoLorm

## ფილოგნიკური და ლექსიკური კატეგორიები ურალურ ენების სისტემის შესრულება

### შესავალი

ბუნებრივ-გეოგრაფიული ობიექტების მიხედვით ტოპონიმთა რამდენიმე კლასიფიკაცია გამოიყოფა, ესენია: მიკრო- და მაკრო- ტოპონიმია, ორონიმი, ფიტონიმი, ურალური ტოპონიმი, ჰიდრონიმი და სხვა. ეს უკანასკნელი ასევე გეოგრაფიული ერთულია, რომელიც რამდენიმე ცნებას შეიცავს და ყველა მათგანისათვის ამოსავალი წყალია. ჰიდრონიმი (წყლის) ობიექტის საკუთარი სახელია, ამოსავალია ბერძნული სიტყვა „ჰიდროს“ („წყალი“, აღნიშნავს „წყლისას“ წყალთან დაკავშირებულს, აქედან ჰიდროგრაფია შეისწავლის დედამიწის ზედაპირის წყლებს, ჰიდროლოგია შეისწავლის წყლის სივრცეებს (ცხადათ, 2005:167). როგორც აღნიშნა, გათვალისწინებული უნდა იქნეს გეოგრაფიული ფაქტორი, რომელსაც სწავლობს ენათმეცნიერება.

ფრონეს ხეობაში, რომელიც წყლის უხვი სისტემებით გამოირჩევა, დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ობიექტის კვლევას, ლოკალიზაციას, როგორც მეცნიერულად, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან ხეობის ჩრდილოეთი მხარე მოქცეულია ოკუპირებულ ზონაში, სადაც შესვლა ამჟამად გაძნელებულია.

ეს ხეობა მოიცავს სამ მდინარეს: დვანის, ფცისა და ლოპანის ფრონებს, ფცის ფრონებს უერთდება ლოპანის წყალი და ამიტომ ამ შეერთების შედეგად უწოდებენ ერთ ფრონეს ერთ ხეობას. ს. მაკალათია ეთნოგრაფიულ ნაშრომში – „ფრონეს ხეობა“ – აღნიშნავს სამ მდინარეს: დვანის, ალისა და ფცის ფრონებს (მაკალათია 1963:3). დასახელებული არა აქვს ამ მდინარეთა შენაკადები, მათ შორის ლოპანის ფრონე, ოურის წყალი და მათი მცირე შენაკადები.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში – „საქართველოს გეოგრაფია“ – განიხილავს ხსენებული მხარის ჰიდრონიმიას, იგი წერს: „ლიახვის მდინარეთა აქტოშისკარამდე რომელიც მდინარე-ზევნი აღვსწერენი უწოდებენ თვინიერ შოლასა ფრონეთა (ვახუშტი 1997:83).

მეცნიერი კვლავ წერს: „რუისის დასავლით არს დვანისწყალი, ბრეთს დასავლით არს ფცის წყალი, დვანის წყალს ერთვის ხევი ჭოლიბურისა, ამ ხევს ზეით ერთვის ხევი წუნარისა. ამ ხევს მოერთვის დასავლეთიდან ნულის ხევი, ამ ხევს ზეით მოკრთვის აღმოსავლიდან ყორნისის ხევი, წორბისს ერთვის ამ წყალს ხტანის ხევი“ (ვახუშტი 1997:81,82).

აქვე დასახელებულია ტკოცის ხევი, ღოღეთის ხევი, ბრეძის წყალი, წაღვლის წყალი, აბანოს წყალი და სხვები.

ხეობის გეოგრაფიული სახელების ძველი აღწერის მასალებთან შედარების დროს გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი, რომელთა გარეშე შეიძლება მცდარ დასკვნამდე მივიდეთ. აღწერისას და კვლევისას უნდა ვიცოდეთ მისი ძველი და ახალი სახელწოდება, ლოკალიზაცია, ისტორიული წყარო, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს იმიტომ, რომ სახელები იცვლება ფორმით, შინაარსით, ზოგჯერ კი საქმე გვაქვს გაუქმებულ სახელთან, ჩვენ შემთხვევაში კი ასევე საკუთარ სახელებთან, რომლებიც ფრონტს ხეობაში დადასტურებულია „1715 წლის რუის საეპისკოპოსოს დავთარში“, წყალობის სიგელებში, რომლებიც გაცემულია ქართლის მეფეების მიერ. სახელი და გვარი შენარჩუნებულია ზოგიერთ ტოპონიმში, ასევე ჰიდროგრაფიულ ობიექტებში, რაც საშუალებას გვაძლევს, დავიწყებას არ მიეცეს როგორც ტოპონიმი, ჰიდრონიმი, ისე ანთოროპონიმი.

წყლის აღმნიშვნელი ტერმინები სიდიდის მიხედვით სხვადასხვაა: მდინარე, ხევი, ღელე, წყალი, წყარო, აბანო, ჭაობი, რომელთა დაყოფა ემყარება ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფორმას, რადგან აქ მთავარი ამოსავალი წყალია, ზღვარი კი წაშლილია, საერთო კი ბევრი აქვთ. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტოპონიმის განმარტება, როდის არის დასახელებული ისტორიულ ღოკუმენტში, რომელ საფეოდალოში შედიოდა, შეიცვალა სახელწოდება თუ არა, დღეს სად ლოკალიზება და სხვა.

## ძირითადი ნაწილი

ჩვენ განვიხილავთ ფრონტს ხეობის ჰიდროგრაფიულ ობიექტებს, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული აღწერის მიხედვით, რომელიც მან მეთვრამეტე საუკუნის ოციან წლებში განახორციელა, ისე ჩვენი აღწერის მასალებს, რომლებიც ასეულობითაა, მაგრამ, ძირითადად, ყოფილი ოლქის ფარგლებში, რადგან ისინი ბევრია და ამჯერად მხოლოდ ხეობის ზედა ნაწილს წარმოვადგენთ, მცირებს კი დაბალი ზონისასაც.

ჰიდრონიმების აღმნიშვნელ ობიექტებს – ტოპონიმებს ნათესაობითი ბრუნვა ისე აქვთ ნაწარმოები, რომ აღნიშნავთ პრეპოზიციულ წყობას, გეოგრაფიული სახელი არის განსაზღვრება, წინ უძღვის საზღვრულს:

ლიახვის რუ, სალთვისის რუ, დვანის წყალი, ფცის წყალი, ნულის ხევი, ყორნისის ხევი, ხტანის ხევი, ტკოცის ხევი, ღოღეთის ხევი, ბრების წყალი, წაღვლის წყალი, აბანოს წყალი, ოჟორის წყალი (ვახუშტი 1997:80-81).

პოსტპოზიციური წყობის დროს გეოგრაფიული სახელი მოსდევს საზღვრულს, დაერთვის სავრცობი ა და დგას ნათესაობით ბრუნვაში:

ხევი ჭოლიბურისა, ხევი წუნარისა, ხეობა დვანისა, ხევწვრილა, ღელეხევი, ხევმარა (ვახუშტი 1997:81).

პიდრონიმები წარმოების დროს, როგორც გეოგრაფიული სახელები, იკვეცებიან ან იკუმშებიან:

ფრონჯ – ფრონისპირები, მტილიანა – მტილანის მზვარე, ბოსტანა – ბოსტანის წყარო, საღორო – საღორის ღელე, კაკლიანა – კაკლის ღელე, ხევძმარა – ხევძმარის წყალი, ქვეშა – ქვეშის წყალი, ნაბაკვი – ნაბაკრის წყალი, ლერწამი – ლე(რ)წმის წყარო, კოულეტი – კოულეტის წყარო, ბალთაზეულა – ბალთხევის წყალი, ლოპანი – ლოპანის წყალი, ციხეები(ს) – ციხეება და სხვა.

მეტაფორული ანუ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხეობაში გამოიყოფა პიდრონიმები, ისინი საგანთა და მოვლენათა შორის მსგავსებას გამოხატავენ. მოვყვანთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ მაგალითებს:

### წყლის გემო, სუნი:

სოფლის სახელი სუნისი ფცის ფრონეს მარცხენა მხარეს დარქმეულია გოგირდოვანი წყლის გამო, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით, კლდის პირას გამოდის. 1715 წლის რუისის დავთარში სოფელი მოხსენებულია როგორც სურნისი.

ლაშებალთა, სახელი დარქმეულია ფრონეს მარცხენა მხარეს გამომავალი მარილიანი მლაშე წყლის გამო, რომელსაც ნადირ-ფრინველი ეტანება.

გოგირდიანი წყალი, ნასოფლარ მეტეში, რომელიც ლაშების ნასახლარების ახლოს გამოდის და მარცხნივ ჩადის მდინარე ფრონეში, რომელიც სათავეს იღებს მთა მშვილდარიდან.

დაბალწყალი, მდებარეობს სოფელ ფათქინეთის აღმოსავლეთით, ტყეში, ჭაობია და სუნი დგას.

ლაშები, არის მინდორი სოფელ ნულში, დაახლოებით 5 ჰექტარი, სადაც წყარო გამოდის და ეს სახელი ეწოდება. ლაშების წყარო გამოდის სოფელ წნელისშიც.

წყლის ტემპერატურა, ცივი წყარო ფცის ფრონეს მარცხენა მხარეს ძველი სოფლის მუდრისის მინდორში. ცივი წყალი ფცის ფრონეს მარცხენა მხარეს სოფელ იონჩაში. თბილი წყალი სოფელ ვახტანაში, ძველი ხრტანა.

### ნიადაგის თვისებით შექმნილი პიდრონიმები:

სილითის ღელე, ნასოფლარ ბზისხეში, წყალი სათავეს იღებს თეთრი ქვიშის საბადოსთან და ჩადის ფრონეში. სულხან-საბა განმარტავს, რომ „სილა არს წვლილი ქვიშა“ (სულხან-საბა 1993:89). პროფესორი ქ. ძოწენიძე ასე განმარტავს „სილა აყალოს შემდეგ ქვევრის თავზე დასაყრელი წვრილი ქვიშაა, ინახავს სისოფლეს, აყალო რო არ გახმეს“ (ძოწენიძე, 1974:389). მშრალი ხევი, სოფელ ლოპანში, რომელიც წყალუხვია გაზაფხულზე თოვლის დნობის დროს.

სილაურები, აღვილი სოფელ ავნევის აღმოსავლეთით, ქვიშიანი, საიდანაც ხევი ჩადის ფრონეს მარცხენა მხარეს (დვანის ფრონე).

ადამიანის გვარსახელიდან წარმოქმნილი პიდრონიძები:

სოფელი ნული მდებარეობს დვანის ფრონეს მარჯვენა მხარეს, რომელიც 1715 წლის ზემოხსენებული „აღწერით“ დიდი სოფელია ქართული მოსახლეობით. „აღწერაში“ დასახელებულია ვინმე იმერელი გიორგი, ხოლო თვითონ სოფლის აღმოსავლეთით პიდრონიძე ჰქვია „იმერლიაანთ წყარო“, რომელიც დღესაც ასე იწოდება. ინფორმატორთა ცნობით, სწორედ ამ ადგილებში უცხოვრიათ ამ გვარის ხალხს, რომელთა კვალი ამჟამად საკვლევია.

ამავე ხეობაზე სოფელი ღვერთევი, რომელიც ზემოხსენებული „აღწერით“ ღვერთეთია, სადაც სახლობდნენ თამაზ, დათუნა, ბერი გვრიტაძეები და ამ გვარის მიხედვით დღესაც არის „გვრიტაძის წყარო“. ასევე დასახელებულია გიორგი უამერაშვილი, დღეს უამურაშვილი, ხოლო შემორჩენილი პიდრონიძი – წყარო არის „უამერაანთ წყარო“. სოფელ არქეთში ცხოვრობდნენ დოიჯაშვილები, რომლებიც შემდგომ ცხინვალის სამხრეთით, სოფელ ერვნეთში ჩასახლდნენ და დღესაც არის უბანი – დოიჯაანთი, ხოლო ძველ საცხოვრისში დარჩა „დოიჯაანთ წყარო“.

ფცის ფრონეს სოფელ ხუნდისუბანში ცხოვრობდნენ რაჭიდან ჩამოსული კობერიძები, რომლებიც შემდგომ სხვაგან, კერძოდ კი ცხინვალსა და გორის სოფლებში გადასახლდნენ, ხოლო მათი სახელობის წყარო სოფლის ჩრდილოეთით არის „კობერაანთ წყარო“.

ამავე ხეობის სოფელ ახალშენში დღესაც ცხოვრობენ ხუციშვილები, რომლებიც ფცის ფრონეს მარჯვენა ნაპირზე გადმოსახლდნენ მარცხენა მხრიდან. იქ ძველ ნასოფლარში, რომელსაც დღესაც არამგამა ეწოდება, გვარების მიხედვით დარჩა: ხუციაანთ წყარო, არსენას წყარო, რომელიც ხუციშვილი იყო, თვით არამგამის, იგივე სადღობელაშვილების წყარო, ხევი, ხუციაანთ ხევი, გვარ ფეხშველაშვილის მიხედვით – ფეხშველაანთ ტბა, ასევე ფილიშვილის მიხედვით – ფილიაანთ ხევი, უოუეაშვილის მიხედვით – უოუეაანთ წყარო“.

სოფელი თიღვა ხეობის შემაღლებულ ადგილზე გაშენებული, სადაც ღვთისმშობლის დიდი გუმბათოვანი ტაძარია აგებული, რომელიც დავით აღმშენებლის ასულმა თამარმა 1152 წელს ააშენა და ძეგლს აქვს სათანადო ასომთავრული წარწერა. ძეგლის წინ გადმოპქუხს ანკარა წყარო, რომელსაც დღესაც „თამარის წყარო“ ეწოდება.

ზემოხსენებული „აღწერით“ თიღვაში ცხოვრობდა იონჩაძის გვარის რამდენიმე ოჯახი, მათ შორის ათანასე იონჩაძე, რომლის შთამომავლობა შემდგომ სამხრეთით, სოფლიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით დასახლდა და სოფელს დაარქვეს იონჩა, იგი დღესაც მოქმედი სოფელია, ხოლო „იონჩის წყარო“ დარჩა სოფელ თიღვაში.

სოფელი ოქონა მდებარეობს ფცის ფრონეს მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ადგილზე, სადაც არის განთქმული ოქონის მონასტერი. აქ იყო დიდი სოფელი, სადაც გარშემო ახლაც არის მთელი ნასახლარები, ნანგრევები. დღეს არსებული ქვემო ოქონა მდინარის მარჯვენა მხარეს არის გაშენებული და ის წარმოიშვა მოსულთა და ზემოდან ჩამოსახლებულთა გამოისობით. მას ეწოდებოდა „დვლები“,

ე.ი. გვარ დვალის მიხედვით, რომლებიც, ძირითადად, რაჭიდან ჩამოვიდნენ, ასევე ცხოვრიბენ ბუზალაძეები, სიმშიაშვილები. ჰიდრონიმული ობიექტებიდან აღსანიშნავია ზემოხსენებულ „დავთარში“ დასახელებული გვარის, ჯიმუხაძის მიხედვით „ჯიმუხანთ ტბა“, ასევე ძველი გვარის ნაკაშიძის „ნაკაშური წყარო“, „მამაცანთ ტბა“, მრაჭელი გორგის მიხედვით ტყეში – „მრაჭელას წყარო“, დღევანდელი ვითარებით „სიკოს წყარო“ – ბუზალაძე, ივანეს წყარო – აჭარაძე, ნეფარიძის წყარო – გვარი ნეფარიძიდან და სხვ.

დასავლეთის ფრონეს ხეობიდან აღსანიშნავია ნაგუთინის აბანო, წყარო, რომელიც სამკურნალოდ გამოიყენებოდა, ამჟამად კი მიტოვებულია. ქიმისბის ღელე – ლოპანის წყალზე მარჯვენა შენაკადი, სახელი დარქმეულია სამხარაძეების შტოგვარის მიხედვით. ედიშელის წყარო – შუბითიძე. რიკაძეების ღელე – იყვნენ აზნაურები და დღეს გვარი იქ აღარ სახლობს. თომას წყარო – გაჩეჩილაძე ილუშას სახელზე.

სულ დავადასტურეთ ასეთი ტიპის ორასზე მეტი ჰიდრონიმი, რომლებიც ჩვენი ხალხის შემოქმედების ნაყოფია.

#### ძურნარებისაგან მიღებული ჰიდრონიმები:

ბზების წყარო, ღელე – ნასოფლარ ბზისხევში, ჯონჯლის ღელე – ნასოფლარ ბზისხევში, პანტაწყარო – გაჩეჩილაძეების უბანში, თელიანის ღელე – ლოპანში, კაკლის ღელე – ლოპანში, კაპრების წყარო – ლოპანში, მაყვლიანის წაყრო – ჭურუხევში, ბორბალა (მსხლის ჯიში) წყარო – წნელისი, თელიანი ღელე – წნელისში, წიფლითი (ნასოფლარი) ღელე, ბზების წყარო – როდინეთში, ტყის პირის წყარო – მეტებში, შინდარის წყარო – სოფელ შინდარაში და სხვა.

ფრონეს ხეობაში ჰიდრონიმთა რაოდენობა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ ჩამორჩება ტოპონიმთა რაოდენობას, რომელიც სხვადასხვა ძეგლებშია დადასტურებული. ჩამოთვლილი ჰიდრონიმების გარდა, რომელიც ორასზე მეტია, ბევრი კიდევ გვაქვს აღნუსხული, მათ შორის მცირე შენაკადები, ღელეები, წყაროები, რომელიც შემდგომ იქნება წარმოდგენილი. ინტერესს იწვევს თვით სახელწოდება ფრონე, ასევე სხვა სახელებიც ეტიმოლოგიურად.

სულხან-საბა აღნიშნავს „ფრე წყარო ჭისა“ (სულხან-საბა 1993). აღ. ღლონტი აღნიშნავს, რომ ხალხში გავრცელებულია გამოთქმები: „წამოვიდა ფრონე; იმდენი იწვიმა, ფრონე დადგოა“. ასეთ ახსნას ვერ დავთანხმებით, რადგან, ჯერ ერთი, ფონი ხალხური ეტიმოლოგიით თხელ წყალს ნიშნავს, მითუმეტეს ყველა ხეობაში ჩაწერილი მასალები ამას გვიდასტურებენ, მეორე ის, რომ, ისევ სულხან-საბას განმარტებით, „ხოლო დიდთა ძღინარეთა სადა კაცთა მიერ განვლად შესაძლებელი არს, უწოდთ ფონსა“ (სულხან-საბა 1993). ეს განმარტება ასევე გამეორებულია ლექსიკონის 393-ე გვერდზე,

არა მარტო ფრონეს ხეობაში, ლიახვის ხეობაშიც გვხდება ასეთი სახელწოდებები: ფონისხელა, ფონი, თხელი წყალი, როცა მდინარე იგლებს და ხალხი ფეხით გადიოდა მეორე ნაპირზე.

ხეობა ინდიკატორიანი ჰიდრონიმებისა და თვითონ წყაროების სიმრავლითაც გამოიჩევა, რისი მიზეზიც მხარის ლანდშაფტის დაბალი ზონა შეიძლება იყოს, სადაც ყველა დასახელებულ პუნქტში ჭებია ამოღებული.

ხეობაში შედარებით ნაკლებად გამოიყოფა ჰიდროსუფიქსი – **ურა**, დისიმილაციით **ულა**. ამგვარად არის წარმომდგარი მდინარეთა სახელები: შშვილდაურა, რომელიც მშვილდაურის მთაში იღებს სათავეს და ფრონეს მარჯვენა შენაკადია; აბანოულა, ფცის წყლის შენაკადია; ფციულა, სათავეს იღებს გომართის მთაში და მტკვრის მარჯვენა შენაკადია; ჭურულა – ჭურუსების მარჯვენა შენაკადი; ღოღურა – ფცის შენაკადი და სხვ.

### შედეგები და დასკვნები

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა და მისი ანალიზი, რომელიც ფრონეს ხეობის ჰიდრონიმიას და ნაწილობრივ ტოპონიმიას ეხება, სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ლექსიკოლოგიაში. ხეობის ჰიდრონიმია და ტოპონიმია დროში გამძლე გამოდგა და ჩვენამდე მოაღწია.

### ლიტერატურა

**ცხადათია 2005:** პ. ცხადათა, ონომასტიკის შესავალი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**მაკალათია 1963:** ს. მაკალათია, ფრონეს ხეობა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**ვახუშტი 1997:** ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**სულხან-ხაბა 1993:** ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

**ძოწენიძე 1974:** ქ. ძოწენიძე, ზემოიძერული ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

**ღლონტი 1988:** ა. ღლონტი, ფრონეუბის ხეობების ტოპონიმია, თბილისი.

Nikoloz Otinashvili

### Water-Related Vocabulary in the Valley of Prone

#### Summary

Several classifications of toponyms will be allocated according to natural-geographical objects. These are micro and macro toponyms, oronyms, hydronyms and others. Hydronym comes from the Greek word “Hydros” – water, connected with water.

The Valley of Prone is located in Upper Kartli, which is distinguished by an abundant water system. The research and localization of each object here has great importance, both from scientific and political view, as the northern side of the valley is located in the occupied zone. The valley includes three rivers: the Dvani Prone, the Ptsa Prone and the Lopani Prone.

There are differences between water denoting terms according to their size: *mdinare*, *veli*, *ghele*, *tskali*, *tskaro*, *abano*, *tchaobi*.

In the toponyms hydronyms are used as attributes: Dvanistskali (Dvani Water), Nuliskhevi (Nuli Ravine), Abanostskali (Abano Water), etc.

In case of postposition, the geographical name moves to the second place. For example, Khevi Tsunarisa (the Ravine of Tsunari), Kheoba Dvanisa (the Valley of Dvani).

The hydronyms of Prone Valley either express similarity between things and events, or are derived from a person's name or surname.

## გლოტოქრონოლოგია და ლექსიკოსტატისტიკა<sup>1</sup>

მათემატიკური მეთოდების გამოყენება ენათმეცნიერებაში უკვე XIX საუკუნიდან იწყება და განსაკუთრებით აქტიური ხდება სტრუქტურული ლინგვისტიკის ჩამოყალიბებასთან ერთად; შემდგომ აქტიურად გამოიყენება ტიპოლოგიაშიც და ფეხს იყოდებს შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაშიც. ამ უკანასკნელში ყველაზე ეფექტური და ფართოდ გავრცელებული აღმოჩნდა ამერიკელი ლინგვისტის, მორის სკოლეშის მიერ შემოთავაზებული მეთოდი (სკოლეში 1952; 1960), რომელიც გლოტოქრონოლოგიის სახელწოდებით არის ცნობილი (მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც ლექსიკოსტატისტიკურ მეთოდს) და რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა (როგორც მომხრების, ისე მოწინააღმდეგების მხრიდან). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკოსტატისტიკასა და გლოტოქრონოლოგიას ერთმანეთისაგან განასხვავებენ და ამ განასხვავების შესახებ ხაზგასმით აღინიშნებოდა 1999 წელს მაკლონალდის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის (კუმბრიჯის უნივერსიტეტი) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქრონოლოგიური სიღრმე ისტორიულ ენათმეცნიერებაში“ (რენფრიუ, მაკმაპონი, ტრასკი 2000). ლექსიკოსტატისტიკა გულისხმობს ლექსიკოზე დაყრდნობითა და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ორ მონათესავე ენას შორის დროში დაშორების გამოთვლას. გლოტოქრონოლოგია, რა თქმა უნდა, ლექსიკოსტატისტიკურ გამოთვლებს ემყარება, მაგრამ უფრო შორს მიდის, ენობრივი დივერგენციის აბსოლუტურ თარიღებს ადგენს, ანუ, ფაქტობრივად, ქრონოლოგიურ სიღრმეს განსაზღვრავს გენეალოგიური ხის თითოეული კვნძისა თუ ფუძეენისთვის.

გლოტოქრონოლოგიის ძირითადი პრინციპების განხილვამდე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკოსტატისტიკური მეთოდების შემოტანა შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში, ფაქტობრივად, სათავეს იღებს მორის სკოლეშის მასწავლებლის, ედუარდ სეპირის შემდეგი გამონათქვამიდან: „მონათესავე ენათა მოცემულ განშტოებაში რაც უფრო მეტია განსხვავება ენებს შორის, სავარაუდოდ, მით მეტი დრო დასჭირდებოდა ამგვარი განსხვავების წარმოქმნას“ (სეპირი 1916:76).

კიდევ უფრო ადრე, 1850 წელს რობერტ გორდონ ლათამმა გამოთქვა საინტერესო მოსაზრება, რომელიც გლოტოქრონოლოგიისათვის უაღრესად მნიშვნელოვან

<sup>1</sup> წინამდებარე სტატიის შემოკლებული რედაქტირებული ვარიანტი შესულია სახელმძღვანელოში: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2003, 2008 (I-II გამოცემები).

ცნებას – ენობრივი ცვლილების სიჩქარეს – უკავშირდებოდა. ლათამის აზრით, „საშუალო სიჩქარე, რაც ენობრივი ცვლილებებისთვის არის დამახასიათებელი, შეიძლება მიახლოებით გამოვთვალოთ“ და, ამდენად, „ასევე მიახლოებით შეიძლება გამოვთვალოთ მაქსიმუმი იმ განსხვავებებისა, რაც დროის გარკვეულ კონკრეტულ პერიოდში შეიძლება გაჩნდეს ორ ან მეტ ენას შორის“ (რ. გ. ლათამის მოსაზრების ციტირებისათვის იხ.: ჰამსტადტი 1960:338). მან, სამწუხაროდ, თავისი ეს უაღრესად საყურადღებო მოსაზრება აღარ განავითარა და მოსალოდნელი კვანტიტატური მეთოდიც აღარ ჩამოყალიბებულა.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი მათემატიკური მეთოდი, რომლის მიხედვითაც, შეიძლებოდა ენათა გენეტიკური სიახლოვის გამოთვლა, ეკუთვნოდა ალფრედ კრობერსა და ჩარლზ დუგლას კრეტიენს (კრობერი, კრეტიენი 1937). აღნიშნული მეთოდი, თავის მხრივ, ემყარებოდა პოლონელი ანთროპოლოგების (იან ჩუეკანოვსკისა და სტანისლავ კლიმკის) მიერ შემოთავაზებულ მეთოდს, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ანთროპოლოგიასა და ეთნოგრაფიაში. კრობერისა და კრეტიენის მეთოდის არსი იყო შემდეგში:

მოცუმულია ფიქსირებული სია ენობრივი მახასიათებლებისა; ენათა ნებისმიერი წყვილისათვის ( $L_1$  და  $L_2$ ) გამოითვლება სიდიდეები: a (საერთო მახასიათებლების რაოდნობა, ე.რ. იმ მახასიათებლების რაოდნობა, რომლებიც დასტურდება როგორც  $L_1$ -ში, ისე  $L_2$ -ში), b (იმ მახასიათებლების რაოდნობა, რომლებიც დასტურდება  $L_1$ -ში, მაგრამ არ დასტურდება  $L_2$ -ში), c (იმ მახასიათებლების რაოდნობა, რომლებიც არ დასტურდება  $L_1$ -ში, მაგრამ დასტურდება  $L_2$ -ში), d (იმ მახასიათებლების რაოდნობა, რომლებიც არ დასტურდება არც  $L_1$ -ში და არც  $L_2$ -ში); შემდგომ ამ სიდიდეების მიხედვით აიგება ე.წ. ფაქტორული (კონტინგენტურობის) ცხრილი და სათანადო გამოთვლებით დგინდება კორელაციურობის კოეფიციენტი, ე.წ. ტეტრაქორული კორელაციის კოეფიციენტი. ერთი შეხედვით, ამ მეთოდის ამოსავალი ცნებები თითქოს მარტივი ჩანს, მაგრამ მთლიანად მეთოდი რამდენადმე პრობლემურია: გაუგებარია, რა პრინციპით უნდა შედგეს მახასიათებლთა სია, რა ინტერაქორეტაცია უნდა მიეცეს კორელაციურობის კოეფიციენტს (განსაკურებით იმ შემთხვევაში, როცა უარყოფითი რიცხვით გამოიხატება), ან ენათა წყვილებისთვის მიღებული შედეგები როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ენათა დიდი ოჯახის შემთხვევაში. სავარაუდოდ, სწორედ ამ პრობლემური საკითხების გამო კრობერისა და კრეტიენის მეთოდს ფართო პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია.

შემდგომ კიღევ რამდენიმე სტატისტიკური მეთოდი იქნა შემოთავაზებული ენათა გენეტიკური სიახლოვის გამოსათვლელად (მათ შორისაა: აღარ როსის, ჰენრი ალან გლისონისა თუ სხვათა მეთოდები), თუმცა ყველაზე მეტი პოპულარობა მორის სვოდეშის მეთოდმა მოიპოვა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა.

ტრადიციული შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ფარგლებში ენათა გენეტიკური სიახლოვის განსაზღვრა შეიძლებოდა მხოლოდ რელატიური ქრონოლო-

გიის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს მონათესავე ენათა ოჯახში ან ერთ ენაში მომხდარი ცვლილებების დროში თანმიმდევრობის განსაზღვრას, ზუსტი დათარი-ლების გარეშე.

რელატიური ქრონოლოგიის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე ენობ-რივი ცვლილება ქართველურ ენებში. მაგალითად, ქართველურ ენათა გენეალოგი-ური ხის ცნობილი მოდელის (ე.წ. დევტერის სქემა) მიხედვით, ქართველურ ენათა ფუძეენას, საერთოქართველურს, დივერგენციის პროცესის შედეგად, ყველაზე ადრე გამოეყო სვანური, როგორც დამოუკიდებელი ენა, ხოლო ქართულ-ზანური (ქარ-თულ-მეგრულ-ლაზური) ერთიანობა შენარჩუნებულ იქნა; მხოლოდ მოგვიანებით მოხდა ამ ერთიანობიდან ჯერ ქართულის, როგორც დამოუკიდებელი ენის, ჩამოყა-ლიბება, შემდგომ კი მეგრულისა და ლაზურისა.

ცალკე ერთ ენაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებული რელატიური ქრო-ნოლოგიის საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ ზანურში ისეთი მნიშვნელო-ვანი ენობრივი ცვლილებების დროში ურთიერთმიმართების დადგენა, როგორები-ცაა: ხმოვანთა გადაწევა, სონანტთა ვოკალიზაცია, სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სათანადო გადაწევები. შედარებით-ისტორიული კვლევის შედეგად დად-გენილია (გამყრელიძე, მაჭაგარიანი 1965:73-144), რომ ხმოვანთა ე.წ. გადაწევა ზანურში ქრონოლოგიურად უფრო ადრეული პროცესია, ვიდრე სონანტთა ვოკა-ლიზაცია (სონანტის მარცვლოვანი ალფონის V+S სახით ჩამოყალიბება); თავის მხრივ, ხმოვანთა გადაწევას წინ უსწრებდა სიბილანტურ სპირანტთა და აფრი-კატთა სათანადო გადაწევები (მაგალითად, შუასიბილანტური \*/ძ1, ც1, წ1, ზ1/ რიგის უკან გადაწევის შედეგად ჩამოყალიბდა შიშინა თანხმოვნები ზანურში); სო-ნანტთა ვოკალიზაციას ასევე წინ უსწრებდა \*/ლ/-ს \*-/რ/-ში გადასვლა ზოგიერთ ფორმაში (აღნიშნული ცვლილება კანონზომიერ ხასიათს ატარებდა, რაც დამავა-ლი ღიაობის კანონშია ასახული).

ასევე, შეიძლება გავიხსენოთ სვანურში ფონეტურ ცვლილებათა რელატიური ქრონოლოგია, რომელიც კარგად არის შესწავლილი (გამყრელიძე 1968).

ყველაზე ადრეული ცვლილება სვანურში (რაც სვანურ და ზანურ არეალებს ერთ დასავლურ-ქართველურ არეალში აერთიანებდა) იყო სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა რიგების სათანადო გადაწევები. ამათგან შუასიბილანტურ აფრი-კატთა \*/ძ1, ც1, წ1/ რიგმა პრესვანურში მოგვცა შესაბამისი \*/ჯ, ჩ, ჭ/ რიგი, რა-საც პრესეპანურშივე მოჰყვა აფრიკატების სპირანტიზაცია ჰარმონიულ კომპლექ-სებში; ამ პროცესს თან დაერთო არაგლოტალიზებულ \*/ჯ/ და \*/ჩ/ ფონემათა დე-ზაფრიკატიზაცია გარკვეულ სხვა პოზიციებშიც და გლოტალიზებული \*/ჭ/ ფონე-მის გადასვლა /პ/ ფონემაში; \*/ჯ/ და \*/ჩ/ ფონემათა დეზაფრიკატიზაციის პროცე-სის დასრულების შემდეგ იწყება სონანტთა ვოკალიზაციის პროცესი და შედეგად სონანტის მარცვლოვანი ალფონისაგან მიიღება V+S მიმდევრობა. სვანურში ქრო-ნოლოგიურად ყველაზე გვიანდელია /გ, ქ, ჭ/ თანხმოვანთა ასიბილაციის პროცესი,

რომელსაც, სავარაუდოდ, წინ უსწრებდა ხმოვანთა უმღაუტიზაცია (ან, შესაძლოა, ეს ორი პროცესი თანადროული ყოფილიყო).

აბსოლუტური ქრონოლოგია, რელატიური ქრონოლოგიისაგან განსხვავებით, გულისხმოს ენობრივი მოდელების შედარებით ზუსტ დათარიღებას. გლოტოქრონოლოგია სწორედ აბსოლუტური ქრონოლოგიის შესაძლებლობას იძლევა. ფუძეენა, რომელიც განიხილება როგორც დროსა და სივრცეში არსებული რეალური ენა, თავის მხრივ, ენობრივ მოდელს წარმოადგენს, რომლის დივერგენციის პროცესი სქემატურად ასახულია მოცემული ფუძეენიდან მომდინარე მონათესავე ენათა ოჯახის გენეალოგიური ხის მოდელში. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი ხდება მონათესავე ენათა გენეალოგიურ ხეში, როგორც ფუძეენის დონის (უფრო ზუსტად, ფუძეენის დაშლის უშუალოდ წინა პერიოდის), ასევე კონკრეტული კვანძების დონეთა (რომლებიც ფუძეენის დივერგენციის პროცესის განსხვავებულ დონეებს შეესაბამება) დათარიღება.

გლოტოქრონოლოგია, რომელიც მ. სვოდეშმა შემოგვთავაზა, ემყარება ენობრივი ცვლილებების ისეთ მოდელს, რომელიც ანალოგიურია რადიოაქტიური დაშლის პროცესისა. გლოტოქრონოლოგიის მიხედვით, ენაში ლექსიკონის ცვლილების (ცვეთის) პროცესი რადიოაქტიური დაშლის პროცესის მსგავსია და, ამდენად, შესაძლებელია, შემუშავდეს დათარიღების მეთოდი, ანალოგიური არქეოლოგიაში ფართოდ გამოყენებული ე.წ. რადიოგარბონული დათარიღების მეთოდისა. ამ მეთოდის არსი ასეთია: ყოველ ცოცხალ ორგანიზმში (ადამიანი, ცხოველი, მცენარე) შედის რადიოაქტიური ნახშირბადი – ნახშირბადის არამდგრადი იზოტოპი (ე.წ. ნახშირბადი-14), რომელიც რადიოაქტიური დაშლის შედეგად გარდაიქმნება აზოტად; ცოცხალი ორგანიზმი სიცოცხლის განმავლობაში განუწყვეტლივ ივსება რადიოაქტიური ნახშირბადით და სანამ ორგანიზმი ცოცხალია, მასში პროცენტული თანაფარდობა ნახშირბადის რადიოაქტიურ (არამდგრად) და სტაბილურ (მდგრად) იზოტოპებს შორის მუდმივია.

ენობრივი ცვლილებების ანალოგიური მოდელის შესამუშავებლად სვოდეშმის-თვის უპირველესი ამოცანა იყო, შეემუშავებინა კონკრეტული სია (N რაოდენობის ჩამონათვალი) ისეთი მნიშვნელობებისა, რომლებიც ყველა ენაში იქნებოდა ლექსიკალიზებული (იქნებოდა უნივერსალური), არ დაექვემდებარებოდა სესხებასა თუ სხვა კულტურულ (ან ინტერკულტურულ) ზეგავლენებს, ე.ი. იქნებოდა საკმაოდ მედეგი ცვლილებების მიმართ. ასეთი სია მართლაც შემუშავდა, იგი ცნობილია პაზისური ლექსიკონის ან ძარეული ლექსიკის სახელწოდებით (მას მოიხსენიებენ, ასევე, როგორც „სვოდეშის სია“) და მასში შესულია ისეთი მნიშვნელობები, როგორებიცაა: სხეულის ნაწილები, რიცხვები (მცირე რაოდენობის შესაბამისი), ნათესაობის მარტივ ტერმინთა შესაბამისი მნიშვნელობები, ტოპოგრაფიულ ტერმინთა შესაბამისი მნიშვნელობები, ბუნებრივი მოვლენები, პირის, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები, ადამიანის ძირითადი (სასიცოცხლო) აქტივობები,..

გასაგებია, რომ ამგვარი სია საბოლოო სახით თავიდანვე არ ჩამოყალიბებულა, დროთა განმავლობაში ზუსტდებოდა სიაში შემავალი ერთეულებიცა და მათი რაოდენობაც (N); საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა სვოდეშის სიის ორი ვარიანტი: 100-სიტყვიანი და 200-სიტყვიანი (რომელიც თავიდან 215-სიტყვიანი იყო) სიები. სვოდეშის სია მოიაზრება როგორც პარალელი რადიოაქტიური ნახშირბადის საწყის რაოდგნობისა ცოცხალ ორგანიზმში.

ამოსავალი ძირითადი ლექსიკის სიის დადგენის შემდგომ საჭირო იყო ძირითადი ლექსიკის ცვეთის პროცესის გააზრება და ამ პროცესის საშუალო სიჩქარის დადგენა. ძირითადი ლექსიკის ცვეთის პროცესში იგულისხმება დროთა განმავლობაში ძირითადი საღექსიკონო ერთეულების ახლი ფორმებით ჩანაცვლების პროცესი (ფონეტიკური ცვლილებები სიახლედ არ ითვლებოდა). აღნიშნული პროცესი მოიაზრება როგორც ანალოგი რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის პროცესისა.

ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, კონკრეტულ ენობრივ მონაცემებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ძირითადი ლექსიკის ჩანაცვლების სიჩქარე მუდმივი სიღიდეა. თავდაპირველად განხილული იყო ენათა ორი წყვილი: ერთი მხრივ, ინდიელების ორი ენა (ნუტკა და კაკიუტლი), ხოლო მეორე მხრივ – ინგლისური და გერმანული. დადგინდა ენათა თითოეულ წყვილში ამოსავალი ძირითადი ლექსიკონიდან შემორჩენილი საერთო მასალის წილი: ინდიელთა ზემოთ აღნიშნულ ორ ენაში საერთო აღმოჩნდა ძირითადი ლექსიკის 30%, ხოლო ინგლისურისა და გერმანულში – 59%. რამდენადაც ცნობილი იყო, რომ ინგლისურისა და გერმანულის გამოყოფა დაახლოებით 1100 წლის წინათ მოხდა, შესაძლებელი გახდა გამოთვლა ჩანაცვლების სიჩქარისა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ინდიელთა მოცემული ორი ენის ასაკი, ანუ ქრონოლოგიური სიღრმე, რომელიც ამ ენებს მათი საერთო ფუძეებიდან აშორებდა (სვოდეში 1952; 1960).

ძირითადი ლექსიკის ჩანაცვლების სიჩქარის დადგენაში დიდი წვლილი შეიტანა ლიზის კვლევებმა (ლიზი 1953), რომელმაც შესწავლა ენათა 13 წყვილი (მათი ქრონოლოგიური სიღრმე ცნობილი იყო) და დაადგინა, რომ ჩანაცვლების სიჩქარე მუდმივი სიღიდეა, არ არის დამოკიდებული არც დროზე, არც კონკრეტულ ენაზე და საშუალოდ უდრის 19%-ს ათასწლეულში, 200-სიტყვიანი სიის მიხედვით.

სვოდეშის მოდელში გამოთვლები ემყარება არა ცვლილების სიჩქარეს, არამედ შენარჩუნების ზომას, რომელიც გვიჩვენებს, ერთ ათასწლეულში ძირითადი ლექსიკის რა ნაწილი შენარჩუნდება. გასაგებია, რომ თუ ლექსიკის ჩანაცვლების სიჩქარე მუდმივი სიღიდეა, შენარჩუნების ზომაც მუდმივი იქნება. ზემოთ მოცემული მონაცემების მიხედვით, 200-სიტყვიანი ლექსიკონისთვის შენარჩუნების ზომა იქნება 0,81 (81%). ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით დადგინდა შენარჩუნების ზომა 100-სიტყვიანი ლექსიკონისთვისაც – 0,86 (86%). შენარჩუნების ზომის მიხედვით თუ გომეჭლებთ, გამოდის, რომ ძირითადი ლექსიკის შენარჩუნება გეომეტრიული პროგრესით კლებულობს, რაც შემდეგი ფორმულით გამოიხატება:

$$c = r^t, \quad (1)$$

სადაც  $t$  აღნიშნავს დროს ათასწლეულებში,  $c$  – ძირითადი ლექსიგიდან  $t$  დროის გავლის შედეგ მოცემულ ენაში შემორჩენილ ერთეულთა რაოდენობას, ხოლო  $r$  – შენარჩუნების ზომას.

როდესაც  $c$  და  $r$  ცნობილია,  $t$  შემდეგნაირად გამოითვლება:

$$t = \frac{\log c}{\log r} \quad (2)$$

წარმოდგენილი ფორმულით გამოითვლება დრო, რომელიც აშორებს ამა თუ იმ ენას მისი წინაპარი ენისაგან, ანუ გამოითვლება დროში დაშორებები მონათესავე ენათა გენეალოგიურ ხეში ერთი განშტოების გასწვრივ. მაგრამ როდესაც ერთი ენიდან მომდინარე ორი ან მეტი ენის მონაცემებს ვადარებთ ერთმანეთს, მაშინ: ორი ენის შემთხვევაში (1) ფორმულაში  $t$  გაორმაგდება, ხოლო საზოგადოდ  $n$  რაოდენობის ენათა შემთხვევაში (1) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$c = r^{nt}. \quad (3)$$

აქედან  $t$  შემდეგნაირად გამოითვლება:

$$t = \frac{\log c}{n \log r}. \quad (4)$$

1950-იან და 1960-იან წლებში ლინგვისტები აქტიურად დაინტერესდნენ გლობოქრონოლოგიური გამოთვლებით; გამოქვეყნდა საკმაოდ ბევრი სტატია და გამოიკვეთა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური (ზოგჯერ ნეიტრალურიც) დამოკიდებულება სვოდების მოდელის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ გლობოქრონოლოგიური გამოთვლები ჩატარდა ქართველურ ენებზეც (კლიმოვი 1952; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:17) და აბსოლუტური ქრონოლოგიის მიღებული შედეგები საერთოქართველური ფუძეენისა და ქართველურ ენათა ჩამოყალიბების შემდეგ სურათს წარმოგვიდებუნ:

100-სიტყვიანი სის მიხედვით, ფუძეენიდან სვანური ენის გამოყოფა უნდა დაწყებულიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის შემდეგ, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნისთვის იყარა-უდება. რამდენადმე განსხვავებულია დათარიღება 200-სიტყვიანი სის მიხედვით: ფუძეენიდან სვანური ენის გამოყოფა თარიღდება X საუკუნით ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის დიფერენციაცია ივარაუდება ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი გამოთვლის შედეგად მიღებული აბსოლუტური ქრონოლოგიის თარიღები განსხვავებულია, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქრონოლოგიურ მანძილი სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის, ჩამოყალიბებასა და ქართულ-ზანური ერთიანობის დიფერენციაციას შორის დაახლოებით ერთი და იგივე: ორივე გამოთვლის მიხედვით, საერთოქართველურიდან სვა-

ნურის გამოყოფა დაახლოებით ერთი ათასწლეულით წინ უსწრებს ზანურ-ქართული ერთიანობის დაშლას.

რაც შეეხება სვოდეშის გლოტოქრონოლოგიური გამოთვლების მიმართ დამოკიდებულებას, გარდა იმისა, რომ გარკვეული პრობლემები უკავშირდებოდა ძირითად ლექსიკონს (რამდენად უნივერსალურია ეს ლექსიკონი, ღრმად წასული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ზოგჯერ ცნების ამოცნობა ჭირს, ზოგჯერ ერთ ცნებას რამდენიმე გამოხატულება უკავშირდებოდა და სხვ.), ყველაზე დიდ კითხვით ნიშანს აჩენდა ძირითადი ლექსიკონის ცვლილების სიჩქარის სიდიდე, უფრო ზუსტად, ამ სიდიდის მუდმივობის საკითხი: ძირითადი ლექსიკონის ე.წ. „ცვეთა“ მართლაც მუდმივი სიჩქარით მიმდინარეობდა?

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით რ. ლიზი თავიდანვე შენიშნავდა, რომ სხვადასხვა მნიშვნელობა შესაძლოა სხვადასხვა სიჩქარით იცვლებოდეს (ლიზი 1953). თვით მ. სვოდეშმაც ხომ ჩანაცვლების სიჩქარე (R) სხვადასხვაგვარად განსაზღვრა 200-სიტყვიანი და 100-სიტყვიანი ლექსიკონებისთვის (სვოდეში 1955). დანარჩენ მკვლევართაგან ერთ-ერთი პირველი, რომელმაც აღნიშნა R-ის განსხვავებული მნიშვნელობების შესახებ, იყო მ. ჯუზი (ჯუზი 1964:237): ძირითადი ლექსიკის სია მან ჯგუფებად დაყო და თითოეული ჯგუფისთვის R-ის სიდიდე განსხვავებულად განსაზღვრა. შემდგომ ი. დაიენმა აღნიშნა, რომ R-ის განსხვავებული მნიშვნელობები მსგავსი იყო ენათა განსხვავებულ ოჯახებში (დაიენი 1964). მოვიანებით, ამავე პრობლემას იკვლევდნენ ლ. კავალი-სფორცა და უ. ვანგი (კავალი-სფორცა, ვანგი 1986:38-55).

მნიშვნელოვანია რუს ლინგვისტთა წვლილი ძირითადი ლექსიკონის ცვლილების სიჩქარის დადგენასთან დაკავშირებით. მ. ჯუზისა და ი. დაიენის თანადროულად, მათგან დამოუკიდებლად, ა. დოლგოპოლსკიმაც დაადგინა, რომ ძირითადი ლექსიკონის ცვლილების სიჩქარე (R) განსხვავებული მნიშვნელობებისთვის განსხვავებულია. მან 140 ენის მონაცემებზე დაყრდნობით გამოყო 15 მნიშვნელობა,<sup>2</sup> რომლებიც დააღაგა სტაბილურობის კლების მიხედვით (დოლგოპოლსკი 1964).

სვოდეშის გლოტოქრონოლოგის დახვეწა-დაზუსტების შემდგომი ცვლილება უკავშირდება ს. ა. სტაროსტინის სახელს. მ. სვოდეშის ფორმულისგან განსხვავებით, სტაროსტინი თავის გამოთვლებში ემფარება არა შენარჩუნების ზომას, არამედ ცვლილების სიჩქარეს და ცვილობს ამ უკანასკნელის მნიშვნელობის დაზუსტებას. ს. სტაროსტინის აზრით, გლოტოქრონოლოგიაში მომუშავე ნებისმიერი ლინგვისტი გრძნობს, რომ ყველა სიტყვას (თუნდაც სვოდეშის 100-სიტყვიანი

<sup>2</sup> სტაბილურობის კლების მიხედვით დაღაგებული მნიშვნელობებია (ა. დოლგოპოლსკის მიერ გამოყოფილი): I პირის ნიშანი; ორი; II პირის ნიშანი; ვინ/რა; ენა (ორგანო); სახელი; თვალი; გული; კბილი; ზმიური უარყოფა; ფრჩხილი; ტილი; ცოტლი; წყალი;

ბაზისური ლექსიკონის მიხედვით) შენარჩუნების ერთნაირი შანსი არა აქვს.<sup>3</sup> მოცე-მული კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვისთვისაც კი ცვლილების სიჩქარე განს-ხვავებული იქნება ენების მიხედვით, რამდენადაც იგი კულტურულ გარემოცვაზეც უნდა იყოს დამოკიდებული.

ემპირიული მასალის საფუძველზე, ს. სტაროსტინმა რამდენადმე დააზუსტა ცვლილების საშუალო სიჩქარის სიდიდე და იმის გათვალისწინებითაც, რომ ქრონოლოგიური სიღრმის გაზრდასთან ერთად ბაზისური ლექსიკონის ცვლილების სიჩქარე კლებულობს, გარკვეული კორექტივები შეიტანა მ. სვოდეშის ფორმულა-ში და აბსოლუტური ქრონოლოგის გამოთვლის ფორმულა საბოლოოდ შემდეგი სახით წარმოადგინა:

$$t = \sqrt{\frac{\ln(N(t))}{-\lambda N(t)}}, \quad (5)$$

სადაც:  $t$  აღნიშნავს დროს მოცემული ენის დამოუკიდებლად განვითარების დასაწყისის მომენტიდან გარკვეულ მომდევნო მომენტამდე (იზომება ათასწლეულებში);  $\lambda$  არის ბაზისური ლექსიკონის (იგულისხმება 100-სიტყვიანი) ცვლილების („ცვე-თის“) სიჩქარე და მისი საშუალო მნიშვნელობა ტოლია 0,05-ის;  $N(t)$  არის ბა-ზისური ლექსიკონიდან შემორჩენილი სიტყვების წილი  $t$  მომენტისათვის.

აღნიშნული ფორმულა მუშაობს ერთი ენისთვის. რამდენიმე მონათესავე ენის შემთხვევაში, ზოგადად –  $n$  რაოდენობისა, ამ ენათა უშუალო ფუძეენის დათა-რიღებისათვის ფორმულა (5) შემდეგ სახეს მიიღებს:

$$t = \sqrt{\frac{\ln N_n(t)}{-n \lambda \sqrt[n]{N_n(t)}}}, \quad (6)$$

სადაც შემოდის  $N_n(t)$  სიდიდე, რომელიც აღნიშნავს  $n$  რაოდენობის მონათესავე ენებში ბაზისური ლექსიკონიდან (იგულისხმება 100-სიტყვიანი) ყველა ამ ენაში შე-მორჩენილი შესატყვისობების რაოდენობას.

დაბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება: ს. სტაროსტინმა კლასი-კური გლოტოქრონოლოგიის მათემატიკური აპარატი გადმოიტანა ძირებზე. მან შეისწავლა სხვადასხვა ენაში განსხვავებული ტიპის ტექსტებში ორიგინალური ძირების (იგულისხმება, რომ ეს ძირები მოცემული ენის კუთვნილებაა და არ წარ-მოადგენს ნასესხობებს) სიხშირული განაწილება და დაადგინა, რომ გამოთვლები შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი ტექსტიდან ამოკრებილ 100 ორიგინალურ ძირზე. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში  $\lambda$ -ს მნიშვნელობა განსხვავებული იქნება. ემპირი-ულ მასალაზე დაყრდნობით დაზუსტდა  $\lambda$ -ს მნიშვნელობა:  $\lambda = 0,035$ .

<sup>3</sup> აქ შეიძლება მოვიხმოთ ს.სტაროსტინის მაგალითი: 100-სიტყვიანი სიიდან სიტყვებს „მე“, „შენ“, „ყური“ შენარჩუნების უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე სიტყვებს: პატარა „ან „კანი“ (სტაროსტინი 1989:15).

ძირებზე დაყრდნობით ჩატარებული გამოთვლებიდან ჩანს, რომ იგი მეტი სიზუსტით ხასიათდება. ამ მეთოდს ს. სტაროსტინი ძირის გლოტოქრონოლოგიას უწოდებს. გამოთვლები ძირის გლოტოქრონოლოგიის მეთოდის მიხედვით აუცილებლად გულისხმობს, რომ წინასწარ ჩატარებული უნდა იყოს საკვლევი ენის (ენების) დაწვრილებითი, ფაქტი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი.

საზოგადოდ, გლოტოქრონოლოგიას დიდ ზიანს აქვთ მისი არასწორი გამოყენება ნაკლებად შესწავლილი ენობრივი მონაცემების მიმართ. გვინდა სტატია დავასრულოთ ს. სტაროსტინის სიტყვებით: „ვფიქრობთ, მომავალში, შედარებითი ფონეტიკისა და ეტიმოლოგიის დაზუსტების შემდეგ, ძირის გლოტოქრონოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ენათა შორეული ნათესაობის დადგენასა და მათი გენეალოგიური კლასიფიკაციის აგებაში“ (სტაროსტინი 1989:30).

## ლიტერატურა

**გამყრელიძე 1968:** თ. გამყრელიძე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში: „გადაწერის წესები“ დაიქრონიულ ფონოლოგიაში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, „მეცნიერება“, თბილისი.

**გლისონი 1959:** H. A. Gleason, Counting and calculating for historical reconstruction. *Anthropological Linguistics* 1, pp. 22-32.

**დაიენი 1964:** I. Dyen, On the validity of comparative lexicostatistics, *Proceedings of the Ninth International Congress of Linguistics*, Cambridge, MA, August 27-31, 1962, Mouton, The Hague, 238-52.

**დოლგომოლხვი 1964:** А. Долгопольский, Гипотеза древнейшего родства языковых семей Северной Евразии с вероятностной точки зрения, *Вопросы языкознания* 2, 53-63.

**ემბლეტონი 1985:** S. Embleton, Lexicostatistics applied to the Germanic, Romance, and Wakashan families, *Word* 36 (1), pp. 37-60.

**კავალი-სფორცა, კანგი 1984:** L. L. Cavalli-Sforza, W. S-Y. Wang, Spatial distance and lexical replacement, *Language* 62, 38-55.

**კლიმოვი 1952:** Г. А. Климов, О глотохронологическом методе датировки распада праязыка, *ВЯ*, №2, стр.119 и далее.

**კროებერი, კრეტიენი 1937:** A. L. Kroeber & C. D. Chrétien, Quantitative classification of Indo-European languages, *Language* 13, pp. 83-103.

**ლის 1953:** R. B. Lees, The basis of glottochronology, *Language* 29, 113-127.

**რენფრუი, მაქმანი, ტრასკი 2000:** C. Renfrew, A. McMahon & L. Trask (eds.), *Time Depth in Historical Linguistics*, vol. 1, The McDonald Institute for Archeological Research, Cambridge.

**სეპირი 1916:** E. Sapir, Time perspective in Aboriginal American culture: a study in method, *Memoir 90, Anthropological Series* 13, Ottawa.

**1952:** M. Swadesh, Lexico-statistic dating of prehistoric ethnic contacts, *Proceedings of the American Philosophical Society* 96, pp. 452-63.

**1955:** M. Swadesh, Towards greater accuracy in lexicostatistic dating, *International Journal of American Linguistics* 21, 121-37.

**1960:** M. Сводеш, Лексикостатистическое датирование доисторических этнических контактов (на материале племен эскимосов и североамериканских индейцев, *Новое в лингвистике*, Вып. I, стр. 23-87, Издательство Иностранной Литературы, Москва).

**1989:** С. А. Старостин, Сравнительно-историческое языкознание и лексикостатистика, *Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока*, 3-39, Академия Наук СССР, Москва.

**1964:** M. Joos, Glottochronology with retention-rate inhomogeneity, *Proceedings of the Ninth International Congress of Linguistics, Cambridge, MA, August 27-31, 1962*, Mouton, The Hague, 225-37.

**1960:** D. Hymes, More on lexicostatistics, *Current Anthropology* 1, pp. 338-45.

**1973:** D. Hymes, Lexicostatistics and glottochronology in the nineteenth century (with notes toward a general history), *Lexicostatistics in Genetic Linguistics, Proceedings of the Yale Conference, Yale University, April 3-4, 1971*, pp. 122-76.

## Ether Soselia

### Glottochronology and Lexicostatistics

#### Summary

Time depth constitutes one of the most difficult problems in the comparative-historical linguistics. The technique of glottochronology proposed in the late 1940s and early 1950s by M. Swadesh was aimed at solving the problem.

Before discussing the main principles of glottochronology, there are presented lexicostatistical methods that actually started from E. Sapir. They are: R. G. Latham's viewpoint, A. L. Kroeber & C. D. Chretien's mathematical method, statistical methods proposed by A. S. C. Ross, H. A. Jr. Glison and others authors.

M. Swadesh's model is used to calculate absolute chronology. The difference between absolute chronology and the relative one is exemplified by the data from the Kartvelian languages.

M. Swadesh's glottochronological model, being the best known, is closely analogous to the radioactive dating method widely used in archaeology. The first main claim for the glottochronological dating method was to arrive at a list of  $N$  meanings that could be found in every language (being universal) and that ought to be resistant to borrowing and other cultural (and inter-cultural) influences. Such a list has been developed, and it is known as *basic-core vocabulary* or *Swadesh-list*, which has two versions: 100-word and 200-word lists.

The following main claim was to define the value of the rate of basic vocabulary change ('morpheme decay') process, and the value was assumed to be universal and constant. Based on the empirical data, the value of the change range has been determined: it approximately

equals 13% per millennium for the 100-word list, and 19% per millennium for the 200-word list. M. Swadesh bases his calculations of time depth on the value of the retention rate (percentage of the retained forms), denoting it by  $r$  ( $r = 87\%$  per millennium for the 100-word list; and  $r = 81\%$  per millennium for the 200-word list). So, the formula is as follows:

$$t = \frac{\log c}{\log r}$$

( $c$  denotes the amount of the retained forms, and  $t$  stands for the time depth, in millenniums).

Swadesh's formula was widely used by different scholars for a broad range of languages, and sometimes the attitude towards glottochronology was even negative.

Later S. Starostin, a Russian scholar, played a great part in the refinement of Swadesh's model. Based on some theoretical background and a vast empirical data, he has made some corrections in the time depth formula and proposed that the calculation of time depth could be related to the *roots* (different from Swadesh's glottochronology, which relate to the words from the *basic-core vocabulary*), more exactly, to 100 original (non-loaned) roots chosen from any text.

Generally, any lexicostatistical or glottochronological study of the language (languages) should be preceded by a thorough comparative-historical analysis.

**დინამიკური მოდალური სემანტიკის  
გამომსაზღველი ანალიზური და სინთეზური  
ზონური ფორმები ქართულ სამურალობრივ ენაში<sup>1</sup>**

დინამიკური, შესაძლებლობის სემანტიკა თავდაპირველად ძველ ქართულში აღწერითად იყო გამოხატული.<sup>2</sup> შინაგანი ან შეძენილი უნარი, ცოდნა და სიტუაციით განპირობებული შესაძლებლობა, როგორც წესი, გამოიხატებოდა წელ-ეწიფების და ძალ-უძს>ძალ-უც რთული სინონიმური მნიშვნელობის მქონე ზმნებითა და მათგან მიღებული სახელზმნური ანალიზური ფორმებით. ერთი მხრივ, გვქონდა: წელ-ეწიფების, წელმწიფებად აქუს, წელმწიფე არს, მეორე მხრივ, ძალ-უძს>ძალ-უც, შეძლებელ არს, შესაძლო არს (ჩემდა, შენდა, მისდა...), შეძლებად აქუს, ძალი აქუს, ძალი შესწევს, ძალი მოეცა ტიპის ფორმები.

წელი არის ადამიანის სხეულის ნაწილი, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია შეასრულოს მოქმედებათა უმეტესი ნაწილი. წელ ძირზე წიფება („წევა, მოწევნა, მიწევნა, გათანასწორება, მოახლება, მოვლინება“ (აბულაძე 1973:549, 481, 254,287)) ზმნური კომპონენტის დართვით ვიღებთ რთულ ზმნას, წელ-წიფება, შეძლევი მნიშვნელობით – „შეძლება, უფლება, გაბედვა“ (აბულაძე 1973:569). წიფება ზმნა რთულ ზმნაში მონაწილეობს როგორც ობიექტური (ამის კუთხისა პუტიფი მე არარად წელ-ეწიფების (აგ. ლიტ. ძეგლ. 32:7 Titus), ისე – სუბიექტური წყობის ფორმებით (არამედ კუცხლისა მისთვის, რომელ სოჭუ კუდრი გაბაქლის თანა, კითარ წელ-ეწიფეო მოღებად? (S 5:2 Titus) (იმნაიშვილი 1996:543)).

ძალ-უც ზმნის პირველი კომპონენტი სახელია (ძალ-ი – „ძალა, შეძლება, ძლიერება“ (აბულაძე 1973:523)), მეორე კომპონენტი კი ზმნაა, რომელიც სუპლეტურად აწარმოებს მწკრივებს (პირველ სერიაში – ცემა, მეორეში – დება). აღნიშვნული რთული ზმნის ზმნური კომპონენტის მნიშვნელობაა „ქონა, ქონება“,<sup>3</sup> შესაბა-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მსარდაჭერით, 218000 „მოდალურის კატეგორია ქართულ ენაში“.

<sup>2</sup> დინამიკური მოდალური სემანტიკის შესახებ იხ. მ. ლამბაშიძე, დინამიკური მოდალობის გამომსატველი „ძალ-უც“ ზმნა ძველ ქართულ სამწერლობო ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, 2017, გვ. 222-235.

<sup>3</sup> დება – „ქუან/ქონება“, ყოფნა, განდება, „დავრდომა“, დადება, ცემა, გდება (აბულაძე 1973:138, 514). ჩვენს შემთხვევაში ეს ზმნა პირველი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

მისად, ძალ-უც გაიაზრება, როგორც „ძალა აქვს, ძალა შესწევს, შეუძლია“ (ძალ-დება – „ძლვა, შეძლება, ძლება, ჭელმწიფება, ფლობა“ (აბულაძე 1973:523)).

დასახელებული რთული ზმნების გამოყენების თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქცია. კელ-ეწიფების და ძალ-უც რთული ზმნების დადასტურების შემთხვევაში სახარების რედაქციები უმეტესად სხვაობას არ ავლენენ:

ნუ კელ-ეწიფების პრმასა ძრმისა წინაძლუანგად (ლ. 6:39 CDEFGHIK).<sup>4</sup>

ვერ კელ-ეწიფების მოწავე-ყოფად ჩემდა (ლ. 14:26 CDEFGHIK).

ძალ-გიც განწმედად ჩემდა (მარკ. 1.40 CDEFGHIK).

ძალ-გიცა სასუმელი შესუმად? (მარკ. 10:38 XDEFGHIK).<sup>5</sup>

ძალ-გიც განკურნებად ჩემდა (ლ. 5:12 CDEFGHIK)...

მოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება კელ-ეწიფების და ძალ-უც რთული ზმნების მონაცემება:

ვიღორე ივი მე მივალ, შენ ვერ კელ-ეწიფების მოსლვად აწ, ხოლო მერმე მოძღვდე მე (ი. 13:36 FG).

შდრ.: ვიღორე-ივი მე მივალ, შენ ვერ ძალ-გიც მოსლვად აწ, ხოლო მერმე მოძღვდე მე (იქვე, DEHIK).<sup>6</sup>

რედაქციულ სხვაობებზე დაკვირვება კარგად გვიჩვენებს რთული ზმნის რღვევის პროცესს ქართულ სამწერლობო ენაში, ასე მაგალითად, თავდაპირველად რთულ ზმნას ანაცვლებს სხვადასხვა ტიპის ანალიზური წარმოება:

კელ-მეწიფების განტევებად შენი (ი. 19.10 C).

კელმწიფებად მაქუს განტევებად შენდა (იქვე, DEFGHIK).<sup>7</sup>

ვის კელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა? (მარკ. 2:7 DEFGHIK).

ვინ შეძლებელ არს მიტევებად ცოდვათა? (იქვე, C).

უკუთუ გინდეს, ძალ-გიც კეთილის-ყოფად მათა (მარკ. 14:7 DEFGHIK).

რაუამს გენებოს, კელმწიფე ხართ მათა კეთილისყოფად (იქვე, C).

ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად? (მ. 9.28 DEFGHIK).

ვითარმედ შეძლებელ გარ ყოფად ესე? (იქვე, C).

წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ კელ-ეწიფების და ძალ-უც რთულ ზმნებს შორის, სემანტიკური თვალსაზრისით, თავისუფალი ვარირებაა, რადგან

<sup>4</sup> კელ-ეწიფებისა (C).

<sup>5</sup> ძალ გიცა (X).

<sup>6</sup> > (X C).

<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის პერიფრასტული მოდელები რთულ ზმნათა მოშლის დაწყებამდეც არსებობდა და მათ პარალელურად გამოიყენებოდა ქართულ სამწერლობო ენაში.

გააქვს შემთხვევები, როდესაც კელ-ეწიფების რთულ ზმნას რედაქტიულად ანაცვლებს ძალ ძირისაგან ნაწარმოები შედგენილი შემასმენელი, შემძლებელ არს. მეორე მხრივ, ძალ-უც ზმნას რთული ზმნის რღვევის პროცესში ენაცვლება კელ-ეწიფების რთული ზმნისგან ნაწარმოები მიმღეობითა (კელმწიფე) და არს მეშველი ზმნით მიღებული შედგენილი შემასმენელი. ამ ზმნათა იდენტურ ფუნქციაზე მიუთითებს ისიც, რომ ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც „ნეიტრალური“ (გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა), ისე „სუბიექტზე ორიენტირებული“ (შინაგანი ან შექნილი უნარი ან ცოდნა) (პალმერი 1999, ვაიმანი 1996) მოდალური სემანტიკის გამოხატვისას. მაგალითად, წინადაღებაში: „ვის კელ-ეწიფების მიტვებად ცოდვათა?“ (მარკ. 2:7 DEFGHIK), საუბარია შინაგან უნარზე, რომელიც ოთხთავის ჯრუჭპარხლისეულ, ეფთვიმესეულ და გიორგისეულ რედაქციებში გადმოცემულია კელ-ეწიფების რთული ზმნით, ხოლო ადიშის ოთხთავში ძალ ძირისაგან ნაწარმოები ანალიზური წარმოებით: „ვინ შემძლებელ არს მიტვებად ცოდვათა?“ (იქვე: C); მეორე მხრივ, ოთხთავის ჯრუჭ-პარხლისეულ, ეფთვიმესეულ და გიორგისეულ რედაქციებში გვაქვს ძალ-გიც რთული ზმნით გამოხატული შემდეგი კონტექსტი: „უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც კეთილის-ყოფად მათა“ (მარკ. 14:7 DEFGHIK), რომელშიც იგულისხმება გარემო პირობების ზეგავლენით გამოწვეული შესაძლებლობა, ადიშის ოთხთავში კი ამ სემანტიკას გამოხატავს კელმწიფე სართ ანალიზური კონსტრუქცია: „რაუმს გენებოს, კელმწიფე სართ მათა კეთილისყოფად“ (იქვე: C).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, ანალიზური წარმოების თვალსაზრისით, კელ-ეწიფების რთულ ზმნას შედარებით ნაკლები ფორმები მოეპოვება (კელმწიფებად მაქუს, კელმწიფე სართ), განსხვავებით ძალ-უც ზმნისაგან. ძველსა და საშუალ ქართულში ვადასტურებთ ძალ-უც რთული ზმნის ეკვივალენტურ შემდეგ ანალიზურ ფორმებს: შემძლებელ არს, შესაძლო არს (ჩემდა, შენდა, მისდა...), შეძლებად აქუს, ძალი აქუს, ძალი მოეცა, ძალი შესწევდეს:

**შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად** (ლ. 3:8 C).

ხოლო აწ, უკუეთუ შემძლებელ სარ მკუდარსა აღდგინებად, პირველად დედად შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ სარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ სარ განვითარებად (ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ. I 24:16 Titus).

შესაძლო არს ტიპის ანალიზური წარმოება ძველსა და საშუალ ქართულში დინამიკურ სემანტიკას გამოხატავდა ჩემდა, შენდა, მისდა... ტიპის ფორმებთან ერთად, რომლებშიც **და-თვის** თანდებულის ეკვივალენტია. შესაბამისად, ამგვარ კონტექსტებში იგულისხმებოდა: „ჩემთვის შესაძლებელია“, „შენთვის შესაძლებელია“, „მისთვის შესაძლებელია“ რაიმე მოქმედების შესრულება:

**არ-შესაძლო არს ჩემდა ესე, მამაო, რათა ვამსგავხო ფრასთა შენთა სიტყუანი** (წყობილ. 268:16 Titus).

მამაო... უკუეთუ შესაძლო თქუცნდა იყოს, ნუ დაპშობით მიუხლველ იურუსა-ლიმსა და თაყუანისუცემელ წმიდისა საფლავისა... (გ. ავალ., მგზავრ. 71:28 Titus).

საშუალ ქართულში გვხვდება **ძალ** ძირისაგან ნაწარმოები სხვა ანალიზური ფორმებიც, ასე მაგალითად:

„ოუ შეძლება გაქუს, მიძართე, შენ ჯმლითა დაუქმდია“ (შაპნ. 124:67 Titus).

რამეთუ მოიწა ლმობად მშობისა, ხოლო **ძალი არა აქუს შობად** (B 37:3 Titus).

რა ლაპტის ხმა გავიგე, მე ჰერცუსარ ჯადო მევონა, მივწვდი, ღმერომან **ძალი მოძალა**, შევაძყარ და მოვყალ (ქარამ. 664:10 Titus).

სამთა საქმეთა არ უნდა შეებას კაცი, თუცა ბედნიერობისა **ძალი არა შესწევ-დეს** (ქილ. და დამ. 304:19).

ამრიგად, შესაძლებლობის სემანტიკის ანალიზურად გამოხატვისას ძველსა და საშუალ ქართულში გამოიყენებოდა როგორც რთული ზმნები, ისე – სხვადასხვა ტიპის ანალიზური წარმოება.

მსგავსი ტიპის ანალიზური წარმოება X-XI საუკუნეებიდან იწყებს სინთეზურ წარმოებაზე გადასვლას (ქავთარაძე 1964:162). ამ მხრივ საინტერესოა განსხვავება კელ-ეწიფების და **ძალ-უც** რთულ ზმნებს შორის. აღსანიშნავია, რომ კელ-ეწიფების ფორმას ქართულ სამწერლობო ენაში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი სინთეზური ფორმა არ ეძებება, მართალია, საშუალი ქართულის ძეგლებში დასტურდება კელმწიფობს სინთეზური ზმნა (კელ-ეწიფების>კელ-მწიფე>კელმწიფობს), მაგრამ ეს ფორმა შესაძლებლობის სემანტიკისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ შინაარსს გულისხმობს, კელმწიფობს ნიშნავს: მეფობს, განაგებს, მართავს. ცხადია, ამ ზმნაში მოიაზრება შეძლებისა და უფლების ქონა, მაგრამ კელმწიფობს ზმნის უშუალო სინონიმური შესატყვისი არ არის **შეუძლია** ფორმა, რომელიც ძველ ქართულშივე განვითარდა **ძალ-უც** ზმნის სინთეზურ შესატყვისად.

ანალიზურ ფორმებს დაახლოებით IX საუკუნიდან ენაცვლება სინთეზური უძლევს ზმნა (სარჯველაძე 1984:410). აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში, ანალიზური და სინთეზური წარმოებისას, საქმე გვაქვს **ძალ** სახელური ძირისაგან ნაწარმოებ ნასახელარ ზმნასთან:

ხოლო მათ პრქუეს: „**ძალ-გრც**“. (გ. 20:22 XDEFGHIK) **გრძლავს** (C).

**ძალ-გიცა** სასუმელი შესუმად? (მარკ. 10:38 DEFGHIK) **გიძლავს** (C).

დაღათუ ვერ **ძალ-უც** აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი (ლ. 11:8 C) **არა ეძლოს** (DEFGHIK).

ძველ ქართულში სტატიკურ ზმნათა ერთ ჯგუფს აწყობს ფორმებში ზოგჯერ იან დაბოლოება მოუდის: **მრცხუენიან**, **მისიანიან**, **შეუძლიან**. ზ. სარჯვე-

ლამის აზრით, ამ ტიპის ზმნებთან ძველი ქართული ენის ნორმაა -ის დაბოლოებიანი ფორმები, მაგრამ -იან დაბოლოებიანი ზმნები საკმაოდ ფართოდა გავრცელებული X-XI საუკუნის ძეგლებში, პირველი მაგალითები კი ხანმეტ მრავალთავში (VIII ს.) დასტურდება (სარჯველამე 1984:410).

-იან დაბოლოებიანი ძალ ძირისაგან ნაწარმოები ზმნები დასტურდება სამიუელიექტური პირის ფორმით, რომლებიც ინვერსიულად სუბიექტს გამოხატავენ. ამგვარი ფორმები გვხვდება X-XI საუკუნეებიდან და ხშირია საშუალი ქართულის ძეგლებშიც:

რაც არ მითქვამს, მისი თქმა **შემიძლიან** (ქაიხ. 113:15 Titus).

მე მონა კარ შენი, **შეგიძლიან** ყოვლისა კატიუსა მოყრობა (ვისრ. 244:29 Titus).

ვინც ჭეშმარიტად მოიპოვა მოწყალება ღვთისაგან, მას შეუნიშვნელად **შეუძლიან** კეთილ-მყოფობა უძლურთა (იო. სინ. 413:25 Titus).

X საუკუნიდან სტატიკური ზმნები აწმყოში -ია დაბოლოებით გამოიყენებიან, მიუხედავად იმისა, რომ -იან დაბოლოებიანი ზმნები საშუალ ქართულშიც დასტურდება. ზ. სარჯველამე „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალში“ იმოწმებს ახლებური ფორმაციის შეუძლია ზმნის მაგალითებს: „სათნოებათა მათთა არა მოაკლდებოდა, რომელთად ვერდარა ვის მოწენებად მათი შეუძლია, პარხლ. მრავალთ. 610v, 24-27a; ბუნებად შენი ლბილს არს და ვერ შეგიძლია ძმისა გარე-შექცევად, A-35 197 v, 18-20“ (სარჯველამე 1984: 413-414). ლ. ბარამიძე აღნიშნავს, „საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდიდანვე -ია დაბოლოებაზე გადადის ყოველნაირი სტატიკური ზმნა“ (ბარამიძე 2008:34):

წაშაცა უშენო სიცოცხლე არ შემიძლია (ვისრ. 271:2 Titus).

რა კეშახი იქს იმს, სხუასა სულიერსა არა შეუძლია, ესე ოღონდ დევი ყოფილა (შაპნ. 246:25 Titus).

მაშასადამე, დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ქართულ სამწერლობო ენაში X საუკუნიდან გვხვდება ობიექტური წყობის შეუძლია სინთეზური ზმნური ფორმა (სარჯველამე 1984:413). საშუალი ქართული-დან კი პარალელურად დასტურდება ძალ ძირისაგან ნაწარმოები სუბიექტური წყობის შეძლებს ზმნის სინთეზური ფორმები.<sup>8</sup> სხვა მოდალური ფორმებისაგან განსხვავებით შეძლება ზმნის არც ობიექტური და არც სუბიექტური წყობის ფორმებს არ განუცდიათ გრამატიკალიზაცია, არ ქცეულან ნაწილაკებად (შდრ.: ეგბის>ეგებ, იქნების>იქნებ (შარაშენიძე 1999)). როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური წყობის შეძლება ზმნის პირიანი ფორმები სემანტიკური თვალსაზრისით გამოხატავდნენ და გამოხატავენ „ნეიტრალურ“ და „სუბიექტზე ორიენტირებულ“ მოდალურ სემანტიკას, როგორც დადებითი, ისე – ურყოფითი კონტაციით (დამბაშიძე 2017).

<sup>8</sup> აღსანიშნავია, რომ სუბიექტური წყობის შეძლება ზმნას მხოლოდ მყოფადის წრიდან მოეპოვება ფორმები, აწმყოს წრე აკლია.

„სუბიექტზე ორიენტირებული“ სემანტიკის ობიექტური წყობის შეძლება ზმნა: კლდოვან ღირღატთა ადგილთა, ვის შეუძლია ძალება (არჩ. 172:18 Titus).

მე ბერი დაცი ვარ და ვლა აღარა შემიძლია (ამირან. 8:363 Titus).

ოთვა, ნერა შეეძლოს თეიმურაზს ქვის ზიდვა, აგურის ზელვა... (ჯავ. GNC).

არც მე შეძლებია ჭოველივე გამეწირა სიყვარულისთვის (გამს. GNC).

„ნეიტრალური“ სემანტიკის ობიექტური წყობის შეძლება ზმნა:

ივი არ შემიძლია, რომ მისი წივნი კარში გამოვიტანოთ და შენ ხელმწიფის ხალვათხანაში ვერ დაგსვამო (რუსულ. 9:1 Titus).

ჩემი პატრონნი ხართ, რაცა გწადიან ჩემზედა, ყუქლა შეგიძლია (ვისრ. 105:11 Titus).

ციხესიმაგრეები არ ჰყარავდა მათ და არც შეეძლოთ წინასწარ სულდნოდათ ის ადგილი ან დრო, საღაც ქართველი ეკვთებოდნენ (ბარნ. GNC).

გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა (ჭავჭ. GNC).

მიუხედავად აღნიშნული ფორმების დომინანტურობისა, საგულისხმოა, რომ მოდალური სემანტიკის მქონე რთული ზმნები (ხელეწიფება, ძალუბს) ზოგჯერ ახალსა და თანამედროვე ქართულშიც გვხვდება შესაძლებლობის სემანტიკის გამომხატველ კონტექსტებში:

ბედნიერი ხარ, რომ ძალგიძს, ცხრამეტი წლისად გარდაისახო (ამირეჯ. GNC).

ეს ჭაღარა სიყვარულის და სურვილის ვერ ჰქონავს, მაგრამ ღონის წახმარება აღარ ძალგიძს მუხლსა და ძკლავს (წერილ. GNC).

ჩვენ გვწამს, რომ ძალგვიძს კრიზისიდან საქართველოს გამოყვანა (დილ. გაზ. GNC).

ნახევარდაცვაშიც არანაკლები ეფექტურობით ხელმეწიფება თამაში (საქ. რესპ. GNC).

მთი პრობლემების გადაჭრა ძლიერ ლიდერს უფრო ხელეწიფება, ვიდრე დემოკრატიულ მთავრობას (24 საათი, GNC).

ვინ არის დღეს მხად, იყოს ერის სამსახურში და ესმოდეს და ხელეწიფებოდეს იმის კეთება, რაც ქვეყანაში არის გასაკუთხებელი (რეზ. GNC).

ახალ ქართულში დასტურდება ასევე შესაძლებლობა სახელური კომპონენტითა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ზმნით მიღებული შემდეგი ტიპის ანალიზური წარმოების მაგალითები:

ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, ბიუროს სერვისით ისარგებლოს (საქ. რესპ. GNC).

საპარლამენტო უმრავლესობას ბევრად უფრო იოლი და ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობა ექნება (საქ. რესპ. GNC).

მაშინ შესაძლებლობა მომეცა, მივსაღმებოდი ჩვენს კახელ ძეგობრებს (საქ. რესპ. GNC).

ასევე ჩვენ ყველას უფრო მეტი **შესაძლებლობა მოგვეცეს**, რომ კარგ ზე ვიფიქროთ და არა – ცუდ ზე (რეზონ. GNC).

თუ შეცდომები გვქონდა, ამის გასწორების **შესაძლებლობა გვეძლევა** (ახ. თაობა GNC).

ახლა კი, რაღაც საქმე გამოიყალუს ხელიდან, **შესაძლებლობა მეძლეოდა**, თავს დავსხმოდი მათ (ლიტ. პალიტ. GNC).

ადსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ანალიზური წარმოება სემანტიკურად ყოველთვის „ნეიტრალურ“ დინამიკურ მოდალურ სემანტიკას გამოხატავს, რადგან **შესაძლებლობა აქვს**, ექნება, მიეცა, ეძლევა ტიპის **შესიტყვებები** შინაარსობრივად გულისხმობს გარემო ფაქტორების ხელშეწყობით დასაშვებ, შესაძლებელ მოქმედებას და არ მიუთითებს შინაგან თუ შეძენილ ცოდნასა და უნარზე. რასაც ვერ ვიტყვით უნარი აქვს, უნარი **შესწევს**<sup>9</sup> ტიპის ანალიზურ ფორმებზე,<sup>10</sup> რომლებიც მხოლოდ „სუბიექტზე ორიენტირებულ“ დინამიკურ სემანტიკას გამოხატავენ (უნარი – 1. შესაძლებლობა; მოხერხება, სიმარჯვე, შნო; 2. იგივეა, რაც ნიჭი; 3. რაიმე შინაგანი (თანდაყოლილი) თვისება (ქეგლი)). ამგვარი ფორმები საშუალ ქართულში იშვიათად გვხვდება, ახალ ქართულში კი საკმაოდ გავრცელებულ შესიტყვებებს წარმოადგენს:

ყოველი სევდის ატანისა **მაქს მე უნარი**, ოღონდაც მეფის დროშა იყოს გაუხუნარი! (ნიზამ. 15:71 Titus).

ვისაც ობიექტური ანალიზის უნარი აქვს, მას არ გაუჭირდება შესაბამისი დასკვების გამოტანა (საქ. რესპ. GNC).

ჩვენ შესანიშნავად გვესმის ერთმანეთის და **უნარი შეგვწევს** მეტოქეს ბევრი პრობლემა შევუქმნათ (24 საათი GNC).

ნელ-ნელა წასულიყო ის თაობა, რომელსაც აღარ **შესწევდა უნარი** სიახლის აღქმისა (ახ. თაობა GNC).

როდესაც ქართულ ენაში დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველ საშუალებებზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ აგრეთვე **ხერს** ძირისაგან ნაწარმოებ რამდენიმე ნასახელარ ზმნაზე: **უხერხდება, ეხერხება, ახერხებს.**

უხერხდება გარდაუგალი ობიექტური წყობის ნასახელარი ზმნაა, რომელიც ძველსა და საშუალ სამწერლობო ქართულში არ დასტურდება, ახალ ქართულში კი ის მხოლოდ „ნეიტრალური“ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველად გვევლინება:

ინგლისი კი ეტანება მის განაწილებას და დარღვევას, თუმცა როგორლაც ვერ უხერხდება, რაღანაც რუსეთი უარზეა (ჭავჭ. GNC).

<sup>9</sup> უნარი **შესწევს** ტიპის აღწერითი წარმოება საშუალი ქართული ენის ძეგლებში ვერ დავადასტურეთ.

<sup>10</sup> იხ. ზემოთ. იგივეა, რაც **ძალი შესწევს**, ძალი აქუს.

იმ დღეს ბავშვის გავ ზავნა ვერ მომიხერხდა, მეორე დილით კი ქალაქი შეაშვოთა ამბავმა (საქ. რესპ. GNC).

სხვა სახწვდომოსათვის ამზადოს ემცვილები და მერე თუ ეს ვერ მოუხერხდა, ემცვილს აკმაროს პროგიმნაზიის კურსი (ჭავჭ. GNC).

ეხერხებაც გარდაუვალი ობიექტური წყობის ნასახელარი ზმნაა, რომელიც საშუალ ქართულში იშვიათად გვხვდება, ახალ ქართულში კი საკმაოდ ხშირად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ ამ ზმნას მხოლოდ აქმოს წრის მწერივები მოეპოვება (ქეგლი). უხერხება ზმნისაგან განსხვავებით ეხერხება მხოლოდ „სუბიექტზე ორიენტირებულ“ დინამიკურ სემანიტკას გამოხატავს:

ცხენზე შეჯდომა იმას ისე ეხერხებოდა, ათ ნაბიჯიდან უნავირზე შეახტებოდა (ნიზამ. 70:249 Titus).

ადამიანს სძულს ფოველივე, რაც არ ეხერხება (ლორთქ. GNC).

ცოტა რომ წამოვიზარდე, საოჯახო საქმეებითაც დავინტერესდი. არაჩეულებრივად მეხერხებოდა საჭმელების კეთება (24 საათი GNC).

ტყუილის თქმაც კარგად უნდა გეხერხებოდეს, სიმართლისაც და დაპირების შესრულებაც უნდა იცოდე (ხვალინდ. დღე GNC).

რაც შეეხება გარდამავალ სუბიექტური წყობის ახერხებს ზმნას, საშუალ ქართულში მისი გამოყენების შემთხვევებიც იშვიათია, ახალ ქართულში კი მისი მაგალითები მრავლადაა. აღნიშნული ზმნა ინტერესს იწვევს იმით, რომ ის გამოხატავს როგორც „ნეიტრალურ“, ისე „სუბიექტზე ორიენტირებულ“ შესაძლებლობას:

„ნეიტრალური“ სემანტიკა:

გულითაც რომ უნდოდეს დღვევანდელ კლებს, მაინც ვერ ახერხებს ზრდილობიან სიტყვა-პასუხს (წერეთ. GNC).

არ მესმის, როგორ და სად ახერხებს ამოდენა ხალხის გაცნობას (ჯავ. GNC).

მაშ როგორლა მოახერხა დამპატიურმ ბალის დაჩემება? (ჯავ. GNC).

„სუბიექტზე ორიენტირებული“ სემანტიკა:

როგორც თვალთმაქცი საიდუმლო თამაშს ახერხებს, მეც შიგ ფარდაში კით თოჯინა ხტომას დავიწყებ (ნიზამ. 106:358 Titus).

ავადმყოფი ლოგინში გადაბრუნებასაც კი ვერ ახერხებდა. – ხმის ამოღებას გეღარ ახერხებდა (არაგვ. GNC).

ის ბიჭი ისე გამოშტერებული იყო, რომ სიტყვის განმეორებას ვერ ახერხებდა (წერეთ. GNC).

დიღხანს ვერ გახერხებდი ჩეჩვას; ორჯერ-სამჯერ საჩეჩლის ჩხირები მეჩხლიატა (წერეთ. GNC).

დასასრულ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ სამწერლობო ენაში დინამიკური, შესაძლებლობის სემანტიკის გადმოცემა ძალ, ჭელ/ზელ, უნარ, ხერხ ფუ-

ძეებისგან ნაწარმოებ ანალიზურ და სინთეზურ ფორმებთანაა დაკავშირებული. შაშუალი ქართულიდან მოყოლებული დღემდე დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოხსატველ ძირითად საშუალებად ქართულ ენაში გამოიყენება ობიექტური და სუბიექტური წყობის შეძლება ზმნის სინთეზური ფორმები, ახალი ქართულიდან ასევე ზმნი გამოყენებისაა სუბიექტური წყობის ახერხებს ზმნა, რომლის პარალელურადც იხმარება ობიექტური წყობის უხერხდება და ეხერხება ზმნათა ფორმები. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ახალსა და თანამედროვე ქართულში დინამიკურ სემანტიკას გამოხსატავს რთული ზმნები (ხელეწიფება, ძალუბს). ცხადია, დღეს ამ ფორმათა გამოყენებას მათი არქაული ელფერის გამო სისტემური ხასიათი არ აქვს, ამიტომ დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოხსატველ ძირითად საშუალებად ახალ ქართულში მაინც ზმნის სინთეზური წარმოების ფორმები გვესახება.

### **ლიტერატურა**

**აბულაძე 1973:** ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლუქსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ბარაძე 2008:** ლ. ბარაძე, ქართული ენის ისტორიული კრამატიკის საკითხები, თბილისი.

**იმნაიშვილი... 1996:** ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, მაინის ფრანკფურტი.

**სარჯველაძე 1984:** ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

**ქვთარაძე 1964:** ი. ქვთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIV.

**ბ. ლამბაშიძე 2017:** შეუძლია მოდალური ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ქართულ სალიტერატურო ენაში, ახალგაზრდა მუცხვერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მუცხვერებში, თეზისები, თბილისი, გვ. 342-344.

**შარაშენიძე 1999:** ნ. შარაშენიძე, ეგებ ნაწილაკის ისტორიისათვის, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. XXX, თბილისი.

**შარაშენიძე 1999:** ნ. შარაშენიძე, იქნებ ნაწილაკის ისტორიისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, 2, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ვაიმანი 1996:** A. Th. Wymann, *The Expression of Modality in Korean*, Bern.

**პალმერი 1999:** F. R. Palmer, *Modality and the English Modals*, Longman.

**ქავლი:** ქართული ენის განმარტებითი ლუქსიკონი, ice.ge.

### **მონაცემთა ელექტრონული ბაზები**

„ტიტუსის“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა ([titus.uni-frankfurt.de](http://titus.uni-frankfurt.de)):

B – ბაქარის ბიბლია.

- C** – ადიშის ოთხთავი.
- DE** – ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები.
- FG** – ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის ნუსხები.
- HIK** – ქართული ოთხთავის გიორგისეული რედაქციის ნუსხები.
- S** – მცხოვრის ბიბლია.
- X** – ხანმეტი ოთხთავი.
- ავ. ლიტ. ძევლ.** – ძევლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის მეგლები, I.
- ამირან.** – ამირანდარეჯანიანი.
- არჩ.** – არჩილიანი.
- გ. ავალ., მგ ზავრ.** – გიორგი ავალიშვილი, მგზავრობა.
- ვისრ.** – ვისრამიანი.
- იო.** **სიხ.** – ლირისისა მამისა ჩუენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა კლემაქსი, რომელ არს კიბე, გამოცემული ათონის წმიდის მთის ახალ-ქართველო წმიდის იოანეს ღვთის-მეტყველის საგანისა.
- ნიზამ.** – ნიზამი განჯელი, ხოსროვი და შირინი.
- რუსულ.** – რუსუდანიანი.
- ქაიხ.** – ქაიხოსრო, ომანიანი.
- ქარამ.** – ქარამანიანი.
- ქილ. და დამ.** – ქილილა და დამანა.
- შაპნ.** – შაპნამე.
- წყობილ.** – წყობილისტყვაობა.
- ქართული ენის ეროვნული კორპუსი (GNC) (gnc.gov.ge)**
- 24 საათი** – 24 საათი.
- არაგვ.** – შიო არაგვისპირელი.
- ამირეჯ.** – ჭაბუა ამირეჯიბი.
- ახ. თაობა** – ახალი თაობა.
- ბარხ.** – ვასილ ბარნოვი.
- გამს.** – კონსტანტინე გამსახურდია.
- დილ. გაზ.** – დილის გაზეთი.
- ლიტ. პალიტ.** – ლიტერატურული პალიტრა.
- ლორთქ.** – ნიკო ლორთქიფანიძე.
- რეზ.** – რეზონანსი.
- საქ. რესპ.** – საქართველოს რესპუბლიკა.
- წერეთ.** – აქაკი წერეთელი.
- ჭავჭ.** – ილია ჭავჭავაძე.
- ხვალინდ. დღე** – ხვალინდელი დღე.
- ჯავ.** – მიხეილ ჯავახიშვილი.

*Maguli Ghambashidze*

## The Analytical and Synthetic Verbal forms Expressing Dynamic Modality in the Georgian Literary Language<sup>11</sup>

### Summary

At first, dynamic modality in the old Georgian language was expressed by the analytical forms of the verb. Inherent or acquired skills, knowledge and situational opportunity were expressed by the analytical synonymous verbs **qel-eçipebis** and **zal-uʒ>zal-uc** and the other analytical forms derived from them, which gradually changed the verbs **qel-eçipebis** and **zal-uʒ>zal-uc** in the process of disorganization of analytical verbs. On the one hand, we had **qel-eçipebis**, **qelmçipebay aqus**, **qelmçipe ars**, on the other hand, there are such kind of forms as: **zal-uʒ>zal-uc**, **şemzlebel ars**, **şesazlo ars (čemda, şenda, misda...)**, **şeglebay akus**, **zali akus**, **zali şesçevs**, **zali moeca**.

It should be mentioned that there is free variation between the verbs **qel-eçipebis** and **zal-uc** and their equivalent analytical forms. This is confirmed by the redactions of Georgian Gospel, where these forms substitute each other easily. These forms have the identical function, which is confirmed by the fact that while expressing modal semantics, they can alternate with each other as “Neutral” (an opportunity caused by the influence of environmental conditions) and “Subject-oriented” (Inherent or acquired skill or knowledge) (Palmer 1999, Wymann 1996).

It is important that the synthetic form of the dynamic modal verb **qel-eçipebis** does not exist in Georgian; as for the dynamic modal verb **zal-uc**, its synthetic equivalent objective form **şemizlia** appears in the Old Georgian language from X century (sardžvelaze 1984:413). At the same time, we have had the subjective form **şevʒleb** from the root **zal** since the Middle Georgian language. The objective and subjective forms of the verb **şegleba** have been expressing “Neutral” and “Subject-oriented” modal semantics with positive and negative connotations.

Despite the plentitude of synthetic forms expressing modal semantics in the Modern Georgian language, there are such kind of analytical forms as: **şesazlebloba akvs**, **ekneba**, **mieca**, **ežleva**; **unari akvs**, **unari şesçevs**.

Analytical forms derived from the infinitive **şesazlebloba** with different kinds of verbs always express “Neutral” dynamic semantics, the opportunity which is caused by the influence of environmental conditions. These verbs do not refer to inherent or acquired skills,

<sup>11</sup> This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF), 218000 “The Category of Modality in the Georgian Language”.

knowledge. We cannot say this about the forms **unari akvs**, **unari šesçevs**, which express only “Subject-oriented” modal semantics.

In order to express dynamic modality the Georgian language also has nominal verbs, which are formed from the root **xerx**: **uxerxdeba**, **exerxeba**, **axerxebs**.

**Uixerxdeba** is an objective nominal verb, which does not exist in Old and Middle Georgian. As for the Modern Georgian language, this verb expresses only “Neutral” dynamic semantics.

**Exerxeba** is an objective nominal verb too, which is rare in Middle Georgian texts, but in Modern Georgian it is used quite often. It should be mentioned that this verb has only the present forms (KEGLI). Unlike the verb **uxerxdeba**, the verb **exerxeba** expresses only “Subject-oriented” modal semantics.

As for the subjective form **axerxebs**, we can hardly see its forms in Middle Georgian texts, but there are a lot of examples of this verb in the Modern Georgian language. This verb is very interesting, because it shows us “Neutral” dynamic semantics and “Subject-oriented” modality as well.

Finally, in the Georgian Literary language dynamic modality is expressed by the analytical and synthetic forms of the verbs which are derived from the roots **zal**, **qel/xel**, **unar**, **xerx**. Since Middle Georgian, as the main expression of dynamic modality, we have used synthetic forms of the objective and subjective verb **šezeleba**. Since the 19<sup>th</sup> century, we have often used the subjective form of the verb **axerxebs**, as well as the objective forms **uxerxdeba** and **exerxeba**. In addition, it is worth noting that sometimes dynamic semantics in Modern Georgian is expressed by the analytical forms (**qeleçipeba** and **zaluzs**). Obviously, because of the ancient nuance of **qeleçipeba** and **zaluzs**, the use of these verbs is not systemic. That is why, we reckon that synthetic forms serve as the main means of expressions of dynamic modality in the Modern Georgian literary language.

## **შპხ-/შოხ-/შპხ- > შშხ ურთიერთობისართვის ქართველურ ენები**

რეგულარული ფონემათშესატყვისობა არაერთ როგორ პრობლემას წარიდან უწევს ქართველობის, მაგრამ, სამწუხაროდ, მას სათანადო ყურადღება არ ექცევა არაენათ-მეცნიერთა მხრიდან. ამჯერად ჩვენ შევეხებით ისტორიული ანთროპოლოგიის მხოლოდ ერთ კონკრეტულ მონაცემს – ქართული ეროვნული კულტურის ილუსტრაციას:

უშგულში, მაცხოვრის ეკლესიაში (მაცხტრიშ), ინახება ძვირფასი ხატი, რომელიც მისთვის შეუწირავთ ვინმე ვახტანგ წახანელისძესა და მის მეუღლეს – ხუშაქს XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე (თაყაიშვილი 1937:153). ირკვევა, რომ ისინი მაღალ სოციალურ წრეს ეკუთვნოდნენ და, ალბათ, ცხოვრობდნენ სოფელ წახანში, მდინარე ოძრხეს ხეობაში. აკადემიკოს სერგი ჯიქიას ფუნდამენტურ სამტომეულში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (ჯიქია 1941:11, 122; 1947:9, 120; 1958:165, 168-173, 496) ამ სოფლის შესახებ გარკვეული მსჯელობაა. მას ახსენებს მ. ბროსეც (ბროსე 1861:XXV). იგი დღესაც იმავე ადგილას მდებარეობს (შდრ. რ. თოფჩიშვილი, სვანეთი და სვანეთის მეცნიერნობა, თოფჩიშვილი 2015:59) და შედის თანამედროვე ადიგენის მუნიციპალიტეტებში, ოღონდ „თურქ მესხებად“ თუ „პავკასიელ თურქებად“ მონათლულ და თავიანთი სამკვიდროდან 1944 წელს აყრილ ადგილობრივ მკვიდრთა (მაჰმადიან მესხთა) ნაცვლად ახლა იქ იმერლები ცხოვრობენ (ბერიძე 2013:185-194).

წახანი ადრე 75-კომლიანი სოფელი ყოფილა და მდებარეობდა ახალციხიდან 13 ვერსზე, მდინარე წახნისწყლის მიდამოებში (ზისერმანი 1870:14), იქვეა სოფელი წახნისწყაროც. მათ შესახებ არაერთი ცნობაა დაცული საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივსა (ფონდი 70, საქმე 44) თუ ხალხურ პოეზიაში.

მაგალითად:

„ერთი გოგო ვნახე წახნისწყაროსა,  
პირი შზეს უგავდა, ტანი – საროსა,  
ღმერთს შევეხვეწე, ამეყვანოსა,  
სწორზე ქორწილი ვქნა, მამეყვანოსა“.

(„ძველი საქართველო“, III, 1913-1914:251;

ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938: 37).

ისტორიკოსთა კვლევების მიხედვით, XII-XIV საუკუნეების საქართველოში ხუშაქელის სახელწოდებით რამდენიმე ქალბატონია ცნობილი, რომელთა უმრავ-

ლესობა გიორგი მესამისა თუ თამარის სამეფო კარზე დაწინაურებულ მხარებრივთა და ჯაყელთა შთამომავალია. ზოგი მათგანი ქრისტიანულ ძეგლთა ქტიონორად და ხატების შემამკობლადაც კი მიჩნეული (გოგოლაური 2017:63-81). ამიტომ სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ მესხეთის მკვიდრი დაინტერესებულიყო სვანეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში აგბული ძველი ეკლესითაც. სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებში, რომელებიც ქართულ ენაზეა შესრულებული, გვხვდება როგორც წახ-იან-ი, ისე წას-იან-ი და წარ-იან-ი (სილოგავა 1988:490, 557). თუ კორექტურულ შეცდომასთან არ გვაქვს საქმე, მაშინ წახიანი წახანელისძის თავდაპირველი, უფრო არქაული ვარიანტი იქნება. ამ გვარს სამცხე-საათაბაგოში რედუცირებული ფორმაცი (წახ-ნ-ელ-ი) ჰქონია (შდრ. ტოპონიმები: წახნისწყალი, წახნისწყარო/წახნიწარო/წახანწორა, ჯიქია 1958:93, 168-173).

ვფიქრობთ, რომ საანალიზო ქართული წახ- ძირის კანონზომიერი ფონემატური შესატყვისი უნდა იყოს წარმოდგენილი თანამედროვე სვანურ ძირში ჭეხ-, რომელიც გამოიყენება ისტორიულ გვარში ჭეხ-ან (არც ისე დიდი რაოდენობით დღესაც რომ ცხოვრობენ ზემო სვანეთის სოფელ მულახში, აგრეთვე, თბილისში). ერთი ძველი ხალხური სიმღერის (მეთხშიარ შერგელაბდ) ტექსტში ეს გვარი შვიდჯერ გვხვდება სახელობითი, მოთხოვნილი და მიცემითი ბრუნვის ფორმებით და შვიდჯერვე ჭადხან გვაქვს (სვ. პოეზია 1939:52-56), ხოლო აღ > ე ჩვეულებრივი მოვლენაა სვანური ენის ფონოტაქტიკაში:

ტოტა ჭადხან მახად წმწედ-ტოტა ჭახანი ახლახან მოსულა (სვ. პ., 52: 29);

ტოტა ჭადხანდ ჟი პნპურნე-ტოტა ჭახანმა გაიგონა (იქვე, 52: 35);

ტოტა ჭადხანს თხუმ ხეხოლდა-ტოტა ჭახანს თავში ზვდებოდა (იქვე, 54: 71)...

შვიდსავე შემთხვევაში აკაკი შანიძეს, ვარლამ თოფურიასა და მერი გუჯეჯიანს საანალიზო გვარი ქართულენოვან ტექსტში ჭახან ფორმით აქვთ წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სიმღერის მულახში ჩაწერის დროს (1936 წ.) სწორედ ამ ვარიანტით იხმარებოდა ეს ოფიციალური გვარი. ამიტომ ისიცაა მოსალოდნელი, რომ აღ > ე პროცესი კი არ ყოფილა, არამედ რვამარცვლოვან სტრიქონში და პროსოდიული ბერები და გაჩენილია სიმღერის მუსიკალური რიტმისა თუ ტექსტის არქიტექტონიკის დასაცავად.

ჭეხან ვარიანტი უკვე არსებობდა სვანეთში XIX საუკუნის ბოლოს (ნიუარაძე 2007: 282). შესაძლოა, იგივე ლექსემა ვიგარაულოთ კასპის რაიონის სოფელ სამთავისში დადასტურებულ ჰიდრონიმში ჭეხ-ა-ან-თ ხევი, სადაც პირველი კომპონენტი შტო-გვარის აღმნიშვნელი მსაზღვრელი ჩანს.

XVI-XVII-XVIII საუკუნეთა საგვარეულო მოსახსნებლებში არაერთხელაა დადასტურებული დიდებული ფეოდალი ჭეხან დადიშგელიანი/დაჩქლიანი (სილოგავა 1986: 277-286). მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჭეყ-ან (< ჭეხ-ან < ჭადხ-ან < წახ-ან) ანთროპონიმია, რაც, აგრეთვე, უცხო არაა სხვადასხვა ენისთვის [დასავლეთ საქართ-

ველოში აბაშიძეთა ერთ ქმას ერქვა ჭოხ-ონ-ა ძიძივური (ქალბატონ ნინელი ჭოხონელიძის ცნობით), რომელიც სამეგრელოს სამთავროში შემავალი ტერიტორიიდან – სოფელ მათხოვიდან იყო, აღბათ].

ლაშენთში 1936 წელს ჩაწერილ სიმღერაში „გაურ-გავხე“ რუსეთის წინააღმდეგ სოფელ ხალდეს გასათავისუფლებლად მებრძოლ ერთ-ერთ გმირად დასახელებულია ვინმე ჭოხან (სვ. პოეზია 62: 7), რომელიც, ვივიქობთ, წახან ფუძის ზანური ვარიანტი უნდა იყოს (თუ ჭოხ-ა-მ, ჭოხ-ი-ა, ჭოხ-ი-ან ჭოხ-ა-ძეს არ უკავშირდება!). იგივე სიტუაცია გვესახება ქართულ გვარშიც ჭოხ-ონ-ელ-ი-ძე; შდრ. აგრეთვე, ტოპონიმები: ჭოხ-ულდ (სოფელი მესტის რაიონში), ჭოხ-ონ-ა (სახნავი მიწის სახელწოდება ხობის მუნიციპალიტეტში) ჭახ-ან-ტყე-ებ-ი (ოღონიშოდრო ფერდობი ჩხოროწყუს რაიონში) და ჭახ-ათ-ი (სოფელი ქობულეთთან ახლოს, ჭახ-ათ-ა (ღელე თერჯოლის რაიონში) ჭეხ-ურ-ა/ჭეხ-ურ-ე (მდინარე სოფელ მათხოვში), ჭეხ-ა-ან-თ ხევი (კასპის რაიონის სოფელ სამთავისში)... ამ მონაცემებში თანხმოვანთა კანონზომიერი ფონემათშესატყვისობა ზუსტადაა დაცული, რაც ამოსავალია, არაერთი ქართველოლოგის აზრით. რაც შეეხება ხმოვნებს, იქ მეორეულ, შედარებით ახალი ქრონოლოგიური დონის ამსახველ მოვლენებთან უნდა გვქონდეს საქმე. (მაგალითად: შდრ. ჭახნაგ-იშ ტობა, მორევი მარტვილის რაიონის სოფელ თარგამეულში, წახნაგ/კ-ია, ოფიციალური გვარი ჩხოროწყუსა თუ სენაკ-ში და ქართული სიტყვა წახნაგ-ი, „ტეხილი ზედაპირის ერთ-ერთი გვერდი“).

თავისთავად ცხადია, ზემოაღნიშნული მსჯელობის შემდეგ ვერ გავიზიარებთ ჩვენი ახალგაზრდა ქოლეგის დ. შევინიძის აზრს ჭოხონელიძის ხონელიძისან მოდინარეობის შესახებ (შევინიძე 2012:227-228).

როგორც ვხედავთ, ყველა ქართველურ ენაში, წახ-/ჭოხ-/ჭახ > ჭეხ ძირთან გამოიყენება ონომასტიკური, წარმომავლობის, გეოგრაფიულ და კნინობითობის აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები. მათში მრავლობითობის მორფების ფუნქცია კი არ უნდა ვეძებოთ ისე, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული (შდრ. ტიბა-ან-ი, მელა-ან-ი, ჯუგა-ან-ი და ა.შ., იხ. ჯიქა 1958:496-497). არამედ – კრებითობისა, რაც შემდგომში შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა თუ ოფიციალურ გვართა წარმოებაში აისახა.

რას უნდა ნიშნავდეს ქართველურ ენათა ტოპონიმებში, ჰიდრონიმებსა თუ გვარებში დადასტურებულ წახ-/ჭოხ-/ჭახ > ჭეხ ძირი, მნელი სათქმელია. აშკარაა, რომ იგი ძალიან ძველია და შესაძლოა, მისი სემანტიკა მოდიოდეს რაჭული ჭოხ-ო-ეთ-ი-დან („ჩრდილიანი, უმზეო აღგილი“), რომელიც, თავის მხრივ, ზანური მეტყველების ანარეკლი ჩანს (შდრ. თემის საკრებულო ჭოღ-ა, ერთი მხრივ, და ჭახ-ან-ტყე-ებ-ი „ოღონიშოდრო ტყე-ფერდობი“, მეორე მხრივ, ჩხოროწყუს რაიონში).

## ლიტერატურა

- ბერიძე 2013:** გ. ბერიძე, მაპახიანი მესხების ფეხვები და დღვევანდელობა, ახალციხე.
- ბროსე 1861:** M. Brossé, *Переписка, на иностранных языках, грузинских царей с российскими государями от 1659 г. по 1770 г.*, СПб.
- გოგოლაური 2017:** რ. გოგოლაური, საისტორიო ძეგლისი, ტ. I, თბილისი.
- გოგოლაური 2015:** რ. გოგოლაური, გურკლელთა ვინაობის საკითხისათვის, „განათლება XXI საუკუნეში“, გორი.
- დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, თბილისი 1940.**
- ზისერმანი 1870:** Сборник материалов для описания Тифлисской губернии, под редакцией правителя оной К. Л. Зиссермана, т. I, вып. I, Тифлис.
- თაყაიშვილი 1937:** ე. თაყაიშვილი, არქოლოგიური ექსპლიცია ლეჩხუმ-ხვანეთში 1910 წელს, პარიზი.
- თოფჩიშვილი 2015:** რ. თოფჩიშვილი, ხვანეთი და სვანეთის ძეგლიდრნი, თბილისი.
- მაკალათია 1938:** ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბილისი.
- ნიუარაძე 2007:** ბ. ნიუარაძე, ქართულ-ხვანეურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.
- სილოვავა 1986-1988:** ვ. სილოვავა, ხვანეთის წერილობითი ძეგლები, I-II, თბილისი.
- ხვანერი პოზია, I, 1939:** სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს: აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიამ, მერი გუჯეჯიანმა, თბილისი.
- შავიანიძე 2012:** დ. შავიანიძე, დიხაშხო-ისრითის გვარსახელები, „ქართველური ძეგლების ისტორია“, XVI, ქუთაისი.
- ჯიქა 1941-1958:** ს. ჯიქა, გურჯისტანის ჯოღაუთის დაღი დაგთარი, I-II-III ტ., თბილისი.

Iza Chantladze

### On the Relationship of *wax-/yox-/yax- > yex* in Kartvelian Languages

#### Summary

The paper deals with the history of the most valuable icon that is kept in Ushguli Saviour Church, which was donated by Vakhtang Tsakhanelisdze and his wife Khuashaki at the turn of XII-XIII centuries (Taqaishvili 1937:153). It turns out that they belonged to a high social rank and probably lived in the village Tsakhani, in river Odzrkhe Gorge. Acad. Sergi Jikia's fundamental three-volume book "Big Register of Gurjistan's Vilajet" (1941:11, 122; 1947:9, 120; 1958:165, 168-173, 496) gives the description of this village. M. Brosset also speaks about it (1861:XXV). It is still located in the same place (cf. R.Topchishvili, "Svaneti and its Inhabitants", 2015:59) and belongs to the contemporary Adigeni municipality. Today Imeretians are settled there instead of former inhabitants (Muslim Meshetians), known as "Meskhetian Turks" or "Caucasian Turks" and who were deported from their homeland in 1944 (M. Beridze 2013:185-194).

Basing on phonemic analysis of Geo. ჯახ- / Zan ჯოხ- / Svan ჯეხ- < ჯახ the author of the study attempts to link three Georgian surnames to each other: ჯახ-ან-ელ-ი-ჟე (in Meskheti), ჯოხ-ონ-ელ-ი-ჟე (in historical Samegrelo) and ჯეხ-ან < ჯახ-ან (in Svaneti). In order to confirm this view, the article analyzes the mentioned anthroponyms and toponyms.

## I და II აირჩის დეიქსისთან დაკავშირებული საკითხები ქართველურ მათა ანდაზებში

(ქართული, მეგრული და ლაზური ემპირიული მასალის მიხედვით)

### შესავალი

მსოფლიოს ამა თუ იმ ხალხში შექმნილსა და დროთა განმავლობაში სახეცვლილ ანდაზურ (resp. პარემიულ) ფონდში ყველაზე უპეტ აისახება ერის კულტურა და აზროვნების თავისებურება. ამასთან, ანდაზები კარგად წარმოაჩენს ამა თუ იმ ენის იმანენტურ ბუნებასა და სიტყვათქმნადობის ხასიათს. „ანდაზების ენაზე ზედაპირული დაკირვებაც კი საკმარისია იმის შესამჩნევად, რომ ხალხური სიტყვიერების ეს უანრი წარმოადგენს სასაუბრო მეტყველების კონდენსირებულ და, ამასთანავე, რიტმულად ორგანიზებულ სახეობას“ (აფრიდონიძე 2003:225).

ანდაზა შექმნის მიზნიდან და მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტია; კერძოდ, ანდაზას სწავლობს ლინგვისტიკა, ფიქტურინგვისტიკა, ანთროპოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ფოლკლორისტიკა, ეთნოლინგვისტიკა... მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლინგვისტიკას, რადგან ანდაზა იქმნება სწორედ იმ ენობრივი საშუალებებისა და მოღელების მიხედვით, რომლებიც ენას მოეპოვება. ყველა სხვა დარგი ამ მასალას საკუთარი მეთოდოლოგით აფასებს. აქედან გამომდინარე, ანდაზის შესწავლა ენობრივად აქტუალური და გადაუდებელი საქმეა.

როგორც ცნობილია, ანდაზა იქმნება ერთი პირის მიერ, რომელიც ხან კონკრეტულია, ხან კიდევ – განზოგადებული; ამიტომ, პირთა განაწილებისა და ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, ანდაზა საინტერესო და თავისებურ სურათს წარმოაჩენს; კერძოდ, ანდაზის ენისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს შორის ყურადღებას იქცევს პირის დეიქსისი და მასთან დაკავშირებული პრაგმატიკული ასპექტები. წინამდებარე ნაშრომში ემპირიული მასალა გაანალიზებულია სწორედ ამ ერთი კონკრეტული ლინგვისტური საკითხის მიხედვით, რომელიც ეხება რეფერენციულობის კატეგორიას და I და II პირთა ფუნქციური განაწილების პრინციპებს ქართულ, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში.

აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოყენებულია ლინგვისტიკაში არსებული ტრადიციული და თანამედროვე კვლევის მეთოდები; კერძოდ, მასალის ანალიზისას ვხელმძღვანელობთ აღწერით-სტატისტიკური, ისტორიულ-უძა-

რებითი, სუბსტიტუციის, პერმუტაციისა და სინტაქსური ტრანსფორმაციის (resp. პარაფრაზის) მეთოდებით. მათი გამოყენება, საკითხის ირგვლივ აქამდე არსებული მოსაზრებების ვერიფიკაციასთან ერთად, აზალი ჰიპოთეზების წამოყენების საშუალებასაც იძლევა.

### რეფერენციულობა, დეიქსისი და მისი სახეები

ლინგვისტიკაში რეფერენციულობა მიიჩნევა გრამატიკულ კატეგორიად, რომელიც, ფართო გაგებით, „ასახავს მიმართებას ორ ოდენობას – აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის“ (თანდაშვილი 2017:16). ენაში რეფერენციის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება არსებობს, მათ შორის „რეფერენცია შეიძლება ექსპლიციტურად, ნაცვალსახელის მეშვეობით გადმოიცეს, ძირითადად პირის ნაცვალსახელითა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის საშუალებით... რეფერენციის ამ სახეს გრამატიკული რეფერენცია ეწოდება“ (იქვე: 90). ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „რეფერენციის თითოეული სახე ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე უნდა განვიხილოთ... გრამატიკული რეფერენცია განიხილება დეიქსისის ფარგლებში და პრაგმატიკის დონეზე უნდა აღიწეროს...“ (იქვე:181).

თანამედროვე ენათმეცნიერულ ნაშრომებში დეიქსისი დახასიათებულია როგორც უნივერსალური ენობრივი ფენომენი, რომელიც სხვადასხვა ენაში განსხვავებული ხერხებით გამოიხატება. დეიქსისი განიმარტება როგორც „ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობა ან ფუნქცია, უჩვენოს მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში გამონათქვამის მიმართება კონკრეტულ მოლაპარაკესა და მსმენელთან, წარმოთქმის კონკრეტულ დორსა და ადგილთან“ (ქობალავა 2008:140-141). დეიქსისის გამოსახატვად ენაში გამოიყენება დეიქტური ელემენტი (resp. დეიქტიკონი). ეს უკანასკნელი ენის პრაგმატული დონის ფუნქციური ელემენტია, რომელიც „მიუთითებს სიტყვაზე ან სიტყვათა ჯგუფზე ერთი წინადადების ან დისკურსის ფარგლებში“ (თანდაშვილი, ფურცხვანიძე 2014:19).

იმის გათვალისწინებით, რომ „ენობრივი დეიქსისი რეფერენციას გადმოსცემს როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული ოდენობების, დეიქტიკონების მეშვეობით“ (თანდაშვილი 2017:182), სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ დეიქსისის, როგორც რეფერენციის მეთოდის, რამდენიმე სახეს: პირის დეიქსისი (Person deixis), სივრცეული დეიქსისი (Spatial deixis), დროული დეიქსისი (Temporal deixis), სოციალური დეიქსისი (Social deixis) და დისკურსული დეიქსისი (Discourse deixis) [Fillmore 1966, Levinson 1983, Lyons 1997, ქობალავა 2008, Dylgjeri and Kazazi 2013, თანდაშვილი და ფურცხვანიძე 2014, Stapleton 2017, თანდაშვილი 2017]. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია დეიქსისის ერთ-ერთი სახე – პირის დეიქსისი და მისი რეალიზაციის კონკრეტული შემთხვევები ქართული, მეგრული და ლაზური ანდაზების ენაში.

## პირის დეიქსისი ქართულ, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში

გრამატიკული რეფერენციის<sup>1</sup> ერთ-ერთი საშუალების – პირის დეიქსისის ( $\leftarrow$ -ძერმ). Déixis – ჩვენება, მითითება) და მასთან დაკავშირებული ცალკეული ას-პექტების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურიდან ბევრი რამ არის ცნობილი; გან-საკუთრებით მდიდარია უცხოური სამეცნიერო სფერო ამ თვალსაზრისით. რაც შე-ეხება კონკრეტული საკითხის კვლევის ისტორიას ქართველურ წებში, პირველ რიგში, დავასახელებთ ვინფრიდ ბოედერის მნიშვნელოვან სტატიას, რომელიც გრა-მატიკული პირის მატერიალურ გამოხატვასა და შინაარსობრივ შეხამებას ეძღვნება მეგრულ ანდაზებში (ბოედერი 2014). იგი ერთგვარად სახელმძღვანელო ნაშრომია ანდაზის ენაში მომუშავეთათვის, რადგან ავტორი კონკრეტულ ენობრივ თავისებუ-რებებთან ერთად თეორიულ პოსტულატებსაც აყალიბებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბატონი ვინფრიდის სტატია იყო დასაყრდენი და გზამკვლევი თამარ ქა-როსანიძის სამაგისტრო ნაშრომისთვის (ქაროსანიძე 2015). ქართული ანდაზები გრა-მატიკულ-ლექსიკური თვალსაზრისით აღწერილი და გაანალიზებულია ლია ლექსაგას სტატიაში (ლექსაგა 1959). მკვლევარს კონკრეტულად პირის დეიქსისის საკითხი არა აქვს განხილული, თუმცა მასალა მართლაც მნიშვნელოვანია, ხოლო ცალკეული დაკვირვებები – ფურადსაღები. ანდაზის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის თვალ-საზრისით აღსანიშნავია მანანა რუსიეშვილის მონოგრაფიაც (რუსიეშვილი 2005), რომელშიც დიდაღი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით მიმოხილულია პარე-მიული ერთეულები რამდენიმე მიმართულებით; მათ შორის საუბარია ანდაზის, როგორც ზოგადრეფერენტული ერთეულის, ლინგვისტურ სტატუსზე, სემანტიკურსა და პრაგმატიკულ პარამეტრებზე; ემპირიული მასალის ფონზე გაანალიზებულია ანდაზის შრეობრივი სემანტიკური სტრუქტურა და თითოეული შრის ფუნქცია ანდაზის ზოგადი მნიშვნელობის დადგენაში. აქვე შემოთავაზებულია პარემიათა სე-მანტიკური სტრუქტურის შესწავლის ახალი მეთოდი, რომელიც არსებულ მეთო-დებთან ერთად ხელს უწყობს ანდაზის არქეტიაზული სტრუქტურის წარმოჩენას.

ვფიქრობთ, ცალკე უნდა გამოიყოს ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავში-რებული ის ნაშრომები, რომლებშიც ასახულია რეფერენციულობის გადმოცემა მი-მართვის ფორმების საშუალებით (Braun 1988, აფრიდონიძე 2003, რუსიეშვილი 2007, ჯანჯლავა 2009, ფჩქულია 2012...). მათ შორის აღსანიშნავია შუქია აფ-რიდონიძის საღოქტორო დისერტაცია,<sup>2</sup> რომელშიც დაწვრილებითაა განხილული მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში. ამ ნაშ-რომში გამოყოფილია ვოკატიური (სახელური), იმპერატიული (%მნური) და სხვა

<sup>1</sup> რეფერენციულობის ფენომენის შესახებ ვრცლად იხ. მ. თანდაშვილი, რეფერენციუ-ლობა ქართულში, ფრანკფურტი – თბილისი, 2017.

<sup>2</sup> შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში, საღოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბ., 2003 წ.

სახის მიმართვები. ერთ-ერთ ქვეთავში ავტორი სახელურ მიმართვაზე მსჯელობი-სას ქართული ანდაზების მასალის მიხედვით ცალ-ცალკე გამოყოფს და ახასი-ათებს საკუთარ სახელთა (ანთროპონიმთა) და საზოგადო სახელთა (აპელატივთა) ვოკატიურ ფორმებსა და შე ნაცალსახელიან კონსტრუქციებს. მიმართვის ფორმებ-თან დაკავშირებული საკითხები სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართულის გარდა, განსილულია მეგრულ-ლაზურის მასალაზეც; კერძოდ, სახელური მიმართვის ფორ-მების კვლევას ისახავს მიზნად ცირა ჯანჯღავას სტატია (ჯანჯღავა 2009), თუმ-ცა ავტორის მიზანი არ გახლავთ მიმართვის ფორმათა ფუნქციისა და სემანტიკის გარკვევა საკუთრივ ანდაზების ენაში. იგივე უნდა ითქვას ლევან ფაჩულიას ნაშ-რომზეც (ფაჩულია 2012); მასში ბრაუნის (Braun 1988) კლასიფიკაციის მიხედ-ვით დაჯგუფებულია მეგრულში არსებული მიმართვის სახელური ფორმები. ავ-ტორი გამოყოფს ცხრა ჯგუფს, რომელთა შორისაა მიმართვად გამოყენებული ხე-ლობა-პროფესიის სახელები, კნიონბით-ალერსობითი ლექსიგა და სხვ. მიმართვის ფორმათა პრაგმატიკულ ასპექტებსა და ანდაზებში მათ ფუნქციონირებაზე აღნიშ-ნულ სტატიაშიც არაფერია ნათქვამი. მიუხედავად ზემოთ განხილული მრავალფე-როვანი და მრავალმხრივი სამეცნიერო ლიტერატურისა, ქართული, მეგრული და ლაზური ანდაზების ენა კომპლექსურად, მით უფრო, ერთი კონკრეტული საკით-ხის – პირის დეიქსისის თვალსაზრისით, დღემდე შესწავლის საგანი არ ყოფილა, თუმცა აქამდე არსებული კვლევები, განსაკუთრებით კი, კინფრიდ ბოედერის სტა-ტია და თამარ ქაროსანიძის სამაგისტრო ნაშრომი, ჩენონთვის იქცა ერთგვარი მი-მართულების მიმცემად წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას.

ენათა უმრავლესობაში, მათ შორის ქართველურ ენებშიც, პირის დეიქსისი გა-მოიხატება პირის ნაცალსახელების საშუალებით. ანდაზური ფონდი რეფერენციის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან ცნობილია, რომ ანდაზა ზო-გადრეფერენტული ერთეულია. იგი შეიცავს რაიმე განზოგადებულ დასკვნას, სიბრ-ძეს, რომლის მნიშვნელობაც მინიმალურად არის დამოკიდებული არსებულ კონ-ტექსტზე და მასში მონაწილე ობიექტებზე. ემპირიული მასალის ანალიზშა აჩვენა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ქართულ, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში მესამე პი-რის ნაცვლად I ან II პირია გამოყენებული. ეს საშუალებას იძლევა, დავთანხმოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ანდაზაში „გრამატიკული პირების დეიქტური ოპოზიცია რეფერენციალურ დონეზე ნეიტრალიზებულია“ (ბოედერი 2014:74). შე-საძლოა, ზემოაღნიშნულს ხელი შეუწყო იმანაც, რომ „ნაცალსახელებს არ გააჩ-ნიათ სემანტიკა, ისინი ლექსიკური შინაარსისგან დაცლილი სიტყვებია და, შესა-ბამისად, ვერ ახორციელებენ ლექსიკურ-სემანტიკურ რეფერენციას“ (თანდაშვილი 2017:31). ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ-ერთ ქართულ ანდაზას:

(1) მე რომ მენახირედ დავდექ, ფოტარა მაშინ გაწყდაო (ქართ. ანდ. II:121).

აღნიშნული პარეტიული ერთეული თავის ანდაზურ ხასიათსა და შინაარსს არ დაკარგავს, თუკი მასში წარმოდგენილი პირველი პირის ნაცალსახელს შევცვ-

ლით მეორე ან მესამე პირის ნაცვალსახელებით, მხოლობითის ან მრავლობითის ფორმებით. ე.ი. გამოყიდვებით თანამედროვე ლინგვისტიკაში აქტიურად მოქმედ სუბსტიტუციის მეთოდს, რომელიც „გულისხმობს ენობრივი ელემენტის სხვა, ღეწ-სიკური ან ფუნქციური თვალსაზრისით შეგავსი ელემენტით ჩანაცვლებას“ (თანა-შვილი 2016:12). ცხადია, ამ შემთხვევაში აღნიშვნული მეთოდის გამოყენება მიზ-ნად ისახავს არა იმას, რომ დამტკიცდეს, ზოგადად, პირის ნაცვალსახელთა ეპი-ვალენტურობა და თავისუფალი ვარირების არსებობა ქართულში ან სხვა ქართვე-ლურ ენაში, არამედ სუბსტიტუციის მეთოდი გვეხმარება იმის დადგენაში, თუ რამ-დენად იქნიებს გავლენას პირის ნაცვალსახელების კომბინაციის შეცვლა ანდა-ზით გადმოცემული აზრის ცვლილებაზე:<sup>3</sup>

ა) მე რომ მენახირედ დავდექ, ფამფარა მაშინ გაწყდაო.

ა<sup>1</sup>) ჩვენ რომ მენახირედ დავდექით, ფამფარა მაშინ გაწყდაო;

ბ) შენ რომ მენახირედ დადექ, ფამფარა მაშინ გაწყდაო;

ბ<sup>1</sup>) თქვენ რომ მენახირედ დადექით, ფამფარა მაშინ გაწყდაო;

გ) ის/იგი რომ მენახირედ დადგა, ფამფარა მაშინ გაწყდაო;

გ<sup>1</sup>) ისინი რომ მენახირედ დადგნენ, ფამფარა მაშინ გაწყდაო.

როგორც ვხედავთ, ნაცვალსახელის შეცვლას ანდაზის სიბრძნის, ზოგადი აზრის გადმოცემაზე და მისი ძირითადი საოქმელის ჩამოყალიბებაზე გავლენა არ მოუხდება. ამდენად, თეორიული თვალსაზრისით სრულიად ბუნებრივია ზემოთ მოცემული ყველა ვარიანტის (ა, ა<sup>1</sup>, ბ, ბ<sup>1</sup>, გ, გ<sup>1</sup>) რეალიზება. ამგვარად, სუბსტიტუციის მეთოდმა წარმოაჩინა, რომ ნაცვალსახელების ურთიერთჩანაცვლება ანდაზაში ფუნქციურ-სე-მანტიკურად ვალიდურ ვარიანტებს იძლევა. ეს განპირობებული უნდა იყოს ანდა-ზის ერთ-ერთი უმთავრესი შინაარსობრივი მახასიათებლითაც – გამოხატოს ღრმა, ჭეშმარიტი, განზოგადებული აზრი ცხოვრებისეული მოვლენის შესახებ. ანდაზა „აზღენს არა კონკრეტული ფაქტის, არამედ რაიმე კანონზომიერების კონსტატირებას“ (რუსეთშვილი 2005:152).

რეფერენციულ დონეზე ნეიტრალიზებულ პირთა ოპოზიცია სხვაობას გვიჩვენებს პრაგმატულ დონეზეც. „მეორე პირი, მესამე პირისგან განსხვავდებით, აპელი-რებს ადრესატის პერსონალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. [ამის] მსგავსად, მრავლობითი რიცხვის პირველი პირი ხაზს უსვამს ადრესატის, შესაბამისად, ყველა ადამიანის მიმართ „სოლიდარობას“ (ბოედერი 2014:74). ის, რომ პირველი, მეორე და მესამე პირების დაპირისპირება დაკავშირებულია გარკვეულ პრაგმატი-

<sup>3</sup> როგორც აღინიშნა, ჩვენი მიზანი არ არის პირის ნაცვალსახელთა ჩანაცვლებადობის დამტკიცება ნებისმიერ კონტექტში. ამტომ, სუბსტიტუციის მეთოდს, რომელიც მით-აზრებს წინადადების მხოლოდ ერთი რომელიმე ელემენტის ჩანაცვლებას სხვა ელემენტით, ვიყენებთ ერთი დაშვებით: ვანაცვლებთ პირის ნაცვალსახელს და მასვე ვუთანხმებთ, სახეს ვუცვლით შესაბამის ზმურ ფორმასაც, რათა მივიღოთ „გრამატიკულად გამართული“ წინადადება. მეთოდის ამგვარი ტრანსფორმაცია გამართლებულია დასახული მიზ-ნის მისაღწევად.

კულ კონტექსტებთან, დასტურდება ქართულ, მეგრულ და ლაზურ ანდაზებშიც, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისუბრებთ.

**შენიშვნა:** თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ანდაზა თავისი არსით ითხოვს ერთზე მეტი პირის არსებობას, რომელიც ზოგჯერ შეიძლება მატერიალურად არ იყოს წარმოდგენილი, მაგრამ იგულისხმებოდეს (აღდგეს). ვფიქრობთ, ანდაზაში პირთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა ცალკე შეჯელობის ვრცელი საკითხია. ჩვენ ამ საკითხს ამჯერად შევეხებით იძღვნად, რამდენადაც და-სახული მიზნის განხორციელება//მიღწევა მოითხოვს.

როგორც ცნობილია, პირველი პირი ქართულში მე ნაცვალსახელით გადმოიცემა, თუკი ერთ პირზეა საუბარი. მას სხვანაირად მოუბარ პირსაც უწოდებნ და იგი კონკრეტულია. ენაში არსებობს ასევე I პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი „ჩვენ“, რომელიც იმავდროულად სიმრავლეს გამოხატავს. მოლაპარაკე პირი „შეიძლება ერთის კრებულში, რომელიც ჩვენ სიტყვით აღინიშნება“ (შანიძე 1953:169), თუმცა ჩვენ კონკრეტიზაციისგან შორს არის, მისი განზოგადება აღვილად შეიძლება, რადგან სიმრავლეს აღნიშნავს. იგი შეიძლება მოიცავდეს „ბევრ მე“-ს ან „ბევრ მე და შენ“-ს. ქართული მე ნაცვალსახელის კანონზომიერი ფონეტური შესატყვისია მეგრული მა და ლაზური მა//მა-ნ (ფენრიხი, სარჯველადე 1990:212-213). პირის დეიქსისის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები, არამედ შესაბამისი კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელური ფორმებიც და მათ შორის ურთიერთობა. ქართულში პირველი პირის კუთვნილებას აღნიშნავს „ჩემ-ი“ ნაცვალსახელი, რომლის ფარდია მეგრული ჩემ-ი ლაზური ჩემ-ი//შეიმ-ი (იქვე:387). რაც შეეხება პირველი პირის მრავლობით რიცხვს, ქართულ ჩემ-ი ძირს შეესატყვისება მეგრული ჩემ-ი//ჩენ-ი, და ლაზური ჩეუნ-ი//შეუნ-ი (იქვე:388-389).

ხშირად ანდაზაში წარმოდგენილი პირველი პირი „აღნიშნავს არა რეალურ მოლაპარაკეს, არამედ იგი ახასიათებს ანდაზას, როგორც შინაგანი გრძნობის ან აზრის გამომხატველს“ (ბოედერი 2014:75). პირველი პირის მრავლობითი რიცხვის შემთხვევაში ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენ ფორმა განზოგადების საშუალებას იმთავითვე იძლევა, მაგრამ საინტერესოა, რომ ანდაზებში პირის განზოგადება შესაძლებელია მაშინაც კი, როცა ის I პირია და მხოლობით რიცხვშია. ამიტომ პარემიებში პირველი პირის პარაგმატული შინაარსი ვერ თავს-დება გრამატიკული პირველი პირის, ანუ რეალურად მოსაუბრე პირის, სემანტიკაში. მოლაპარაკე პირის გაგება ანდაზაში იმდენად განზოგადებულია, რომ იგი გამოიყენება არა ერთი კონკრეტული, არამედ ნებისმიერი „ადამიანის შინაგანი განცდების, გამოცდილებისა და ემოციების გამოსახატვად“ (ქაროსანიძე 2015:39). შეიძლება ითქვას, რომ პირველ პირს ანდაზაში განსაკუთრებული დატვირთვა ეძღვა. კერძოდ, იგი მეტ დამაჯერებლობას სმენს ანდაზის შინაარსს. მოსაუბრე შეჯე-

ლოს საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, იძლევა გარკვეულ რჩევა-დარი-გებეს და ამით უშუალო კავშირსაც ამყარებს მსმენელთან.

ქართულ, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში პირის დეიქსისის პოვნიერების მხრივ, კერძოდ, პირველი პირის გამოყენების თვალსაზრისით, რამდენიმე ჯგუფი გამო-იყოფა:

- სხვა პირებთან კომბინაციაში წარმოდგენილია I პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი:

#### ქართული:

- (2) მე<sup>4</sup> რომ ვხედავ ნიშანსაო, ხარს დამიკლენ ნიშასაო (ქართ. ანდ. I:92);
- (3) მე რომ კურდღლაობა მომინდება, ჩემს მწევარს ძილი მოუნდებაო (იქვე: 92);
- (4) მე კი დავაყრი და გინდა ზედა წისქვილმა ფქვას, გინდა ქვედამაო (ქართ. ანდ. II:121).

#### მეგრული:

- (5) ანთალაქ მა მაღორუ, ანთალას მა ვაღორენქ. „ანთელავამ მე მომატყუა, ანთე-ლავას მე ვატყუებ“ (შერ. მემ:8);
- (6) მა დობლურუქუნი, უკული ქუა თუასია. „ჩემი სიკვდილის შემდეგ თუნდ ქვა თოვოსო“ (იქვე:81);
- (7) მა ქიბტყუქ დო, იციინ დო ვარი, ჯარი ვამოჭე. „მე ვიტყვი და, იქნება თუ არა, ჯავრი არა მაქვს“ (იქვე:84).

#### ლაზური:

- (8) თი ჩქიმიში დოხთორი მან ვორე. „ჩემი თავის ექიმი მე ვარ“ (შერ. მემ:217);
- (9) მა ნა მპილასუნ კოჩი, დაპა ვარ დიინუ-ია. „მე ვინც უნდა მომკლას ის კაცი ჯერ არ დაბადებულაო“ (იქვე:229);
- (10) მან ბლალუფ, მან შევიგნეფ-ია. „მე ვყეფ, მე ვისმენო“ (იქვე:229).

როდესაც ერთსა და იმავე ანდაზაში პირველ პირზე ზმნური ფორმაც მიუთი-თებს და მატერიალურადაცაა წარმოდგენილი „მე“ ნაცვალსახელი (მაგალითად, ან-დაზები (2), (3), (4) და ა.შ.), მაშინ ამ უკანასკნელს, გარდა პირველი პირის გამო-ხატვისა (რაც აზრის გაგებისთვის ამ შემთხვევაში არც არის აუცილებელი), დამა-ტებითი ფუნქციებიც ეკისრება. კერძოდ, ამგვარ კონტექსტებში შესაძლებელია ვი-საუბროთ „მე“ ნაცვალსახელის სტილური ფუნქციის შესახებ. პარემიებში ამ გზით ხდება აქცენტირება პირველ პირზე. იგი ერთგვარად ფრაზის ფოკუსირებულ წევრად გვივლინება და ამდენად, ანდაზის რიტმის მოწესრიგებასაც უწყობს ხელს. ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით, მოცემულობა, როცა სუბიექტი ზმნაში მარკირებულია პირის ნიშნით და იმავდროულად გამოხატულია პირის ნაც-

<sup>4</sup> ხაზგასმა ანდაზებში, აქაც და ქვემოთაც, ყველგან ჩვენია (გ. ჯ.).

ვალსახელითაც, რუსუდან ასათიანის შეფასებით, არის სინტაქსურად ჭარბი ერთეულები, როგორც ტოპიკალიზაციის მარკერები (ასათიანი 2009:24). ამგვარი „ჭარბი ერთეულების“ პონიერებას ქართულში და სხვა ქართველურ ენებში განაპირობებს ზმნის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება – პოლიპერსონალურობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია შენიშნულია, რომ, ევროპული ენებისგან განსხვავებით, ქართული ზმნა პოლიპერსონალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზმნურ ფორმაში მატერიალურად წარმოდგენილი პირის ნიშნების (შდრ. პირიანობა) და მათი პოტენციურად შესაძლებელი ვარიანტების (შდრ. ვალენტობა)<sup>5</sup> ხარჯზე წინადაღებაში შეიძლება გამოტოვებულ იქნეს (თანამედროვე ტერმინოლოგით – განულდეს) ნაცვალსახელით წარმოდგენილი აქტანტები (შანიძე 1953, ჩიქობავა 1968, ჯორბეგაძე 1983, მელიქიშვილი 2014 და სხვ.). ნაცვალსახელების განულებას ხელს უწყობს აგრეთვე დეიქტური ხმოვნების (ხმოვანი პრეფიქსების)<sup>6</sup> არსებობაც, რაღაც მათი საშუალებით ისედაც შემოდის ერთზე მეტი პირის სემანტიკა და კონკრეტული ნაცვალსახელით მისი აღნიშვნა აუცილებელი არ არის. საყურადღებოა, რომ დამანა მელიქიშვილი ზმნურ ხმოვანპრეფიქსებს **სამიმართებო (საკორელაციო)** პრეფიქსებს უწოდებს და აღნიშვნას, რომ მათი „ძირითადი ფუნქცია ზოგადად ობიექტური პირის არსებობაზე მითითებაა, კერძოდ კი სუბიექტის ობიექტურ პირებთან გარკვეული (კუთვნილება-დანიშნულების, ლოკატიური და სხვა სემანტიკის) მიმართების გამოხატვა“ (მელიქიშვილი 2014:133).

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში, ზემოგანსილური თავისებურებების გამო, ქართულ ენას **Pro-drop** ენათა ჯგუფში აერთიანებენ, რაც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება **ნულის სინტაქსის**.<sup>7</sup> როგორც ცნობილია, Pro-drop ენებს ახასიათებთ „ნაცვალსახელით წარმოდგენილი, ანუ არაინიციალიზებული სუბიექტის ან ობიექტის განულება“ (თანდაშვილი 2016:229), რაღაც ის ისედაც იგულისხმება. საყურადღებოა, რომ ქართული ენის შემთხვევაში „Pro-drop-ის განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ზმნის პოლიპერსონალურ ფორმაში აღინიშნება როგორც სუბიექტი, ისე პირდაპირი და ირიბი ობიექტიც. ამ აქტანტების პოვნიერება ზმნაში წარმოდგენილი პირის ნიშნების პოვნიერებით კომპენსირდება. შესაბამისად, ქართულს შეუძლია გაანულოს არა მხოლოდ სუბიექტი, არამედ ობიექ-

<sup>5</sup> კონკრეტულად ამ საკითხის – ზმნის პირიანობისა და ვალენტობის ცნებათა შესახებ ვრცლად იხ. თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, სტატიების კრებულში – „ენა და ენობრივი ნიშანი“, თბ., 2008: გვ. 113-133.

<sup>6</sup> ტრადიციული გაგებით (დასახელებით), **ქცვის ნიშნები**.

<sup>7</sup> ტერმინი „ნულის სინტაქსი“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სინტაქსურად გაუფორმებელი (resp. ნულით წარმოდგენილი) წინადაღების წევრის არსებობა თავს იჩენს ენის რომელიმე სხვა (მაგ., სემანტიკურ-პრაგმატიკულ) დონეზე. აქდან გამომდინარე, ცხადია, რომ „ნულის სინტაქსი“ განსაკუთრებულ დირებულებას იძენს Pro-drop ენების შემთხვევაში. ტერმინებს: „განულება“, „Pro-drop ენა“, „ნულის სინტაქსი“ ვიღებთ მ. თანდაშვილის ნაშრომიდან რეფერენციულობა ქართულში (2017 წ.).

ტ(ებ)იც“ (თანდაშვილი 2017:86). ეს მსჯელობა ესადაგება არა მხოლოდ ქართულ, არამედ მეგრულ და ლაზურ ენებსაც. ამდენად, ზმის პოლიპერსონალურობიდან გა-მომდინარე, ამ ენათა ზმის შესაძლებელი ხდება სუბიექტისა და ობიექტების (პირ-დაპირის და ირიბის) ასახვა, რაც წინადადებაში განულებული აქტანტების საკომპენ-საციოდ ხდება,<sup>8</sup> ანუ მაშინ, „როდესაც სუბიექტი ან ობიექტი ან ყველა აქტანტი ერთდროულად, ნულით არის წინადადებაში წარმოდგენილი, რეფერენცია მორფოლო-გიურ დონეზე, ზმის პირისა და ქცევის<sup>9</sup> ხარჯზე ხორციელდება“ (თანდაშვილი 2017:91). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ ანდაზების შემდეგი ჯგუფი:

- I პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი არ არის მატერიალურად წარმოდგენილი, მაგრამ მასზე ზმიური ფორმა მიუთითებს:

#### **ქართული:**

- (11) არზრუმში არ ვყოფილვარ, მაგრამ აზრით კი ვიჰიო (ქართ. ანდ. I:15);
- (12) სტუმარი მიყვარს ასეთი, კბილი არ ჰქონდეს არც ერთი (იქვე:121);
- (13) ბევრჯერ ვნახავ ივანესა კარზე შემომზივანესა (ქართ. ანდ. II:25).

#### **მეგრული:**

- (14) გებშვინი – გეოუა, ვაფშვინი – დემუუა. „რომ დავლიე – გათავდაო, რომ არ დავლიე – დაძმარდაო (შერ. მემ.:23);
- (15) ართი მორქიათ ჩქიმი სქუას ლევანი გივლდვა. „ერთი მოქნევით ჩემს შვილს ლევანი დავარქვიო (იქვე:10);
- (16) ჭიჭე ვორდინი – დიღგშა<sup>10</sup> მოშქურუდუ, დიღო გინიფრთინი – ჭიჭეშავა. „პატარა რომ ვიყავი – დიღისა მეშინოდა, დიღი რომ გაგხდი, პატარასი მე-შინიაო“ (იქვე:176).

#### **ლაზური:**

- (17) არ დღას დოვიბადდ დო არ დღას ბლურუ. „ერთ დღეს დავიბადე და ერთ დღეს მოვაკვდები“ (შერ. მემ.:198);
- (18) ნისათი კორტმ დო დამთერეთი – ჟურითი მიცადუნ. „რძალიც ვყოფილვარ და დედამთილიც – ორივე გამომიცდა“ (იქვე:242);
- (19) უგეგაფუს მო გემოგაფუ, გეგაფეის მო მომალუშ! „შეუჩევევლს ნუ მიმაჩვევ, შეჩვეულს ნუ მომიშლი!“ (იქვე:252).

<sup>8</sup> ნულის სინტაქსისა და ქართულის, როგორც Pro-drop ენის შესახებ ვრცლად იხ. მ. თანდაშვილი, რეფერენციულობა ქართულში, ფრანგურტი-თბილისი, 2017.

<sup>9</sup> მ. თანდაშვილს ტერმინი ქცევა გამოყენებული აქვს ტრადიციული გაგებით. ჩვენ, ცხადია, ამ ეტაპზე არ ვიხილავთ განსხვავებას ქცევასა და პირთა საკორელაციო მარკერად გამოყენებულ ხმოვან პრეფიქსებს შორის.

<sup>10</sup> ბეჭდურ ვერსიაში მოცემული „დიღგშა“ ფორმა ფინოლოგიურად მცდარია (აღნიშნული საკითხის ირგვლივ შემაჯამებელი მსჯელობა იხ. კარტოზია და სხვ., 2010:114-121).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, სტატისტიკური თვალსაზრისით, მეორე შემთხვევა ჭარბობს. ე.ი. შედარებით უფრო ხშირად I პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი არ არის მატერიალურად წარმოდგენილი, მაგრამ იგულისხმება.<sup>11</sup>

- პირველი პირი (S/O) გადმოცემულია მრავლობითი რიცხვის ფორმით:

#### ქართული:

- (20) სიძევ, რაც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგვიყვარდებით (ქართ. ანდ. I:123);  
(21) გვყავს, არ ვაფასებთ, დავკარგავთ და ვსტირით (ქართ. ანდ. II:37);  
(22) მოსვენება საფლავშიაც გვეყოფალ (<http://idioms.tsu.ge/?p=16906>).

#### მეგრული:

- (23) ართი შხურიშო ქობთქუათ დო ართი გერიშო. „ერთი ცხვრისათვის ვთქვათ, მეორე კი მგლისათვის“ (შერ. მემ.:12);  
(24) ღურელს ჭკომუათ უჯგუთია.<sup>12</sup> „მკვდარს ჭამით ვჯობივართო“ (იქვე:152);

#### ლაზური:

- (25) ბაბა საღი ტუ-ში, გერი მევიტით, ნა ღურუ, წოხლე მევულუთ: „მამა ცოცხალი რომ იყო, უკან მივდიოდით (ვიხევდით), რომ მოკვდა, წინ მივდივართ“ (შერ. მემ.:202);  
(26) ჩქენ ბჭარით, თქვან იკითხომთ, თქვან ჭარით დო ჰეთეფექ იკითხან! „ჩვენ დავწერეთ თქვენ სწავლობთ, თქვენ დაწერეთ და იმათ ისწავლონ!“ (იქვე: 260).

მხოლობითი რიცხვზე მეტად აქვს განხოგადების შესაძლებლობა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს (იხ. მაგალითები (20)-იდან (26)-ის ჩათვლით). ჩვენ ნაცვალსახელი, იქნება ეს ინკლუზიური თუ ექსკლუზიური, მოიაზრებს მოსაუბრის გარდა სხვა პირის უშუალო თანამონაწილეობას და ამდენად, უფრო მეტ დამარტინუნებელ ეფექტს ახდენს მსმენელზე; გარდა ამისა, გარკვეულწილად ხდება პასუხისმგებლობის გადანაწილებაც. ე.ი. ზოგჯერ ანდაზით გადმოცემულ აზრს

<sup>11</sup> ამის ერთ-ერთი მიზეზი საანალიზო ენებში ზნის ზემოგანხილული თვისება – მრავალ-პირისობაა, მაგრამ ამასთანავე, ენა გამუდმებით ცდილობს, იყოს ეკონომიური, ხოლო ეკონომიურობის პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანდაზის ენისთვის, ვინაიდან პარემიული ერთეულები ლაკონიურობით ხასიათდება.

<sup>12</sup> აღსანიშნავა, რომ უჯგუთია ფორმაში მატერიალურად არ არის წარმოდგენილი I სუბიექტური პირის ნიშნი (← კ-უჯგუთია), რის გამოც იგი ამბიგურია და ემთხვევა მეორე პირის ფორმას (შდრ. 1. კ-უჯგუთია ჩქი თინეფს „უჯგუბივართო ჩვენ მათ“ და 2. უჯგუთია თქვა თინეფს „ჯობისართო თქვენ მათ“). მეგრულ ზნაში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის პოვნიერება, ერთი მხრივ, დამოკიდებულია დიალექტურ არეალზე, ხოლო, მეორე მხრივ, მეზობელ ბეჭრაზე (Кипшиძე 1914:055-056, 075), რის გამოც, გარჩევა ხშირად კონტექსტის//დისკურსის ფარგლებში ხდება (ამის შესახებ შემაჯამებელი მსჯელობა ვრცლად იხ. კარტოზია და სხვ., 2010:153-164).

მთქმელი წარმოგვიჩენს არა მხოლოდ საკუთარ, ორიგინალურ ნააზრევად, არამედ ადასტურებს სხვის თანამონაწილეობასაც. ცალკე უნდა გამოიყოს შემთხვევები, როდესაც პირი გამოყენებულია სხვისი ნათქვამის გადმოცემისას. ასეთ დროს ორგარი შემთხვევა გვაქვს:

ა) სხვა პირებთან კომბინაციაში მატერიალურად წარმოდგენილია  
I პირის ნაცვალსახელი:

#### ქართული:

- (27) მამალს უთქვია: მე კი ვიყივლებ და გინდა გათენდეს, გინდ – არაო (ქართ. ანდ. II:115);
- (28) ნიორს უთქვამს: ვაი იმ პირსა, საიდანაც მე ჩავალო და ნეტავი იმ მუცელსა, სადაც მე ვიქნებიო (იქვე:141);
- (29) ძროხამ სთქვა: დასაბმელი მიშოვნე და საწოლს მე ვიშოვნიო (იქვე:220).

#### მეგრული:

- (30) ბაღანაქ თქუა: წიწით მა ფაფუთ მა ბებით მა ბაბუთ მა, ბაბათ მა დო წანათ მავა. „ბავშვმა თქვაო: ხორციც მე, ფაფაც მე, ბებიაც მე, ბაბუაც მე, მამაც მე და წლებიც მეო“ (შერ. მემ:18);
- (31) გორდიქ თქუა: დობჭყადით დო ჩახათში<sup>13</sup> მა ხოლო ულია (იქვე:32). „გომ-ბეშომ თქვა: დამჭედეთ და ჩახათში მეც წავალო“;
- (32) ქოთომქ თქუა: ხოჯი დოცვილესგნ, მა ქიგმოცვილესია, შხური დოცვილესგნ, მა ქიგმოცვილესია, ღეჯი დოცვილესგნ, მა ქიგმოცვილესია, მუთუნ ვაცვილესგნ, იშენი მა ქიგმოცვილესია. „ქათამმა თქვაო: ხარი დაკლეს, მე დამაკლეს, ცხვარი დაკლეს, მე დამაკლეს, ღორი დაკლეს, მე დამაკლეს, არაფერი დაკლეს, მაინც მე დამაკლესო“ (იქვე:143).

#### ლაზური:

- (33) ბუტკუჯიქ თქვერენ: მა-ნა მებუჭყომარე კოჩი დოღურატუკონ-ნა, არ კოჩიშენი არ ფუთი თოფური დობიქომტია. „ფუტკარს უთქვამს: ჩემგან დაკბენილი კაცი რომ მომკვდარიყო,<sup>14</sup> ერთი კაცისთვის ერთ ფუთ თაფლს გავაკეთებდიო“ (შერ. მემ:205);
- (34) შარვალი-გებუეის, „ირიქ მა მოწყერსდა“, უჩქნ. „შარვალდაკერებულს, „ყველა მე მიყურებსო“, ჰგონია“ (იქვე:258).

<sup>13</sup> ბეჭდურ ვერსაიში წარმოდგენილი ტოპონიმი „ჩახათი“ არასწორია. ვფიქრობთ, რომ აქ უნდა იყოს „ჩოხათი“ (ისტორიული ტოპონიმი სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონში), რომელიც „დასახელებულია ლევან II დადაანის დარიანდელ დოკუმენტში. აქ ცაიშის ეპიკოპონის ერთ-ერთი სასახლე ყოფილა. ვარაუდობენ, რომ მდებარეობდა დარჩელში“ (ცხადას 2007:117).

<sup>14</sup> სიტყვასიტყვით: მე რომ დამიკენია, [ის] კაცი რომ მომკვდარიყო.

ბ) I პირის ნაცვალსახელი მატერიალურად არ არის წარმოდგენილი სხვათა  
სიტყვიან ანდაზაში, მაგრამ ყველგან იგულისხმება.<sup>15</sup>

### ქართული:

- (35) აქლემს უთქვამს: რომ არ დამაჩოქებინტ ქვეყნას ავიკილებლილ (ქართ. ანდ. II:16);
- (36) აღმართმა სთქვა: ვაჟკაცი მოვლალე, ბერმა კაცმა მომლალაო (იქვე:17);
- (37) კამეჩმა სთქვა: ქვეყნის დანგრევისა რომ არ მეშინოდეს, ისეთს გავიქცეოდი,  
რომ ფრინველიც ვერ მომენტოდაო (იქვე:99);

### მეგრული:

- (38) გლახა მენძელიში ჯოღორქ თქეა: ჭუაჩი<sup>16</sup> – სტუმარქ მემენდურუ, ვავჩი –  
მენძელქა. „გლახა მასპინძლის ძაღლმა თქვა: ვუკბინე – სტუმარი  
დამემდურა, არ ვუკბინე – მასპინძელიო“ (შერ. მემ.:29);
- (39) ჩხომქ თქუუა: – ორაგადალი (ორაგადე) ბრელი მიღუ მარა პიჯი წყარით  
მაფუნია ეფშა. „თევზმა თქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა  
მაქვს სავსეო“ (იქვე:166);
- (40) ჭყონქ თქეა: ოში წანას ცხვენს ჭგმვოძუდია დო დახე დოფხუმაფექია. „მუ-  
ხამ თქვა: ასი წელი სხვენზე ვიყავ დადებული და კინაღამ გაემხმარვარო“  
(იქვე:180).

### ლაზური:

- (41) მოუთიქ თქერენ: ბერეფე ნა მაყუჭკულე, პიჯის ნოსთონი ჭემაზდუ-ია. „დათვს  
უთქვამს: რაც შვილები შემეძინა, იმის შემდეგ პირში გემო დამეკარგაო“ (შერ.  
მემ.:233);
- (42) მოლლა ცხენიშენ მელუ-ში: – ზათოან ცხენიშენ გვფთამინტუ-ია. „მოლა ცხე-  
ნიდან რომ ჩამოვარდა: [თქვა] – მაინც ცხენიდან უნდა ჩამოვსულიყავიო“ (იქვე:  
235);
- (43) ჩხომიქ თქევრენ: ოთქუში დიდო მიღუნ, პამა პიჯი წკარითენ მიღუნ ღოფშა-ია.  
„თევზს უთქვამს: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“  
(იქვე:260);

ჩვენი შემდგომი მსჯელობა შეეხება გრამატიკულად მეორე პირს, რომელიც  
დახასიათებულია შემდეგნაირად: „მოუბარი რომ ვინმეს მიმართავს და მის მიმართ  
ზმნას იხმარს, რომელიც ამ ვინმეს მოქმედებას გადმოგცემს, ის ზმნა იქნება მეორე  
პირის ფორმით“ (შანიძე 1953:170). ქართული შენ პირის ნაცვალსახელის ფარდად

<sup>15</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში აღნიშნული ჯგუფი  
უფრო ხშირია.

<sup>16</sup> აღნიშნულ ფორმაში I სუბიექტური პირის ნიშანი ა ხმოვნის წინ დაკარგულია (ქუ-  
აჩი←ქუ-ვ-აჩი).

მეგრულში გვაქვს **სი**, ხოლო ლაზურში – **სი-//სი-ნ.** ქართული მეორე პირის კუთ-ვნილებითი ნაცვალსახელის **შენ-(<\*შენ)** ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება ძევრ. **სენ- (სენ-<სენ-<\*შენ)** და ლაზ. **სენ- (ცენ-<სენ-<\*შენ)** (ფენრიხი, სარჯველადე 1990:381). რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, „მეგრული თქან-“ და ლაზური თქან- კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ თქან- ძირს“ (იქვე:154).

ანდაზის ენაში, მსგავსად I პირისა, II პირიც „უფრო მეტად აღნიშნავს ცნობიერების ცენტრს... „შენ“-ის ზოგადი გაგებით ხმარება აპელირებს ადრესატის გამოცდილების ცნობიერებაზე. ბევრ ანდაზაში „შენ“ ნაცვალსახელის ხმარება ფორმალურად დაკავშირებულია მსმენელების მიმართ მოწოდებითი ფუნქციის გამომხატველ ფორმებთან“ (ბოედერი 2014:76). საინტერესოა, რომ ზოგადი დაკავირვებით მეორე პირის ფორმების გამოყენება ქართულ, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში, პირველ პირთან შედარებით, გაცილებით პროდუქტიულია. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ანდაზით გადმოცემული დამრიგებლური შინაარსის სიტყვების ადრესატი უმთავრესად მეორე პირია, რომლის მისამართითაც მთქმელი იყენებს უშუალო მიმართვის ფორმებს და ამით უფრო მეტად უახლოვდება მას, თავს მსმენელის თანაზიარად წარმოაჩენს. ე.ო. ანდაზაში მთქმელი მიმართავს მეორე პირს და მოწოდებს, ასწავლის, ურჩევს, გამოცდილებას უზიარებს მას. ამასთან, ანდაზებში, როგორც პირველი პირის შემთხვევაში გვქონდა, მეორე პირიც ხშირად განზოგადებულია და მოკლებულია კონკრეტიზაციას, „ვინაიდან „შენ“ აქ არ არის საუბრის სიტუაციასთან დაკავშირებული“ (ბოედერი 2014:76). ანდაზებში II პირის გამოყენების ორგვარი შემთხვევა გვაქვს:

**ა) სხვა პირებთან კომბინაციაში მატერიალურად წარმოდგენილია  
მეორე პირის ნაცვალსახელი:**

#### **ქართული:**

- (44) არა სცმია მამაშენსა, ნურც შენ დასცვეთ მარმაშებსა (ქართ. ანდ. II:11);
- (45) შენ იმისი გეშინოდეს, ვისაც შენი ეშინია (იქვე:198);
- (46) წყალი რომ შენ არ მოგყვეს, შენ მიჰყევიო (იქვე:222).

#### **მეგრული:**

- (47) დუღშა სი ოკო ვეცქუე, შხვაქ ოკო გოცქუასია. „თავი შენ არ უნდა იქო, სხვამ უნდა გაქოს“ (შერ. მემ.:41);
- (48) ნამ თოლი სი გაღორენცგნი, თი თოლი გამწოლაფედასია. „რომელი თვალიც შენ გატყუებს („გაღორებს“), ის თვალი ამოვარდნილიყოს“ (იქვე:103);
- (49) სი ვაიჩქენდა, შხვას ქუდუჯერია. „თუ შენ არ იცოდე, სხვას დაუკერეო“ (იქვე:121);

#### **ლაზური:**

- (50) ბაშქას კუი ვარ უნთხორა, სი ქოდოლოლაფ. „სხვას ორმო არ გაუთხარო, შენ ჩავარდები“ (შერ. მემ.:203);
- (51) მაქვალი სქანი სი გეტაზი. „შენი კვერცხი შენ მოტავე“ (იქვე:230).

ბ) მეორე პირის ნაცვალსახელი არ არის წარმოდგენილი, მაგრამ მასზე  
ზმარი ფორმა მიუთითებს.<sup>17</sup>

#### ქართული:

- (52) მადლი ჰქონი მარილიც მოყარულ (ქართ. ანდ. II:115);
- (53) სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიქრულ (იქვე:163);
- (54) ყმაწვილო, სიარულში გუტჭობაო (ავკარგიანობა) (იქვე:195).

#### მეგრული:

- (55) ახალი მოჯგირეშენი ჯვეშის ნუ მიოქოთა. „ახალი მოყვრის გამო ძველს ნუ დაკარგავ“ (შერ. მემ:16);
- (56) გაბედო დო ბედი გაშინია. „გაბედე და ბედს იშოვიო“ (იქვე:21);
- (57) გერშა ჭუგოშქურუუნიადა, ტყაშა ოკო კედევა. „მგლისა თუ გეშინიაო, ტყეში არ უნდა წახვიდეო“ (იქვე:26);

#### ლაზური:

- (58) ალჩალი ღობერის კოლაი მუკიცხონტინენ. „დაბალ ღობეზე ადვილად გადახტები“ (შერ. მემ:198);
- (59) აღან დერდიქ მჯვეში გოგოჭკენდინაფამს. „ახალი დარდი ძველს დაგავიწყებს“ (იქვე:201);
- (60) ეთვალუს ოწვედო დო კუჩხე ეშო გონთხი! „საბანს შეხედე და ფეხი ისე გაშალე!“ (იქვე:213);

იშვიათად, მაგრამ დასტურდება ისეთი ანდაზებიც, რომლებშიც II პირის ნაცვალსახელით და//ან ზმარი ფორმით წარმოდგენილი ერთეულები მრავლობით რიცხვში დგას:

#### ქართული:

- (61) ბებერმა სთქვა, ხარჯს ეწევით, ბარემ მეც დამაქორწინეთო (ქართ. ანდ. II:22);
- (62) დედა ფითხეთ და კვიცი ისე ოყიდეთ (იქვე:46);
- (63) იმერელი სახლში შეუშვეს, და – ხმალი მაღლა დამიკიდეთო (იქვე:93).

#### მეგრული:

- (64) გერს სახარებას უკითხენდესია, მალას გათეთა, ემერი შხურს ვორწყება. „მგლის სახარებას უკითხავდნენ და მალე გაათავეთ, ეგერ ცხვარს ვხედავო“ (შერ. მემ:25);
- (65) ოსური ღურუდუა დო კაბა ქომიქოდითია, იძახუდუა. „ქალი კვდებოდაო და კაბა მიყიდეთო, იძახდაო“ (იქვე:110);

<sup>17</sup> აღსანიშავია, რომ ასეთი ტიპის ანდაზები უფრო ხშირია.

- (66) ხატიქ თქუა: დიდი კოჩიწკუმა ქაწმაფორითია დო ლარიბწკუმა გომწყითია. „ხატმა თქვა: მდიდარ კაცთან ჩამომეფარუთ და ლარიბთან – გამხსენითო“ (იქვე:182).

#### **ლაზური:**

- (67) აღანი ძირომელის ფარა მო გუწუმეთ. „ახლის მნახველს ფულს ნუ გამოართმევთ“ (შერ. მემ.:202);
- (68) დუღლა თქვანი კაი დოქანით დო მუთუ ვარ გალოდნან. „თქვენი საქმე კარგად გეჭიროთ და არაფერი მოგივათ“ (იქვე:211);
- (69) ოკითხუ დო ოჭარუ ვა იგურათ-ნა, ხე ჭკონდინერი, კაპულა გესთიქერი გოხთათვ! (იქვე:244). „კითხვას და წერას თუ არ ისწავლით//რომ არ ისწავლოთ, ხელებდამსკდარი, ზურგდაფრეწილი იარეთ!“

- ზოგჯერ მეორე პირი სხვათა სიტყვის გადმოცემისას არის გამოყენებული:

#### **ქართული:**

- (70) აფხაზს დაუწყევლია: „ღმერთმა არც შენ გაცოდინა და არც სხვისა დაგუჯვრაო“ (ქართ. ანდ. II:14);
- (71) ერთ კაცს სიკვდილი დაემუქრა: „შვილს მოგიკლავ-ო. – შენი ამბავი რომ ვიცი, არ გამიკვირდებაო (იქვე:54);
- (72) წყევლამა სთქვა: სწორ გზაზე დამაყნება, თორემ ისევ შენთან მოვალო (იქვე: 224).

#### **მეგრული:**

- (73) აფხაზაქ უწუ ბაღირეს: სი ოხერი, ირო წიწილა რექიაო?! „აფხაზმა უთხრა ბეღურას: შე ოხერო, სულ მუდამ წიწილა უნდა იყოო (რომ მუდამ წივიო)?!“ (შერ. მემ.:15);
- (74) ურიაქ თქუა: სქანი ვაიჩქუდასია დო შხვაში ვაგავონებუდასია. „ებრაელმა თქვაო: შენი არ იცოდეო და სხვისი არ გცოდნოდესო (გაგევონოსო)“ (იქვე:16);
- (75) ჭყალაქ თქუა: სქანით ვარჩქინ-უდასია დო შხვაშა ვადააჯერებუდასია. „წყევლამ თქვაო: შენით არ გცოდნოდესო და სხვისთვის არ დაგეჯერებინოსო“ (იქვე:180).

#### **ლაზური:**

- (76) ადა დუღდა სულთან სულეიმანის ვარ დოსქიდერენ დო სი დოგოსქი-დუნია? „ეს ქვეყნა სულთან სულეიმანს არ შერჩენია და შენ შეგრჩებაო?“ (შერ. მემ.:198);
- (77) არ შეი ორა მუშის ვა ვი-ნა, ხოლო სიეგოტრუხენ-ია. „თუ ერთი რამ თავის დროზე არ გააკეთე, ისევ შენ დაგატყდებაო“ (იქვე:201);
- (78) ღალი ემთი ულუნ-ია-ში, ქო-ია უწვე. „მდინარე აღმა მიდისო რომ გეტყვის, კიო უთხარი“ (იქვე:256).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ, მეგრულ და ლაზურ ანდაზებში შესაძლებელია ერთსა და იმავე წინადაღებაში ორი ან/და სამი სხვადასხვა პირის ნაცვალ-სახელი ერთდროულად იყოს წარმოდგენილი. ამგვარი კონტექსტები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ უკვე პირთა კომბინაციის შეცვლამ ან ნაცვალსახელების გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს ანდაზის შინაარსობრივი წყობის დარღვევა, მისი პრაგმატული დანიშნულების ცვლილება.

საკითხი უფრო ნათელი რომ გახდეს, მივმართოთ კიდევ ერთ – პერმუტაციის მეთოდს, რომელიც ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ აგრეთვე გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს და „გულისხმობის ენობრივი ელემენტის გადაადგილებას ელემენტთა ერთიან ჯაჭვში“ (თანდაშვილი 2016:20). თვალსაჩინოებისთვის გამოგვადგება შემდეგი პარემიული ერთეული:

(79) **მე** ქორწილში წავეთრევი და **შენ** კი ნახირში წაბრძანდიო (ქართ. ანდ. II:121).

შევცვალით ადგილები პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს და ისე „გადავწეროთ“ მოყვანილი ანდაზა:<sup>18</sup>

(79<sup>1</sup>) **შენ** ქორწილში წაეთრიე და **მე** კი ნახირში წავბრძანდებიო.

ნათელია, რომ 79 და 79<sup>1</sup> ანდაზები შინაარსობრივი თვალსაზრისით აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამდენად, პერმუტაციის მეთოდმა აჩვენა, რომ ერთი ანდაზის ფარგლებში სხვადასხვა პირის ნაცვალსახელთა პოვნიერებისას ამ უკანასკნელთა თავისუფალი გადაადგილება ზოგჯერ შეუძლებელია. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს:

#### ქართული:

- (80) შენ რომ სასწავლებლად მიღიოდი, შე ნასწავლი მოვდიოდი (ქართ. ანდ. I:148);
- (81) მე შენკენ და შენ ეშმაკებისკენო (<http://idioms.tsu.ge/?p=12929>);
- (82) მე გეტყვი და შენ, გინდა, ყინულზე დაიწერე (ქართ. ანდ. II:120);

#### მეგრული:

- (83) მა დო ჩქიმ ოსურქ (ჩილქ) ღუმა ფსხუნითა დო სი მუთუნქ ვარხვადუა. „მე და ჩქმა ცოლმა წუხელ ვითაბირეთ და შენ არაფერი შეგხვდაო“ (შერ. მემ.:81);
- (84) სი წისქვილშა მიდაზოჯია დო მა დიარაშა მიდებსერგელგქია. „შენ წისქვილში წაბრძანდი, მე ქორწილში წავეთრევიო“ (შერ. მემ.:81);
- (85) მა სქანცურე ვორექ დო სი ეშმაკიცურევა. „მე შენსკენ და შენ ეშმაკისკენო“ (იქვე:83);

<sup>18</sup> ისევე, როგორც ზემოთ, სუბსტიტუციის მეთოდის გამოყენებისას, ამ შემთხვევაშიც პერმუტაციის მეთოდს ვიყენებთ გარკვეული სახეცვლით: გადავაადგილებთ პირის ნაცვალ-სახელებს და ენობრივად გამართული წინადაღების მისაღებად მათვე ვუთანხმებთ შესაბამის ზმნურ ფორმებსაც.

### **ლაზური:**

- (86) დაა მან დო ოკულე სინ. „კერ მე და მერე შენ“ (შერ. მემ.:208);  
 (87) სი ნა გიჩქინკონაი, მან გამოჭკონდუნ-და. „შენ რომ იცი, იმდენი, მე მავიწყ-დებაო“ (იქვე:250);  
 (88) ფუჯი-სქანდჲ ინჭვალს, ხოჯი-ჩქიმდჲ მოთ ვა ინჭვალს? „შენი ძროხა იწვე-ლება, ჩემი ხარი რატომ არ იწველება?“ (იქვე:254).

ამგვარი მაგალითების საწინააღმდეგოდ, დასტურდება ისეთი ანდაზებიც, რომ-ლებშიც პირთა კომბინაციის შეცვლა ან ნაცვალსახელების გადაადგილება პარემი-ული ერთეულის შინაარსობრივ მხარესა და პრაგმატულ დანიშნულებას არსები-თად არ ცვლის. აქედან გამომდინარე, შემდეგ ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ შემ-თხვევები, როდესაც ერთი ანდაზის ფარგლებში სხვადასხვა პირის ნაცვალსახელთა პოვნიერებისას ამ უკანასკნელთა თავისუფალი გადაადგილება პარემიის შინაარსს არ არღვევს:

### **ქართული:**

- (89) შენ დაუკარ – მე მეამა, მე დავუკარ – შენ გეამა (ქართ. ანდ. I:148);  
 (90) შენც ბატონი, მეც ბატონი, ამ ცხენს ვინდა შეკაზმავსო?  
 (<http://idioms.tsu.ge/?p=9304>);<sup>19</sup>

### **მეგრული:**

- (91) ზისხირქ უწუა ტანს: მა სი ქეშემნახია დო მა სი ქეშეგინახუქია. „სისხლმა უთხრა ტანს: „შენ მე შემინახე და მე შენ შეგინახავო“ (შერ. მემ.:49);  
 (92) სი – პატონი, მა – პატონი, ცხენც მიქ გედგას ონაგირი? „შენ – ბატონი, მე – ბატონი, ცხენს ვინ დაადგას უნაგირი?“ (იქვე:121);  
 (93) შიში სი ქუმოძირი დო რულას (რტინას) მა გოძირანქია. „შიში შენ მაჩვენე და გაქცევას მე გიჩვენებო“ (იქვე:157).

### **ლაზური:**

- (94) ღურას სქანი ჩქიმი ვარ უჩქინ. „სიკვდილმა შენი და ჩემი არ იცის“ (შერ. მემ.:257);  
 (95) ჩქუნ ბჭარით, თქვან იკითხომთ, თქვან ჭარით დო ჰეთეფექ იკითხან! „ჩვენ დაგწერეთ – თქვენ სწავლობთ, თქვენ დაწერეთ და იმათ ისწავლონ!“ (იქვე:260).

როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ გაანალიზებულ ანდაზებში, ერთ შემ-თხვევაში პირთა კომბინაციის ცვლილება, მაშასადამე, პირის ნაცვალსახელთა მიმ-

<sup>19</sup> კონკრეტულად ამ და მსგავს მაგალითებში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა თავისუფალ მონაცვლეობას ხელს უწყობს ისიც, რომ მსაზღვრელი წევრი (ამ შემთხვევ-ვაში „ბატონი“) მათ საერთო აქვთ.

დევრობისა და ადგილმდებარეობის შეცვლა ანდაზის შინაარსს არ არღვევს, ანდაზით გადმოცემულ ძირითად აზრს არ აფერხებს, ხოლო ამის საპირისპიროდ, სხვა შემთხვევაში პირის ნაცვალსახელთა გადაადგილებისას ან სხვა აზრი გადმოიცმა, ან დამრიგებლური შინაარსი საერთოდ იკარგება? ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, თუ ვისი პოზიციიდან ითქმის ანდაზური სიბრძნე. თუკი ამოსავალი პირველი პირის პერსექტივადა და, ამასთან, ანდაზის შინაარსი ემყარება დაპირისპირებებს: „დადებითი – უარყოფითი“, „გამოცდილი – გამოუცდელი“, „ბრძენი – უჭირუ“, „მოხერხებული – გულუბრყვილი“ და სხვა, მაშინ, ცხადია, რომ პირველი პირი (რომელიც ხშირად მთხრობელის, სხვათა დამრიგებლის როლში გვვლინება) საკუთარ თავს დადებითი (უფრო მოგებანი) პოზიციიდან წარმოაჩენს, ხოლო მეორე პირს რჩევა-დარიგებისა და მოწოდების ობიექტად აქცევს. პარემიებში პირველი პირის უპირატესობა, მეორე პირთან შედარებით, სწორედ ამგვარი დაპირისპირების გზითაა შენიდული.<sup>20</sup> ზემოთქმულის დასამტკიცებლად ავიღოთ შემდეგი ანდაზა:

(96) **მე** გეტყვი და **შენ**, გინდა, ყინულზე დაიწერეთ (ქართ. ანდ. II:121).

„გადავწეროთ“ ეს ანდაზა სინტაქსური ტრანსფორმაციის (resp. პარაფრაზის) მეოთხეს გამოყენებით ისე, რომ მასში გადმოცემული ძირითადი აზრი არ დაირღვეს.<sup>21</sup> შედეგად მივიღებთ ამგვარ აზრობრივ-შინაარსობრივ ეკვივალენტს:

მე ჩემს ძოვალებას შევასრულებ (სწორ გზას განახებ, ჰეშმარიტებას გაზიარებ) და გათვალისწინებ თუ არა (ე.ო. შედეგს გამოიღებს თუ არა), შენზეა დამოკიდებული.<sup>22</sup>

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

(97) **შენ** რომ სასწავლებლად მიდიოდი, **მე** ნასწავლი მოვდიოდი (ქართ. ანდ. I:148).

„გადავწეროთ“ აღნიშნული ანდაზა შემდეგნაირად:

შენ როცა რაღაც საქმის კეთებას იწყებ, მე ივი უკვე დამთავრებული მაქს (ე.ო. მე შენზე ერთი ნაბიჯით წინ კარ).

ამრიგად, აშკარაა, რომ ორივე შემთხვევაში (ანდაზები 96, 97) ჩანს მოსაუბრის მოგებიანი პოზიცია მიმართვის ობიექტთან შედარებით და პირველი პირი მეორე პირთან კონტრასტის გზით ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობას. სწორედ ეს თავისებურება არის ამგვარ ანდაზებში იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ პირთა კომბინაციების შეცვლა მაქსიმალურად შეზღუდულია.

<sup>20</sup> მიუხედავად აღნიშნული მოსაზრებებისა, ვფიქრობთ, რომ ეს კონკრეტული საკითხი უფრო ვრცელ ემპირიულ მასალაზე ჩატარებულ დამატებით კვლევას მოითხოვს.

<sup>21</sup> აღნიშნული მეოთხეს შესახებ ვრცლად იხ. თანდაშვილი 2016:31-38.

<sup>22</sup> შდრ. მამალმა თქვა: მე ვიყივლებ და გინდ გათენდეს, გინდ არაო (<http://idioms.tsu.ge/?p=15445>).

- საანალიზო მასალაში ცალკე უნდა გამოიყოს ანდაზები, რომლებშიც I და II პირები მატერიალურად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ მათზე ზმნური ფორმები მიგვითითებს:

#### **ქართული:**

- (98) გდიე, ვერ დაგეწიე, დავჯექ და მოგიცადეო (ქართ. ანდ. II:35);  
 (99) გეუბნები, კედელო, გაიგონე, რეგვენო (იქვე:35);  
 (100) მართალში რას იძლევი, რომ ტყეუილი გითხრაო (იქვე:116);

#### **მეგრული:**

- (101) კომიტეტქნი, დიდას დოგიცვილ, ვაგომიტენქნი, – მუმასია. „თუ გამიშვებ, დედას მოგიკლავ, თუ არ გამიშვებ, – მამასო“ (შერ. მემ.:31);  
 (102) ეშე ცა დო გიმე დიხა, მუ მიღუ დო მუსუ იღა. „ზევით – ცა და ქვევით – მიწა, რა მაქვს და რას წაიღებ“ (იქვე:43);  
 (103) ეში გინგორთინუა, ჯოლორს ბაბას უძახედევე. „ისე გაგხდი („გადაგაქცევ“), ძალლს ბაბას უძახოდეო“ (იქვე:43);

#### **ლაზური:**

- (104) ვართი მომცქვა, ვართი მემოძიცა. „არც მაქო, არცა დამცინო (ზურგს უკან)“ (შერ. მემ.:214);  
 (105) ნოსი შუკა ვა ონ-ჩი, მეგიტახა, ქომექჩა. „ჭკუა კიტრი არაა, რომ მოგიტეხო, მოგცე“ (იქვე:242);  
 (106) თიქ გიჭკოუმს-ნა, წანა-სქანის ვა ბოწკე. „თუ თავი გიჭრის, შენს ასაკს არ ვუყურებ“ (იქვე:217).

ამდენად, რეფერენციულობის თვალსაზრისით, ქართული, მეგრული და ლაზური ანდაზების ანალიზმა დაადასტურა მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი, მეორე და მესამე პირების დეიქსისის რეფერენციალურად ნეიტრალიზებული განსხვავება ანდაზებში დაკავშირებულია გარკვეულ პრაგმატულ კონტექსტებთან. ჩვენ მიერ გაანალიზებულ ემპირიულ მასალაში გამოჩნდა, რომ მხოლობით რიცხვზე მეტად პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს აქვთ განმაზოგადებელი დატვირთვა. ქართული ჩვენ ნაცვალსახელი (როგორც ინკლუზიური, ისე ექსკლუზიური) და მისი ფარდი ლექსიკური ერთეულები მეგრულსა და ლაზურში მოსაუბრის გარდა მოიაზრებს სხვა პირის უშუალო თანამონაწილეობასაც, რაც განზოგადების საშუალებას იმთავითვე იძლევა და, ამიტომ, მეტად დამაჯერებელი და ეფექტურია, მეტ გავლენას ახდენს მსმენელზე.

საინტერესოა, რომ ანდაზებში პირველი პირის მრავლობით რიცხვთან ერთად განმაზოგადებელი დატვირთვა აქვს პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ფორმასც. იგი გარკვეული პრაგმატული შინაარსის მატარებელია. კერძოდ, ასახავს არა რეალურ მოსაუბრეს, არამედ მიუთითებს ანდაზით გამოხატული აზრის უტყუარო-

ბაზე, გადმოსცემს უშუალო გამოცდილებაზე დაფუძნებულ მსჯელობას და ამით კონტექსტს მეტ დამაჯერებლობას სბენს. ამგვარი გზით მოსაუბრე პირდაპირ კავშირსაც ამყარებს მსმენელთან. ამდენად, ქართულ, მეგრულ და ლაზურ პარემიებში პირველი პირის (იქნება ეს მხოლობითი თუ მრავლობითი) პრაგმატული შინაარსი ვერ თავსდება გრამატიკული პირველი პირის, ანუ რეალურად მოსაუბრე პირის, სემანტიკაში. რაც შეეხება II პირის ნაცვალსახელთა მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს, ისინი, ჩვენი დაკვირვებით, პირველ პირთან შედარებით, გაცილებით პროდუქტულია ანდაზებში. ამის მიზანად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ ანდაზაში მეორე პირი მსმენელისადმი მიმართვის უშუალო ობიექტია. მთქმელს მთელი ფურადება გადააქვს იმაზე, ვისაც მიმართავს (ე.ი. მეორე პირზე) და ურჩევს, არიგებს, მოუწოდებს მას. ამასთან, ანდაზებში, როგორც პირველი პირის შემთხვევაში გვქონდა, მეორე პირიც ხშირად განხოგადებულია და მოკლებულია კონკრეტიზაციას, რის გამოც შენ ფორმით წარმოდგენილი მიმართვის ობიექტი არის არა რომელიმე კონკრეტული პირი, არამედ ზოგადად ხალხი.

## ლიტერატურა

**ასათიანი 2009:** რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, კრებულში: ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, გვ. 14-29, თბილისი.

**აფრიდინიძე 2003:** შ. აფრიდინიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ასალ ქართულში, დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.

**ბოედერი 2014:** ვ. ბოედერი, გრამატიკული პირი მეგრულ ანდაზაში, „ქართველოლოგია“, №4, გვ. 73-76, თბილისი.

**გამრელიძე 2008:** თ. გამრელიძე, ზმის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, კრებულში: „ენა და ენობრივი ნიშანი“, გვ. 113-133, თბილისი.

**თანდაშვილი 2017:** მ. თანდაშვილი, რეფერენციულობა ქართულში, ფრანგურტი-თბილისი.

**თანდაშვილი 2016:** მ. თანდაშვილი, ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძლები, ბათუმი.

**თანდაშვილი, ფურცხანიძე 2014:** ზ. ფურცხანიძე, მ. თანდაშვილი, კორპუსლინგვისტიკა (გლოსარიუმი და რევისტრი). *Manual of Corpus Linguistics*, Frankfurt University Press.

**კარტოზია და სხვ. 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია მ. ლომია თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდინი“, თბილისი.

**ლექსი 1959:** ლ. ლექსი, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, გვ. 139-264, თბილისი.

**მელიქშვილი 2005:** დ. მელიქიშვილი, ქართული ზნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, თბილისი.

- რუსიეშვილი 2005:** გ. რუსიეშვილი, ანდაზა (მონოგრაფია), თბილისი.
- ფაჩულია 2012:** ლ. ფაჩულია, მიმართვის სახელურ ფორმათა ჯგუფები მეცნიელში ფ. ბრაუნის კლასიფიკაციის მიხედვით, კავკასიოლოგიური ძეგლი, IV, გვ. 109-112, თბილისი.
- ქართსანიძე 2015:** თ. ქართსანიძე, მეცნიელი ანდაზების ენა (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი), სამაგისტრო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.
- ქირია და სხვ. 2015:** ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაძა, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-ძეგრული კრამატიკა. I. მორფოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
- ქობალავა 2008:** ო. ქობალავა, დეიქსისი, ენციკლოპედია ქართული ენა, გვ. 140-141, თბილისი.
- შანიძე 1953:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბილისი.
- ჩიქობავა 1968:** არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადაღების პრობლემა ქართულში, თბილისი.
- ცხადათ 2007:** პ. ცხადათა, სამუცელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბილისი.
- ჯანჯღავა 2009:** ც. ჯანჯღავა, სახელური მიმართვა ძეგრულ-ლაზურში, კავკასიოლოგიური ძეგლი, I, გვ. 250-252, თბილისი.
- ჯორგენბაძე 1983:** ბ. ჯორგენბაძე, ზმის ხმოვანპრეფექტული წარმოება ქართულში, თბილისი.
- Кипшиძე 1914:** И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб.
- Braun 1988:** F. Braun, *Terms of Address: Problems of Patterns and Usage in Various Languages and Cultures*, Mouton de Gruyter, Berlin-New York.
- Dylgjeri, Kazazi 2013:** A. Dylgjeri, L. Kazazi, Deixis in Modern Linguistics and Outside, *Academic Journal of Interdisciplinary Studies*, May, Vol 2, No. 4, pp. 87-95.
- Fillmore 1966:** Ch. Fillmore, Deictic Categories in the Semantics of “come”, In: *Foundations of Language*, Vol. 2, No. 3 (Aug.), pp. 219-227, Springer.
- Levinson 1983:** S. C. Levinson, *Pragmatics*, Cambridge University Press, Cambridge.
- Lyons 1997:** J. Lyons, *Semantics 2*, Cambridge University Press, Cambridge
- Stapleton 2017:** A. Stepleton, Deixis in Modern Linguistics, *ESTRO (Essex Student Research Online)*, Vol. 9: pp. 129-149.
- ლექსიკონები, წყაროები, ელრესურსები**
- ფერიხით, სარჯველადე 1990:** პ. ფერიხითი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა,**  
<http://idioms.tsu.ge/> (ბოლო წვდომა: 03. 01. 2019).

### მემოკლებები

- ქართ. ანდ. I – ქართული ანდაზები, კრებული მომზადა და გამოსცა ნატო თათარაშვილმა, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი 1999.**
- ქართ. ანდ. II – ქართული ანდაზები, შეკრებილი დ. თურდოსპირელის და ემელ. გაბრიელის მიერ 1935 წლის გამოცემის მიხედვით, გამომცემლობა „ჯისია“, თბილისი 2003.**

**გერ. გებ.** – რ. გეროზია, ო. მემიშიშვი, ხალხური სიბრძნე (მეცნიერებელი და ლაზური ან-დაზური), გამომცემლობა „მსგავსი“, თბილისი 1994.

*Giorgi Jgharkava*

## **Issues Related to I and II Person Deixis in Kartvelian Proverbs**

(Based on the empirical material of Georgian, Megrelian and Laz languages)

### **Summary**

It is widely known that the paremic fund fully reveals the culture and mentality of a nation. Therefore, it is a pressing task to carry out a special linguistic study of proverbs as objects of interdisciplinary research. Besides, proverbs reflect the immanent nature and word-building capacities of a given language. A proverb is created by a single person, which is sometimes concrete and sometimes general; therefore, with regard to distribution and interrelation of persons, a proverb reveals interesting and peculiar features. Out of the linguistic peculiarities of proverbs, mention should be made of **person deixis and related pragmatic aspects**. The given paper focuses on the category of reference and the principles of functional distribution of the first and second persons in Georgian, Megrelian and Laz proverbs.

Proverbs are of special interest with regard to reference, as they are general referential units containing a generalized conclusion, wisdom, which is least based on the context and the objects that form part of it. Diverse methods of research and analysis of corresponding empirical material have proved that, in certain cases, first and second persons are used instead of the third person in Georgian, Megrelian and Laz proverbs. Such referentially neutralized difference in the grammatical deixis in proverbs is related to certain pragmatic contexts, namely:

- a. The concept of the speaker is generalized in proverbs in case of both – singular and plural numbers. The pragmatic content of the first person in paremic units does not fall within the semantics of the grammatical I person, i.e. the speaker;
- b. The concept of the speaker in proverbs is generalized to such an extent that it is used to denote the feelings, emotions and experience of any person and not just the speaker. Therefore, the first person plays a far more significant role in the proverb, making its content more convincing. The speaker's argumentation is based on his/her own experience, providing advice and thus establishing a direct link with the hearer;
- c. In proverbs, the second person is also frequently generalized and far from being concrete. The addressee, represented by the pronoun თქ (you) is not a concrete person, but people in general. Besides, as compared to the first person, the second person is far more productive, because, in proverbs, II person is the immediate object of address.

## თარგმანი

ალექსეი ლიავლანდი

### დასავლურსემიტური ანბანის ფარმოშობა და გაცითარების აღრეული ეტაპები

ეს ნარკვევი მიზნად ისახავს, მოგვცეს საერთო წარმოდგენა სემიტური ანბანური დამწერლობის ჩასახვისა და თავდაპირველი განვითარების შესახებ. ნარკვევის მიზანი არ არის დასავლურსემიტურიდან წარმოქმნილ ანბანთა მთლიანი მრავალფეროვნების ჩვენება.

ტერმინ „ანბანს“ გამოვიყენებთ ტრადიციული, ფართო, მნიშვნელობით. უმრავლესობა აქ განხილული დამწერლობის ანბანური სისტემებისა მეცნიერებაში განხილებოდა როგორც სილაბური დამწერლობის ნიმუშები (ი. გელბი), მაგრამ ამ საკითხის განხილვა, რომელიც მიეკუთვნება დამწერლობის თეორიის სფეროს, ამ მიმოხილვის მიზანს არ წარმოადგენს.<sup>2</sup> ნარკვევში ჩართულია ცნობა პროტობლოსური სილაბური დამწერლობის შესახებ, ვინაიდან, ალბათ, რამდენადმე უშუალოდ უკავშირდება ანბანის წარმოშობის პრობლემას.

ნარკვევი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში განიხილება დასავლურსემიტური ანბანის წარმოშობის ზოგადი პრობლემატიკა; მეორე ნაწილში მოცემულია ინფორმაცია დამწერლობის თითოეული განხილული სისტემის შესახებ მათი სახესხვაობებით.

ანტიკური ტრადიციის უტყუარობა, რომელიც ფინკიელებს მიაწერს ანბანის გამოგონებას, არქეოლოგიური აღმოჩენების ეპოქის დადგომამ ეჭვქვეშ დააყენა. XIX-XX ს. მიჯნაზე საკითხს ანბანის იდეის წყაროს შესახებ ჰქონდა ორი ძირითადი შესაძლო გადაწყვეტა: ანბანი გადმოღებულია ან ეგვიპტელებისგან, ან შექმნილია შუმერულ-აქადური ლურსმული დამწერლობის გავლენით. ამ დავაში გადა-

<sup>1</sup> А. К. Лявданский, Происхождение и ранние этапы развития западносемитского алфавита, Энциклопедия «Языки мира», Семитские языки: аккадский язык, северо-западносемитские языки, Российская академия наук, институт языкознания, Издательство «Academica», Москва, 2009, 811-821.

<sup>2</sup> გრამატოლოგიაში, სხვადასხვა მახასიათებლის გათვალისწიებით, სემიტური დამწერლობის ტიპს ეწოდება სილაბური (სინტაგმატიკური მახასიათებელი), კონსონანტური (პარალიგმატიკული მახასიათებელი), კონსონანტურ-სილაბური (პარადიგმატიკულ-სინტაგმატიკური მახასიათებელი), კვაზიალფაბეტური (გრაფემები მხოლოდ თანხმოვნებისთვის მოიპოვება), ან აბჯადი (არაბ. abjadiyya „ანბანი“), რომელიც შედარებით უფრო გვიანდელი ტერმინია (მთარგმ.).

მწყვეტი გახდა 1905 წელს პროტოსინაიური წარწერების აღმოჩენა და ა. არდინერის (1916) გამოკვლევა, რომელმაც დაასაბუთა გენეტიკური კავშირი ეგვიპტური იეროგლიფიკასა და პროტოსინაიურ პიქტოგრაფიას შორის.

პროტობიბლოსური დამწერლობის გამიფვრას შეიძლება დიდი წელილი შეეტანა ანბანის წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტაში. არაერთხელ გამოთქმულა ვარაუდი, რომ პროტობიბლოსური დამწერლობა, როგორც პროტოსინაიური, არის გარდამავალი ფორმა ეგვიპტური იეროგლიფიკიდან ხაზოვან ანბანამდე. მაგრამ ჯერჯერობით შეუძლებელია დანამდვილებით მტკიცება, რომ პროტობიბლოსური ტექსტები დაწერილია რომელიმე სემიტურ ენაზე.

ამჟამად დასავლურსემიტური ანბანის გამოჩენის ადგილისა და დროის განსაზღზვრა დიდად დამოკიდებულია პროტოსინაიური წარწერების დათარიღებაზე. მკვლევართა უმრავლესობა, უ. ოლბრაიტის კვალდაკვალ, პროტოსინაიურ ანბანს ათარიღებენ ახალი სამეფოს ეპოქის დასაწყისით (ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა პერიოდი). ყურადღებას იმსახურებს სხვა თვალსაზრისიც, რომელიც გამოთქვა ა. ვან დენ ბრანდენმა და მოგვიანებით ბ. ზასმა: პროტოსინაიური წარწერები შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის XVIII ს.-ში, სანამ ეგვიპტელები მიატოვებდნენ მაღაროებს სერაბიტ-ელ-ხადიმში. ამ თეორიის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ სწორედ შუა სამეფოს ეპოქის პერიოდში (ძვ. წელთაღრიცხვის XXI-XVIII სს.) ეგვიპტელები ფართოდ გამოიყენებდნენ „ანბანურ“ (მონკონსონანტურ) ნიშნებს უცხოურ სახელთა ჩასაწერად მაშინ, როცა ახალი სამეფოს პერიოდში (ძვ. წელთაღრიცხვის XVI-XI სს.) ეგვიპტეში დაიწყეს ტრანსკრიფციის სხვა სისტემის გამოყენება, ე.წ. კომბინირებული დამწერლობა (груп-повое письмо). თუ ეს დათარიღება უტყუარია, მაშინ ანბანის აღმოცენების ადგილად უნდა მივიჩნიოთ სინაის ფირუზის მაღაროები; ხოლო თუ უტყუარია უ. ოლბრაიტის თვალსაზრისი, მაშინ, პროტოქანანური ეპიგრაფიკული მასალის წინებით ძვ. წელთაღრიცხვის XVII-XVI სს., მოგვიწევს გადავიტანოთ ანბანის ჩასახვის ადგილი სამხრეთ ქანანში. ამ დისკუსიისათვის ეგვიპტეში (ვადი-ელ-ხალი) 1999 წ. ნაპოვნი ორი ანბანური დამწერლობის პუბლიკაციამ და დათარიღებამ საყურადღებო მნიშვნელობა უნდა შესრულონ.

პროტოსინაიური დამწერლობის აღმოჩენისა და მისი დასავლურსემიტურ პროტოანბანად ინტერპრეტაციის შემდეგ საკითხი დადგა იმის შესახებ, როგორ მივყვეთ კვალდაკვალ პროტოსინაიურ პიქტოგრაფიასა და ხაზოვან ფინიკიურ დამწერლობას შორის კავშირს. გარდამავალ ფორმათა ძიებამ მივიყენეს დადებით შედეგებამდე: XX ს.-ის განმავლობაში აღმოჩნდა 20-ზე მეტი წარწერა დამწერლობის ნიმუშებით, რომლებიც ასახავენ ანბანის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულში (პროტოქანანური დამწერლობა). დასავლურსემიტური ანბანის ევოლუციის სურათი არსებითად შეივსო უგარითული ძეგლების აღმოჩენით, რომლებმაც უჩვენეს, რომ ამ პერიოდში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის-

პირეთში ხაზოვან ანბანთან ერთად ვითარდებოდა აგრეთვე ლურსმული, იგივე სოლისებრი, ანბანური ტრადიცია ორი განშტოებით („გრძელი“ და „მოკლე“ უგარითული ანბანები, იხ. ტაბულა 3). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ II ათასწლეულის მეორე ნახევარში ამ რეგიონში ანბანური დამწერლობის ორი სისტემა ერთმანეთს უწევდა კონკურენციას – ხაზოვანი და ლურსმული, რომელთაგან უკანასკნელმა ძვ. წელთაღრიცხვის XI ს.-ისათვის დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

პროტოსინაიურ და პროტოქანანურ დამწერლობათა ზოგიერთი ნიშნის მსგავსება სამხრეთარაბულ დამწერლობასთან, აგრეთვე კულტურულ-ისტორიული მოსაზრებები დიდი ხანია, კარნახობდნენ მკვლევრებს, რომ სამხრეთსემიტური დამწერლობა, სავარაუდოდ, მომდინარეობს დასავლურსემიტურისგან. ამ მიმართულებით კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბეით-შემების თიხის ფირფიტის წარწერის ინტერპრეტაციამ, რომელიც, დამწერლობის ხასიათის მიხედვით, მიეკუთვნა „მოკლე“ უგარითული დამწერლობის ნიმუშებს.

ა. ლურდინმა მოახერხა, ეჩვენებინა, რომ ეს წარწერა (უ. ფ. ოლბრაიტმა წაიკითხა როგორც შელოცვა), რომელიც რთულად დაექვემდებარა გაშიფვრას, წარმოადგენს თანმიმდევრობით დალაგებულ ანბანურ ნიშნებს სამხრეთ-სემიტური ტრადიციის შესაბმისად (*h, l, h, m*). ქანანში II ათასწლეულში კიდევ ერთი („სამხრეთ-სემიტური“) ანბანური ტრადიციის არსებობის შესახებ ვარაუდმა პოვა დამატებითი მტკიცებულება მეორე ლურსმული ანბანური ფირფიტის, *h, l, h, m* ნიშანთა თანმიმდევრობით, პუბლიკაციის შემდეგ 1995 წელს (პ. პორდონიო და დ. პარდი).

ამგვარად, ქანანში II ათასწლეულში თანაარსებობდა ანბანური დამწერლობის რამდენიმე სახესხვაობა, რომელთაგან ერთ-ერთმა საწყისი მისცა სამხრეთსემიტურ დამწერლობას (ი. ნავეს თანახმად, პროტოარაბულის მეშვეობით), ხოლო მეორემ – ფინიკიურს (იხ. ტაბულა 2). რა დროს გადაიღეს ბერძნებმა დასავლურსემიტური ანბანი, უცნობი რჩება. კლასიკურ ფილოლოგიაში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო არაუდრეს VIII ს-ისა – პერიოდში, როდესაც ყველაზე ადრეული ბერძნული ანბანური წარწერების დათარიღებაა მიღებული. ისრაელელი მკვლევარი ი. ნავე, რომელიც ემყარება პროტოქანანური და არქაულ ბერძნულ დამწერლობათა შედარებით პალეოგრაფიულ ანალიზს, გამოვიდა რევოლუციური მტკიცებით იმის შესახებ, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო გაცილებით ადრე – დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის 1100 წელს. მ. ბერნალის უფრო მეტად ექსცენტრიკული თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ბერძნებმა ანბანი გადმოიღეს დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის 1400 წ., მომხრეებს თითქმის ვერ პოულობს.

## პროტოსინაიური დამწერლობა

სერაბიტ-ელ-ხადიმში (სინაის ნ.-კ., ეგვიპტე) ეგვიპტის ფირუზის მაღაროდან წარწერები კლდეებზე, ქანდაკებებსა და სტელის მსგავს ქვის არტეფაქტებზე, რომლებიც ცნობილი იყო, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში (კოზმა ინდი-

კოპლევსტის „ქრისტიანული ტომოგრაფია“, VI ს.), შემოვიდა სამეცნიერო მიმოქმედი 1905 წლის სინაის ექსპედიციის შემდეგ ფ. პეტრის ხელმძღვანელობით. მაშინ აღმოაჩინეს 11 წარწერა, რომელთა რიცხვიც თანდათან იზრდებოდა (ამჟამად კორპუსი მოიცავს დაახლოებით 30 წარწერას). ამ წარწერათა გაშიფვრის მცდელობისთვის ხელი არაერთხელ მოუკიდიათ (ბოლო ათწლეულის ჩათვლით, მაგალითად, ე. პეში), მაგრამ არცერთი მათგანი არ უღიარებიათ დასრულებულად. ა. გარდინერმა გამოთქვა ვარაუდი ამ დამწერლობის წყაროსა და მექანიზმის შესახებ (ეგვიპტური იეროგლიფიკიდან აკროფონიული პრინციპებით); მისი წაკითხული გამონათქვამი lbfit „ქალღმერთისთვის“, რომელიც მიუთითებდა მიძღვნით ხასიათს მნიშვნელოვანი რაოდენობის წარწერებისათვის, ყველა მომდევნო ინტერპრეტაციის საფუძველი გახდა.

უ. ოლბრაიტის გამოკვლევა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, რომელმაც წარმოადგინა იმ დროისათვის ცნობილ წარწერათა უმრავლესობის თარგმანები. ამ დარგში კვლევის წინასწარი შედეგები შეაჯამა ბ. ზასმა, რომელმაც ხელახლა შეაჯერა ყველა არსებული წარწერა. გარეგანი ფორმით ეს არის პიქტოგრაფიული დამწერლობა (ხარის თავი, ადამიანის თავი, თვალი, თევზი და ა.შ.), რომელშიც ბევრი მკგლევარი ხედავს ეგვიპტური იეროგლიფიკის გავლენას (იხ. ტაბულა 1). ფორმები რიგი ნიშნებისა, მათი ორიენტაცია, აგრეთვე დამწერლობის მიმართულება ცვალებადია. ჭარბობს დამწერლობის ვერტიკალური მიმართულება (ზემოდან ქვემოთ), მაგრამ გვხვდება მიმართულებაც მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ და ბუსტროფედონი (უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარი მიმართულების განსაზღვრა დამწერლობაში ხშირად დამტკიცებულია ინტერპრეტაციაზე). სიტყვათგამყოფები არ არის. ნიშანთა რაოდენობა ჯერჯერობით საბოლოოდ არ გამორკვეულა (22-იდან 30 გრაფემამდე), ვინაიდან ზოგიერთი ნიშნისათვის დამწერლობის არამდგრადი ხასიათის გამო პალეოგრაფიული ანალიზი გართულებულია. ზოგი მკვლევარი ამოდის იმ ვარაუდიდან, რომლის თანახმად, საკითხი ეხება ანბანს, რომელიც გრაფემათა რაოდენობის მიხედვით შეესაბამება თანხმოვან ფონემათა გაფართოებულ ინვენტარს (27, როგორც უ. ოლბრაიტი მიიჩნევდა), რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა პროტოქანანურ ენას ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველ ნახევარში. გამოითქმოდა ვარაუდები იმის შესახებ, რომ პროტოსინაიური წარწერები სამხრეთარაბული ტიპის ერთ-ერთ ადრეულ ენობრივ ვარიანტზე ძოლაპარაკებმა ჩაიწერეს (ა. ვან დენ ბრანდენი, ა. ლუნდინი). ამავე დროს, ზოგიერთი ნიშნის არარსებობა ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საკითხი ეხება ადრეულ ქანანურ დიალექტს 22 თანხმოვანი ფონემით (ბ. კოლესი). ნიშანთა ანბანური რიგის ჩანაწერები (აბეცედარიუმები) ნაპოვნი არ არის. გართულებულია წარწერათა დათარიღება, ვინაიდან ბუნდოვანია, რამდენად უკავშირდებიან არქეოლოგიურ კონტექსტს. ცნობილია, რომ სერაბიტ-ელ-ხადიმის მაღაროები ეგვიპტელებმა მიატოვეს ძვ. წელთაღრიცხვის

XVIII ს.-ში, მაგრამ არ გამორიცხავენ აქ დასავლელი სემიტების არსებობას ძვ. წელ-თაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანებშიც (უ. ოლბრაიტი, ი. ნავე და სხვ.).

პროტოსინაიური დამწერლობა, რომელიც საერთო ჯამში გაუშიფრავი რჩება, როგორც პალეოგრაფიული ინფორმაციის ძვირფასი წყარო, ინარჩუნებს თავის მნი-შვნელობას: მთელი რიგი ნიშნებისათვის შესაძლებელია მივყვეთ თანმიმდევრულ ევოლუციას პროტოსინაიური ხატოვანი დამწერლობიდან ფინიკიურ ხაზოვან დამ-წერლობამდე. ამ სფეროს კვლევისათვის არქეოლოგიური აღმოჩენები აგრძელებენ ახალი მასალის მიწოდებას. 1999 წ. ვადი-ელ-ჰოლში (ეგვიპტე) აშშ-ის არქე-ოლოგებმა მიაგნეს ორ წარწერას, რომლებიც იძლევან გარეგნული ფორმით პრო-ტოსინაიურის დიდად მსგავს დამწერლობის ნიშვაშს. არქეოლოგიური კონტექსტი და წარწერების წინასწარი ანალიზი ნებას გვაძლევენ, ვივარაუდოთ, რომ ისინი შექმნეს ძვ. წელთაღრიცხვის XIX-XVIII სს.-ში დასავლელმა სემიტებმა, რომელ-თა ყოფნა ამ ეპოქის ეგვიპტეში კარგად არის დოკუმენტირებული.

## ბიბლოსური დამწერლობა

ბიბლოსის ფსევდოიეროგლიფური, პროტობიბლოსური – წარწერათა დამწერ-ლობა, ლიბანში ქ. ბიბლოსში (თანამ. ჯუბაილი) აღმოჩნილი ქვისა და ლითონის ნივთებზე არქეოლოგიურად ზუსტად დაუთარიღებელ ფენებში (ძვ. წელთაღრიცხ-ვის II ათასწლეული?). გეომეტრიული და სტილიზებული ხატოვანი ხასიათის ნი-შნები (ჩიტი, თევზი, გველი), საერთო რაოდენობით 60-იდან 100-ამდე, უმრავლე-სობა მათგანი გარეგნულად ჰგავს როგორც უძველეს დასავლურსემიტურ დამწერ-ლობას, ასევე ეგვიპტურ იეროგლიფიკას. წერის მიმართულება არის მარჯვინდან მარცხნივ, არ არსებობს ბილინგვები. გაშიფრის მცდელობებს (მ. დოუნანი, ბ. პრო-ზნი, ე. დორმი, ა. იირკუ, გ. ზობელმანი, ჯ. მენდეპოლი) არ მიუღიათ მეტ-ნაკლე-ბად ფართო აღიარება. როგორც ივარაუდა ი. გელბმა, შინაგანი სტრუქტურით ბიბ-ლოსური დამწერლობა განეკუთვნება „ეგეოსურ დამწერლობათა“ ტიპს, სადაც ნიშ-ნები გადმოსცემენ მხოლოდ ღია მარცვლებს („თანხმოვანი + ხმოვნური ნული“ გად-მოიცემა ნიშნით თანხმოვანი + ა ან თანხმოვანი + მეზობელი მარცვლის ხმოვანი). გაშიფრათა უმრავლესობა ეფუძნებოდა დაშვებას, რომ ამ წარწერათა ენა დასავ-ლურსემიტურია (კერძოდ, ადრეული ქანანური). ბიბლოსური დამწერლობის მარ-ცვლოვან ნიშანთა სიხშირის შედარების გზით ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლე-ულის მეორე ნახევრის სემიტური ტექსტების მარცვალთა სიხშირესთან ა. კონდ-რატოვმა და ი. დიაკონოვმა, როგორც ჩანს, შეძლეს ხუთ-ექვს ნიშანთა მნიშვნე-ლობის გაიგივება [?]a(?)], [na] (ან [ma]?), [fa], [ta] (?), [ša], რომელთაგან [fa], [ta] (?), შესაძლებელია აგრეთვე [?]a და [na]/[ma] ფორმითა და მნიშვნელობით ემსგავსება დასავლურსემიტური ანბანის ?(?), b, f, t, n(?) ან m(?) ნიშნებს (და-სავლურსემიტური ანბანური წარწერები და ბიბლოსური დამწერლობის წარწერები გვხვდება ტიპოლოგიურად მსგავს და ერთსა და იმავე ნივთებზეც კი). შეიძლება

ვიგარაულოთ, რომ ბიბლისური დამწერლობა წარმოადგენდა დასავლურსემიტური დამწერლობის წინაპარს ან პიქტოგრაფიიდან ხაზოვან ანბანამდე დამწერლობის განვითარების ერთ-ერთ რგოლს.

### პროტოქანაანური დამწერლობა

ეს ტერმინი აერთიანებს დასავლურსემიტური ანბანური ხაზოვანი დამწერლობის ყველა სახესხვაობას, რომლებიც არსებობდა ფინიკიური დამწერლობის მდგრადი ფორმების გამოჩენამდე, ნიშანთა განსაზღვრული მიმართულებით და ორიენტაციით. ამგვარი განსაზღვრების თანახმად, ამ განყოფილებაში უნდა ჩაგვერთო პროტოსინაური წარწერებიც, მაგრამ მათი განხილვა მიღებულია დამოუკიდებლად. ამჟამად ცნობილია ძვ. წელთაღრიცხვის XVII-XI სს.-ის 20-ზე მეტი წარწერა სხვადასხვა საგანზე (ქოთნის ნამტვრევები, ჭურჭელი, პრიზმა, ხანჯლის ტარი და სხვა), რომლებიც ნიშანთა გარეგანი ფორმით შეიძლება განვითილოთ როგორც მაკავშირებელი როგორი პროტოსინაურ და ფინიკიურ ანბანებს შორის. ამ, როგორც თავისი ფორმით, ისე დამწერლობის მიმართულებით, მრავალფეროვან მასალაში გამოიყოფა წარწერათა თავისებური კორპუსი ისართა ბრინჯაოს ბუნიკებზე პალესტინიდან და ფინიკიიდან, რომელთა მცირე ნაწილი გარეგანი ფორმითა და ნიშანთა მიმართულებით მიღებულია, მიაკუთვნონ ფინიკიურ დამწერლობას. მნიშვნელოვან ინტერესს ანბანის ადრეული ისტორიისათვის წარმოადგენს უძველესი ხაზოვანი აბეცედარიუმი ოსტრაკონზე იზბეტ-სარტაჰიდან (ძვ. წელთაღრიცხვის XII ს.) მარცხნიდან მარჯვნივ თანმიმდევრობით გამოწერილი 22 ანბანური ნიშნით, რომელიც, საერთო ჯამში, შეესაბამება ებრაულ ანბანურ ტრადიციას (ბიბლიური აკროსტიქები და ნიშანთა ტრადიციული ჩამოთვლა) წ-პ თანმიმდევრობის გამოკლებით (იზბეტ-სარტაჰის ოსტრაკონზე – პ-წ, როგორც ბიბლიური იერემიას გოდების აკროსტიქების უმრავლესობაში). პროტოქანაანურ წარწერათა სიმოკლისა და ფრაგმენტულობის გამო შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ წინასწარ გაშიფრვაზე, რის გამოც მოცემული კორპუსი წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, პალეოგრაფიულ ინტერესს. მასალის დიდი ნაწილი გააანალიზა ფ. კროსმა, რომელმაც შეძლო, არაერთი ნიშნის მაგალითზე ეჩვენებინა ევოლუცია სქემატიზებული პიქტოგრაფიიდან ხაზოვან დამწერლობამდე.

### უგარითული ანბანური დამწერლობა

სირიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსა და მის შემოგარენთან ახლოს ნაქალაქარ რას-შამრაში ნაპოვნი 1500 თიხის ფირფიტა ჩაწერილია ანბანური დამწერლობის განსაკუთრებული სახესხვაობით, რომელიც გარეგანი ფორმით არ განსხვავდება ლურსმული დამწერლობისგან. ამ დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ დამწერლობის ეს სახეობა გამოიყენებოდა, ძირითადად, უგარითულ ენაზე ტექსტების ჩასაწერად – ძვ. წელთაღრიცხვის XIV-XII სს.-ში არსებული ქალაქ-სახელმ-

წიფო უგარითის ენაზე. უგარითის არქივებში მიაკვლიერ ტექსტებს სხვა ენებზეც, რომლებიც გამოიყენებდნენ ლურსმულ დამწერლობას (აქადური, შუმერული, ხურიტული და ხეთური). უგარითის ლურსმული ანბანური დოკუმენტების კორპუსში გამოიყოფა მცირე ქვეკორპუსი (დაახლოებით ათი დოკუმენტი), ჩაწერილი უგარითული დამწერლობის განსაკუთრებული სახესხვაობით, რომლის ნიშანთა ფორმა და ინგენტარი რამდენადმე განსხვავდება ძირითადი კორპუსის დამწერლობისაგან. ამასთან დაკავშირებით მიღებულია ეწ. გრძელი უგარითული ანბანისა (უგარითული დამწერლობის ძირითადი სახესხვაობა) და მოკლე უგარითული ანბანის გამოყოფა. ამ კლასიფიკაციას აქვს პირობითი და წინასწარი ხასიათი: მოკლე უგარითული ანბანით ჩაწერილ ფირფიტათა უმრავლესობა ნაპონია უგარითისა და თანამგზავრ-დასახლებების საზღვრებს გარეთ, რის გამოც ცხადი არ არის, ეს ფირფიტები ჩაწერილია თუ არა უგარითულ ენაზე. ტერმინი „უგარითული“ ანბანის ამ სახესხვაობასთან მიმართებით გამოიყენება მხოლოდ ნიშანთა გარეგანი (ლურსმული) ფორმის საფუძველზე.

### გრძელი უგარითული ანბანი

მოიცავს 30 ნიშანს, რომელთა გარეგან ფორმას შეიძლება ვუწოდოთ ლურსმული ან სოლისებრი. უგარითული დამწერლობა შეიძლება მივაკუთვნოთ ლურსმულს მხოლოდ ნიშანთა მოხაზულობით – არავითარი ფორმალური მემკვიდრეობა ამ დამწერლობის ნიშანთა უმრავლესობასა და სხვა ლურსმული დამწერლობის ნიშანთა შერის არ შეინიშნება (ცალკეული დამთხვევები შემთხვევითობას წარმოადგენს). მიიჩნევა, რომ ეს დამწერლობა შეიქმნა უკვე არსებული ხაზოვანი ანბანის დაწერილობის ლურსმულ საშუალებასთან ადაპტაციის შედეგად, თუმცა ნიშანთა უმრავლესობის ფორმა შეუძლებელია, პირდაპირ შეცუფარდით (შეცუსაბამოთ) ჩვენთვის ცნობილი დასავლურსემიტური ხაზოვანი ანბანის სახესხვაობების ნიშანთა ფორმებს. 30-ნიშნიან სიაში გამოიყოფა 27 ძირითადი და სამი დამატებითი, ამას მოწმობს ზოგიერთი ფირფიტა ნიშანთა ანბანური რიგით, რომელშიც უკანასკნელი ჯგუფი ძირითადისგან გამოყოფილია განსაკუთრებული შტრიხით. 27-გრაფემიანი ჯგუფი, როგორც ჩანს, ასახავს უგარითული ენის კონსონანტურ ფონემებს. სამი დამატებითი ნიშანი წარმოადგენს ნიშნებს ხმოვნებისათვის (უფრო ზუსტად, გლოტალური ხშულის თანახმარებისათვის ხმოვნებთან: გი, გი) და ს თანხმოვნისათვის (ი. ტროპერის თანახმად – აფრიკატი [ts]), რომელიც, ძირითადად, ნახესხობებში გვხვდება. წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივაა. ერთ-ერთი უგარითული ანბანური ფირფიტა შეიცავს ანბანურ ნიშანთა სიას, რომელთაგან თითოეული მარაგდება აქადური ლურსმული დამწერლობის სილაბური ნიშნებით. სავარაუდოდ, ეს სილაბური ნიშნები ასახავენ ანბანის დასამახსოვრებლად განკუთვნილ სასკოლო ტრადიციას (A = \*?Alpa, BE = \*Bêta, GA = \*Gamla და ა.შ.) და წარმოადგენს ყველაზე აღრეულ მოწმობას დასავლურსემიტური ანბანის ნიშანთა სახელწოდებების შესახებ.

## მოკლე უგარითული ანბანი

ფირფიტათა მცირე რაოდენობა, როგორც წესი, ძალიან მოკლე ტექსტებით, ჩაწერილია დამწერლობით, რომელიც განსხვავდება ძირითადი უგარითული დამწერლობისაგან ზოგიერთი ნიშნის ფორმით (მაგ., b და d) და გრაფემათა შემადგენლობით (იდენტიფიცირებულია 21 გრაფემა; /ს/-სთვის ნიშნის არარსებობა, როგორც ჩანს, შემთხვევითა). წერის მიმართულება, როგორც წესი, მარჯვნიდან მარცხნივაა. მეგარი ტექსტების დიდი ნაწილი ნაცოვნია უგარითის საზღვრებს მიღმა (სამი – ნაქალაქარ რას-შამრის რაიონში, ერთი – კვიპროსზე, ოთხი – ლიბანში, ორი – ისრაელში), თარიღდებიან ძვ. წელთაღრიცხვის XIII-XII სს.-ით ანბანური დამწერლობის ეს სახესხვაობა აღმოცენდა გრძელი უგარითული ანბანის გამოჩენიდან უფრო გვიან და მისი გამოყენება გრძელდებოდა ძვ. წელთაღრიცხვის XII ს.-ის დასაწყისში ქალაქ უგარითის დაცემის შემდეგაც. მოკლე სოლისებრი ანბანის ზოგიერთმა თავისებურებამ ი. ტროპერს ნება მისცა, გამოეთქვა ვარაუდი, რომ მოცემული ტექსტები დაწერილია არა უგარითულ ენაზე, არამედ რომელიღაც ჩრდილოდასავლურ, ფინიკიურთან ახლოს მდგომ, სემიტურ დიალექტზე. საბუთთა გეოგრაფიული გაფანტულობისა და მასალის არაერთგვაროვანი ხასიათის გათვალისწინებით, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ლურსმულ დამწერლობასთან ხაზოვანი ანბანის ადაპტაციის ამგვარი ვარიანტი შეიძლებოდა გამოეყენებინათ სხვადასხვა ქანაანური დიალექტისათვის, როგორც ეს მოხდა ფინიკიური ანბანის გამოყენებისას უფრო მოგვიანო პერიოდში. ამასთან მიმართებით ყურადღებას იმსახურებს ი. ტროპერის კიდევ ერთი ვარაუდი: მოკლე კორპუსის ზოგიერთი ფირფიტის ნიშანთა ინვენტარის თავისებურებათა მიხედვით, საკითხი, შესაძლოა, ეხება არა 22-ასოიან, არამედ 24-ასოიან ანბანს, რომელიც შეესაბამება დასავლურსემიტურ თანხმოვან ფონემათა ნაკრებს, უგულარულის და ფარინგალურის გარჩევით (როგორც უგარითულ ენაში და ფინიკიურისგან განსხვებით).

### ქანაანური დამწერლობა და მისი განშტოებები ძვ. წელთაღრიცხვის

#### II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულში

ამ ჯგუფში შედის ფინიკიური დამწერლობა და მისგან მომდინარე ყველა ანბანი. უშეალოდ ფინიკიურთან გენეტიკურად დაკავშირებული არამეული, მოაბური, ძველი ებრაული (პალეოებრაული) და ქანაანური დამწერლობის უფრო უმნიშვნელო სახესხვაობები გამოყო და ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისში ყველაზე მეტად ნაყოფიერი გახდა არამეული დამწერლობა, რაც უკავშირდებოდა არამეული ენის ფართო გავრცელებას აქემენიდურ პერიოდსა (ძვ. წელთაღრიცხვის VI-IV სს.) და მომდევნო ეპოქებში. სამუალო არამეული პერიოდის არაერთმა არამეულმა დიალექტმა შეიძუშავა არამეული დამწერლობის თავიანთი სახესხვაობები, რომლებმაც, თავის მხრივ, მოგვცეს ბევრი განშტოება: ნაბატური, პალმი-

რული, სირიული, სამარიტული და ა.შ. ვარაუდობენ, რომ ნაბატური კურსივით წერა (გვიანდელი ნიმუშები – IV ს. ახ. წ.) გახდა არაბული დამწერლობის (ყველაზე ადრინდელი ნიმუშები – VI ს. ახ. წელთაღრიცხვის) პირველსახე. იმისათვის, რომ მოერგოთ არამეული დამწერლობა, რომელიც მოცავს 22 გრაფემას, თანამოვან ფონემათა უფრო ფართო ინვენტარისათვის (28), არაბულ დამწერლობაში ვითარდება დიაკრიტიკა. არაბული დამწერლობის ლიგატურული ხასიათი (ასოთა უმრავლესობისათვის თავკიდური, შუა და ბოლოკიდური ფორმების არსებობით) იხსნება, უპირველეს ყოვლისა, მისი წარმოშობით ლიგატურით მდიდარი არამეული დამწერლობის კურსივი ვარიანტისგან. არაბული დამწერლობის ანბანური რიგი აგრეთვე მოძინარეობს დასავლურსემიტური ანბანისგან გარკვეული ცვლილებებით, რაც უკავშირდება ნიშანთა შერჩევის ორ ურთიერთდამოუკიდებელ პრინციპს: მსგავსება გარეგნული ფორმის მიხედვით (ჯ /ȝ/, ჟ /h/) და მსგავსება ქლერადობის მიხედვით (ც /k/, ჭ /k/).

### სამხრეთსემიტური დამწერლობა

ამ ბოლო დრომდე მიიჩნევდნენ, რომ სამხრეთ- და ჩრდილოარაბულ დამწერლობათა საერთო წინაპარი იყო ე.წ. პროტოარაბული დამწერლობა (ი. ნავე და სხვები), რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ძეგლით. ამ ძეგლთა დათარიღება და თვით ასეთი საერთო წინაპრის არსებობა ახლახან სადაცო გახდა. გამოითქვა ვარაუდი სამხრეთარაბულისგან ჩრდილოარაბული ანბანის წარმოშობის შესახებ (ბ. ზასი).

### ლიტერატურა

Гельб И. *Опыт изучения письма*. М., 1984

Лундин А. Г. *Дешифровка протосинайского письма*. М., 1991

Albright W. F. *The Proto-Sinaitic Texts and Their Decipherment*. Cambridge (Mass.), 1966

Bordreuil P., Pardee D. Abécédaire du type sudsémistique découvert en 1988 dans les fouilles archéologiques françaises de Ras Shamra-Ougarit // *Comptes-rendus de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres*, 1995

Branden A, van der. Nouvel essai D'interprétation des inscriptions protosinaïtiques // *Bibbia e Oriente*, 1979, vol. 21

Colless B. E. The Proto-Alphabetic Inscriptions of Sinai // *Abr-Nahrain*, 1990, vol. 28

Cross F. M. The Origin and Early Evolution of the Alphabet // *Eretz-Israel*, 1967, vol. 8

Darnell J., Dobbs-Allsopp C. et al. Two Early Alphabetic Inscriptions from the Wadi el-Hôl: New Evidence for the Origin of the Alphabet from the Western Desert of Egypt // *AASOR*, 2006, vol. 59

- Dietrich M. Loretz O. *Die Keilalphabete. Die phönizisch-kanaanäischen und altarabischen Alphabete in Ugarit*. Münster, 1988
- Gardiner A. H. The Egyptian Origin of the Semitic Alphabet // *Journal of Egyptian Archaeology*, 1916, vol. 3
- Hayajneh H., Tropper J. Die Genese des altsüdarabischen lphabets // *UF*, 1997, Bd. 29
- Loundin A. G. L'abécédaire de Beth Shemesh // *Le Muséon*, 1987, t. 100
- Mendenhall G. E. *The Syllabic Inscriptions from Byblos*. Beirut, 1985
- Naveh J. *The Early History of the Alphabet*. Jerusalem, 1987. 2 vols.
- Puech E. Notes sur quatre inscriptions protosinaïtiques // *Revue biblique*, 2002, t. 109
- Sass B. *The Genesis of the Alphabet and its Development in the Second Millennium*. Wiesbaden, 1988
- Sass B. *Studia alphabetica. On the Origin and Early History of the NWS, South Semitic and Greek Alphabets*. Freiburg; Göttingen, 1991
- Sass B. The Beth Shemesh Tablet and History of the Proto-Canaanite, Cuneiform and South Semitic Alphabets // *UF*, 1991, Bd. 23
- Tropper J. Ägyptisches, nordwestsemitisches und altsüdarabisches Alphabet // *UF*, 1996, Bd. 28
- Tropper J. *Ugaritische Grammatic*. Münster, 2000

პროტოსინაიური დამწერლობის ნიშანთა შედარებითი ტაბულა

	346	357	386	387	
?A		რ რ რ ჩ			ჩ
B	ც ც მ ი	□ □ □	□	□ □	□ □
G		რ			
H			ხ ხ		
W					ი
T					თ
Y	ლ		ლ		
K		ჰ ჰ			
T		ლ			ლ
L	ლ ლ ლ	ლ ლ ლ	ლ ლ ლ	ლ ლ ლ	ლ
M	ვ ვ ვ ვ	ვ ვ ვ ვ	ვ ვ ვ ვ	ვ ვ ვ ვ	ვ ვ ვ ვ
D	=				
N	ლ ლ ლ	ლ ლ ლ	ლ ლ ლ	ლ ლ ლ	ლ ლ ლ
S	ძ		ძ	ძ	
ရ	ღ ღ ღ	ღ ღ ღ	ღ ღ	ღ ღ ღ	ღ ღ ღ
Q		ღ			
R	ღ	ღ	ღ ღ	ღ	ღ
ჸ			ჸ		
T	✗ +	+		✗	+ ე. ✗

შენიშვნა: 346 – წარწერა ქანდაკებაზე, არქეოლოგიური მუზეუმი, კაირო, 38268; 357 – წარწერა შახტის კედელზე, in situ; 386 – წარწერა შახტის კედელზე, in situ; 387 – წარწერა შახტის კედელზე, in situ (წყარო: Puech E. Notes sur quatre inscriptions protosinaïtiques // Revue biblique, 2002, t. 109).

ზოგიერთი სემიტური ანბანის თანხმოვნები ფონემათა  
პრასემიტურ ნაკრებთან შეპირისპირებით

1 ?	2 ሸ	3 ኩ	4 ብ	5 ኩ	6-7 ኂ
b	ብ	ብ	ብ	ኩ	ኃ
g	ገ	ገ	ገ	ገ	ገ
d	ዶ? ስ	ዶ	ዶ	ዶ	ዶ
đ	=	ኩ	ዶ	[z]	[t]
h	ኩ አ	ኩ	ዥ	ኩ	ኢ
w	ዥ	ዥ	ዥ	ዥ	ዥ
z	ቁ?	ቁ	ቁ	ቁ	ቁ
ሃ	ሃ	{	ሃ	ሃ	ሃ
ሃ	ሃ	ሃ	ሃ	[w]	[w]
t	ቁ?	ቁ	ቁ	ቁ	ቁ
z	[t]	ጋ	ጋ	[t]	[t]
y	ሃ	የ	የ	የ	የ
k	ሃ	ኩ	ኩ	ኩ	ኩ
l	ሃ	ለ	ለ	ለ	ለ
m	ሃ	ማ	ማ	ማ	ማ
n	ሃ	ኅ	ኅ	ኅ	ኅ
s	ሃ?	ሃ	[s]	[s]	[s]
ኩ	ኩ	ዥ	ሂ	ሂ	ሂ
ሃ/f	ሃ	ዶ	ቆ	ቆ	ቆ
s	ቁ	ኩ	ሂ	ሂ	ሂ
đ	?	ሃ	ሂ	[x]	[x > ፻]
q	ቁ	ቅ	ቅ	ቅ	ቅ
r	ሪ	ር	ር	ር	ር
ሃ	ሃ	ሃ	ሃ	[w]	[w > ሃ]
ሃ	ሃ	ሃ	ሃ	ሃ	ሃ
t	X+	X	ት	ተ	ተ
ሃ	[w]	፩	ት	[w]	[w]

შენიშვნა: წყარო: Naveh J. The Early History of the Alphabet. Jerusalem, 1987.

1. პრასემიტური.
2. პროტოსინაიური.
3. სამხრეთარაბული.
4. არაბული.
5. ფინიკიური.
- 6-7. ძველი ებრაული და არამეული (გამოიყენება ერთი ანბანი: კვადრატულ ფრჩხილებში მოყვანილია გრაფემები, რომლებიც აღნიშვავენ პრასემიტურ თანხმოვანთა რეფლექსებს: მარცხნივ – ძვ.-ებრ., მარჯვნივ – არამ.).

უგარითული დამწერლობა (გრძელი და მოკლე ანბანები)

	გრძელი ანბანი	მოკლე ანბანი
a	►	▲
b		☒
g	▼	▼
h	■	
d		¤
h		¤¤
w	►►	☒☒
z	▼	◀
h	☒	☒
t	☒☒	☒☒
y	☒☒	☒☒
k	►—	¤—
š	☒☒	○
l		〰~
m	└	➤
đ	☒	

ტაბულა 3 (გაგრძელება)

გრძელი ანბანი	მოკლე ანბანი
n	
z	
s	
r	
p	
ş	
q	
r̥	
t̥	
γ	
t	
?i	
?u	
ş̥	

თარგმნა ზურაბ ბარათაშვილმა  
თარგმანი იბეჭდება მართე ივანიშვილის რედაქციით

## ახალი შიგნიშვილი

შუშუნა ფეიქრიშვილი, ივეტა ვაშაკიძე, მასალები საზღვარგარეთული ქართველობობის ისტორიისათვის, წიგნი მეორე, რედაქტორები: პროფ. იასუპირო კოჯიძა, პროფ. ჰარუნ ჩიმქე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018, 180 გვ.

„ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული... მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლადამოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო...“ – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, ეს სიტყვები აქვს წამდლვარებული შუშუნა ფეიქრიშვილისა და ივეტა ვაშაკიძის ახალ ნაშრომს.

ქართველობობის საკითხების შესახებ შექმნილი ყოველი ახალი წიგნი ფასეულია ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. ამიტომაც მისასალმებულია ი. ვაშაკიძისა და ჟ. ფეიქრიშვილის ნაშრომის – „მასალები საზღვარგარეთული ქართველობობის ისტორიისათვის“ – მეორე წიგნის გამოსვლა.<sup>1</sup> ის მნიშვნელოვან მასალასა და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს საზღვარგარეთული ქართველობობის შესახებ და ნამდვილად გაამდიდრებს ქართველობობის ისტორიას.

სარეცენზიო ნაშრომი სტრუქტურულად პირველი წიგნისგან ოდნავ განსხვავდება. იგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: პირველში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განხილულია ქართველობით კვლევის განვითარების გზა ორ ქვეყანაში: იაპონიასა და თურქეთში (ცნობილია, რომ ამ ქვეყნებში მეცნიერული ქართველობობია შედარებით ახალგაზრდაა და, შესაბამისად, ნაკლებად შესწავლილიც).

ავტორებმა მკითხველს შესთავაზეს იაპონიასა და თურქეთში ბოლო ოცწლეულში ფართოდ გამოკვეთილი და მრავალფეროვანი ორმხრივი კულტურული ურთიერთობის ისტორია. აქ წარმოდგენილ მასალებს ფასეულს ხდის ის გარემოებაც, რომ წიგნის რედაქტორები თავად უცხოელები არიან – ცნობილი ქართველობობები: იაპონელი პროფ. იასუპირო კოჯიძა და თურქი პროფ. ჰარუნ ჩიმქე, რომლებთან პირადა კონტაქტიბმაც ხელი შეუწყო არაერთი საინტერესო ფაქტის ასახვას ნაშრომში. მათი უშუალო ჩართულობით დაზუსტდა ბევრი დეტალი და ხელმისაწვდომი გახდა არაერთი მნიშვნელოვანი უახლესი ინფორმაცია.

საქართველო-იაპონიის კულტურული ურთიერთობა 1950-იანი წლებიდან იღებს სათავეს. აქედან მოყოლებული, ქართველთა დელეგაცია არაერთხელ ეწვია იაპონიას:

<sup>1</sup> მასალების პირველი წიგნი დაბეჭდა 2012 წელს (რედ. პროფ. რ. ზექალაშვილი), გამომცემლობა „უნივერსალი“, 344 გვ.

იმართებოდა კონცერტები და წარმოდგენები, ეწყობოდა გამოფენები; იაპონურად ითარგმნა და გამოიცა „ვეფხისტეფაოსანი“, ნოდარ დუმბაძის მოთხრობები, ლადო გუდიაშვილის ნამუშევართა უნიკალური ალბომი. 1991 წელს დაარსდა საქართველო-იაპონიის ასოციაცია. ტოკიოს ინტერნაციონალური სახლის ვიცეპრეზიდენტი ქნი პიროვო კაკო საქართველოსთან ურთიერთგაუშირის ერთ-ერთი ინიციატორი გახდა. თბილისში გაიხსნა იაპონიის კულტურის ცენტრი. იქაურმა ახალგაზრდებმა დაიწყეს ქართული ენის შესწავლა, დაარსდა ქართული კულტურის შემსწავლელი ცენტრი. პირველი იაპონელი ქართველოლოგები არიან: პიროვო კაკო, იაკო ფუკურო, რიოჰე კომიამა, ფუკაში ოტანი, სეიიჩი კიტაგავა, პიროტაკე მეადა, იასუჰირო კოჯიმა. მათ შესახებ წიგნი უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე თვალსაჩინო გახდა საქართველოსა და თურქეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობები. დღეს თურქეთში ქართველოლოგია თავისი ისტორიის პირველ საინტერესო ფურცლებს წერს. ბევრი ახალგაზრდა მეცნიერია დაინტერესებული ქართული ენისა და კულტურის შესწავლით, თურქულ-ქართულ ურთიერთობათა კვლევით. სარეცენზიო წიგნში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ის წინაპირობა, რომელმაც შეამზადა, საზოგადოდ, თურქი ეროვნების ახალგაზრდა თაობის დაინტერესება ქართველოლოგით. მხედველობაში გვაქვს თურქეთის მოკლე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების მიმოხილვა შესავალში და მომდევნო პარაგრაფი: „თურქეთში მეცნიერული ქართველოლოგიის სათავეებთან“. ამ მიმოხილვაში საუბარია თურქეთელი ქართველების, ე.წ. მუკაჯირებისა და მათი შთამომავლების ეროვნულ ცნობიერებაზე, დედასამშობლისა და დედაქნის სიყვარულზე. აქვე წარმოდგენილია საინტერესო ინფორმაციები სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა დიდებული სამონასტრო კომპლექსის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ 1860-1930 წლებში, რასაც საფუძველი ჩაუყარა მონასტრის დამაარსებელმა, დიდმა ქართველმა მამულიშვილმა, ახალციხელმა კათოლიკე მღვდელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა. წიგნში გამოკვეთილია ამ მონასტრები მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების დიდი წვლილი მუკაჯირთა ეროვნული ცნობიერების გაღვიძება-გაღრმავებაში. მკითხველისთვის საინტერესოა აპმედ მელაშვილის, ისმაილ შავიშვილის, ფარნა-ბექა ჩილაშვილის საქმიანობა-მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

ცალკეა გამოყოფილი საკითხი „ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები თურქეთში“, რასაც უშუალოდ მოსდევს საუბარი ახალგაზრდა თაობის მეცნიერთა ქართველოლოგიური საქმიანობის შესახებ. მათ შორის არიან: პარუნ ჩიმქე, მუზაფერ ქირი, ფევზი ჩელები, ნერიმან ალბაირაქი, გულ მუქქერემ ოზთურქი, სუდან ალთუნი.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ თურქეთის სხვადასხვა რეგიონის – ყარსის, დუზჯეს, ართვინის, არდაგანის, რიზეს – უნივერსიტეტებში ქართველოლოგიის სპეციალობებზე ქართველებთან ერთად სასწავლო პროცესებში ჩართული არიან თურქი ეროვნების წარმომადგენლები. ახალგაზრდა თურქ ქართველოლოგთაგან

**პარუნ** ჩიმქე და **მუზაფერ** ქირი აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდნენ და სწორედ ლექტორ-მასტავლებელთა ძალისხმევამ გააღვიძია მათში განსაკუთრებული ინტერესი ქართული ენისა და ლიტერატურის შეწავლისადმი.<sup>2</sup>

წიგნის მეორე ნაწილი ეძღვნება რამდენიმე უცხოელი ქართველოლოგის – მიმო მორინას, როზმარი კიფერის, ბერნარ უტიეს, ლუიჯი მანტოვანის, ლუიჯი მაგაროტოს – ცხოვრება-მოღვაწეობას. მართალია, ზოგიერთი მათგანის შესახებ ქართულ სინამდვილეში მოიპოვება მეტ-ზაკლები სისრულის ინფორმაციები, მაგრამ წიგნის ავტორებმა თავი მოუყარეს მათ და უცხოელ კოლეგებთან პირადი ურთიერთობის მეშვეობითაც შეავსეს. თვალსაჩინოებისთვის დავიმოწმებთ ერთ მაგალითს: წიგნში საქმაოდ ვრცლადა აღწერილი იტალიელი ქართველოლოგის, კათოლიკე მღვდლის, ლუიჯი მანტოვანის<sup>3</sup> დიდი დამსახურება ქართული ენისა და, საერთოდ, ქართული კულტურის წინაშე. მეცნიერი მრავალი წელია საქართველოში ცხოვრობს, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება სწორედ ქართული ენის უანგარო მსახურებისთვის. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ქართული ენის მცირე გრამატიკა“ იტალიურად (1997), „იტალიურ-ქართული ლექსიკონი“ (2006, 1120 გვ.) და სხვ. წიგნის გარეკანზე სწორედ ლუიჯი მანტოვანის გულში ჩამწვდომი სიტყვები იკითხება: „ყოველი ენა ხალხის სულის სარკეა და, აგრეთვე, მისი ქვეყნის თითქმის ისტორიული სინთეზიც... უმდიდრესი ლექსიკური ფონდი და მონოლითური გრამატიკული სისტემა ქართულ ენას სხვა ენებისაგან გამოაჩევს, როგორც მსოფლიოს მერვე საოცრებას“.

წიგნს ამდიდრებს უცხოელ ქართველოლოგებთან ავტორების მუშაობის ამსახველი უაღრესად საინტერესო ფოტომასალა.

ორიოდე სიტყვით შევეხებით მასალების პირველ წიგნსაც, რომელშიც საუბარია იმ ქართველოლოგებზე, რომელთა საქმიანობა უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მასში დახასიათებულია ქართველოლოგის განვითარების გზა საზღვარგარეთ უგველესი დროიდან მე-20 საუკუნის ბოლომდე: იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ბელგიასა და აშშ-ში. აქ ვხვდებით საინტერესო ცნობებს 90-ამდე ქართველოლოგის (მათ შორის – სხვადასხვა ქვეყნაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების) მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ.

<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ პ. ჩიმქე და მ. ქირი პროფ. უუჟუნა ფეიქრიშვილის სტუდენტებიც იყვნენ და ხუთი წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით გაიარეს თანამდევროვე ქართული ენისა და ქართველოლოგის შესავლის კურსები.

<sup>3</sup> ფ. ფეიქრიშვილი 24 წელია პირადად იცნობს ლუიჯი მანტოვანის და თანამშრომლობს მასთან. ამ ურთიერთობამ ბევრი ახალი შტრიხით გაამრავალფეროვნა სარეცენზიო ნაშრომი.

უნდა ითქვას, რომ ჟ. ფეიქრიშვილმა და ო. ვაშაკიძემ აღნიშნული წიგნებით გააცოცხლეს არა მხოლოდ უცხოელ მკვლევართა ღვაწლი, არამედ თვალსაჩინო გახადეს ქართველ მეცნიერთა დიდი დამსახურებაც საზღვარგარეთული ქართველოლოგის თანამედროვე დონის შექმნაში.

გავიმეორებთ პირველი წიგნის წინათქმის სიტყვებს: „ჩვენი კულტურული მექვიდრეობის მდიდარი ისტორიის გაბნეული ფურცლები, ერთ დიდ წიგნად აკინძული, უნდა შემოენახოს მომავალ თაობებს“. მართლაც, ამ მასალების სახით შეკრებილია უაღრესად საინტერესო ცნობები საზღვარგარეთული ქართველოლოგის შესახებ, თავმოყრილია საკმაოდ სრული ინფორმაცია ქართველოლოგიური ცენტრებისა და იქ მოღვაწე მკვლევრების შესახებ. აშკარაა, რომ ავტორებმა უზღვავი მასალა მოიძიეს და შეისწავლეს, რაც მეტად შრომატევადი იყო. მარტო ჩამონათვალიც კი შეგვიძინის ზოგად წარმოდგენას, თუ რაოდენ ვრცელი და მნიშვნელოვანია ეს ნაშრომი.

მაგალითად, განხილულია შემდეგი იტალიელი ქართველოლოგების ღვაწლი: კარლ გოლდონის, მატეო რიპას, ლორენცო ერვასის, მიხეილ თამარაშვილის, რაფიელ ინგილო-ივანიცკის, მიხეილ თარხნიშვილის, შალვა ბერიძის, ბერნარდო ბარბიელინის, ლუიჯი მანტოვანის;

**გერმანიდან** არიან: გოტფრიდ ლაიბნიცი, ფრანც ალტერი, ფრანც ბოპი, გეორგ როზენი, ფრიდრიხ მიულერი, ჰენრი შუხარდტი, ადოლფ ჰარნაკი, არტურ ლაისტი, ჰაინრიხ გუსენი, ფრიდრიხ ცორელი, ადოლფ დირი, რიხარდ მეკელაინი, რობერტ ბლაიხშტაინერი, გერჰარდტ დეეტერსი, ჰერმან ბუდენზიგი, იოსებ მოლიტორი, ჰენრი ჰუპერტი, გერტრუდ პერი, იულიუს ასფალგი, ნიკოლოზ ჯანელიძე, კარლ ჰორსტ შმიდტი;

**საფრანგეთიდან:** მარი ბროსე, მორის ბრიერი, შორჟ დოუმეზილი, რენე ლაფონი, კალისტრატე სალია, ნინო ქურციკაშვილი-სალია, რობერ ტრიომფი;

**ინგლისიდან:** სოლომონ მალანი, უილიამ მორფილი, ფრედერიკ კონიბირი, ოლივერ უორდონბი, მარჯორი უორდონბი, ჰაროლდ ბეილი, უილიამ დევიდ ალენი, კეთრინ ვიკიანი, რობერტ სტივენსონი, დევიდ ლენგი;

**უნგრეთიდან:** მიკლოშ კიში ტოტფალუში, მიხაი იშტვანოვიჩი, ოსკარ აშბოტი, მიხაი ზიჩი, ბელა ვიკარი, ლაიოშ ჭარდი, მარტონ იშტვანოვიჩი.

**პოლონეთიდან:** კიზიმირ ლაფჩინსკი, გრიგოლ ფერაძე, იუჟი ზაგურსკი, იან ბრაუნი, იეჟი იასენსკი;

**ჩეხისლოვაკიდან:** ო. ვეტი, იარომირ იედლიჩკა, ვაცლავ ჩერნი, ივო პეტ्रიკი, ივო ვაცულინი, კამილ ჰერბაკი;

**ბელგიიდან:** პაულ ჰელტერსი, ერნესტ ჰონიგმანი, შერარ გარიტი, მიშელ ვან ესბროკი, შორჟ ბურონი;

**ამერიკის შეერთებული შტატებიდან:** რობერტ ბლეიკი, ლუის ფრენსის სოლანო, რობერტ თომსონი, კიმ ბრეითვეიტი, ჰოვარდ არონსონი, ალის ჰარისი, დი ენ ჰოლისკი, კევინ ტუიტი, სტივენ რაპი;

**შევეიცარიიდან:** კიტა ჩხერიმელი, იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი, ლეა ფლური;  
**ნორგევიიდან:** ჰანს ფოგტი.

სასიხარულოა, რომ თანამედროვე საზღვარგარეთული ქართველოლოგია თან-დათან კიდევ უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი ხდება, იგვეთება ახალი სა-ინტერესო მიმართულებანი, ფართოვდება კვლევის სფეროები. ცნობილი უცხოელი ქართველოლოგების ნაყოფიერ საქმიანობას დღეს წარმატებით აგრძელებს საქართ-ველოსა და ქართული კულტურის გულშემატკივართა ახალი თაობა; ქართველო-ლოგის საკითხებთან დაკავშირებით სამეცნიერო კონტაქტები მყარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან, რაც ხელს უწყობს ორმხრივი კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობის გაღრმავება-გაფართოებას.

ბოლოს ხაზი უნდა გავუსვათ, რომ უუჟუნა ფეიქრიშვილისა და ივეტა ვაშაკი-ძის „მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგის ისტორიისათვის“ (პირველი და მეორე წიგნები) ნამდვილად დიდი შენაძენია ქართველოლოგის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

### რუსულან ზექალაშვილი

\* \* \*

*Lia Abuladze, Jonas Löffler (Hrsg.), Georgisches Lesebuch, Georgisch-Deutsch,  
Ausgewählte Geschichten, übersetzt und erläutert von Lia Abuladze und Jonas Löffler,  
Hamburg: Buske 2018.*

მე ამ „საკითხავ წიგნს“ „სასწავლოსაც“ დავარქმევდი, რადგან ზმნური ფორ-მების განმარტებათა შემცველი შენიშვნების აპარატის წყალობით, ის საკითხავი წიგნიც არის და სასწავლოც.

წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ წიგნი განკუთვნილია არა დამწყებთათვის, არამედ მათთვის, ვინც „წინაა წასული“, ანუ ვინც უკვე მეტ-ნაკლებად ფლობს ქართულ ენას. მაგრამ ვინ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს ამ არაინდოვნოპული ენის შემთხვევაში, რომლის ზმნური სისტემა დად სიძნელეებს გვიმზადებს? მე ჩემს თავს „წინ წასულების“ რიცხვს ვერ მივაკუთვნებ, მაგრამ ამ წიგნის დახმა-რებით შეიძლება ასეთად ვიქცე.

მე ამ მოცრო წიგნს „წიგნაკსაც“ დავარქმევდი, რადგან იგი ყველა შარვლის ან პალტოს ჯიბეში ეტევა; ამიტომ რკინიგზის ბაქანზე, მატარებელში, ავტობუსის გაჩერებაზე, მოსაცდელში – ყველგან შეიძლება თან იქონიო, ის კონკურენციას გაუწევს ილუსტრირებულ ჟურნალებს: სწავლა აღტერნატივაა, სადაც არ უნდა იყოს ...

რა თქმა უნდა, მე შემიძლია, ეს მშვენიერი მოთხრობები განმარტებებისა და შენიშვნების აპარატის გარეშეც ვიკითხო. მაგრამ მაშინაც კი, თუ უკვე მეტ-ნაკ-ლებად „წინწასული“ ვარ, შემიძლია, რომელიმე ზმნურ ფორმას განმარტებებში

ჩავხედო, რომ ჩემი კომპეტენტურობა გადავამოწმო. და ეს ძალიან კარგია! ეს მხოლოდ ერთ წუთს მოითხოვს, მეტს არა, და ისევ შეგეძლებათ კითხვის გაგრძელება, არ დაგჭირდებათ გრამატიკაში დიდხანს ქექვა...

მაგრამ, პირველ ყოვლისა, თვითონ წიგნაკის შესახებ (მის მიმართ ამ დიმინუტივს ვხმარობ, რადგან მას სიაზეც ახლავს ...).

წიგნაკი სხვადასხვა მოცულობის 18 ტექსტისაგან შედგება. თანამედროვე ქართველი პოეტებისა და მწერლების – ამირან ჭიჭინაძის, ერლომ ახვლედიანის, გაგა ნახუცრიშვილის, ანა კალანდაძისა და გოდერძი ჩოხელის გვერდით (რომელთა ბიოგრაფიებიც მოკლედაა წიგნში წარმოდგენილი), ვხვდებით ლია აბულაძის ჩანაწერებსაც, რომლებიც მისი შვილიშვილების ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდებს მოგვითხრობენ (გვ. 73-99). ეს მშვენიერია და ძალიან პირადული. ისინი სავსეა იუმორითა და ბავშვური სიბრძნით (შეიძლება ხანდახან ირონიითაც კი, თუმცა ეს უნარი ადამიანს უფრო მოგვიანებით უვითარდება).

ყველა მოთხრობის ბოლოს განმარტებები და შენიშვნებია წარმოდგენილი.

ჩემი ინტერესი უფრო ტექსტების ლინგვისტურ-პრაგმატული ღირებულებების-კენაა მიმართული, ვიდრე მათი ლიტერატურული მახასიათებლებისაკენ. მაგალითად, მინდა გავხაზო, რომ ყველა ტექსტი არა მარტო გვიამბობს, არამედ ღიალობებსაც მოიცავს (ხშირად ზოგი მხოლოდ დიალოგისაგან შედგება, როგორც, მაგ., „ცხრა შეკითხვა სიყვარულზე“), ანუ საუბართა მიმდევრობებს, რომლებშიაც ქართული დიალოგის ნიმუშები შესაბამის კონტექსტშია წარმოდგენილი. ამასთანავე წინა პლანზე გამოდის კოხვა-პასუხის ურთიერთობიანობა და ფოკუსირება ხდება კითხვით ნაცვალსახელებსა და იდიომებზე.

ტექსტების სწორედ ეს ღიალოგიური ხასიათი ხელს უწყობს წაკითხულის ზეპირად დასწავლას ან მისი შინაარსის გადმოცემას, რისთვისაც პირველ რიგში ბავშვების ტექსტები გამოდგება. რომ არ ვიცოდეთ, რომ ისინი ავტორის შვილი-შვილების მიერ სპონტანურადაა ნაწარმოები, ამას ვერც მივხვდებოდით, ამიტომ ისინი სავსებით სამართლიანად იკავებენ ადგილს ლიტერატურული ტექსტების გვერდით.

გოდერძი ჩოხელის „ავტობიოგრაფია“ (გვ. 108-116) ყოველდღიურობის ამსახველი ტექსტის ლექსიკისა და სინტაქსის ბაზისურ ცოდნას გვაძლევს (მონაცემები თარიღების, ცხოვრების ფაზების შესახებ და სხვ.), მოუხედავად იმისა, რომ პოეტურად არის დაწერილი. ამავე ავტორის „ცხრა შეკითხვა სიყვარულზე“ (გვ. 116-139), რომელიც ბიოგრაფიულად აქტუალურ კითხვებსაც მოიცავს, გვხიბლავს იუმორითა და ირონით.

ტექსტებში თავს იჩენს ფილოსოფიური განზომილებაც, როგორც, მაგალითად, ანა კალანდაძის მოკლე ტექსტში: „მიღწეული უკვე ის აღარაა“ (გვ. 104). იგი მასწავლის, როგორი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, რომელსაც მოლოდინი უცრუვდება...

აქვე მინდა ვახსენო გაგა ნახუცრიშვილის „ზღაპარი, რომელიც არასოდეს მთავრდება“ (გვ. 45-49), აგრეთვე ერლომ ახვლევდიანისა და ამირან ჭიჭინაძის მოთხოვნები, რომელთაც სრულიად მარტივი საშუალებებით საგრძნობი შესწორებები შეაქვთ ადამიანის ჩვენეულ ხატში.

ანა კალანდაძის მოყლე ჩანაწერის „ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს?!“ სწორად გაგებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ განსაკუთრებული ქართული კონტექსტი, განსაკუთრებული „კულტურება“, მაგრამ ასევე საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ პოლიტიკური კონტექსტიც, რომელიც მაშინაც უნდა იგულისხმებოდეს, როცა რუსელის მასწავლებელი ელენა სურენოვნა გაკვეთილზე ბავშვებს ეკითხება: „ვინ იყო ლენინი?“ (გაგა ნახუცრიშვილი, გვ. 52-53).

ყველა მოთხოვნა ცალკე კომენტარს იმსახურებს, მაგრამ აქ ჩვენ საუბარი გვაქვს მთელ „საკითხავ წიგნზე“, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ „საკითხავი“, რადგან ის გვეხმარება ვიფიქროთ ამ ჩვენთვის უცხო ენაზე და ამ უცხო ენის შესახებ. ამას კი ტექსტები გრამატიკაზე უკეთესად ახერხებენ.

ეს არის წიგნი, რომლისთვისაც ლია აბულაძე და იონას ლოფლერი მადლობას იმსახურებენ, რადგან მათ სწორად ესმით ენის შემსწავლელთა მოთხოვნილებები და იმავდროულად თავისი/ამ ენისადმი სიყვარულის გაღვიძების უნარიც შესწევთ.

**კლელტრაუდ ბიულოვი  
მიუნსტერი**

## თამაზ გამყრელიძე 90

თამაზ გამყრელიძე დაიბადა 1929 წლის 23 ოქტომბერს ქუთაისში. დედა – ოლიმპიადა ასათიანი, მამა – ვალერიან გამყრელიძე. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე იგი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ (1952 წ.) თ. გამყრელიძემ აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით გაიარა სემიტოლოგიური სკოლა და სწავლა განაგრძო ჯერ თბილისის, შემდეგ კი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. თ. გამყრელიძემ 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები“, ხოლო 1962 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“.

თამაზ გამყრელიძემ შრომითი საქმიანობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო – ხელმძღვანელობდა ძველადმოსავლური ენების განყოფილებას; 1960 წლიდან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წინა აზის ენათა განყოფილების გამგეა, პარალელურად მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1964 წლიდან იგი თსუ-ის პროფესორი და სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის პირველი გამგეა; ზოგადი ენათმეცნიერებისა და სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრების გაერთიანების შემდეგ თამაზ გამყრელიძე 1998-2005 წლებში და 2013 წლიდან ხელმძღვანელობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს; 1991 წელს იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში თამაზ გამყრელიძემ არაერთ სასარგებლო საქმეს დაუდო სათავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზღვარგარეთის მრავალ უნივერსიტეტთან კონტაქტების დამყარება.

1967 წლიდან თამაზ გამყრელიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, 1974 წლიდან – ნამდვილი წევრი; 1980 წელს აირჩიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1984 წელს – აკადემიკოსად; 1981-1991 წლებში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებასთან არსებული ფონეტიკისა და ფონოლოგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეა, 1988-1995 წლებში – უკრნალ სიმართვის კომიტეტის მთავარი რედაქტორი.

თ. გამყრელიძე 1986 წელს იყო ევროპის ლინგვისტური საზოგადოების პრეზიდენტი, ხოლო 1987 წელს – ტალინში გამართულ ფონეტიკურ მეცნიერებათა მსოფლიო კონგრესის კომიტეტის პრეზიდენტი.

1973-2005 წლებში ო. გამყრელიძე ხელმძღვანელობდა გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთცოდნეობის ინსტიტუტს, 2003-2005 წლებში იკავებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის თანამდებობას. 2005 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2013 წლამდე; ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტი და საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტის თავმჯდომარეა.

აკად. თამაზ გამყრელიძე იკვლევს ქულტურის ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და თეორიული ენათმეცნიერების, ძველი აღმოსავლური ენების, ინდოევროპული, სემიტური, ქართველური ენების სტრუქტურისა და თეორიის საკითხებს. თამაზ გამყრელიძის მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი გამოცემულია ქართულსა და უცხოურ ენებზე. მას, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში საკვანძო საკითხებში პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვით.

ქართველური ენათმეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი უგავშირდება თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის შექმნილ მონოგრაფიას – „სონანატთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. ეს ნაშრომი წარმოადგენს ქართველური ენების შესწავლის პრინციპულად ახალ კონცეფციას და ქართველოლოგიის ღირსშესანიშნავ შენაძენს XX საუკუნის 60-იან წლებში. ონოგრაფიას მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია. თამაზ გამყრელიძის ვიაჩესლავ ივანოვთან თანაავტორობით შექმნილი ორტომეული მონოგრაფია „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ მსოფლიო მნიშვნელობის გამოკვლევად იქცა.

თამაზ გამყრელიძე არის ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის უცხოელი წევრი (ვაშინგტონი); ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი (კემბრიჯი); ევროპის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (ლონდონი); ბრიტანეთის აკადემიისა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი (ვაშინგტონი), ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, ინდოევროპული საზოგადოების საპატიო წევრი (გფრ); ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი.

პროფესორი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე არის ლენინური პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1989 წ.), პუმბოლდტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (გფრ, 1989 წ.), ივანე ჯავახიშვილის პრემიის ლაურეატი (1990 წ.).

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე 1985 წელს აირჩიეს საკაგშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი საქართველოს უზენაესი საბჭოსა (1990-1992 წწ.) და

რამდენიმე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრია (1992-2003 წწ.); თამაზ გამყრელი ს სხვადასხვა დროს იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელგაციების საკორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი.

1999 წელს თამაზ გამყრელი დაჯილდოვდა „ლირსების ორდენით“;

2000 წელს მას მიენიჭა „თბილისის საპატიო მოქალაქის“ წოდება.

## სათამაზგამყრელიძეოდ სათქმელი<sup>1</sup>

მეცნიერული სამყარო ცხოველი ინტერესით ეცნობა თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის ფუნდამენტურ ნაშრომს – „ინდოევროპული ენა და ინდო-ევროპულები“. თბილისში გამოცემულმა წიგნმა ააფორიაქა უკანასკნელ წლებში რამდენადმე სიმშვიდეს მიცემული ლინგვისტიკა. ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ ნაშრომის ერთ-ერთი ავტორი დღეს ჩვენი საპატიო სტუმარია და საშუალება გვქონდა, მისგან მოგვესმინა კოლექტიური შრომის ძირითადი შინაარსი, რისთვისაც ბატონ თამაზს გულითადი მადლობა უნდა მოვახსნო. ეს ჰეშმარიტად დიდი წიგნია, საეტაპო მნიშვნელობის დოკუმენტი. მნელია მისი სხვა წიგნებთან შედარება, რადგან ანალოგი არ მოეპოვება და ნამდვილად შეუდარებელია. იგი, როგორც ანალიტიკური აზროვნების ღირსშესანიშნავი მიღწევა, გადაჭარბებად წუ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე თავის დროზე იდგნენ ბოპისა და მები გრიმების, მეისა და ბენვენისტის, სეპირის და ბლუმფილდის ნაშრომები, რომლებმაც მცირე როლი როდი შეასრულეს ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებაში, მიუწვდომელ მწვერვალებადაც კი იყვნენ აღიარებულნი. მე კი ამ წიგნს, გარკვეული აზრით, ფერდინანდ დე სოსიერის ზოგადი ენათმეცნიერების კურსის „გვერდით ვაყენებ, რამდენადაც ეს უკანასკნელი თანამედროვე სინქრონიული და დიაქრონიული ლინგვისტიკის სახარებადა მიჩნეული. დრო კი, სწორედ დრო, ულმობელი მსაჯული ყოველი ახალი თეორიისა, უფრო მეტს იტყვის და, როგორც გამოცდილება გვეუბნება, ამბობს კიდეც პირადად თამაზ გამყრელიძის მიმართ. შეგახსნებთ, რომ თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ცნობილი „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ ამ ოცი წლის წინათ, 1965 წელს, გამოიცა. მას შემდეგ თითქოს დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ, რაც დრო გადის, ამ შესანიშნავ წიგნს სიმაღლე უფრო ემატება, მაშინ განვითარებულ იდეებს უფრო მეტი ღონე და დამაჯერებლობა ეძლევა. ეჭვი სრულიად არ არის, რომ ახალ თეორიას დრო უფრო მაღალ შეფასებას მისცემს, რადგან მან თავის დასაწყის საფეხურზე მძლავრად შეატორტმანა შედარებითი ენათმეცნიერების ურ-

<sup>1</sup> ალექსანდრე ლლონტის საჯარო გამოსვლა პედაგოგიურ უნივერსიტეტში 1986 წლის 18 აპრილს.

ყვეად მიჩნეული საძირკვლები და კვლევა-ძიებაში იმისთანა ფენომენები, მაგ., ქართველური მასალა, ჩართო, რომ მათთვის ანგარიშგაუწევლობა დღეს აღარ შეიძლება. მას დიდი პერსპექტივა და მომავალი აქვს.

ნაშრომით დაინტერესებამ ყოველგვარ მოსალოდნელ ზღვარს გადააჭარბა: მოეწყო ამ ნაშრომის არა მარტო განხილვები, არამედ მასში აღძრული პრობლემები-სადმი მიძღვილი სიმპოზიუმები, რომლებშიც საქვეყნოდ ცნობილი ლინგვისტები მონაწილეობენ, თავიანთ აღფრთოვანებას რომ ვერ ფარავენ და დიდ პატივს მიაგებენ სახელოვან ავტორებს. ამასთან ერთად, ცხადია, გარკვეულ შენიშვნებსაც გამოთქვამენ. ამისთანა ბედი კი არათუ ქართველ, საბჭოთა მეცნიერს და მათ წიგნს, გადაჭარბებად ნუ ჩავთვლით და, როგორც ისტორია გვეუბნება, საერთოდ რომელიმე წიგნსაც იშვიათად თუ დირსებია. შორს ნუ წავალთ. ის, რაც ამას წინათ ჩვენს პედაგოგიურ უნივერსიტეტში მოხდა, ამის საუკეთესო მაგალითია. აქ ერთი თეორიული სემინარის ჩვეულებრივ სხდომაზე დანიშნული იყო თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის ნაშრომის განხილვა, მაგრამ სრულიად არაჩვეულებრივი მოვლენის მოწმენი გავხდით. განხილვას მოაწყდნენ დაინტერესებული ადამიანები, რომლებიც ვერ დაიტან ვერც 93-ე აუდიტორიამ და ვერც ჩვენი უნივერსიტეტის საქტო დარბაზშა, სადაც ის სახელდახელოდ გადაიტანეს. უნივერსიტეტის თავისუფებმა მაშინვე დაიჭირეს თადარივი და რადიოს საშუალებით მსურველებს შესაძლებლობა მისცეს, მოესმინათ ნაშრომის ირგვლივ გამართული მსჯელობა, განსაკუთრებით კი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძის ბრწყინვალე გამოსვლა.

ერთი რამ ამთავთვე უნდა ითქვას: თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის მონოგრაფია არც ტუნგუსის მეტეორიტია, რომელიც მოწმენდილი ციდან ჩამოვარდა, და არც მხოლოდ „კავკასიური თეორია“, როგორც აქა-იქ ამის შესახებ ჩაილაპარაკებენ ხოლმე. ესაა რეალური, მწყობრი, ახალი მეცნიერული სისტემა გლობალური მნიშვნელობისა, რომელშიც განხილულმა მასალამ გაოცება თუ გამოიწვია, ეს მას სრულიად ვერ აქცევს ლოკალურ მოვლენად, პირიქით, კიდევ უფრო აფართოებს მის მერიდიანებს. დასანანია, რომ მის ნაშრომს არ ერთვის ინდოევროპელთა მიგრაციებისა და მოპოვებული რეგიონული მასალის არეალური რუკები, რომელთა დართვა, ჩემი აზრით, შეანელებდა ეწ. „კავკასიური თეორიის“ ავტორთა ეჭვებს და საქმებში სპეციალისტთა სხვა მოღვაწეებსაც ჩართავდა. თუკი ნაშრომში განხილული მასალის ამისთანა ეწ. ლინგვისტურ-ისტორიულ-ანთროპოლოგიური რუკები შედგებოდა, ვფიქრობ, იგი ნაკლებ დამარწმუნებელ შთაბეჭდილებას როდი დატოვებდა, ვიდრე მთლიანად ნაშრომი ტოვებს წარმოდგენილი სახით.

ნაშრომის ორივე ტომი ერთნაირი ინტერესების შემცველია, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით საყურადღებო მეორე ტომია, რომელშიაც დემონსტრირებულია უფრო ხელმისაწვდომი მასალა. ყველაფერზე ვერ შევჩრდები, რამდენიმე სიტყვას ვიტყვი მხოლოდ წინარე ენისა და წინარე ულტურის რეკონსტრუქციისა და მასალის ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზის იმ შედეგებზე, რაც აქაა დეფინიცირებული.

პირველ ტომში განხილულია საყოველთაო ინტერესის იმისთვის პრობლემები, როგორიცაა ენიბრივი სისტემა და დაქრონიული ლინგვისტიკის წანამძღვრები, ფონოლოგიური სისტემა და საერთოინდოევროპული მორფოლოგია, ხშელთა ინდოევროპული სისტემის ლოკალური რიგები და სიბილანტურ სპირანტთა კლასი, ხშელთა სისტემა, სონანტები და „ლარინგალები“ ინდოევროპულ ენებში, ინდოევროპული ძირის სტრუქტურა, საერთოინდოევროპული ენის გრამატიკული სინტაგმატიკის ტიპოლოგია და არეალური სტრუქტურები. ამ პრობლემათა მარტო ჩამოთვლა რამდენი რამის მთქმელია, ხოლო ის იდეები, თითოეულ თავსა და პარაგრაფში რომაა ჩაქსოვილი, ადამიანს ხიბლავს დაპაზონითა და მასშტაბურობით.

მეორე თავში კი ვეცნობით საერთოინდოევროპული ენის სემანტიკურ ლექსიკონსა და ინდოევროპული პროტოკულტურის რეკონსტრუქციის შედეგებს.

აქ ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას ფლორისა და ფაუნის ტერმინოლოგიური სამყაროს ანალიზი იყორობს. ავტორებმა ცხოველთა და მცენარეთა სახელწოდებების ერთობლიობა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის მკვიდრ ნიშნებად მიიჩნიეს და შემოფარგლეს ცხოველთა და მცენარეთა ის წრე, რომელთა სახელები, პირველ რიგში, უნდა დამკვიდრებულიყო ენაში. ამ წრის გარშემოწერა უეჭველად ოპტიმალური ჩანს რეგიონალურადაც და არეალურადაც. „შინაურ ცხოველთა“ რკალში გამოყოფილია ოთხფეხნი: ცხენი, ვირი, „მსხვილფეხა რქოსანი საქონელი“, აგრეთვე ძალი, ღორი, კატა; აქვეა ჩართული შინაური ფრინველები და ფუტკარი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბეჭედ ინდოევროპელთა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში (გვ. 481). შინაურ ცხოველთა კლასის შიგნით ავტორებმა გამოყვეს ოთხფეხთა ჯგუფი, რომლებიც ადამიანებთან ფუნქციური სიახლოვის მიხედვით ორი რიტუალური მნიშვნელობის ქვეჯგუფად დაყვეს. აქაა შინაური ცხოველები ცხენის მეთაურობით, აგრეთვე ცხვარი, ძალი, ღორი, კატა. თავის მხრით, პირველი ჯგუფი იყოფა არარქოსნებად (ცხენი, ვირი) და რქოსნებად (ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა). ეს კლასიფიკაცია დამოწმებულია ყველა ინდოევროპულ დალექტზე. 484-ე გვერდზე წარმოდგენილი სქემა მრავლისმეტყველია, ენიბრივი რეალიზაცია ჩინებული. გარეული ცხოველების სახელწოდებათა ანალიზისას ძიებაში მეტად ფასეული მასალაა ჩართული, რაც გამოიხატება მგლის რიტუალური ფუნქციის დახასიათება ეთნონიმთა და ტოპონიმთა მონაცემებით ახალ იდეებს წარმოშობს ხოლმე. აქ დაშვებულ „ეთნოგრაფიულ გადახვევას“ მეტი სიცხადე შეაქვს მოდელის სრულყოფაში. ინფორმაცია შინაური და გარეული ცხოველების სახელწოდებათა მოდელირების შესახებ ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ასევე ჩინებულია დათვისა და მგლის სახელწოდებათა უძველესი მოდელის რეკონსტრუირება.

მცენარეთა სამყაროდან ძიებაში ჩართულია ქართ. მუხა და ამ მცენარესთან დაკავშირებული ფშავ-ხევსურული ტრადიციები (გვ. 616). გამოყენებულია აფხაზური გადმოცემები მუხის ღვთაების შესახებ.

ავტორებს დადგენილი აქვთ ვაშლის ძველ სახელწოდებასთან ქართველურ ენგბში დადასტურებული სიტყვების ფონეტიკური სიახლოვე. მაგ., ხეთური (*šam(a)lu*), ქართველური \**wašl-*), ქართული *vašl-*, მეგრ. -ლაზ. *uškur-*, სვან. *wisgw/usgw* გვ. 641). ასევე დიდმიშვნელოვანი ცნობებია განხილული ხორბლის უძველეს ტერმინებთან დაკავშირებით. სამართლიანადა ჩართული ბოტანიკოსთა (მაგ., აკად. ვავილოვის ონფორმაციები (გვ. 654-659).

სიფრთხილითაა გაშუქებული ნაშრომის ძირითადი იდეა: ინდოევროპელთა მიგრაცია, დასახლების არეალი და ენის მოდელი. ქართველური ელემენტის როლის ჩვენებასთან დაკავშირებით მაგონდება ნიკო მარის ცნობილი ნაშრომი „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუაზღვეთის კულტურის შექმნაში“.

საუბარი გამიგრძელდა. ნაშრომი გახდა მრავალი ახალი იდეის საფუძველი, მისი გავლენა ლინგვისტური აზროვნების განვითარებაზე, მჯერა, უფრო მასშტაბურად განვითარდება. თამაზ გამყრელიძისა და ვააჩესლავ ივანოვის ახალ ლინგვისტურ თეორიას, ჩემი ღრმა რწმენით, განუზომლად დიდი პერსპექტივა მოელის. იგი ჩვენმა ეპოქამ წარმოშვა და ჩვენივე ეპოქა მისცემს მას შემდგომ გლობალურ ასპარეზს.

მე მინდოდა მეთხოვა ჩვენი დღევანდელი კრებისთვის, ეს ნაშრომი წარგვედ-გინა ლენინის პრემიის მოსაპოვებლად.



გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინერი  
დამკაბადონებელი

თამარ გაბელაია  
ნანა კაჭაბავა  
მარიამ ებრალიძე  
ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:

Cover Designer

Typesetter

Tamar Gabelaia  
Nana Katchabava

Mariam Ebralidze

Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

